ISSN 2587-4713
DOI:10.36962/ECS105/4-5/2022

ეკონომიკა
ECONOMICS

ტომი 105, 4-5 2022
VOLUME 105, ISSUE 4-5 2022

სპეციალური გამოცემა

გაგრძელება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1922 წლიდან

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:

Crossref
PORTICO
Google Scholar
zenodo

E-ISSN 2733-3361

საქართველო, თბილისი 2022
GEORGIA, TBILISI, 2022

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

ტომი 105, 4-5. 2022
VOLUME 105, ISSUE 4-5. 2022
DOI:10.36962/ECS105/4-5/2022

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა, რზეპკა (**პოლონეთი**) მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; დ. ქავთარაძე; ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ხარბედია; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гвичия М., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д., Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. (**Польша**), Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж., Харбедия Л.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; M. GVICHIA; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); L. KHARBEDIA; P. KOGHUASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA (**POLAND**); M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; D. QAVTARADZE; A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.**

თბილისი - 2022

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

რუსუდან ქუთათელაძე, ლია მოწყობილი -
ფასდაკლება და მისი ადგილი საწარმოს საფასო პოლიტიკაში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-09 ---------- **9**

მაკა კუჭავა, მარინა მეტრეველი - ჯანდაცვის რეფორმების
გავლენა ქვეყნის ჰოსპიტალური სექტორის განვითარებაზე
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-21 ---------- **21**

ნანა ბღარაშვილი - სოციალური ქსელების მნიშვნელობა
წინასაარჩევნო პერიოდში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-31 ---------- **31**

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ბადრი დავითაია - ელექტრონული ბიზნეს -
გარემო და მისი განვითარების მიმართულებები
საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-45 ---------- **45**

ლელა ჯახაია - პანდემიის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-57 ---------- **57**

პაატა კოღუაშვილი, ნატო ქორიძე - მცირე და
საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-67 ---------- **67**

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

ლექსო თოდუა - საფინანსო - სამართლებრივი
ნორმები და ურთიერთობანი
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-79 ---------- **79**

სოფიო ფალიანი - გადასახადის გადამხდელთა უფლებების
დაცვის სამართლებრივი გარანტიები
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-90 ---------- **90**

ლექსო თოდუა - გადამხდელთა უფლებები
და მათი დაცვის მექანიზმები
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-101 ----------**101**

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გოგა გელიტაშვილი, ანა ბოკუჩავა, გოჩა აბუთიძე, მედეა ჭელიძე - საბანკო სისტემის სტაბილურობა, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-110 ----------110

რეგიონული ეკონომიკა

Giorgi Gogitidze - Attitudes of the Residents Towards the Tradition of Hospitality in the Mountainous Region of Adjara
(გიორგი გოგიტიძე - ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სტუმარ - მასპინძლობის ტრადიციასთან დაკავშირებით აჭარის მთიან რეგიონში, ინგლისურად)
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-121 ----------121
რამაზ ოთინაშვილი, თამარ ოთინაშვილი, ხვიჩა შარაშიძე - რეგიონის საინვესტიციო პროცესების სტიმულირების მნიშვნელოვანი ასპექტები
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-130 ----------130
ზურა გამთენაძე - საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ანალიზი
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-140 ----------140
ჯამბულ აბულაძე - სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის განვითარება შინამეურნეობების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-152 ----------152

დარგობრივი ეკონომიკა

პაატა კოღუაშვილი, ანა ჭიპაშვილი - საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის როლი მიწის ადმინისტრირებაში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-169 ----------169
ბელა კუტიბაშვილი - წრფივი და ცირკულარული ეკონომიკის მოდელების შედარებითი ანალიზი
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-188 ----------188
მარინა მეტრეველი - აგროტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-196 ----------196

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

გიორგი ჯოლია - გაერთიანებული სამეფოს ფუნდამენტური სახელმძღვანელო ანგარიშები კორპორაციული მართვის შესახებ
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-204 ----------204
მარიამ კურტანიძე - განათლების გავლენა ახალგაზრდებში ბიზნეს მენტალიტეტის ფორმირებაზე
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-217 ----------217
ლალი ხარბედია, მალხაზ გვიჩია - მცირე ბიზნესი - განვითარების ტენდენციები და პრობლემები
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-229 ----------229
მირანდა ჯანხოთელი, მარიამ წიკლაური - სოციალური კომუნიკაციების მნიშვნელობა ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისული მართვის სისტემებში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-239 ----------239
თამარი ბეგდარაშვილი - ფირმის ადაპტაციური ბიზნეს - გემგის შემუშავების მეთოდოლოგია
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-253 ----------253

მსოფლიო ეკონომიკა

Davit Gamtenadze - EU Competition Policy:Benefits and Problems in Terms of Harmonization, Convergence, Mutual Recognition (**დავით გამთენაძე,** ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა: ჰარმონიზაციის, შერწყმისა და ურთიერთაღიარების შესაძლებლობები და პრობლემები, ინგლისურად)
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-260 ----------260
ჯამბულ აბულაძე - საქართველოში თხილის წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის დინამიკის ანალიზი და შეფასება 2010 - 2020 წლებში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-271 ----------271
მაია ბენია - მეღვინეობის მსოფლიო ეკონომიკა
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-284 ----------284
რუსუდან პაპასკირი, ნიკა ტყებუჩავა - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკათაშორისი სისტემის როლი თანამედროვე მსოფლიოში
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-296 ----------296
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი-----304

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Rusudan Kutateladze, Lia Motskobili -
Discount and Its Place in the Pricing Policy of the Enterprise
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-09 ---------- **9**

Maka Kuchava, Marina Metreveli - Impact of Health Care
Reforms on the Development of the Countries Hospital Sector
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-21 ---------- **21**

Nana Bgharashvili - The Importance of Social Networks
in the Pre-election Period
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-31 ---------- **31**

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Badri Davitaia - Electronic Business Environment
and Its Development Directions in the Economic Space of Georgia
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-45 ---------- **45**

Lela Jakhaia - Impact of the Pandemic on the Country's Economy
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-57 ---------- **57**

Paata Koghuashvili, **Nato Koridze -** The Importance of Small
and Medium - sized Business for the Country's Economy
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-67 ---------- **67**

LEGAL ASPECTS OF MARKET ECONOMY

Lekso Todua - Financial - legal Norms and Relations
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-79 ---------- **79**

Sofio Paliani - Protection of Taxpayers' Rights Legal Guarantees
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-90 ---------- **90**

Lekso Todua - Taxpayers' Rights and Their Protection Mechanisms
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-101 ---------- **101**

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Goga Gelitashvili, Ana Bokuchava, Gocha Abutidze, Medea Chelidze - Stability of The Banking System as an Important
Factor of Economic Security
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-110 ---------- **110**

REGIONAL ECONOMICS

Giorgi Gogitidze - Attitudes of the Residents Towards the Tradition of Hospitality in the Mountainous Region of Adjara
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-121 ---------- 121
Ramaz Otinashvili, **Tamar Otinashvili**, **Khvicha Sharashidze** - Important Aspects of Region's Investment Processes Stimulation
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-130 ---------- 130
Zura Gamtenadze - Competitiveness Analysis of the Regions of Georgia
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-140 ----------140
Jambul Abuladze - Development of Agricultural Cooperation - Increasing Factor of Household Efficiency in the Autonomous Republic of Adjara
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-152 ---------- 152

SECTORAL ECONOMY

Paata Koguashvili, Ana Chipashvili - The Role of Public - private Partnerships In Land Administration
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-169 ---------- 169
Bela Kutibashvili - Comparative Analysis of Linear and Circular Economy Models
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-188 ---------- 188
Marina Metreveli - Main Trends of Agricultural Development in Georgia
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-196 ---------- 196

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Giorgi Jolia - Fundamental Reports on Corporate Governance of the United Kingdom
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-204 ---------- 204
Mariam Kurtanidze - The Impact of Education on the Formation of Business Mentality among Young People
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-217 ---------- 217
Lali Kharbedia, Malkhaz Gvichia - Small Business Development Tendencies and Problems
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-229 ---------- 229

Miranda Jankhoteli, Mariam Tsiklauri - The Importance of Social Communication in Anti - crisis Health Management Systems
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-239 ---------- 239
Tamar Begdarashvili - Methodology for Developing an Adaptive Business Plan
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-253 ---------- 253

WORLD ECONOMY

Davit Gamtenadze - EU Competition Policy: Benefits and Problems in terms of Harmonization, Convergence, Mutual Recognition
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-260 ---------- 260
Jambul Abuladze - Analysis and Evaluation of the Dynamics of Hazelnut Production and Foreign Trade in Georgia in 2010-2020
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-271 ---------- 271
Maia Benia - World Economy of Winemaking
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-284 ---------- 284
Rusudan Papaskiri, Nika Tkebuchava - The Role of International Settlement Interbank System In the Modern World
DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-296 ---------- 196

Publication Requirements ---------- 304

ფასდაკლება და მისი ადგილი საწარმოს საფასო პოლიტიკაში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-09

რუსუდან ქუთათელაძე
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი, დეკანი
r.kutateladze@gtu.ge

ლია მოწყობილი
სტუ დოქტორანტი
motskobilil@gtu.ge

რეზიუმე

სტატია ეძღვნება საწარმოს საფასო პოლიტიკას და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ავტორები თვლიან, რომ საფასო პოლიტიკა წარმოადგენს ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანობას გასაყიდ საქონელზე ფასების დადგენის, შენარჩუნებისა და შეცვლისათვის, რომლებიც მიმართულია კომპანიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. ავტორები თვლიან, რომ გარკვეულ პროდუქციაზე ფასის დადგენისას აუცილებელია საწარმოს მარკეტინგული სტრატეგიის მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინება, ხოლო ამ ფაქტორთაგან უმთავრესად მათ ფასების პოლიტიკა მიაჩნიათ. ამავე სტატიაში მათ დეტალურად აქვთ განხილული ფასდაკლება, როგორც საქარმოს საფასო პოლიტიკის საკვანძო ელემენტი.

საკვანძო სიტყვები: საფასო პოლიტიკა, ფასდაკლება, ფასების შენარჩუნება.

შესავალი

საფასო პოლიტიკა - ეს არის მისი ხელმძღვანელობის საქმიანობა გასაყიდ საქონელზე ფასების დადგენის, შენარჩუნებისა და შეცვლისათვის, რომლებიც მიმართულია კომპანიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში შეერთებულ შტატებში ინდუსტრიული ბუმის დროს, სამრეწველო წარმოება ყოველწლიურად საშუალოდ 25%-ით იზრდებოდა. გახსნის შესაძლებლობებმა მიიზიდა მრავალი კომპანია შეერთებული შტატების ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ბაზრებზე. 1970-იანი წლების განმავლობაში, ინდუსტრია განაგრძობდა ზრდას, მაგრამ ბევრად უფრო ნელი ტემპით, დაახლოებით 9% წელიწადში. 1980-იანი წლებისთვის ზრდის ტემპი ყოველწლიურად 7%-მდე შემცირდა. ამან აიძულა მეწარმეები შეემცირებინათ ფასები, გაეზარდათ გასაყიდი სივრცე და გაეფართოვებინათ გაყიდვების ტერიტორიები, რამაც გამოიწვია ყოვლისმომცველი შერწყმები, რათა გაზრდილიყო შემოსავალი მასშტაბური და მეტი გაყიდვების საშუალებით. 1986 წლიდან 1993 წლამდე აშშ-ში 5 საუკეთესო საცალო ვაჭრობის ბაზრის წილი გაიზარდა 62%-დან 72%-მდე, შესაბამისად.

შეერთებული შტატების შემდეგ ევროპაში ფასდაკლებით ვაჭრობამ დაიწყო განვითარება. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში, ფრანგულმა საცალო ქსელმა Carrefour-მა გამოიგონა ჰიპერმარკეტი. ჰიპერმარკეტის იდეა სწრაფად გავრცელდა; ბევრმა კომპანიამ დაიწყო სუპერმარკეტების ქსელების ტერიტორიული დაფარვის გაზრდა და პროდუქციის ასორტიმენტის დივერსიფიკაცია სამრეწველო საქონლით. ჰიპერმარკეტი ხასიათდება დიდი ფართებით და პროდუქციის ფართო ასორტიმენტით. მაღაზიის ფართობი 5000-დან 15 000-მდე კვ. მეტრია. სასურსათო და სამრეწველო საქონლის შეფარდება - 50/50; ორივეს ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა: სხვადასხვა ბრენდის მიერ წარმოდგენილი ერთი კატეგორიის პროდუქტების დიდი არჩევანი. ჰიპერმარკეტებში სპეციალიზირებულია ახალი პროდუქტები, რის გამოც ისინი პოპულარულია. ისინი ორიენტირე-

ბულია მომხმარებელზე, ყველა საქონელი მოთავსებულია პროფესიონალურად, დაცულია საავადმყოფოსათვის შესაფერისი სისუფთავე. ყველა სახის ფასდაკლებებს შორის ჰიპერმარკეტებში მომსახურება საუკეთესოდ ითვლება.

1. საფასო პოლიტიკა ვაჭრობაში

საცალო ვაჭრობაში სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის საფასო პოლიტიკას აქვს მთელი რიგი მახასიათებლები:

- მაღაზიებს არ შეუძლიათ სრულიად დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ საქონლის ფასების დონე და იძულებულნი არიან ორიენტირება მოახდინონ საქონლის მწარმოებლის ფასების პოლიტიკაზე;

- უმეტეს შემთხვევაში, ფასების პოლიტიკა ფორმირდება გარკვეული ასორტიმენტის ერთობლიობაში, და არა საქონლის ცალკეული დასახელების მიხედვით;

- საცალო ვაჭრობის ფასების სისტემა უფრო მკაცრი ხასიათისაა, სხვა ფასწარმომქმნელ საწარმოებთან შედარებით. აქ არ გამოიყენება „საბაზისო ფასი“, რომელიც შეიძლება შეიცვალოს გაყიდვის პროცესში, რაც ართულებს ფასების პოლიტიკის მოქნილობას;

- ფასების პოლიტიკის საგანს წარმოადგენს არა საქონლის ფასი, არამედ, როგორც წესი, სავაჭრო დამატებული (ზედნადები) ფასი. სავაჭრო საწარმო ფასის ამ ელემენტს დამოუკიდებლად აყალიბებს, საბაზრო პირობების, მწარმოებლის ფასების დონის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

სავაჭრო საქმიანობის სპეციფიკა განსაზღვრავს სასურსათო პროდუქტებით საცალო ვაჭრობის საწარმოს გაყიდვების საფასო პოლიტიკის ფორმირების მახასიათებლებს. აქ სავაჭრო საწარმოს საფასო პოლიტიკის ფორმირებაში იგულისხმება, გასაყიდ პროდუქციაზე დამატებული ფასის დონეების დიფერენცირების სისტემის დასაბუთება და მათი ოპერატიული კორექტირების უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავება, რაც დამოკიდებულია სამომხმარებლო ბაზარზე არსებული ვითარების ცვლილებებზე და სამეურნეო საქმიანობის პირობებზე.

საცალო სავაჭრო ბიზნესის ფასების სფერო მოიცავს ტიპიური წესების ჩამონათვალს საქონლის საცალო ფასების გაანგარიშებისთვის. სავაჭრო ორგანიზაციები ბაზარზე მკაცრი კონკურენციის პირობებში არსებობენ, სადაც მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის იდენტური საქონლის ფასების მისაღები დონე. კონკურენტული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ფასების პოლიტიკა, რომელიც ასახავს პროდუქციის ხარისხის დონეს, მაღაზიის იმიჯს და ორგანიზაციის მიზნების მახასიათებლებს. ამავე დროს, ოპტიმალური საფასო გადაწყვეტილებები ხელს უწყობს მომხმარებელთა ლოიალურობის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს საცალო მაღაზიის წარმატებას სამომხმარებლო ბაზარზე.

საცალო ვაჭრების საწარმოების უმრავლესობას, შეთავაზების ფართო სპექტრის გამო, დიდი შესაძლებლობები აქვს საქონლის მიმწოდებლის ასარჩევად, მწარმოებლებიდან დაწყებული და მრავალი მსხვილი და მცირე საწარმოთი დამთავრებული. მაღაზიის შესყიდვების პოლიტიკა ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე და, ამავე დროს, საქონლის გაყიდვიდან მოგების დაგეგმილი წილის მიღებაზე. ფასწარმოქმნა საცალო მაღაზიაში უნდა იყოს დაფუძნებული საქონლის შეკვეთისთვის საჭირო საკუთარ ხარჯებზე და, ამავდროულად, ორიენტირებული ბაზარზე.

გარკვეულ პროდუქციაზე ფასის დადგენისას აუცილებელია საწარმოს მარკეტინგული სტრატეგიის მრავალფეროვნ ფაქტორთა მთელი რიგის გათვალისწინება, მათ შორის ფასების პოლიტიკაც. სასურსათო პროდუქტების სარეალიზაციო მაღაზიის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მყიდველი თითქმის ყოველთვის აკეთებს ასორტიმენტში შესყიდვას. სავაჭრო საწარმოს ფასების პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება იმგვარად, რომ მაგალითად, ერთი პროდუქტისთვის დაბალი ფასების დადგენის დროს ივარაუდოს ამავდროულად სხვა შეძენილი საქონლის შედარებით მაღალი ფასი. ამავე დროს ფასმა უნდა უზრუნველყოს საქონლის რეალიზაცია, მისი კონკურენტუნარიანობა, მყიდველის მიერ გადახდილი ფულის

შესაბამისობა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სავაჭრო საწარმოს მომგებიანობას და რენტაბელობას. საცალო მაღაზიის ფასების პოლიტიკის ოპტიმალური ეფექტურობის ფორმირებისა და ანალიზის დროს საჭიროა შემდეგი მაჩვენებლებით ხელმძღვანელობა:

- საქონლის ასორტიმენტის გაყიდვის შესახებ წინა პერიოდების სტატისტიკური მონაცემები;
- გაყიდვების დაგეგმილი მომგებიანობის დონე;
- პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპი და დინამიკა;
- განაწილების ხარჯების არსებობა და ღირებულება;
- მაღაზიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, აგრეთვე წინა და მომდევნო პერიოდების ფინანსური შედეგები;
- მონაცემები კონკურენტების საბაზრის ფასების კვლევის შესახებ.

2. ფასდაკლების სისტემა

საცალო სავაჭრო კომპანიის საფასო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე შესაფერის და მოქნილ იარაღს ფასდაკლების სისტემა წარმოადგენს. მაღაზიები საკმაოდ ხალისიანად მოიხმარენ ფასდაკლებას საცალო მომხმარებლების მოზიდვისთვის, რაც დადებითად მოქმედებს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფასდაკლებები ხელს უწყობენ**:**

1. გაყიდვების გაზრდილი მოცულობის შედეგად ბრუნვისა და დასაწყობების ხარჯების შემცირებას;
2. ახალი მომხმარებლების შეძენას და არსებული მომხმარებლების შენარჩუნებას;
3. მაღაზიის იმიჯის გაუმჯობესებას;
4. მეტი რაოდენობის საქონლის შეძენას;
5. მოთხოვნის მოცულობის გამოთანაბრებას მთელი წლის განმავლობაში;
6. საწყობების გამოთავისუფლებას არასეზონური და მოთხოვნილების არმქონე საქონლისაგან.

პრაქტიკაში გამოიყენება ფასდაკლების მრავალი განსხვავებული სახეობა, ინდივიდუალური და კუმულატიური, ნაღდი

ფულით და სასაქონლო ფორმით. მომხმარებლის მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით, სურსათით ვაჭრობის ობიექტებში ხშირად იყენებენ ეგრეთ წოდებულ „კუმულაციურ ფასდაკლებას“. ფასდაკლებების ეს სახეები ითვალისწინებს მოცემულ მაღაზიაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძენილი საქონლის რაოდენობის ზრდასთან ერთად ფასის შემცირებას ყოველი შემდგომი შეძენის დროს.

არაკუმულაციურია ფასდაკლებები ერთჯერადად შეძენილი საქონლის რაოდენობისთვის, რომელიც აღემატება მაღაზიის მინიმალურ ლოტს. მაგალითად, 200 ლარის ღირებულების საქონლის შეძენა, სადაც შესყიდვებისთვის გათვალისწინებულია 5% ფასდაკლება; 500 ან მეტი ლარის შენაძენზე - 10%-იანი ფასდაკლება და ა.შ. ფასდაკლება არ აღემატება მაღაზიის ჯამური ხარჯების ეკონომიას. დანაზოგი კი წარმოიქმნება საქონლის გაყიდვისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებისას და სტიმულს აძლევს მყიდველს ამ მაღაზიაში სავაჭროდ.

ბრუნვის ფასდაკლება (ბონუსი) - ეძლევა რეგულარულ მომხმარებლებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქონლის ბრუნვისთვის. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფასდაკლება, როგორც საბითუმო, ისე საცალო სასურსათო ვაჭრობის ობიექტებში. ამავე დროს, როგორც წესი, ფასდაკლების მასშტაბის დადგენა ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც შეძენის რაოდენობის მიხედვით, ასევე ამ ფასდაკლებების მიხედვით გადახდილი თანხის დაბრუნების წესით (ქეშ-ბექი).

დილერული (სადისტრიბუციო) ფასდაკლება - ეძლევა მიმწოდებლებს, მათ მუდმივ კონტრაჰენტებს - საცალო მაღაზიებს ან შუამავლებს, - რათა შეუნარჩუნონ და გაუმყარონ მათ თანამშრომლობის ინტერესი. ფასდაკლება გამოითვლება მიმწოდებლის მიერ ბაზარზე დადგენილ ფასზე დაყრდნობით.

ფასდაკლება გაყიდვების სტიმულირებისათვის - საქონლის მწარმოებლების მიერ მაღაზიებისთვის არის გათვალისწინებული, თუ ისინი გასაყიდად იძენენ ახალ პროდუქტებს, რომელთა

ბაზარზე განთავსება მოითხოვს რეკლამისა და სხვა სერვისების გაზრდას.

ფუნქციონალური ფასდაკლება - მომწოდებლები აწვდიან საცალო მაღაზიებს გარკვეული მარკეტინგული ფუნქციების შესრულებისათვის (ცნობილ ადგილზე ახალი პროდუქტის განთავსება, საქონლის რეკლამირება და პრეზენტაცია, ბაზრის კვლევის ჩატარება, მწარმოებლისათვის ინფორმაციის მიწოდება). შეუძლებელია დამატებითი შემოსავლის ზუსტად განსაზღვრა, რომელიც მწარმოებელს შეუძლია მიიღოს ასეთი ფუნქციების გამყიდველისთვის გადაცემის გზით. ამიტომ, ფუნქციონალური ფასდაკლების დონე შეზღუდულია მხოლოდ ტრადიციულ ვაჭრობაში მიღებული სიდიდით.

ანსხვავებენ ფუნქციური ფასდაკლების მრავალ სახეობას, კერძოდ:

1) მერჩენდაიზინგზე ფასდაკლება - მიეწოდება მაღაზიას მწაროებლის (დილერის) პროდუქციის თაროებზე ოპტიმალური განთავსებისა და ჩვენებისთვის. იგი გამიზნულია მწარმოებლის მიერ საკუთარი სავაჭრო ობიექტის თანამშრომლებზე - მერჩენდაიზერებზე ეკონომიის გასაწევად ან როდესაც საცალო მაღაზია უარს ამბობს გარეშე მხარის მერჩენდაიზერულ მომსახურებაზე;

2) ფასდაკლება საქონლის დაწინაურების ერთობლივი აქციებისთვის - გათვალისწინებულია ვაჭრობის სტიმულირებისათვის მწარმოებელთან (დილერთან) ერთად ერთობლივი კომპანიების ჩასატარებლად ბაზარზე კონკრეტული ბრენდის დაწინაურებისათვის; აღნიშნული ეხმარება ორივე მხარეს რეკლამირებაზე და სხვა ღონისძიებაზე გასაწევი ხარჯების ეკონომიაში;

3) ფასდაკლება მომხმარებლის ერთგულებისთვის - წარმოადგენს ფასდაკლების სპეციალურ ფორმას მომხმარებლის ერთგულებისათვის (ლოიალობისთვის), რომელიც მიეწოდება საცალო მაღაზიის მყიდველს, რომელიც რეგულარულად ყიდულობს პროდუქციას მაღაზიაში. ფასდაკლება ფორმდება მყიდველის პერსონალური ბარათის მეშვეობით. ძირითადად

ფასდაკლების ამ ფორმას მხოლოდ მსხვილი მაღაზიები ახორციელებენ;

4) ფასდაკლება-პრემია - გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტს სთავაზობენ ძალიან დაბალ ფასში ან უფასოდ, როგორც ჯილდოს სხვა პროდუქტის შეძენისთვის. პრიზს შეიძლება თან ახლდეს საქონელი, პაკეტის (ლოტის) შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. საქონელს თავად შეიძლება ახლდეს პრემია, თუ იგი წარმოადგენს მრავალჯერადი გამოყენების პროდუქციას;

5) საქონლის ფასიდან ფასდაკლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ზოგიერთი საცალო მაღაზია ახორციელებს პოპულარულ პროდუქტებზე ფასების მკვეთრ შემცირებას. ამგვარი ფასდაკლების მიზანია - მომხმარებელთა მოთხოვნილების გაძლიერება. მაგალითად, „კარფური“ მნიშვნელოვნად ამცირებს შაქრის ფხვნილის ფასს ხილისა და კენკროვანი კულტურების მოსავლის აღებისა და დაკონსერვების დროს, სწორედ მაღალი მოთხოვნის პერიოდში. სხვა მაღაზიები პირიქით, ოდნავ ამაღლებენ შაქრის ფასს და გაყიდვების დროს გაცილებით უარესი შედეგი აქვთ;

6) ფასდაკლებით საქონლის კომპლექსური შეძენა - ეს არის საცალო ფასის შემცირების ღონისძიება, რომელიც გარანტირებულია მყიდველისთვის, თუ ის მოცემულ პროდუქტს ყიდულობს ამ კომპანიის სხვა დამატებითი საქონელთან ერთად. ამგვარი მეთოდი გამოიყენება ურთიერთშემავსებელი საქონლის გაყიდვაში. მაგალითად: ყავა ნაღების ფხვნილთან ერთად;

7) ფასდაკლება ეროვნული დღესასწაულის ან მაღაზიის იუბილეს გამო. ასეთი ფასდაკლება საქველმოქმედოთა რიცხვს განეკუთნება. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნილების გაზრდის საშუალებად, რადგანაც ეს ფასდაკლებები ხელს უწყობს მაღაზიის იმიჯის გაძლიერებას;

8) ფასდაკლება მსხვილი გაყიდვების დროს. მისი მიზანია იმ საქონლის თვიდან მოშორება, რომელზეც არ არის მოთხოვნა ანდა რომელიც სეზონურ ნაშთს წარმოადგენს. გაყიდვის შედეგი გამოვლინდება მმართველობითი გადაწყვეტილების სისწო-

რის შეფასების მიხედვით, გაყიდვის დროს საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისად. მსხვილი გაყიდვების შედეგად, მაღაზია არა მხოლოდ გათავისუფლებულია ზედმეტი საქონლის მარაგებისგან, არამედ იზიდავს ახალ მომხმარებლებს შემდგომში საქონლის გასაყიდად; ამით ხდება „გაყინული“ ფულადი სახსრების ამოძრავება;

9) ფასდაკლება შესყიდვის კუპონების მიხედვით. მომხმარებლების მოსაზიდად მაღაზია კუპონებს სხვადასხვა გზით ავრცელებს: პოტენციური მყიდველებს გადაეგზავნებათ ფოსტით; პრესის საშუალებით (გაზეთები, ჟურნალები, რომლებშიც იბეჭდება კუპონი); პირდაპირ ფოსტის მეშვეობით (პირდაპირი ფოსტა) - სარეკლამო ბუკლეტი (ფურცელი, ჟურნალი, ბროშურა), კომპანიის სხვადასხვა პროდუქციის რეკლამირებით, რომელშიც განთავსებულია კუპონი, რომელიც ფასდაკლებით სარგებლობის უფლებას აძლევს მისი წარმდგენს; კუპონი სერიითა და ნომრით, ლატარიის ბილეთის პრინციპის შესაბამისად - შესაძლებელია მისი გვრცელება, გაყიდვის წერტილებში ან გადაგზავნა ფოსტით. პერიოდულად ამგვარი კუპონებით ხდება ღირებული პრიზების გათამაშება. ლატარიისაგან განსხვავებით კუპონი უფასოა;

10) ფასდაკლება მითითებული რაოდენობის პაკეტების, ეტიკეტების, თავსახურების, ბრენდირებული საქონლის ფლაკონებისა და სხვა საგნების წარმოდგენის დროს. აღნიშნული ფასდაკლები ჩვეულებრივ სამომხმარებლო საქონელის შემძენ პირებს გადაეცემათ; მაგალითად, ასეთებია საღეჭი რეზინა, კანფეტები შეფუთვაში და ა.შ;

11) ფინალური ფასდაკლება - ეს არის ფასდაკლება ბოლო ლოტის ან საქონლის ერთეულისთვის, რომელიც თაროებზე დიდხანს „იდო“ (ჩაწოლილი საქონელი) და დაგეგმილია მისი შეცვლა სხვა თანამედროვე საქონლით.

დასკვნა

ფასების კონტროლის ორგანიზების საბოლოო მიზანი უნდა იყოს საოპერაციო პრობლემების გადაჭრა საწარმოს ფასების

შესაძლებლობების გამოყენებით და მისი საქმიანობის სტრატეგიული მიზნების მიღწევით, რაც შეიძლება გახდეს საწარმოს მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა და შემდგომი წარმატებული განვითარების გასაღები. სწორად ორგანიზებული ფასების კონტროლი შეუწყობს ხელს არა მხოლოდ კომპანიის მუშაობის დინამიკის გაუმჯობესებას, არამედ უფრო ეფექტური მარკეტინგული მიქსის (სასაქონლო, გაყიდვებისა და სარეკლამო პოლიტიკა) მართვის სისტემის შექმნას; დაეხმარება ბაზარზე გავლენის სფეროების მოპოვებაში, გავლენის მოცულობის განსაზღვრაში და სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად ჩატარებულ ღონისძიებათა ბიუჯეტების შეფასებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. List of IFRS Standards and IFRIC Interpretations; https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/

2. Alexander Hübner; Retail Category Management: Decision Support Systems for Assortment, Shelf Space, Inventory and Price Planning; https://books.google.ge/books?id=sDLW44VvZMC&pg=PA3&source=kp_read_button&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113

4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717%23part_201?publication=172

5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11

6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/116056?publication=0

7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32974?publication=12

8. Cokins G. Activity-Based Cost Management. Making It Work. A Manager´s Guide to Implementing and Sustaining an Effective ABC

System. – McGraw-Hill, 1996. – P. 192. 129. Gaiser B. German cost management systems // Journal of Cost Management. –1997. – Bd. 11, 5. – P. 35-41.

9. Huntzinger James Lean Cost Management: Accounting for Lean by Establishing flow. – J. Ross Publishing, 2007. – P. 322.

10. Johnson Thomas A Recovering Cost Accounting Reminisces // Journal of Innovative Management. – 2002. – Bd. 8, 1. – P. 13-20.

11. Kaplan Robert, Andersen Steven Time-Driven Activity-Based Costing. – Boston : Harvard Business School Publishing, 2007. – P. 288.

12. Krumwiede Kip R. Rewards and Realities of German Cost Accounting // Strategic Finance. – April 2005. – P. 28-29.

13. Maskell B. Making the Numbers Count, Second Edition: The Accountant as Change Agent on the World-Class Team. – Productivity Press; 2 edition, 2009. – 243 pp.

14. Merwe Anton van der Debating the principles: Asking Questions of Lean Accounting // Cost Management. – Sep/Oct 2008. – 22/5.

15. Norreklit H. The balance on the balanced scorecard - a critical analysis of some of its assumptions // Management Accounting Research. – 2000. – Bd. 11. – P. 65-88.

DISCOUNT AND ITS PLACE IN THE PRICING POLICY OF THE ENTERPRISE

Rusudan Kutateladze
Ph.D., Professor of GTU
r.kutateladze@gtu.ge
Lia Motskobili
The Doctoral Student of GTU
motskobilil@gtu.ge

RESUME

The article is dedicated to the pricing policy of the enterprise and its characteristic features. The authors believe that pricing policy is the activity of the management of an organization or enterprise to set, maintain and change the prices of goods for sale, which are aimed at achieving the goals and objectives of the company. The authors believe that when determining the price of certain products, it is necessary to take into account a number of factors in the marketing strategy of the enterprise, and among these factors, they consider the pricing policy to be the most important. In the same article, they discuss discounts in detail as a key element of a company's pricing policy.

Keywords: Pricing policy, Discount, Price maintenance.

ჯანდაცვის რეფორმების გავლენა ქვეყნის ჰოსპიტალური სექტორის განვითარებაზე

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-21

მაკა კუჭავა
სტუ დოქტორანტი,
maka_kuchava@yahoo.com

მარინა მეტრეველი
სტუ პროფესორი,
metrevelimarina7@gmail.com

რეზიუმე

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. რეფორმებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა“, რომელიც ჰოსპიტლების სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო სექტორისათვის გადაცემას გულისხმობს გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ- რომლებიც სისტემის განვითარებას ემსახურება.

რეფორმის შედეგად 2007 წლიდან დღემდე მოხდა ძველი საავადმყოფოების, განახლება და უახლესი აპარატურით აღჭურვა. გაჩნდა მეტი სამუშაო ადგილი სამედიცინო პერსონალისთვის. კონკურენციის პირობებში მეტი რესურსი იხარჯება პერსონალის განვითარებაზე. ქვეყანაში გაჩნდა სამედიცინო სერვისების ექსპორტის მეტი პოტენციალი, რამაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყო ხელი.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის რეფორმები, ჰოსპიტალური სექტორი, ეკონომიკური განვითარება

შესავალი

ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები უშუალო გავლენას ახდენს

ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მრავალ მაჩვენებელზე. ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აისახება.

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, რომლებიც მიმართული იყო ეფექტიანი ჯანმრთელობის დაცვის დანერგვით მისი ხარჯის შემცირებაზე, ქვეყანა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობის ჯანდაცვის ხარჯის მზარდ ტენდენციას განიცდის. ეს, ერთის მხრივ, დაკავშირებულია მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის გაზრდაზე და ქრონიკული დაავადებების მატებაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, ტექნოლოგიების და მკურნალობის მეთოდების სწრაფ განვითარებაზე, რადგან ინოვაციური ტექნოლოგიების შემოსვლასთან ერთად კვლევისა და მკურნალობის ფასიც მატულობს.

საქართველოში ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნა მზარდია, რაც გამოწვეულია ასაკთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელებითა და სამედიცინო სერვისებზე წვდომის გაუმჯობესებით, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო დაფინანსების ზრდით აიხსნება. სახელმწიფო დაფინანსება ამ მიმართულებით 2010 წელთან შედარებით სამჯერ მეტია და შეადგენს 1.3 მილიარდ ლარს. აღნიშნულის შედეგად, ჯიბიდან გადასახადების წილი საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და დღესდღეობით შეადგენს 56%-ს (მანამდე არსებული 73%-დან). თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს მაჩვენებელი ევროკავშირთან და სხვა საშუალო შემოსავლიან ქვეყნებთან შედარებით კვლავ მაღალი რჩება, სადაც ჯიბიდან გადახდების მაჩვენებელი შეადგენს 16% და 38% თანმიმდევრულად. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა ჯიბიდან გადახდების წილის 30%-მდე შემცირებას გეგმავს 2030 წლისთვის.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2000 წლის „მსოფლიოს ჯანმრთელობის ანგარიში“ ჯანდაცვის სფეროს სამ ძირითად ფუნქციას ასახელებს: მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის პირობების შექმნას, სამედიცინო მომსახურების ქვეყნის რე-

ალურ საჭიროებებზე მორგებას და მისი ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ბუნებრივია ამ ფუნქციის შესრულებაში ჰოსპიტალურ სექტორს ცენტრალური ადგილი უკავია. შესაბამისად, მისი რეფორმირების სტრატეგია მეცნიერულ კვლევებსა და სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე უნდა იყოს დამყარებული და ემსახურებოდეს სექტორის ეფექტურობის, მოქნილობის, და ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ჯანდაცვის რეფორმები საქართველოში

1994 წლიდან დღემდე საქართველოში არაერთი რეფორმა განხორციელდა ჯანდაცვის სფეროში მათ შორისაა: სავალდებულო სოციალური დაზღვევა; ჰოსპიტალური სექტორის სრული პრივატიზება; სახელმწიფო თანხების კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის მართვაში გადაცემა; საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა; ჩ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა და სხვ. რამდენიმე მათგანი განსაკუთრებულათ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს ჯანდაცვის სექტორისთვის და ფაქტიურად საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სპეციფიკას დაუდო საფუძველი.

ამ თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა“, რომელიც საქართველოს მთავრობის 2007 წლის N11 დადგენილებით დამტკიცდა, რომლის მიხედვითაც ქვეყანას უნდა ჰქონოდა კერძო სექტორის მიერ მართული 100 ზოგადი და მრავალპროფილიანი საავადმყოფო 7800 საწოლით, ოპტიმალური ლოკალიზაციითა და 30-წუთიანი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობით. რეფორმის ძირითადი მიზანი იყო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ყველა ჰოსპიტალი და კლინიკა, რომლებიც ამავდროულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა კერძო კომპანიების მიერ შესყიდვის გზით გადასულიყო კერძო საკუთრებაში და შესაბამისად მათი მართვა და ფინანსური ანგარიშგება სრულად გადაცემოდა მფლობელ კომპანიებს. ამ გზით სახელმწიფომ ჰოსპიტალური სექტორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი, რადგან ბიუჯეტის სიმცირის გამო, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ჰოსპიტალური სექტორი ვერ ახერხებ-

და ვერც შენობა-ნაგებობების ტექნიკურ გაუმჯობესებას და ვერც ახალი აპარატურით და სხვა ტექნოლოგიური სიახლეებით მომარაგებას. საავადმყოფოების განახლება და რემონტი იმ ეტაპისთვის სახელმწიფოს მხრიდან ფაქტიურად არ ხორციელდებოდა და არსებული ინფრასტრუქტურა ძირითადად საბჭოთა კავშირის გადმონაშთს წარმოადგენდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და სხვა ქვეყნების მთავრობების მიერ გამოყოფილი თანხებით შეძენილი ან მათ მიერ დონაციით გადმოცემული სამედიცინო ტექნიკა და აღჭურვილობა.

გარდა ამისა რეფორმის მიზანი იყო ჰოსპიტალურ სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვა როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო კომპანიებიდან, რაც ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად ხელს შეუწყობდა ბაზარზე კონკურენციის განვითარებას. კონკურენციის ზრდასთან ერთად კი მოხდებოდა სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და საფასო პოლიტიკის რეგულირება ჰოსპიტლებს შორის, რადგან მზარდი კონკურენციის პირობებში მაღალი სტანდარტის და დაბალი ფასის შენარჩუნება მეტი პაციენტის მოზიდვის წინაპირობაა ჰოსპიტალურ სექტორში.

2010 წელს საავადმყოფოების პრივატიზების გეგმაში ცვლილებები შევიდა. ეს ცვლილებები სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო კომპანიების წახალისებას ითვალისწინებდა, რათა მათ ინვესტირება მოეხდინათ საავადმყოფოების განვითარებაში და მათი ოპერირებაც საკუთარ თავზე აეღოთ. 2012 წელს საჯარო სადაზღვევო პოლისები გაცემული იყო მოსახლეობის 41.1%-ზე. 2014 წლის ბოლოსთვის, კერძო სადაზღვევო კომპანიები საავადმყოფო საწოლების 84.3%-ს ფლობდნენ. მთლიანი სამედიცინო სადაზღვევო პრემიების მოცულობა 2014 წელს 74.1 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიანი სადაზღვევო ბაზრის 43.2% შეადგინა. 2012 წელს საწოლების რაოდენობა 1,000 კაცზე 11,000-მდე შემცირდა, რის შემდეგაც სექტორი გადავიდა გაფართოების ფაზაში და 2020 წელს საწოლების რაოდენობამ 1,000 მოსახლეზე ჯამურად 19 ათას საწოლს მიაღწია.

ცხრილი 1. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა საქართველოში 1,000 მოსახლეზე

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ რეგიონის და ევროპის ქვეყ-



წყარო: NCDC, OECD

ნებთან შედარებით, საქართველოში საწოლების რაოდენობა მოსახლეობასთან მიმართებაში მაღალია.

ცხრილი 2. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 1,000 მოსახლეზე ქვეყნების მიხედვით



წყარო: OECD

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰოსპიტალური სექტორის მოდერნიზაციამ საქართველოში გააჩინა სამედიცინო სერვისების ექსპორტის ახალი პოტენციალი, სამედიცინო ტურიზმის სახით. მიუხედავად იმისა რომ საქართველოში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა მოსახლეობასთან მიმართებაში მაღალია, დატვირთვის ხარისხი ოპტიმალური რჩება, რაზეც მეტყველებს ჰოსპიტლების რაოდენობის მატება გასულ წლებში. მაგალითად, გასულ წელს თბილისს სულ მცირე ორი მულტიპროფილური საავადმყოფო შეემატა. მაღალი დატვირთვის ხარისხი განპირობებულია სამედიცინო სერვისების მისაღებად ქვეყანაში ჩამოსული ვიზიტორების მზარდი რიცხვით. ცხრილი 3 ასახავს 2015-2021 წლებში ქვეყანაში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას, რომელთა მიზანს მკურნალობა ან გამაჯანსაღებელი თერაპია წარმოადგენდა. როგორც ცხრილიდან ჩანს 2015 წლიდან სერვისებზე მოთხოვნა მზარდია, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს მეტ სერვისებზე ხელმისაწვდომობით, განახლებული ინფრასტრუქტურით, ხარისხის გაუმჯობესებით.

ცხრილი 3. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი



წყარო: საქსტატი

დასკვნა

ჰოსპიტალური რეფორმის შედეგად, მოხდა ჰოსპიტალური სექტორის სრული მოდერნიზება საქართველოში - განახლდა ძველი საავადმყოფოები, მოხდა აპარატურის და აღჭურვილობის განახლება, გაჩნდა მეტი სამუშაო ადგილი. კონკურენციის პირობებში მეტი რესურსი იხარჯება სამედიცინო პერსონალის განვითარებაზე. ქვეყანაში გაჩნდა სამედიცინო სერვისების ექსპორტის მეტი პოტენციალი, რაც თავისთავად ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებამ ხელი შეუწყო სექტორში კონკურენტული გარემოს განვითარებას კერძო კომპანიების მოზიდვის გზით. კერძო საავადმყოფოების ოპერატორებმა სექტორში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს. ყოველივე ზემოაღნიშნული, ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან და სახელწიფოს მიერ სამედიცინო დაფინანსების ზრდასთან ერთად, საქართველოში სამედიცინო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე და სხვ. 2002. „ჯანმრთელობის სისტემები გარდამავალ პერიოდში: საქართველო“. ევროპის ჯანდაცვის სისტემების ობსერვატორია. ტ. 4.

2. ჭანტურიძე და სხვ. 2009. „საქართველო: ჯანდაცვის სისტემის მიმოხილვა“. ჯანდაცვის სისტემები გარდამავალ პერიოდში.

3. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. 2019. „ჯანმრთელობის სტატისტიკური წელი 2019“ http://ncdc.ge/AttachedFiles/yearbook%202016_53210b52-12da-4279-9f27-f7a361c84c96.pdf)

4. მსოფლიო ბანკი. 2020. საქართველოს სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვა. (http://documents.worldbank.org/curated/en/630321497350151165/pdf/114062-PERP156724-PUBLIC-

PERFINAL.pdf)

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი.

http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=164&lang=eng

6. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. 2020. „ჯანმრთელობის სტატისტიკური წელიწდეული 2020“ (http://ncdc.ge/AttachedFiles/yearbook%202016_53210b52-12da-4279-9f27- f7a361c84c96.pdf)

7. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. 2017 წ. „ჯანმრთელობის სტატისტიკური წელიწდეული 2016“ http://ncdc.ge/kaGE/DiseaseStatistics/StatisticalYearbook

8. საქართველოს მთავრობა. დადგენილება N724, 26.12.2014წ. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის 2014-2020 წლების სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვისა და ხარისხის მენეჯმენტის პაციენტთა უფლებების დასაცავად“ დამტკიცების შესახებ.

9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები 2001-2015 წწ. http://moh.gov.ge/en/566/National-Health-Account

10. გალტ და თაგარტი “ჯანმრთელობა საქართველოში” 2020. ბოჭორიშვილი ე. პერანიძე ნ. https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-05/13497.pdf

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge/en/modules/categories/101/domestic-tourism

REFERENCES:

1. Gamkrelidze et al. 2002. “Health Care Systems in Transition: Georgia.” European Observatory on Health Care Systems. Vol. 4, No. 2.

2. Chanturidze, et al. 2009. “Georgia: Health system review.” Health Systems in Transition.

3. L. Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health. 2015. “Health Care Statistical Yearbook 2015” (http://ncdc.ge/AttachedFiles/yearbook%202016_53210b52-12da-4279-9f27-f7a361c84c96.pdf)

4. World Bank Group. 2017. Georgia Public Expenditure Review. (http://documents.worldbank.org/curated/en/630321497350151165/pdf/114062-PERP156724-PUBLIC-PERFINAL.pdf)

5. National Statistics Office of Georgia - GeoStat. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=164&lang=eng (Retrieved October 23, 2017) 6. L. Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health. 2015. “Health Care Statistical Yearbook 2015” (http://ncdc.ge/AttachedFiles/yearbook%202016_53210b52-12da-4279-9f27- f7a361c84c96.pdf)

7. L. Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health. 2017. “Health Care Statistical Yearbook 2016” http://ncdc.ge/kaGE/DiseaseStatistics/StatisticalYearbook

8. Government of Georgia. Decree N724, 26.12.2014. On Approval of Georgian Healthcare System State Concept 2014-2020 “Universal Healthcare and Quality Management for Protection of Patient Rights”

9. Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia. National Health Accounts 2001-2015. http://moh.gov.ge/en/566/National-Health-Account

10. Galt & Tagart “ Healthcare in Georgia” 2020. Bochorishvili e. Peranidze n. https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-05/13497.pdf

11. National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en/modules/categories/101/domestic-tourism

IMPACT OF HEALTH CARE REFORMS ON THE DEVELOPMENT OF THE COUNTRIES HOSPITAL SECTOR

Maka Kuchava,
PhD Shtudent of GTU,
maka_kuchava@yahoo.com
Marina Metreveli,
ProfessorGTU,
metrevelimarina7@gmail.com

RESUME

Health care reforms in Georgia have played a significant role in the country's economic development. Among the reforms, the "General Plan for the Development of the Hospital Sector" was of particular importance.

As a result of the reform, initiated in 2007, the old and outdated hospitals have been renovated and equipped with the latest technologies and more hospital beds were added to the country's hospitals. As a result, more jobs were created for medical staff and competition has been introduced among the hospital industry. This resulted in investing more resources on staff development, creation of better potential for the export of medical services which in turn contributed to the overall economic development of the country.

Keywords: Healthcare reforms, Hospital sector, Economic development.

სოციალური ქსელების მნიშვნელობა წინასაარჩევნო პერიოდში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-31

ნანა ბღარაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ობიექტური, სამართლიანი არჩევნების ჩატარება ქვეყნის დემოკრატიის განვითარების ქვაკუთხედია, ასეთი საარჩევნო კამპანიის წარმოება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც დემოკრატიის აღმავლობის გზაზე მყოფი სახელმწიფოსთვის. სოციალური ქსელების მომხმარებელთა და ამ პლატფორმების გავლენის ზრდის კვალდაკვალ პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები და აქტივისტები სოციალურ ქსელებს საკუთარი იდეების, პროგრამებისა და მოსაზრებების გასავრცელებლად იყენებენ. ადამიანები, სულ უფრო მეტად, ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად მრავალრიცხოვანი სოციალური პლატფორმებიდან ძირითადად „Facebook“ იყენებენ. „Facebook“ ასევე იქცა საარჩევნო აქტივობების ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან პლატფორმად, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საარჩევნო გარემოზე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამომრჩევლის ქცევას. ბოლო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ „ფეისბუქი“ არამხოლოდ პოლიტიკური აქტორების მხრიდან საკუთარი პროგრამების და იდეების გასავრცელებლად ან დისკუსიისთვის, არამედ ცალკეული კანდიდატების დისკრედიტაციის მიზნითაც გამოიყენებოდა დეზინფორმაციისა და სხვადასხვა დამაზიანებელი ინფორმაციის გავრცელების გზით, რასაც ორგანიზებული და მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა. დაკვირვების პროცესში ასევე ცხადი გახდა, რომ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის დისკრედიტაციის გარდა, სოციალური მედია წარმატებით გამოიყენება პოლიტიკურ ფინანსებსა და აგიტაციასთან დაკავშირებით საარჩევნო კანონ-

მდებლობით დადგენილი აკრძალვების გვერდის ასავლელად.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელი, არჩევნები, პოლიტიკური პარტიები, ამომრჩეველი

შესავალი

სოციალური მედიის როლი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ძალზედ მნიშვნელოვანია. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და მოქალაქეების მხრიდან მათი ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, სხვადასხვა პარტიები იყენებენ სხვადასხვა სოციალურ ქსელებს მოქალაქეების მობილიზების მიზნით და განმარტავენ რომ აღნიშნული სივრცის ბოლომდე ათვისებას შეუძლია გაზარდოს ქვეყანაში საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციონირების ხარისხი. წინასაარჩევნო კამპანიების წარმართვისას განსაკუთრებით იზრდება სოციალური ქსელების პოლიტიკური მიზნით გამოყენება. სოციალური ქსელების მეშვეობით პოლიტიკურ პარტიებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიპოვონ ამომრჩევლის მხარდაჭერა, გაავრცელონ თავიანთი იდეოლოგია, განათავსონ საარჩევნო პროგრამები, ვიდეო-მიმართვები, მოწოდებები, დაპირებები, ჩაატარონ ონლაინ კონფერენციები, გამოკითხვები, პერიოდულად გააცნონ სიახლეები და სხვა აქტივობები. პარალელურად, იმყოფებიან მუდმივ კონტაქტში ამომრჩევლებთან, ისმენენ მათ მოსაზრებებსა და კრიტიკას, ხოლო რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ყოველივე ეს ხორციელდება ძალიან მცირე ფინანსური დანახარჯების გათვალისწინებით. თუმცა, ამავდროულად ჩნდება ისეთი რისკები, როგორიც არის დეზინფორმაციის გავრცელება, ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა და კანდიდატთა დისკრედიტაცია, ხოლო ის ვინც პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული რისკების წარმოშობაზე, რაღათქმა უნდა უცნობია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად „პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიების საქ-

მიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამ-ჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს."[1] გამომდინარე აქედან, კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიების საქმიანობას უშუალოდ უკავშირებს ქვეყანაში დემოკრატიის არსებობას. პოლიტიკური პარტია არის საერთო მსოფლმხედვე-ლობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქე-თა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმი-ანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში.[2]

პოლიტიკური პარტიები თანამედროვე დემოკრატიის ფუნ-ქციონირების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენენ. პარტი-ული სისტემის ინსტიტუციონალიზების დონე ხშირად მოცე-მულ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის სანდო საზომადაც მოჰყავთ. პარტიები, როგორც მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფო-ებში, ასევე საქართველოშიც, პოლიტიკური პროცესის მთავარი შემქმნელები არიან. პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს ის შემადგენელი ნაწილებია რომლებიც მოქალაქეებს მთავრობას-თან აკავშირებენ.

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე.[3] პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტების კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლე-ბებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები.[4] ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა ეცნობა ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების საარ-ჩევნო პროგრამებს, რომელიც მას მედიის საშუალებით მიეწოდ-ება. ამდენად, მედია, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული ერთ-ერთი მხარე, წარმოადგენს საზოგადოებისთვის ინფორმა-

1 საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი

2 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს კანონი

3 „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საქართველოს ორგანული კა-ნონი 45-ე მუხლი

4 „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საქართველოს ორგანული კა-ნონი 45-ე მუხლი

ციის მიწოდების ყველაზე გავრცელებულ წყაროს, რითაც ხელს უწყობს ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდას და ამომრჩევლის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას.

დღესდღეობით, სოციალური ქსელები (Facebook, Twitter, YouTube, Instagram, Google+ და სხვ.) გახდნენ ბრძოლის იარაღები პოლიტიკურ ველზე, სადაც რაციონალურ დებატებსა და დისკუსიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება; მათი გამოყენება ხდება ასევე საზოგადოებასთან/აუდიტორიასთან უკუკავშირების დასამყარებლად და სხვა აქტივობებისთვის.

ძირითადი პოლიტიკური გაერთიანებები ცდილობენ ძალიან აქტიურად გამოიყენონ ინტერნეტ სივრცე, განსაკუთრებით სოციალური ქსელები. ცდილობენ მოაწყონ შეხვედრები ბლოგერებთან და აქციონ ისინი მათ მხარდამჭერებად ან მათი იდეების გამტარებლებად. პარტიებისთვის ინტერნეტი ამომრჩეველზე ერთგვარი ზეგავლენის მოხდენის მექანიზმად იქცა, ვინაიდან იგი შესაძლებლობას იძლევა მცირე დანახარჯით, სწრაფად, სამიზნე აუდიტორიას ინფორმაცია მიაწოდოს და ასევე, მასთან მარტივ კომუნიკაციას შეუწყოს ხელი. სოციალურ ქსელებს ინტერაქციული ხასიათი აქვს, რადგან ამომრჩეველი არ არის მხოლოდ ინფორმაციის პასიური მომხმარებელი, არამედ მას აქტიური როლი ენიჭება და შეუძლია პარტიებს გამოგზავნილ მესიჯებზე უკუკავშირი დაუბრუნოს.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისთვის Facebook ყველაზე პოპულარულ პლატფორმაა, რასაც ცალსახად ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით მილიონ ხუთასი ათასი მომხმარებელია რეგისტრირებული, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 40 პროცენტია. როგორც სოციალური მედიის ექსპერტი სანდრო ასათიანი განმარტავს, დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას სწორედ სოციალური მედია განსაზღვრავს. „სოციალურმა მედიამ ბევრი რამ შეცვალა ქართულ პოლიტიკაში. მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო მოწყობა პირამიდული

ფორმიდან ჰორიზონტალურ ფორმად გარდაქმნილიყო ანუ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გამოხატოს თავისი მოსაზრება და ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში. ახალმა მედიამ ადამიანებს გაერთიანების საშუალება მისცა. საინტერესო პროცესები არის სხვადასხვა ქვეყანაში იმ მხრივ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ძალა ცდილობს აქტიურად გამოიყენოს ახლად გაჩენილი საკომუნიკაციო არხები. სოციალური მედია ეს არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ორმხრივ დიალოგს აწარმოებ"[1].

სოციალური ქსელი მნიშვნელოვანი კომუნიკაციის საშუალებაა პოლიტიკისთვის და პარტიების განვითარებისთვის. საარჩევნო პროცესში მნიშვნელოვანია ყველა მხარდამჭერის ინფორმირება და ახალი მხარდამჭერების მოზიდვა, მათთან კავშირის შენარჩუნება და გააქტიურება - აღნიშნავს სოციალური მედიის ექსპერტი ნინო ჭელიძე., ე.წ. „მეინსტრიმი" იგივე ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, სოციალურ ქსელებს აქვთ უკუკავშირის უპირატესობა, ასევე, კომუნიკაცია მათი გამოყენებით დაკავშირებულია მცირე ფინანსურ ხარჯებთან, ტრადიციულ მედიასაშუალებებში სარეკლამო ბიუჯეტთან შედარებით. პოლიტიკოსებსა და პარტიებს შეუძლიათ დატესტონ მოსახლეობის რეაქცია მათ გზავნილებზე, გარდა ამისა შუამავლის გარეშე იქონიონ კონტაქტი საკუთარ ამომრჩეველთან. სოციალური ქსელების ერთერთ უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ სტატისტიკა, რაც გვაძლევს ამა თუ იმ ვირტუალური კამპანიის დაგეგმვისა თუ მართვის საშუალებას. ნინო ჭელიძის თქმით, 2010 წლიდან პოლიტიკოსების აქტივობამ განიცადა ძალიან დიდი პროგრესი, თუმცა, ამასთანავე დაიხვეწა ინსტრუმენტებიც, მაგალითად ე.წ. „ლაივსტრიმი"-ს ფუნქცია, რომელიც ცოტა ხნის წინ დაემატა facebook-ის სივრცეს, აქტიურად იყენებენ პოლიტიკოსები და პარტიები, რომლის საშუალებითაც საკუთარ პრესკონფერენციებს უკვე პირდაპირ ეთერში გვთავაზობენ.[2]

ამერიკის შეერთებული შტატების 2008 წლის საპრეზიდენ-

1 https://bpi.ge/politika-socialur-mediashi/
2 https://bpi.ge/politika-socialur-mediashi/

ტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიამ აჩვენა თუ რაოდენ წარმატებით შეიძლება სოციალური მედიის გამოყენება ამომრჩევლებში ინფორმაციის გავრცელების მიზნით., მათთან კომუნიკაციის დასამყარებლად და დისკუსიის გასამართად. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინასაარჩევნო კამპანია იყო პირველი კამპანია, რომლის დროსაც ფართო მასშტაბით იქნა გამოყენებული სოციალური მედია. წინასაარჩევნო კამპანიისას ობამას ჰყავდა ორი მილიონი მეგობარი Facebook-ზე, მის ოპონენტს კი მხოლოდ 600 000, ეს ადასტურებს, რომ ობამა უფრო მეტად იყენებდა სოციალურ მედიას ვიდრე მისი მოწინააღმდეგე. ობამას მაშინ ხშირად ადარებდნენ პრეზიდენტ ჯონ კენედის, რომელმაც ტელევიზია არჩევნებში გამარჯვების ახალ სტრატეგიულ მედია-საშუალებად გამოიყენა და ამით საარჩევნო კამპანიის წარმოების ისტორიაში ერთგვარი რევოლუცია მოახდინა.[1]

პარტიები თავიანთ ვებ-გვერდებზე უფრო მეტად პიარზე, ლიდერების პოპულარიზაციაზე აქცენტირდებიან, ვიდრე მაგალითად, იდეოლოგიებზე, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურ სფეროზე. საინტერესოა facebook გვერდებზე პარტიათა ე.წ. „ლაიქების“, კომენტარების, პოსტების ფენომენი და მეტი მოწონების მოსაპოვებლად ე.წ. „პრესტიჟის ომი“. ცალკე სფეროს წარმოადგენს facebook გვერდზე ფასიანი რეკლამების განთავსება, რისი საშუალებითაც პარტიები ამომრჩევლებს ერთგვარად „აიძულებენ“ მათი ოფიციალური გვერდის მოწონებას.[2] საკმაოდ აქტუალურია პარტიის წევრთა ან ლიდერთა facebook „ლაივები“ ან/და ვიდეობი. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია თბილისის ამჟამინდელი მერი დავასახელოთ. მოსახლეობასთან კომუნიკაციის მიზნით იგი ხშირად იყენებს ვიდეო-მიმართვებს, მაგალითად, „ბირჟა მაფიის“ წევრთა დაკავების დროს, მან ვიდეო ჩაწერა, სადაც მხარი დაუჭირა ახალგაზრდებს, რამაც საზოგადოებაში საკმაო სიმპათია გამოიწვია

1 https://bpi.ge/politika-socialur-mediashi/

2 https://www.radiotavisupleba.ge/a/socialuri-mediis-roli-qartul-partiul-politikashi/28946464.html

მის მიმართ.[1]

საქართველოში 2021 წლის 2 აგვისტოს პრეზიდენტმა ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღად 02 ოქტომბერი გამოაცხადა. ამომრჩევლები მერებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს შერეული სისტემით, მაჟორიტარული მანდატებით და მუნიციპალური სიებით 64 მუნიციპალიტეტში აირჩევენ. კერძოდ, 59 თვითმმართველ თემსა და 5 თვითმმართველ ქალაქში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ (მერი) და წარმომადგენლობით (საკრებულო) ორგანოებს აირჩევს. ამომრჩევლები 64 მერსა და საკრებულოების 2068 წევრს, 4 წლის ვადით აირჩევენ თუ მაჟორიტარმა კანდიდატებმა მოიპოვეს ნამდვილი ხმების 40 პროცენტზე მეტი, მერობის კანდიდატებმა კი 50 პროცენტზე მეტი.

საგულისხმოა, რომ წინასაარჩევნო კამპანია პანდემიის ფონზე მიმდინარეობდა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია კამპანიური ღონისძიებების სიხშირესა და მასშტაბურობაზე. ოპოზიციურ პარტიათა ნაწილს რეგიონებში აქტიური კამპანია ბოლო დრომდე არ უწარმოებია და პროცესი მმართველი პარტიის დომინირებით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ პარტიათა უმრავლესობას უკანასკნელ პერიოდამდე წარდგენილი არ ჰქონია საარჩევნო პროგრამა. იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ოფიციალურ გვერდებზე ღია აგიტაციის შემთხვევები იშვიათად გვხვდებოდა, გამოწვევას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის facebook-ის გვერდებზე ინფორმაციის გავრცელება იმ მერების საქმიანობის შესახებ, რომლებიც კანდიდატებად იყვნენ მოაზრებულნი ან წარდგენილნი. პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების ოფიციალური გვერდების გარდა, facebook-ზე მოქმედებდა სხვადასხვა ტიპის ანონიმური/არაოფიციალური აქტორებიც, რომელთა ძირითად მიზანსაც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის, მათი ლიდერისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დისკრედიტაცია წარმოადგენდა. ამ გვერდებზე განთავსებუ-

1 https://www.radiotavisupleba.ge/a/socialuri-mediis-roli-qartul-partiul-politikashi/28946464.html

ლი პოსტების უმრავლესობა სიძულვილის ენას შეიცავდა და პერსონიფიცირებული თავდასხმების ხასიათი ჰქონდა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის დონე და ხელი შეუშალა წინასაარჩევნოდ საგნობრივი დისკუსიის წარმართვას. პოლიტიკური გზავნილები, facebook-ის გვერდებთან ერთად, ჯგუფებშიც ვრცელდებოდა. სულ უფრო მეტად გამოიყენებოდა სოციალური მედიის სხვა პლატფორმები, განსაკუთრებით Tik-Tok, Instagram და Telegram. .[1]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის facebook-ზე 28 პოლიტიკური პარტიის ძირითადი და სხვადასხვა სტრუქტურული ორგანიზაციის გვერდი იყო აქტიური. ჯამში, 332 აქტიური გვერდი დაფიქსირდა, სადაც ერთი პოსტი მაინც გამოქვეყნდა. შესწავლილ პერიოდში ყველაზე მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა პარტიის „საქართველოსთვის“ ძირითადი facebook გვერდი. ინტერაქციის რაოდენობამ კი მაქსიმალურ დონეს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს ძირითად გვერდზე მიაღწია. „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციების facebook გვერდებს შორის, ყველაზე აქტიური იყო აჭარის რეგიონული და თბილისის რაიონების ორგანიზაციების გვერდები, რომლებიც აგრეთვე, მომხმარებელთა ინტერაქციით გამოირჩეოდნენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ გვერდებს შორის, ყველაზე მეტი პოსტი სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის გვერდზე განთავსდა; ინტერაქციამ კი მაქსიმალურ რაოდენობას წალენჯიხის ორგანიზაციის facebook გვერდზე მიაღწია. პარტიის “საქართველოსთვის” ადგილობრივი გვერდებიდან, ყველაზე აქტიური თბილისისა და რუსთავის გვერდები იყო; ყველაზე მაღალი ინტერაქციით კი პარტიის რუსთავის ორგანიზაციული გვერდი გამოირჩეოდა.[2]

ასევე, facebook -ზე მუნიციპალიტეტების მერობისა და თბილისის საკრებულოს წევრობის 215 კანდიდატის გვერდი იყო

1 https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-municipalitetis-organota-2021-clis-archevnebis-cinasaarchevno-garemos-ertoblivi

2 https://drive.google.com/file/d/1AP7ocC0AgjkAoUNnPYzQg87bXMxcDB_o/view

აქტიური. თბილისის მერობის კანდიდატებს შორის, ყველაზე აქტიური ანა დოლიძის გვერდი იყო. გვერდებზე მომხმარებელთა ინტერაქციით კი კახა კალაძის ოფიციალური გვერდი ლიდერობდა. მას ნიკა მელიასა და გიორგი გახარიას გვერდები მოჰყვებოდნენ. სხვა თვითმმართველი ქალაქების (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) მერობის კანდიდატებს შორის, 15 კანდიდატის გვერდი აქტიურობდა. განსაკუთრებული აქტივობითა და ინტერაქციით მხოლოდ „ქართული ოცნების", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და პარტიის „საქართველოსთვის" კანდიდატები ხასიათდებოდნენ. 59 თვითმმართველ თემში საანგარიშო პერიოდში 109 კანდიდატის facebook გვერდი იყო აქტიური. კანდიდატების გვერდებს შორის, ყველაზე მეტი პოსტი ზუგდიდში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატის, მამუკა წონერიას, გვერდზე გამოქვეყნდა. ინტერაქციით კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის, მიშა ბოლქვაძის, გვერდი გამოირჩეოდა.[1]

საჯარო მოხელეების facebook აქტივობაზე დაკვირვებისას, გამოიკვეთა 28 მუნიციპალიტეტში დასაქმებული 51 საჯარო მოხელე, რომლებმაც სამუშაო დროს პლატფორმაზე ერთი ან მეტი საჯაროდ ხელმისაწვდომი სააგიტაციო შინაარსის პოსტი განათავსეს. ასეთი 228 პოსტი გამოვლინდა. მათი უმრავლესობა დადებითი შინაარსის იყო და მხარდაჭერას „ქართული ოცნების" მიმართ გამოხატავდა. 8 პოსტი გამოქვეყნდა დმანისის მუნიციპალიტეტის მოქმედი მერისა და „ნაციონალური მოძრაობიდან" ამავე მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის, გიორგი ტატუაშვილის, სასარგებლოდ. ნეგატიური გზავნილებიდან, 28 პოსტი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ იყო მიმართული, 6 პოსტი კი ზოგადად ოპოზიციის საწინააღმდეგო გზავნილებს მოიცავდა. აღნიშნული ნეგატიური პოსტები შვიდი საჯარო მოხელის პროფილის კედელზე გამოვლინდა.[2]

არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშის თანახმად,

1 https://drive.google.com/file/d/1AP7ocC0AgjkAoUNnPYzQg87bXMxcDB_o/view

2 https://drive.google.com/file/d/1AP7ocC0AgjkAoUNnPYzQg87bXMxcDB_o/view

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების ოფიციალური გვერდების გარდა, " facebook-ზე მოქმედებენ სხვადასხვა ტიპის ანონიმური, არაოფიციალური აქტორებიც, რომელთა ძირითად მიზანს პოლიტიკური პარტიების, მათი ლიდერებისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დისკრედიტაცია წარმოადგენს. წინა წლებში საქართველოში ანონიმურად მოქმედი გვერდების არაერთხელ წაშლის მიუხედავად, 2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე, „სამართლიანი არჩევნების" დაკვირვებით, " facebook -ზე" აქტიური იყო სულ მცირე 184 ისეთი გვერდი, რომელიც საარჩევნო მიზნებით მოქმედებს, მაგრამ ოფიციალურად არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან ღიად არ არის დაკავშირებული. მათგან 28 გვერდი 2020 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდში შეიქმნა. ISFED აცხადებს, რომ ამგვარი გვერდები ძირითადად ან მმართველ პარტიას უჭერენ მხარს და ოპოზიციას ესხმიან თავს, ან პირიქით, ხელისუფლებას უპირისპირდებიან და ოპოზიციას უჭერენ მხარს.[1]

სამწუხაროდ, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს მმართველი პარტიისა და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ გამოიყენებოდა ღია დისკრედიტაციის, ცრუ მედიის, ცრუ მხარდაჭერისა და ცრუ დისკრედიტაციის ტაქტიკები, რაც სხვადასხვა აღქმის მქონე სოციალური მედიის მომხმარებლის დაბნევასა და მოტყუებას ისახავდა მიზნად. მუნიციპალური არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიქმნა კონკრეტულ მუნიციპალიტეტებზე მიმართული ანონიმური გვერდებიც, რომლებიც მეტწილად ცრუ მედიის ტაქტიკით მოქმედებდნენ. [2]

დასკვნა

არჩევნები და პოლიტიკური თამაშები კომპლექსური აქტივობებია, რაც მოითხოვს შესაბამისი იარაღებისა და სპეციფიური სტრატეგიების ცოდნას, ასევე საჭიროებს უზარმაზარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, იმისთვის, რომ მოხდეს სასურველი შედეგების მიღება. შესაძლებელია, ერთი შეხედ-

1 https://netgazeti.ge/news/561379/

2 https://idfi.ge/ge/disinformation_and_elections_2021_

ვით, პარტიები საკმაოდ აქტიურ როლს ასრულებდნენ სოციალურ მედიაში, თუმცა უნდა დავსვათ კითხვა, თუ რამდენადაა ქმედითუნარიანი აღნიშნული აქტივობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო ინტერნეტის ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლურ დემოკრატიას. შესაბამისად, საზოგადოებისთვის უფრო პრიორიტეტული შეიძლება იყოს ტელე-მედია. პარტიები ჯეროვნად ვერ ითვისებენ იმ მსუყე რესურსს, რაც სოციალურ მედიას გააჩნია. ხშირ შემთხვევაში ისინი არ ინტერესდებიან თავიანთ პოსტებზე სოციალური ქსელის მომხმარებელთა ჩართულობით, არსებობს კომენტარის წაშლის ან ე.წ. „დაბლოკვის“ ფაქტებიც. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური ქსელების როლი ელექტორატის მობილიზებაში ჯერჯერობით ბოლომდე არა აქვთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს გააზრებული. სოციალური ქსელები პოლიტიკური პარტიებისთვის ჯერჯერობით ვერ ცვლის ტრადიციულ ურთიერთობებს, როდესაც თავად ჩადიხარ სოფელში და პირადად ხვდები ადამიანებს. მას შემდეგ, რაც უფრო მისაწვდომი გახდება ინტერნეტი რეგიონებისთვის, სიტუაცია ალბათ თანდათან შეიცვლება.

არჩევნებში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული პირები, პოლიტიკოსები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რიგ შემთხვევებში იყენებენ მათ Facebook გვერდებს პოლიტიკურ ოპონენტთა შეურაცხყოფის მიზნით. თუმცა, განსაკუთრებულად პრობლემული მასალების გაზიარება, როგორიც არის სიძულვილის ენის შემცველი განცხადებებისა და მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელება, მცირე გამონაკლისს წარმოადგენს. Facebook-ზე არსებულ პოპულარულ ჯგუფებსა და მრავალრიცხოვან ღია ჯგუფებში უმეტესად საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, რეიტინგული მედიასაშუალებების მიერ მომზადებული მედიაპროდუქტები ვრცელდება. რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით ღია ჯგუფებში, შეინიშნებოდა საეჭვო და პრობლემურ ონლაინ მედიასაშუალებათა მიერ მომზადებული პრობლემური მასალების გაზიარების შემთხვევებიც. აუცილებელია, პარლამენტმა სოციალურ და ონლაინ მედიაში

პოლიტიკური კამპანიის წარმოების მარეგულირებელი ჩარჩო განიხილოს, რაც, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების დაცვის საუკეთესო პრაქტიკას დაეფუძნება და, ამასთანავე, მოქალაქეების სანდო ინფორმაციაზე წვდომას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს კანონი;
3. „სალექციო კურსი პოლიტიკური მარკეტინგი და რეკლამა" მ. მაცაბერიძე 2011წ.;
4. „PR - კამპანიები PR- პრაქტიკაში", ს.ლომინაძე , 2009 წ.;
5. „სოციალური ქსელების როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში" კ. კაკაჩია 2013 წ.;
6. „პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში" გ. მელიქიძე 2017 წ.;
7. „საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები" . ვ. ჭიაურელი 2021 წ.;
8. https://netgazeti.ge/news/561379/;
9. https://www.radiotavisupleba.ge/a/socialuri-mediis-roli-qartul-partiul-politikashi/28946464.html;
10. https://www.osce.org/files/f/documents/d/9/499477_0.pdf;
11. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebf8;
12. https://ge.boell.org/sites/default/files/2019-11/Political_Architecture_of_Internet.pdf;
13. https://www.radiotavisupleba.ge/a/socialuri-mediis-roli-qartul-partiul-politikashi/28946464.html;
14. https://bpi.ge/politika-socialur-mediashi/;
15. https://isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringi-pirveli-shualeduri-angarishi.

REFERENCES:

1.Constitution of Georgia;

2.“On the political union of citizens” Law of Georgia;

3. “Lecture Course in Political Marketing and Advertising” M. Matsaberidze, 2011 Year;

4. „PR - campaigns in PR-practice“ S. Lominadze 2009 Year;

5.„The role of social networks in Georgian party politics“ K. Kakachia 2013 Year;

6.„Political consultation in Georgia“ G. Mikeladze 2017 Year;

7.„Basic principles of public relations“ V. Chiaureli 2021Year;

8.https://netgazeti.ge/news/561379/;

9.https://www.radiotavisupleba.ge/a/socialuri-mediis-roli-qartul-partiul-politikashi/28946464.html;

10.https://www.osce.org/files/f/documents/d/9/499477_0.pdf;

11.https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebf8;

12.https://ge.boell.org/sites/default/files/2019-11/Political_Architecture_of_Internet.pdf;

13.https://www.radiotavisupleba.ge/a/socialuri-mediis-roli-qartul-partiul-politikashi/28946464.html;

14.https://bpi.ge/politika-socialur-mediashi/;

15.https://isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringi-pirveli-shualeduri-angarishi.

THE IMPORTANCE OF SOCIAL NETWORKS IN THE PRE-ELECTION PERIOD

Nana Bgharashvili
PhD Student of GTU

Resume

Objective and fair elections is a fundament for the development of the country's democracy. Such campaign is very important for Georgia, a country on the path to democracy. Following the growing influence of social networking users and platform, political parties, candidates and activists use social networking to spread their own ideas and programs. In order to receive and spread information, people mostly use "Facebook" among numerous social platforms. "Facebook" has also become one of the large-scale platforms for electoral activities, which significantly influences electoral environment and defines voters' behavior. Observing pre-electoral campaign of the latest elections made it clear, that "Facebook" was used not only for spreading personal programs and ideas of the political actors, but for discreditation of the separate candidates by disinformation and dissemination of damaging information, which had an organizational and purposeful act. During the observing process, it has become clear that besides of discreditation of different electoral subjects, social media is successfully used for political finances and agitation related to ignoring of electoral legislation prohibitions.

Keywords: Social network, Elections, Political parties, Voter.

ელექტრონული ბიზნეს-გარემო და მისი განვითარების მიმართულებები საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-45

ბადრი დავითაია
ემკ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
badri.davitaia@mail.ru

რეზიუმე

ბოლო ათწლეულების მანძილზე ინტერნეტ-ქსელების ოპერირებამ, საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ბიზნესის ახალ მიმართულებას - ელექტრონულ ბიზნესს. მესამე მილენიუმის დასაწყისმა გამოკვეთა კომპიუტერული ტექნოლოგიების უზარმაზარი შესაძლებლობა ეკონომიკისა და საერთაშორისო ბიზნესის სფეროში, რაც მარტივად ციფრული ეკონომიკის ერას ნიშნავს. ნაშრომში წარმოდგენილია: ელექტრონული ბიზნესის არსი და ძირითადი მახასიათებლები, ტრადიციული და ელექტრონული ბიზნესის შედარებითი დახასიათება და ელექტრონული ბიზნესის უპირატესობები, აგრეთვე საქართველოს ბიზნეს გარემოს თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ელექტრონული ბიზნეს გარემოს განვითარება საჭიროებს ციფრული კომუნიკაციების მოდერნიზებულ ინფრასტრუქტურასა და მოსახლეობის უნარ-ჩვევების ამაღლებას ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების მიმართულებით. ამასთან, ელექტრონული ბიზნესი ეფექტურად რეალიზდება საინფორ-

მაციო ტექნოლოგიების დანერგვით საქონლისა და მომსახურების განაწილებისა და რეალიზაციის პროცესში. რაც შეეხება ელექტრონული ბაზრის საწყისებს, ის დასაბამს იღებს XX-ე საუკუნის 60-იანი წლებიდან , როდესაც აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ შექმნა კომპიუტერების ქსელი სამხედრო უწყებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ბიზნესი; ქსელური ეკონომიკა; ელექტრონული ფული; ელექტრონული ბაბკინგი; ვირტუალური სავაჭრო არეალი; ტრადიციული სავაჭრო არეალი; პლასტიკური ბარათი; კაპიტალის ელექტრონული მოძრაობა.

ძირითადი ტექსტი

როგორც ცნობილია, ელექტრონული ბიზნესი არის ბიზნესის გაძღოლის ფორმა, როდესაც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (ლოკალური და გლობალური ქსელი, სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ. ამასთან, ელექტრონული ბიზნესი მოიცავს: გაყიდვებს, მარკეტინგს, ფინანსურ ანალიზს, პერსონალის ძიებას, მომხმარებელთა მხარდაჭერას, პარტნიორულ ურთიერთობათა ფორმირებას და სხვა. ელექტრონული ბიზნესის ნაწილები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან, მოიცავს: 1. ბიზნესი ინტერნეტზე (ინტერნეტ-პროვაიდინგი, ჰოსტინგი, კონტენტ-პროვადინგი და სერვის პროვაიდინგი); 2.ბიზნესი ინტერნეტის ირგვლივ (ტექნიკური საშუალებების მიწოდება, პროგრამული საშუალებებით მხარდაჭერა, WEB-დიზაინი, პროგრამირება თანმხლები მომსახურებები): 3.ბიზნესი ინტერნეტში (ინტერნეტ-რეკლამა, ინტერნეტ-მაღაზიები, ინტერნეტ აუკციონები, ინტერნეტ-ანგარიშსწორებები, ინტერნეტ-მარკეტინგი, ინტერნეტ-კომერცია და სხვა. დასაწყისში ელექტრონული კომერცია, როგორც ქსელური ეკონომიკის სფერო (e-commerce) წარმოადგენდა გაყიდვების ორგანიზაციას. არ აცხადებდა რა მისწრაფებას დამოუკიდებელ ოპერირებაზე, ის მხოლოდ ანხორციელებდა ტრადიციული კომერციის მეთოდებს და ფუნქციონირებდა ინტერნეტის გარემოში. შემ-

დგომში ელოკტრონულ კომერციას განიხილავდნენ როგორც ქსელური ეკონომიკის (ელექტრონული, ციფრული ვებ და სხვა) სფეროს. ამჟამად ქსელური ეკონომიკის ქვეშ იგულისხმება საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ელექტრონული ქსელების მეშვეობით (ციფრული ტელეკომუნიკაციები). ქსელური ეკონომიკა წარმოადგენს ტექნოლოგიურად გარემოს, სადაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ კონტაქტის დამყარება ერთმანეთთან ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ელექტრონული კომერციის დეფინიციასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი შეხედულება, მაგრამ ყველაზე უფრო მათ შორის არის აღიარებული შემდეგი განმარტება, სახელდობრ, ელექტრონული კომერცია ეს არის ეკონომიკის სფერო, რომელიც მოიცავს ყველა ფინანსურ და სავაჭრო ტრანზაქციას. აღნიშნული ტრანზაქციები კი ხორციელდება კომპიუტერული ქსელების მეშვეობით.

ელექტრონული კომერცია უზრუნველყოფს ქსელური ეკონომიკის ფუნდამენტური ფუნქციების შესრულებას, რომლებიც ხელს უწყობენ გარიგებათა დადებას ინტერნეტ ქსელის შესაძლებლობათა გამოყენების გზით. მთლიანობაში ეს შესაძლებლობები ითვალისწინებს მიწოდებათა ჯაჭვის ტრანსფორმაციას, მყიდველთა ინფორმირებას და შეკვეთების მიღების ორგანიზებას. თავის მხრივ, ის შესდგება ექვსი ძირითადი ელემენტისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნეს-ოპერაციების ჩატარებას. ეს ელემენტებია: 1.მონაცემთა ელექტრონული გაცვლა (electronic data interchange) – ინფორმაციის გაცვლა კომუნიკაციის ციფრული საშუალებების გამოყენებითა და სტანდარტული ბიზნეს-დოკუმენტებით მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. მონაცემთა ელექტრონული გაცვლის საფუძველია ინფორმაციის ფორმატირებისა და გადაცემის სტანდარტები, რომელიც შემუშავებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ISO). მონაცემთა ელექტრონული გაცვლა დოკუმენტბრუნვის უნიფიცირების საშუალებას იძლევა სავაჭრო პარტნიორებს შორის, ასევე ის ამცირებს შესაძლო შეცდომებს და ახდენს ინფორმაციული ნაკადების ავტომატი-

ზირებას. სტანდარტი წარმოადგენს დასაშვებ მნიშვნელობათა ნუსხას, რომელთაგანაც გამყიდველი ირჩევს აუცილებელ ელემენტებს გარკვეული დოკუმენტისათვის (მაგალითად ინვოისი) მისი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე; 2. კაპიტალის ელექტრონული მოძრაობა (electronic funds transfer eft) - ელექტრონული გაცვლა ან ფულადი გზავნილი ერთი ანგარიშიდან მეორეზე. აღნიშნული მექანიზმი გვთავაზობს მონაცემთა გაცვლას სერვერებს შორის, რომლებიც ანხორციელებენ ფულად ტრანზაქციებს; 3.ელექტრონული ვაჭრობა (e-trade) სავაჭრო ოპერაციებისა და გარიგებათა განხორციელება ინტერნეტ ქსელში, რითაც ხდება საქონლის ყიდვა-გაყიდვა, აგრეთვე მათი ანაზღაურება; 4.ელექტრონული ფული (e-cash) ემიტენტის ფულადი ვალდებულება რემიტენტის წინაშე ელექტრონული ფორმით.ელექტრონული ფული ერთდროულად წარმოადგენს ემიტენტის ფულად ვალდებულებასა და გადახდის საშიალებას; 5.ელექტრონული მარკეტინგი (e-marketing) - მარკეტინგულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტ ქსელში ბაზრის ანალიზსა და საქონლის გადაადგილებასთან; 6. ელექტრონული ბანკინგი (e-banking) - დისტანციური საბანკო მომსახურების ტექნოლოგია, რომლის დროსაც კლიენტის ანგარიშებსა და ოპერაციებთან წვდომა ხორციელდება ინტერნეტ-ქსელის მეშვეობით.

ტრადიციულად ელექტრონული კომერციის სფეროები იყოფა სექტორებად გარიგებაში მონაწილეთა და ურთიერთქმედების მიმართულებათა რაოდენობის მიხედვით (ნახ.1)

ამჯერად დავახასიათოთ მონაწილეების მიხედვით კომერციული ურთიერთქმედებების ძირითად სექტორები: B2C (business-to costumer) - ელექტრონული კომერციის სახე, რომელიც ითვალისწინებს გარიგებათა განხორციელებას იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის. აქ უმთავრესად დომინანტურია საცალო ვაჭრობა ინტერნეტით; B2B (business-to business) - ითვალისწინებს გარიგებათა განხორციელებას საწარმოებს შორის (იურიდიულ პირებსა და მეწარმეებს შორის). ტექნოლოგიურად ასეთი ურთიერთქმედება ხორციელდება სპეციალიზებულ,

	ხელისუფლება (G)	ბიზნესი (B)	მომხმარებელი (C)
ხელისუფ-ლება (G)	G2G კოორდინაცია	G2B ინფორმაცია	G2C ინფორმაცია
ბიზნესი (B)	B2G სახელმწიფო შესყიდვები	B2B სავაჭრო გარი-გებები კომპანიებს შორის	B2C საცალო ვაჭრობა
მომხმარე-ბელი (C)	C2G გადასახადით დაბეგვრა	C2B ფასების შედარება	C2C აუქციონთა ბაზარი

ნახ.1. კომერციული ურთიერთქმედებების სექტორები

ღია ინტერნეტ-პლატფორმების ბაზაზე, რომელიც ოპერირებს წესებისა და ინსტრუმენტების სტანდარტული ნაკრებით; C2C (Consumer-to-Consumer) ელექტრონული კომერციის სახეა, რომელიც გულისხმობს გარიგებათა განხორციელებას ფიზიკურ პირებს შორის. როგორც წესი, ის დაკავშირებულია ვაჭრობასთან ელექტრონული განცხადებებით; B2G (Buziness-to-Government) ეფუძნება გარიგებების განხორციელებას ეკონომიკურ სუბიექტებსა და მართვის სახელმწიფო ორგანოებს შორის. უფრო ფართო გაგებით ეს ცნება მოიცავს ნებისმიერ ფასიან მომსახურებას, რომელსაც უწევს ეკონომიკური სუბიექტები სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებს მონაცემთა ელექტრონული გაცვლის გამოყენებით.

როგორც ცნობილია, ვირტუალური კომერციული არეალი არის ინტერნეტ ქსელში წარმომადგენლობა, რომელიც შექმნილია WEB სერვერის საფუძველზე საქონლისა და მომსახურების სხვა ინტერნეტ მომხმარებელზე გასაყიდად. მას სრულად მიესადაგება ვირტუალური საწარმოს განსაზღვრება. სხვაგვარად, ვირტუალური საწარმო არის ტერიტორიულად განცალკევებუ-

ლი მყიდველებისა და გამყიდველების თანასაზოგადოება, რომლებიც ცვლიან ინფორმაციას ელექტრონული ტექნოლოგიებით პირდაპირი კონტაქტის მინიმიზაციის პირობებში.

ელექტრონული ვაჭრობა ეფუძნება იმავე სტრუქტურას, რასაც ტრადიციული ვაჭრობა.

ნახ.2 ტრადიციული და ელექტრონული ვაჭრობის შედარებითი დახასიათება

ტრადიციული სავაჭრო არეალი	ვირტუალური სავაჭრო არეალი
სავაჭრო დარბაზი	ვირტუალური სავაჭრო არეალი
მყიდველთა ვიზიტი სავაჭრო დარბაზში და საქონლის დათვალიერება	სერვერის საიტების დათვალიერება მყიდველის მიერ
გამყიდველისა და მყიდველის პირადი კონტაქტი	გამყიდველთან კონსულტაცია კომპიუტერული ქსელით
მყიდველის მიერ საქონლის არჩევა	საქონლის შეკვეთა სერვერით
ჩეკის გადაცემა მყიდველისათვის	კომპიუტერული ქსელით მყიდველისათვის ჩეკის გადაცემა
საბანკო ბარათით ან ნაღდი ფულით საქონლის ღირებულების გადახდა	ღირებულების გადახდა ელექტრონული საგადასახადო საშუალებებით

ტრადიციული ვაჭრობის გადაყვანა ინტერნეტის ქსელში ხდის მას უფრო მოქნილს, ვინაიდან ელექტრონული ვაჭრობა ოპერირებს ციფრული ინფორმაციით, ამსუბუქებს თანამშრომლობას გარიგებაში მონაწილე მხარეებს შორის. ამასთან, ტრადიციული ეკონომიკის ბაზარი ხასითდება სრული სიმეტრიულობით. საქონლის თვალსაჩინოება, შეხების შესაძლებლობა ნიშნავს სიმეტრიულობას, ე.ი. სრულ შესაბამისობას მი-

წოდებასა და მოთხოვნას შორის. ვირტუალური ეკონომიკის ბაზარი კი ასიმეტრიულობთ ხასიათდება. საქონლის ინტერნეტით გაყიდვისას გამყიდველმა უფრო მეტი იცის საქონლის მახასიათებლების შესახებ, ვიდრე მყიდველმა. ამ შემთხვევაში ელექტრონული ვიტრინის შესასვლელი გაერთიანებულია, სარეკლამო ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი მოკლედ და ლაკონურად. საიტის ნავიგაცია ეფექტურად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა მარტივი იყოს აღსაქმელად რა, როგორ და როდის შევიძინოთ. გარდა ამისა, შეუძლებელია ფსიქოლოგიური ზემოქმედება მყიდველზე გამყიდველის მხრიდან რესპექტაბელურობის დემონსტრირებით. თუკი ტრადიციული სავაჭრო პროცესის დროს საქონლის შეძენა მყიდველის მხრიდან ხდება პირად, ელექტრონულად ძშეძენისას, მყიდველი გადის რეგისტრაციას და აფორმებს შეკვეთას ინტერნეტით. ვაჭრობისა და მომსახურების ორგანიზაცია არ ითვალისწინებს ოფისებისა და საწყობების რეალურად არსებობას და არც ყოვლისშემძლე სავაჭრო მოწყობილობებია აუცილებალი. ტრადიციული კატალოგების ნაცვლად საკმარისია შეიქმნას ელექტრონული კატალოგები, რაც ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ვაჭრობის ორგანიზება საშუალებას გვაძლევს შევამციროთ დანახარჯები გასაღებაზე, რეკლამაზე, რითაც ფაქტიურად პროდუქცია რეალიზდება საცალოდ, მაგრამ საბითუმო ფასად (20%-30% ით ნაკლები, ვიდრე საცალო ფასია). ათეულობით ელექტრონული სავაჭრო არეალების დათვალიერება ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ამდენივე ტრადიციული სავაჭრო ობიექტების შემოვლა. მყიდველებს არ უხდებათ დროის დაკარგვა, საცობებში მოხვედრა და პარკირების ადგილების ძებნა. ნებისმიერი სავაჭრო ობიექტი ხელმისაწვდომია პლანეტის ნებისმიერი წერტილიდან. ამიტომაც ის არ არის შეზღუდული საქონლის არჩევისა როდესაც მოგზაურობს ან მივლინებით იმყოფება. ასეთი სავაჭრო ობიექტები ღიაა 24 საათიანი რეჟიმით. ტრადიციულ სავაჭრო ობიექტში საქონლის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად მყიდველებს უხდებათ მიმართონ კონსულტაციისათვის გამყიდველს. ამ შემთხვევაში საქონლის

არჩევა დამოკიდებულია გამყიდველის კომპეტენტურობის დონეზე. ეფექტურად ორგანიზებულ სავაჭრო ობიექტი გვთავაზობს საქონლის შესახებ საინფორმაციო მხარდაჭერის სრულ სპექტრს. აგრეთვე ასეთ ობიექტებში არსებობს სხვა საიტების მისამართები, საიდანაც შესაძლებელია კონსულტაციის მიღება როგორც დამოუკიდებელი წყაროებისაგან. ასეთ პირობებში მყიდველი არ განიცდის ემოციონალურ ზემოქმედებას გამყიდველის მხრიდან. ელექტრონული ვაჭრობის უპირატესობა ისიც არის, რომ ის მოითხოვს მცირე დროს ორგანიზებისათვის. ამასთან ფირმა-მწარმოებელი თვითონ აწესებს და არეგულირებს ფასებს საკუთარ პროდუქციაზე. ვაჭრობს რა შუამავლების გარეშე, ის დაუყოვნებლივ იღებს შემოსავალს რეალიზაციიდან. კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა სწრაფად გააფართოვონ ასორტიმენტი, შეცვალონ ფასი და პროდუქციის მახასიათებლები. ტრადიციული ვაჭრობისას ასევე შეზღუდულია არჩევანი, ამიტომ ის იძულებულია შეუდგეს საქონლის ძიებას სხვაგან. ელექტრონულ სავაჭრო ობიექტში თუ საქონელი არ არის , შიძლება მოთხოვნა პირდაპირ გაკეთდეს ფირმა-მწარმოებლის WEB საიტზე. გარდა აღნიშნულისა, მყიდველებს შეუძლიათ მიიღონ სოლიდური ინფორმაცია კომპანიების, კონკურენტების და საქონლის მახასიათებლების შესახებ სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად, რითაც ისინი უკეთ კონცენტრირდებიან ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებზე, როგორიცაა: ფასი, ხარისხი, მომსახურების დრო და საქონლის არსებობა სავაჭრო ქსელში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურადაა ჩართული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმიანობის ხელშეწყობაში. მიუხედევად ასეთი მცდელობისა განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან ეს პროცესი მიმდინარეობს ნაკლები ინტენსივობით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესურსული პოტენციალი არის საკმაოდ დაბალი, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით ჩესაძლებელია სოციალური და მაკროეკონომიკური პარამეტრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონებში დღესაც არ არის

ხელმისაწვდომი ინტერნეტ-კომუნიკაციები. სახემწიფო ცდილობს მიაღწიოს ინტერნეტიზაციის მაღალ დონეს და მასობრივად ხელმისაწვდომობას. დღეს ინფორმაციის გავრცელების ყველაზე სწრაფი საშუალება ინტერნეტია. მრავალმხრივი ინფორმაციის ფლობა კი მოქალაქეებს ეხმარება სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღებაში, გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებაში. ამასთან, ინტერნეტის საშუალებით ხდება მოსახლეობის უფრო მეტი ჩართულობა პოლიტიკურ მოვლენებში. ინტერნეტის მასობრივი გამოყენების საჭიროება მნიშნელოვანია აგრეთვე მასმედიისადმი დაბალი ნდობის არსებობის პირობებშიც. ეკონომიკის სხვადასხვა დარგი თუ საბანკო სექტორი აქტიურადაა ჩართული საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარების პროცესში. "თიბისი" ბანკის გენერალურ დირექტორ ვახტანგ ბუცხრიკიძის განმარტებით, VENDOO თავს მოუყრის ყველა სახის პროდუქციას, რომელიც იწარმოება საქართველოში ან შემოდის უცხოეთიდან. მომხმარებელს შეექმნება ღირებული ქართული ალტერნატივა, რომ სახლიდან გაუსვლელად შეიძინოს მისთვის სასურველი ნივთი. პლატფორმა ყველასათვის ღია იქნება და მომხმარებლებს პროდუქციის ფართო არჩევანს შესთავაზებს, ასევე გააკეთებს პერსონალიზებულ შეთავაზებებს, განვადებას, შეძენილი პროდუქციის სწრაფად მიტანას და დაბრუნების მოქნილ პოლიტიკას. მათი მთავარი მიზანია, რომ მომხმარებლებს გაუმარტივონ ცხოვრება. ეს აპლიკაცია ადამიანებს საშუალებას მისცემს, რომ საქართველოში შეიძინონ მაღალი ხარისხის მომსახურება და, ამავე დროს, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა თავიანთი საქონლის მარკეტირება და რეალიზება წარმატებით განახორციელონ. მოსალოდნელია რომ, საქართველოში იგი გახდება ერთ-ერთი ხარისხიანი მომსახურება. მომხმარებლებს შეეძლებათ, უფრო მარტივად მიიღონ გადაწყვეტილება ონლაინ შესყიდვებთან დაკავშირებით, ამასთან დაკავშირებით კომპანიას აქვს ამბიცია, რომ ქართული "ამაზონი" 56 გააკეთოს. ამდენად, ციფრული სავაჭრო პლატფორმა, დაეხმარება მეწარმეებს ბიზნესის მასშტაბირებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ, გა-

ზარდონ გაყიდვები, მიიღონ ვაჭრობის დაფინანსება, აწარმოონ ონლაინ მარკეტინგი. ელექტრონული კომერცია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ის სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. ახალი ციფრული პლატფორმა VENDOO, ერთი მხრივ, გაუადვილებს მომხმარებლებს სასურველი პროდუქციის შეძენას, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას. მომსახურება გათვლილია ნებისმიერი ასაკის მომხმარებელზე როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა კაგეგორიის პროდუქცია, როგორც - ძვირად ღირებული, ასევე საშუალო და იაფიანიც, ხოლო ხარისხი ყველა შემთხვევაში იქნება გარანტირებული. VENDOO-ზე პროდუქციის განთავსება ნებისმიერ მწარმოებელს შეუძლია, მათ აქ ხვდებათ მზა ონლაინ პლატფორმა და საწყობი, ასევე, გამართული ლოგისტიკა ელექტრონული ვაჭრობისათვის. ბიზნესს პლატფორმით სარგებლობის დამატებითი ხარჯი არ ექნება, მათი ხარჯები პროდუქციის შეძენისა და საწყობში მიტანის დანახარჯით შემოიფარგლება (4).

და ბოლოს, საქართველოს ელექტრონული ბიზნეს გარემოს განვითარებისათვის აუცილებელია გატარდეს ღონისძიებები ინტერნეტ-წიგნიერების ზრდის, ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლების, ქართულენოვანი კონტენტის მრავალფეროვნების მიმართულებით. ასევე, უნდა გაიზარდოს ინფორმაციულობა, ინტერნეტ-მომხმარებელთა სეგმენტი, ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება, შემუშავდეს ეფექტური საგარანტიო მექანიზმები, გაუმჯობესდეს ინტერნეტმაღაზიების დიზაინი, განხორციელდეს ინტერნეტ-ბაზრის სამთავრობო სუბსიდირება/ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე რ. „საქართველოს ელექტრონული ბიზნეს გარემო“, 2014.

2. გაბისონია ზ. „ელექტრონული კომერცია“. თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2016.

3. ზაუტაშვილი დ. „ელექტრონული კომერცია“. ქუთაისი, 2008.

4.ლიანა ბრეგაძე-ელექტრონული კომერციის განვითარე-ბის ტენტენციები და პერსპექტივები საქართველოში, თბილისი 2020

5. Электронная коммерция: Учебник для вузов, Балабанов И.Т., 2001

6. Проектирование информационных систем в Internet. Руководство для менеджера, Михайлов А.Г., Москва, 2000.

7.Электронный бизнес и коммерция, Т. Ф. Старовойтова, Учебное пособие, Москва, 2009.

8.http://www.Just-style.com

9.http://www.osp.ru

REFERENCE:

1. Abuladze R. „Georgian electronical business environment“, 2014.

2. Gabisonia Z. ,,Electronical commerce“, 2016.

3. Zautashvili D. “E-commerce“. Kutaisi, 2008.

4. Bregadze L.-Trends and Prospects of Electronic Commerce of Georgia, 2020.

5. Colin Combe-Introduction to E-business Management and Strategy— Publishing, Elsevier, 2017.

6. Brian R. Smith, IBM E-server & E –business handbook, ibm. com/redbooks, 2018.

7. Handbook of E-business security, Joao Manuel, Brojo Kishore, publisher: CRC, 2018.

8.http://www.Just-style.com

9.http://www.osp.ru

ELECTRONIC BUSINESS ENVIRONMENT AND ITS DEVELOPMENT DIRECTIONS IN THE ECONOMIC SPACE OF GEORGIA

Badri Davitaia,
Doctor of Economic Sciences, Assistant-Professor
of Akaki Tsereteli State University,
badri.davitaia@mail.ru

RESUME

In modern condition operating of internet networks, developing of information technology have created a new direction of modern business, electronic business. The beginning of the third millennium has showed great possibilities in the sphere of international business, which means the era of digital economy. It is discussed in the article: contents of electronic business and main features, comparing the characteristics of tradition and electronic business, advantages of electronic business, as well as the business environmental features of Georgia and the prospects of development. Also it is noted that the electronic business environment of Georgia needs digital communication and promotion of population skills.

Key words: Electronic business; network economics; e-cash; e-banking; virtual trade area; tradition trade area; plastic card; electronic fund transfer.

პანდემიის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-57

ლელა ჯახაია,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
lelajaxaia@mail.ru

რეზიუმე

Covid-19, რომელიც 2019 წლის ბოლოს დაფიქსირდა ჩინეთში, რამდენიმე თვეში მსოფლიო პანდემიად იქცა. დაავადების ზემოქმედება უკვე ძალიან დიდია ნებისმიერ სფეროზე. ვირუსს ადამიანების ჯანმრთელობაზე გავლენის გარდა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკაზე. მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ თუ გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა უცნობი ვირუსით გამოწვეულ პანდემიას.

საკვანძო სიტყვები: მშპ ზრდა; ეკონომიკური შოკები; ეკონომიკური კრიზისი; პანდემია; ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ტექსტი

ის, რომ პანდემია უდიდეს უარყოფით გავლენას მოახდენდა ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე, უკვე 2020 წლის გაზაფხულისათვის გახდა ნათელი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა გადახედეს ეკონომიკური ზრდის მიმდინარე და საშუალოვადიან პროგნოზებს. „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა“ 2020 წლის აპრილის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით, 2020 წელს მსოფლიო ქვეყნების 90%-ს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა უწინასწარმეტყველა.

საქართველო მცირე ზომის, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რომელიც დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი დონის, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისა და საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე მზარდი დამოკიდებულების გამო, დიდადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. გამონაკლისი არც Covid-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი და მისი გავლენაა საქართველოზე.

კერძოდ, მსოფლიო პანდემიამ საქონლის ექსპორტიდან და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებების მნიშვნელოვანი კლება განაპირობა. გლობალური მაკროფინანსური გარემოდან მომდინარე ისეთმა რისკებმა, როგორებიცაა: მსოფლიოს მასშტაბით შემცირებული მოთხოვნა, განვითარებად ქვეყნებში რისკების ზრდა, მოგზაურობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, ფულადი გზავნილების შემცირებამ, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის და ეკონომიკის ზრდის ტემპებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

შედეგად, ქვეყნის ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 5.1% შეადგინა. მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ეკონომიკური მაჩვენებლებისა, კორონავირუსის პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა 2020 წლის განმავლობაში. ვირუსის გავრცელებამ შეაფერხა იმ ტენდენციების გაგრძელება, რომელიც წინა წლებში დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა – 5.1%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა შეადგინა - 3.3

მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა – 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა – 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%).

საერთაშორისო მაკრო-ფინანსურ გარემოში პანდემიით გამოწვეული რისკები საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას

რამდენიმე ძირითადი არხით გადაეცემა. Covid-19 ვირუსის სწრაფი გავრცელების თავიდან ასაცილებლად შემოღებულმა შეზღუდვებმა საერთაშორისო ფინანსური ნაკადების შემოდინებაზე უარყოფითად იმოქმედა. კერძოდ, საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვამ 2020 წლის პირველ ორ კვარტალში მნიშვნელოვნად შეამცირა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა და საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები. ამასთან, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში შექმნილმა ეკონომიკურმა სირთულეებმა ფულადი გზავნილები და საქონლისა და მომსახურების ექსპორტი შეამცირა. ასევე, მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში რისკის ზრდის შედეგად გამკაცრდა ფინანსური პირობები, რამაც, მიუხედავად გლობალური პროცენტების კლებისა, მიწოდების მხრიდან უცხოური ვალუტის სესხების გაძვირება განაპირობა. ყოველივე ეს ფინანსური ნაკადების შემოდინების მნიშვნელოვან კლებაში აისახა, რამაც, თავის მხრივ, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება და გაცვლითი კურსის გაზრდილი მერყეობა გამოიწვია.

საქართველოს ეროვნული ბანკის „ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის“ (2020) მიხედვით, ბოლო წლებში საქართველოს მზარდმა დამოკიდებულებამ საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსურ ნაკადებზე პანდემიის პირობებში ფინანსური სტაბილურობის რისკები წარმოშვა. ისტორიულად, აღნიშნული ნაკადების ძირითად წყაროს საქონლის ექსპორტი წარმოადგენს, თუმცა ბოლო წლებში შემოდინებებში მნიშვნელოვნად იზრდებოდა ტურიზმიდან შემოსავლების წილი. მართალია, ბოლო წლებში გაზრდილი სავაჭრო და ფინანსური ნაკადები დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა, ასევე, განაპირობებს მზარდ დამოკიდებულებას სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე. წარსულში შემოდინებების შეფერხებებმა რომლებსაც თან ახლდა შიდა დისბალანსი, აჩვენა, რომ მსგავს ეპიზოდებს მშპ-ის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. Covid-19 პანდემიით გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკის რეცესიამ აღნიშნული რისკების

რეალიზება კიდევ ერთხელ მოახდინა. კერძოდ, რეგიონსა და

სხვა პარტნიორ ქვეყნებში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახდელო ბალანსის შემოდინებები. რაც ადგილობრივი ეკონომიკური შენელების ფონზე, უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ს ზრდაზე და ფინანსური სტაბილურობის რისკებს წარმოქმნის. საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ევროკავშირში, რუსეთსა და თურქეთში არსებულ ვითარებაზე, რაც Covid-19-ის პირობებში განსაკუთრებით საყურადღებო გახდა. 2020 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, ამ ქვეყნების წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 40%, ხოლო მთლიან საგარეო შემოდინებებში 43% იყო. ევროკავშირის, რუსეთისა და თურქეთის საერთო წილი ექსპორტსა და მთლიან საგარეო შემოდინებებში წინა წელთან შედარებით (47% და 53%) მნიშვნელოვნად შემცირდა (იხ. გრაფიკი 1).

პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ცხადყო, რომ საერთაშორისო ბაზრებზე მაღალი დამოკიდებულება საგარეო შემოდინებების მყისიერი ვარდნის რისკს ქმნის, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად, ფინანსურ სტაბილურობაზე უარყოფითად აისახება. შემცირებული გლობალური მოთხოვნიდან გამომდინარე, საქონლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები შემცირებას აგრძელებს. ასევე, მსოფლიოში ეკონომიკური გარემოს გაუარესების ფონზე შემცირდა ინვესტორთა რისკის მიმღებობა, რაც განსაკუთრებით განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რისკის პრემიების ზრდასა და ამ ქვეყნებიდან კაპიტალის დიდი ოდენობით გადინებაში აისახა და მომავალშიც აისახება.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს, გაზრდილი რისკი უარყოფითად აისახება საგადასახდელო ბალანსზე. ამასთანავე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება დაფინანსების წყაროებში სავალო ინსტრუმენტის წილს ზრდის, რაც საგარეო მოწყვლადობას კიდევ უფრო ამძაფრებს. რისკის პრემიის ზრდა ასევე ზრდის მოკლევადიანი საგარეო ვალის ტვირთს და

გრაფიკი 1.
ძირითადი ბაზრების მიმართ მოწყვლადობა
(ნაკადების ფარდობა მშპ-თან)



აჩენს რეფინანსირების რისკებს.

ისევე როგორც მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში, ჭარბი დავალიანების პრობლემის წინაშე აღმოჩენის რეალური საფრთხე დარჩა საქართველოს შემთხვევაშიც. საქართველოს მთავრობის Covid-19-თან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმის პირველი და მეორე ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებების ბიუჯეტი 2020 წლის განმავლობაში მოიცავდა:

1. მოქალაქეებზე ზრუნვასა და მათ სოციალურ მხარდაჭე-

რას – 1.04 მლრდ. ლარის მოცულობით;

2. ეკონომიკაზე ზრუნვა და მეწარმეთა მხარდაჭერა–1.76 მლრდ. ლარი;

3. ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა–350 მლნ. ლარი.

2020 წელს საქართველოს ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები, საერთაშორისო პარტნიორების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და კრედიტების გარეშე დაგეგმილი იყო 13.7 მლრდ. ლარის ოდენობით, რაც განახლებული პროგნოზების მიხედვით შემცირდა 1.8 მლრდ. ლარით. ეს ყველაფერი ზრდიდა წნეხს ქვეყნის ბიუჯეტზე.

ასევე, Covid-19 პანდემიის პირობებში გაზრდილი რისკის პრემია და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება ვალის მომსახურების ტვირთის ზრდაში აისახა და პანდემიით გამოწვეული რეცესიის შესარბილებლად მობილიზებულმა ფინანსურმა რესურსებმა საგარეო ვალი გაზარდა.

გრაფიკი 2.
საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურება
(მილიონი აშშ დოლარი)



აუცილებელი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის გამოყენება. საქართველოს მთავრობის მიერ ჯამში მოზიდულ იქნა - 1.5 მლრდ. აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარება (IMF(ეროვნული ბანკი) – 200 მილიონი აშშ დოლარი; ADB –(აზიის განვითარების ბანკი)- 400 მლ აშშ დოლარი; WB აშშ– 250 მლ აშშ დოლარი; AFDსაფრანგეთი – 200 მლ აშშ დოლარი; K გერმანია – 250 აშშ დოლარი; EUევროგაერთიანება – 200 მლ აშშ დოლარი; AIIB – 100 მლ აშშ დოლარი). შედეგად, საქართველოში გაიზარდა სახელმწიფო ვალის მთლიანი მოცულობა. გაიზარდა როგორც მთავრობის საგარეო, ასევე საშინაო ვალების მაჩვენებელი.

გრაფიკი 3.



2021 წლის მარტი-აპრილიდან უკვე მკაფიო გახდა ეკონომიკის აღდგენის გაცილებით სწრაფი ტენდენცია, ვიდრე ეს მანამდე იყო ნავარაუდევი. 2020 წლის მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა-6.2%. 2020 წლის ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი გავლენა იქონია ტურიზმთან დაკავშირებულმა სექტორმა, რასაც საქართველოს ეკონომიკის 10-12% უჭირავს. წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის

წილი მაღალი ტემპებით იზრდებოდა, რამაც ეკონომიკა მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახადა ამ სექტორზე. ტურიზმის სექტორმა პანდემიის შედეგად დიდი დარტყმა მიიღო და თითქმის 100%-ით შემცირდა.

2021 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ შემცირდა 4.5%-ით, რაც განპირობებული იყო არსებული სოციალური დისტანცირების შეზღუდვებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის საერთაშორისო მოგზაურობის შემთხვევაში. თუმცა, აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 44.8% 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო 2019 წლის აპრილთან შედარებით,

ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 20.8%. მაისის წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 25.8 %, რაც დაახლოებით უდრის 8.8%-ან ზრდას 2019 წლის მაისთან შედარებით.

აღნიშნული დადებითი ტენდენცია, მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღება, ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენა 2019 წლის დონეზე, ექსპორტის და ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა და ვაქცინაციის ტემპის დაჩქარება მაღალ საბაზო ეფექტთან ერთად ქმნის მაღალი ზრდის მოლოდინს. კერძოდ, საბაზო სცენარის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2021 წლის შემთხვევაში 7.7 %-ს შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკისთვის პანდემიამ ერთი მხრივ იმოქმედა ერთობლივი მოთხოვნის მხარეს ტურიტული მომსახურების ექსპორტის კლების, ხოლო მეორე მხრივ, მობილობის შემცირების გამო შეაფერხა სამომხმარებლო პროდუქტების მიწოდების არხები, რამაც პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე ინფლაციის ზრდა გამოიწვია. მოგვიანებით, ივნისი-ივლისიდან, მოთხოვნის შემცირების ეფექტმა გადააჭარბა მიწოდების ეფექტს. შედეგად ინფლაციის მაჩვენებელმა შემცირება დაიწყო.

თუმცა 2021 წლის მარტში მოხდა წლიური ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა 3.6%-დან 7.2 %-მდე. აღნიშნული მკვეთრი ზრდა იყო განპირობებული ზოგიერთ პროდუქტზე მთავრობის სუბსიდირების პროგრამის შეწყვეტით. მაღალი ინფლაცია და-

ფიქსირდა შემდგომ თვეებშიც: აპრილი - 7.2%, მაისი - 7.7%, ივნისი - 9.9 %.

წლიურ ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე გაზრდილი ფასებისა (მათ შორის ნავთობის ფასები) და წინა პერიოდში გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე, რაც ზრდის ინფლაციის მაჩვენებელზე იმპორტული საქონლისა და სურსათის ფასების გავლენას. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ კომუნალური გადასახადების სუბსიდიის საბაზო ეფექტმა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის იანვარ-თებერვალში დამატებით დროებით გაზარდა.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით და იმ მოლოდინით, რომ წლის განმავლობაში მოხდება ეკონომიკური აქტივობის ზრდა, რაც ქმნის დამატებით წნეხს

ინფლაციურ პროცესებზე, მოსალოდნელია, რომ წლის განმავლობაში საშუალო ინფლაცია იქნება მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღალი და საბაზო სცენარით გაუტოლდება 7.5%-ს.

არსებული კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ გლობალური გეოპოლიტიკური რისკების გაანალიზება. გლობალური ეკონომიკის აღდგენის პროცესები მნიშვნელოვნად შეფერხდება პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის პირობებში. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში სავაჭრო პირობების შესაძლო გაუარესება გადაავადებს ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (2020), წლიური ანგარიში, ISSN 1512-1739.
2. პაპავა ვ. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე.
3. www.nbg.gov.ge
4. www.imf.org
5. www.mof.ge
6. www.oecd.org
7. www.sgi-network.org

REFERENCES:

1. The National Bank of Georgia (2020), Annual Report, ISSN 1512-1739.
2. Papava V. Corona-nomics and Economy Against Crisis.
3. www.nbg.gov.ge
4. www.imf.org
5. www.mof.ge
6. www.oecd.org
7. www.sgi-network.org

IMPACT OF THE PANDEMIC ON THE COUNTRY'S ECONOMY

Lela Jakhaia,
Academic Doctor of Economics,
Associated Professor
St. Tbel Abuseridze Teaching
University of the
Patriarchate of Georgia
lelajaxaia@mail.ru

RESUME

The Covid-19, which was detected in China at the end of 2019, became a global pandemic in a few months. The impact of the disease is already enormous in any area. In addition to affecting human health, the virus has a significant impact on the world economy. Despite advances in medicine, biotechnology, or genetics over the past decade, the world is still unprepared for a pandemic caused by an unknown virus.

Keywords: GDP growth; Economic shock; Economic crisis; Pandemic; Economic growth.

მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-67

პაატა კოღუაშვილი
სტუ პროფესორი

ნატო ქორიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესზე და მის მნიშვნელობაზე ეკონომიკის განვითარებაში. მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყნების უმეტესობის, განსაკუთრებით კი განვითარებადი სახელმწიფოების, ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მცირე და საშუალო კომპანიები მსოფლიო ბიზნესების ძირითად ნაწილს შეადგენენ და სამუშაო ადგილების შექმნასა და გლობალური ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ. მათზე მსოფლიო წარმოების დაახლოებოთ 90%, სამუშაო ადგილების 60%-70% და მთლიანი შიდა პროდუქტის 50% მოდის. განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში, ეროვნული შემოსავლების თითქმის 40%-ს მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს. მცირე და საშუალო ბიზნესი ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია, რომლის არასათანადო განვითრება ხელს უშლის ეკონომიკისა და საზოგადოების ნორმალურ არსებობას და განვითრებას. XXI საუკუნეში ქვეყნის განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტებისა და განვითრებული ინფრასტრუქტურების გარეშე წარმოუდგენელია. მცირე და საშუალო ბიზნესი არის სფერო, რომელიც ქმნის პროდუქციას, უწევს მომხმარებლებს მომსახურებას, არის ინოვაციების და უახლესი ტექნოლოგიების შემქმნელი და დამნერგავი ნებისმიერ დარგში, ქმნის სამუშაო ადგილებს და საზო-

გადოების საშუალო შემოსავლების მქონე ფენას, ახორციელებს ბიუჯეტის შევსებას, იზიდავს უცხოურ კაპიტალსა და ინვესტიციებს, რაც თავისთავად ვალუტის კურსის გამყარებას უზრუნველყოფს, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, თავისუფალი ბაზრების არსებობას, ბუნებრივად ეწინააღმდეგება მონოპოლიების ჩამოყალიბებას, იქმნება სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემო ქვეყანაში, ამაღლებს ქვეყნის იმიჯს საერთაშორისო დონეზე. სწორედ ამ უამრავი მიზეზის გამო, მცირე და საშუალო ბიზნესს არა მხოლოდ შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკაში, არამედ თავად გვევლინება ეკონომიკად. ეკონომიკის საბაზრო სისტემის უამრავი ქვეყნის მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნებში არსებული ეროვნული პრობლემების მოგვარებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია. 2030 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით საჭირო იქნება 600 მილიონი სამუშაო ადგილი დასაქმებაზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც ქვეყნების მთავრობებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობასა და განვითარებისკენ უბიძგებს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი; მცირე და საშუალო ბიზნესი; მცირე და საშუალო საწარმოები; დასაქმება;

შესავალი

მეცნიერები და ეკონომისტები ეკონომიკურ ზრდას ადამიანთა საზოგადოების განვითარების განუხრელ აუცილებლობად მიიჩნევენ. ის დედამიწის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის და წინსვლის უმთავრესი ფაქტორია.

ეკონომიკური ზრდა ეს არის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, ან მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე, გამოხატული თანხობრივ მაჩვენებლებში.

ბიზნესი ადამიანის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ნებისმიერი მოწინავე ევროპული ქვეყანა, იაპონია თუ აშშ განვითრებულია ბიზნესის წარმატების ხარჯზე. ის უზრუნ-

ველყოფს, როგორც პროდუქციის წარმოებას და მომსახურების მიწოდებას, ასევე ქმნის სამუშაო ადგილებს.

სიღარიბე ხშირად ქვეყნის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზია. სამუშაო ადგილების სიმცირე (დეფიციტი) კი, სიღარიბის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი. ბიზნესი ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას და ბიძგს აძლევს წარმოების მომინაჯნავე სფეროების საქმიანობის განვითარებას. ბიზნესს, მისი მოცულობის მიუხედავად, შეუძლია უამრავი ადამიანის დასაქმება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მცირე ბიზნესში დასაქმებულია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მცირე ბიზნესი იძლევა მოქალაქეებისთვის უამრავ შესაძლებლობას, რადგან უამრავი მცირე ბიზნესი არსებობს.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ბიზნესი ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის არის ის, რომ ბიზნესი სახელმწიფოს უხდის გადასახადებს. სწორედ ამ თანხებით შევსებული ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო მომსახურებები.

ძირითადი ტექსტი

ცხოვრების ხარისხი გულისხმობს კომფორტს, გართობას და სიმდიდრეს ადამიანის ცხოვრებაში. ბიზნესი ცხოვრების დონეს ანვითრებს ორი მიმართულებით - აწარმოებს მაღალი ხარისხის პროდუქციას და მომსახურებას ხალხის მოთხოვნების შესაბამისად და მეორე - ბიზნესი გვაძლევს დასაქმების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს თანხების გამომუშავებას, შემოსავლების ზრდას და, შესაბამისად, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ბიზნესის საკვანძო ადგილი მოქალაქეთა ცხოვრებაში განპირობებულია მისი ფუნქციით საზოგადოების განვითარებაში. პირველ ყოვლისა ეს არის ეკონომიკური ფუნქცია. პოლიტიკური რეჟიმის, საზოგადოებრივი წყობილების და რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, ნებისმიერ საზოგადოებას არსებობა და წარმატებული განვითარება შეუძლია მხოლოდ საზოგადოების საქმიანი მოღვაწეობის და მართვის პირობებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის და მენეჯმენტის პო-

ლიტიკური ფუნქციაც. ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება, საბოლოო ჯამში, გამოხატავს ინტერესების კონფლიქტს, პირველ რიგში - ეკონომიკურის. ამიტომაც, საქმიანი სამყარო (მსხვილი მწარმოებლები, საშუალო და მცირე ბიზნესი, ტოპმენეჯერები) განმსაზღვრელ გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. სწორედ ამ ფუნქციით განისაზღვრება ბიზნესის გადამწყვეტი როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესი ნებისმიერი ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. ეკონომიკურად განვითრებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესზე მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 50% მოდის. ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნული სფეროს განვითარებას ხელს უწყობს იმის გამო, რომ ის საშუალო შემოსავლების მქონე ფენის შექმნის მთავარი ინდიკატორია, რომლის მასშტაბებიც ქვეყნის ეკონომიკური განვითრების განმსაზღვრელია. მწარმოებლურობის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის დემოკარატიზაციას და ეკონომიკის გახსნილობას. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით, სახელმწიფო ავტომატურად უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებას და საშუალო ფენის ზრდას.

როგორც აღვნიშნეთ, მცირე და საშუალო ბიზნესს ქვეყნის წარმატებით განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მისი ძირითადი ფუნქციებიდან შეიძლება გამოვყოთ:

- სამუშაო ადგილების შექმნა - ბიზნესი დასაქმების წყაროა. ის ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ქმნის სამუშაო ადგილებს, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოებრივი სტაბილურობის დასამყარებლად. დასაქმებული მოსახლეობა საშუალო ფენის შექმნის წინაპირობაა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. ახალი სამუშაო ადგილები მოსახლეობის შემოსავლის წყაროა, ეს კი, დამატებით ხელს უწყობს ფიზიკური პირებიდან თანხის ამოღებას გადასახადების სახით და ბიუჯეტში შენატანების ზრდას.

- მსხვილი მწარმოებლების საჭიროებების დაკმაყოფილება - უამრავი მცირე ზომის კომპანია დაკავებულია მსხვილი

ფირმებისთვის საჭირო პროდუქციის წარმოებით, აღჭურვით და მომსახურების გაწევით. მაგალითად, იაპონური მანქანათმშენებლობის გიგანტები, როგორიცაა ტოიოტა, ჰონდა, იწყობა მსხვილ იაპონურ საწარმოებში, თუმცა, დეტალების უმეტესი ნაწილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მზადდება.

ასევე, მსხვილი მწარმოებლების პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება მცირე ფირმების ქსელის საშუალებით, რაც წარმოადგენს ფრანშიზას. ლიცენზიის გამოყენებით შესაძლებელია მსხვილი მწარმოებილის სავაჭრო ნიშნით კონკრეტულ რეგიონში საქონლისა და მომსახურების გაყიდვა.

- ეკონომიკური ზრდა - ბიზნესს სასიცოცხლო როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის განვითრებაში. ის წარმოების და კომერციის განვითარების დონით განისაზღვრება. წარმოება იყენებს ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ და სხვა მრავალი სახის რესურსს. ბინესსაქმიანობის განვითარება ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების გაცვლას არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. ის აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის გამომუშავებას სხვადასხვა ქვეყნებში პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის გზით. მცირე და საშუალო ბიზნესის გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროა. მეტი ბიზნესი გულისხმობს მეტ შენატანებს სახელმწიფო ბიუჯეტში და მეტ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას. არსებული საწარმოები ასევე მოსახლეობის დასაქმების ძირითადო წყაროა, მოქალაქეებისა, რომელთაც დამატებით შეაქვთ თანხები ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლებიდან; ასევე ბიუჯეტის თანხების დაზოგვის საშუალებაა - მეტი დასაქმებული მოქალაქე ნიშნავს ნაკლებ სოციალურ დახმარებას და, შესაბამისად, ხარჯების შემცირებას.

- ინოვაციების და უახლესი მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა ქვეყანაში - თანამედროვე საბაზრო პირობებში ინოვაციები ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. ინოვაციებს მოაქვს ცოდნის ამაღლე-

ბის, ხარისხობრივი გაუმჯობესების, დანახარჯების შემცირების და შესაბამისად მოგების ზრდის შესაძლებლობები. ინოვაციები არამხოლოდ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს გულისხმობს, ის დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების არსებობის ისეთ ორგანიზაციულ ფორმებზე, როგორიცაა მომსახურება, შრომის ორგანიზაცია, ინფორმატიზაცია, განათლება, მეცნიერება და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესი ინოვაციების გენერატორად შეიძლება ჩაითვალოს იმ გარემოებების გამო, რომ სამეცნიერო სამუშაოები ინოვაციების კუთხით წარმოებს მაქსიმალური ინტენსივობით, კომპანიის მთელი ძალისხმევა მიმართულია რომელიმე კონკრეტული პროექტისკენ; მცირე ფირმებში ორგანიზაციული სტრუქტურის სიმარტივე ხელს უწყობს სახსრების დაზოგვას და ხელს უშლის ბიუროკრატიული საფეხურების არსებობას; მცირე ფირმები, მომხმარებელთან უშუალო სიახლოვის ხარჯზე, მარტივად ახერხებენ ბაზრის განვითარების ტენდენციებისთვის ფეხის აყოლას და ადაპტირებას მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნილებებზე, რაც მათი საქმიანობის მოქნილობას უწყობს ხელს.

- ბუნებრივი რესურსების გამოყენება - ბუნებრივი რესურსები ბუნების საჩუქარია, მათ გამოყენებაში კი ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ზოგიერთი ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი, ზოგი საკადრო, სამეცნიერო, ან ტექნოლოგიური რესურსებით. ბიზნესი კი თავის მხრივ, იყენებს რესურსების მოხმარების ისეთ მეთოდებს, რომელიც სასარგებლო და ყველაზე მომგებიანი იქნება ყველა ადამინისთვის.

- ფინანსური კაპიტალის ქვეყანაში დაკავება - მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც წესი, ცდილობს რაც შეიძლება მეტი სხვა ადგილობრივი ბიზნესი დარჩეს ქვეყანაში. ეს გულისხმობს მცირე ზომის საწარმოებთან თანამშრომლობას, მხარდაჭერას, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ადგილობრივი წარმოების პროდუქციის და მომსახურების გამოყენებას და ა.შ. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა ეხმარება ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას, რაც, ავტომატურად საერთო კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას. ადგილობრივი ბიზნესის წარმატება ქვეყნისთვის მეტ

შემოსავალს გულისხმობს და თავისთავად, საზოგადოებისთვის სასარგებლო წამოწყებების განვითრებას უწყობს ხელს.

- უცხოური კაპიტალის მოზიდვა - ქვეყანაში არსებული განვითარებული, წარმატებული ბიზნესსექტორი მეტყველებს ხელსაყრელ ბიზნეს გარემოზე, რაც სტაბილური სოციალურ-სმართლებრივი, საგადასახადო, საკანონმდებლო და პოლიტიკური პირობების არსებობას გულისხმობს. სტაბილურობის გარანტია კი მთავარი მიმზიდველი კრიტერიუმია სახელმწიფოში ინვესტიციების და უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის.

უცხოური ვალუტის გამომუშავებაში ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს კი პროდუქციის სხვა ქვეყნებში ექსპორტის საშუალებით მიიღწევა. ექსპორტის განვითარებას სასარგებლო საგადასახადო ვალდებულებების და დადებითი სალდო მოაქვს ქვეყნისთვის.

- საერთაშორისო ურთიერთობების გამყარება - ქვეყანაში ადგილობრივი ბიზნესის განვითრება ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის, მუშახელის, ტექნოლოგიების და სხვადასხვა სახის პროდუქტებისა და მომსახურებების მოზიდვას. ქვეყნებს შორის ხდება კულტურისა და სასარგებლო ტრადიციების გაზიარება მოსახლეობის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხარჯზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებამ ხელი შეუწყოს ბიზნესის აღნიშნული სფეროს განვითარებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი აკისრია. ბიზნესგარემო არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც ბიზნესის განხორციელებასა და მის მასშტაბებზე ახედნს გავლენას. ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად და სახელმწიფო პოლიტიკის სწორად განხორციელებისთვის, პირველ რიგში, აუცლებელია, შეიქმნას შესაბამისი ფინანსური, ინფორმაციული, იურიდიული და ინსტიტუციური გარემო.

2020 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 802 500 ბიზნესია რეგისტრირებული, თუმცა მათგან აქტიური მხოლოდ 180 900-ია, რაც მთლიანად დარეგისტრირებული ბიზნესსუბიექტების მხოლოდ 22,5%-ს შეადგენს.

აქტიური ბიზნესებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის კატეგორიაზე - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი - რეგისტრირებული 162715 და მოქმედი 74354 მეწარმე; მეორე ადგილზე 15729 საწარმოთი ლიდერობს გადამამუშავებელი მრეწველობის სფერო, შემდეგ კი ტრანსპორტი და დასაწყობება - 12686 სუბიექტი.

აღნიშნული მაჩვენებლები მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში ბიზნესის წამოწყება ბევრად იოლია, ვიდრე პროფესიის მიხედვით სამუშაო ძალის გაქირავებით დასაქმება. ბიზნესის წამოწყებას შეუწყო ხელი ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებამაც, თუმცა ამ ფაქტმა ბიზნესში უამრავი „შემთხვევითი“ ადამიანის მოსვლას შეუწყო ხელი, ისეთის, რომელსაც ბიზნესის გაძღოლის პროფესიული უნარჩვევები არ გააჩნია, რის გამოც ახალი ფირმების დაახლოებით 70% ფუნქციონირების დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში იხურება. ამ თვალსაზისით, მოსახლეობაში ბიზნესის ცოდნის გავრცელება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული და დარგობრივი ჭრილით ბიზნესის განვითარებაში ასიმეტრიულობის დარეგულირება. მსოფლიო ბანკის კვლევამ გამოავლინა, რომ ბიზნესი საქართველოს 3 ძირითად ქალაქში - თბილისში, რუსთავსა და ბათუმშია თავმოყრილი. ბიზნესის დაახლოებით 72% თბილისზე მოდის და 28% დანარჩენ საქართველოზე. ამის გამოა, რომ თბილისში საქართველოს მოსახლეობის 30% ცხოვრობს და მოსახლეობის ერთ სულზე ბიზნესის წლიური ბრუნვა 25 000 ლარამდეა, რეგიონები კი 3000 ლარზე ნაკლები. სწორედ ამიტომ არის საჭირო რეგიონებში ბიზნესის არახელსაყრელი პირობების აღმოფხვრა და მეტი შეღავათის დაწესება.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკაში, საბაზრო პრინციპებზე გადასვლასთან ერთად იცვლება ბიზნესსუბიექტების სახელმწიფოსთან, საფინანსო-საკრედიტო სისტემებთან და ბიზნესის კონტრაგენტებთან დამოკიდებულებათა სისტემა. წინა პლანზე იწევს თანამედროვე, ცივილურ საბაზრო ურთიერთობებსა და ჯანსაღ კონკურენციაზე დამყარებული ბიზნესის ორგანიზაცია-განვითარებასთვის აუცილებელი ცოდნის საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის განვითრებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს შემდეგი: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრების სტრატეგიის დოკუმენტის მიღება; სამეწარმეო განათლების გაუმჯობესება საერთაშორისო კვალიფიკაციის მიღების მიზნით; საბანკო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის გამარტივების მიზნით; ხელშეწყობის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ინოვაციური მეწარმეობის ჩამოყალიბებისა და წახალისებისათვის; ექსპორტის ხელშეწყობის ახალი ინსტრუმენტების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენი ბარათაშვილი, ნიკო ბაკაშვილი, ნინო ფარესაშვილი, ბადრი გეჩბაია, დარეჯან მესხიშვილი „თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“ 2011 - Bpa.ge

2. მაია თეთრუაშვილი „ბიზნესის საფუძვლები“ 2013 - Dspace.nplg.gov.ge

3. ამირან მაღლაკელიძე „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და საშუალო ფენის ფორმირება საქართველოში“ 2020 - Researchgate.net

4. თეიმურაზ შენგელია „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ 2008 - Bpa.ge

5. “Why are businesses so important to a country’s economy?” - Enotes.com

6. “Importance and Function of business” - Kullabs.com

7. Тульчинский Григорий Львович “Роль и значение бизнеса в современном обществе” - Marketing.wikireading.ru

8. ”The Importance Of Small Businesses To Local Economies” - Pineapplepayments.com

9. Elisabeth Natter “What Are the Benefits of Businesses for the Local Economy?” - Smallbusiness.chron.com

10. J. Mariah Brown “How Important Are Small Businesses to Local Economies?” - Smallbusiness.chron.com

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „მეწარმეობა საქართველოში“ - Geostat.ge

REFERENCES:

1. Evgeni Baratashvili, Niko Bakashvili, Nino Paresashvili, Badri Gechbaia, Darejan Meskhishvili “Modern Business Strategies”

2. Maia Tetruashvili “Business Basics”

3. Amiran Maghlakelidze “Development of small and medium enterprises and formation of the middle class in Georgia”

4. Teimuraz Shengelia “Fundamentals of Business Administration”

5. “Why are businesses so important to a country’s economy?” - Enotes.com

6. “Importance and Function of business” - Kullabs.com

7. Tulchinkyi Grigoryi Lvovich “The role and importance of business in modern society” Marketing.wikireading.ru

8. ”The Importance Of Small Businesses To Local Economies” - Pineapplepayments.com

9. Elisabeth Natter “What Are the Benefits of Businesses for the Local Economy?” - Smallbusiness.chron.com

10. J. Mariah Brown “How Important Are Small Businesses to Local Economies?” - Smallbusiness.chron.com

11. National Statistics Office of Georgia “Entrepreneurship in Georgia” - Geostat.ge

THE IMPORTANCE OF SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESS FOR THE COUNTRY'S ECONOMY

Paata Koghuashvili
PhD in Economics, Professor, Georgian Technical University
Nato Koridze
PhD Student of Georgian Technical University

RESUME

The article talks about small and medium-sized business and its importance in the development of the economy. Small and medium-sized enterprises play an important role in the economies of most countries, especially developing countries. Small and medium-sized companies are a major part of world businesses and make a huge contribution to job creation and the development of the global economy. They account for about 90% of world production, 60% -70% of jobs and 55% of GDP. In developing economies, small and medium-sized businesses provide almost 40% of national income. They are a necessary and integral part of the economic system of any developed country, the improper development of which hinders the normal existence and development of the economy and society. Development of the country in the XXI century is unimaginable without commerce, manufacturing, financial institutions and modern infrastructures. Small and medium business is a field that creates products, provides services to customers, is the creator and implementer of innovations and the latest technologies in any field, creates jobs and the middle-income layer of the society, fills the budget, attracts foreign capital and investments, which in itself strengthens the exchange rate, promotes healthy competition, the existence of free markets, naturally opposes the establishment of monopolies, creates a stable socio-economic environment in the country, raises the image of the country at the international level. It is for these numerous reasons that small and medium-sized businesses not only make a significant

contribution to the economy, but also emerge as an economy. The world experience of many countries in the market economy system shows that small and medium-sized businesses can play one of the most important roles in solving the national problems in the countries. By 2030, 600 million jobs will be needed worldwide to meet the growing demand for employment, prompting governments to promote small and medium-sized businesses.

Keywords: business; Small and medium business; Small and medium enterprises; Employment; Importance in economic development.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობანი

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-79

ლექსო თოდუა
სტუ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი,
makabedi68@gmail.com

რეზიუმე

საფინანსო სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს ქცევის იმ წესს, რომელიც დადგენილია კომპეტენტური ორგანოების მიერ და განსაზღვრავს საფინანსო ურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობებს.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმები შეიცავენ გარკვეულ მოთხოვნებსა და აკრძალვებს, აგრეთვე საფინანსო დისციპლინის დარღვევისა და არამართლზომიერი მოქმედების დროს განსაზღვრული ზემოქმედების გამოყენების შესაძლებლობას.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მათი იმპერატიული ხასიათი. დისპოზიციური ნორმებისგან განსხვავებით, საფინანსო-სამართლებრივ ნორმებში გადმოცემული მოთხოვნები კატეგორიულ ფორმაშია გამოხატული და საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს უფლება არა აქვთ შეცვალონ ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ. საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სანქციაში მოცემულია ის შედეგები და იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რაც მოჰყვება დისპოზიციაში მოცემული წესის შეუსრულებლობას. სანქცია ნორმის ის ნაწილია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ფაქტობრივად უზრუნველყოფს ნორმის განხორციელებას, აგრეთვე საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების უფლებების დაცვასა და მოვალეობის შესრულებას.

საფინანსო სამართლის სუბიექტებს შორის, საფინანსო-სამართლებრივი ნორმის ფარგლებში, ფულადი სახსრების თაობაზე უფლება-მოვალეობათა განაწილების შედეგად წარმოშობილ კავშირს საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება.

საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს საფინანსო სამართლის ნორმით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულება. გამოიყენება სამართლებრივ ურთიერთობათა ინტერესების დაცვის ორი წესი - ადმინისტრაციული და სასამართლო.

საკვანძო სიტყვები: ნორმები, ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია, ფულადი სახსრები, საჩივრის ინსტიტუტი.

შესავალი

სახელმწიფო საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოიშობა მრავალგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ფულადი სახსრების მობილიზაციის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში საფინანსო ურთიერთობათა სუბიექტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საფინანსო სამართლის ნორმებით. საფინანსო სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს ქცევის იმ წესს, რომელიც დადგენილია კომპეტენტური ორგანოების მიერ და განსაზღვრავს საფინანსო ურთიერთობათა სუბიექტების უფლება-მოვალეობებს.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმები შეიცავს გარკვეულ მოთხოვნებსა და აკრძალვებს, აგრეთვე საფინანსო დისციპლინის დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედების დროს განსაზღვრული ზემოქმედების გამოყენების შესაძლებლობას.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მათი იმპერატიული ხასიათი. დისპოზიციური ნორმებისაგან განსხვავებით, საფინანსო-სამართლებრივ ნორმებში გადმოცემული მოთხოვნები კატეგო-

რიულ ფორმაშია გამოხატული და საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს უფლება არა აქვთ შეცვალონ ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ.

სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობის შინაარსი და ხასიათი განსაზღვრავს საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთიანობას.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობა ზოგადი სამართლებრივი ურთიერთობის ნაირსახეობაა. სამართლებრივ ურთიერთობათა ინტერესების დაცვის ორი წესი გამოიყენება - ადმინისტრაციული და სასამართლო. უფლებათა დაცვის ადმინისტრაციული წესი უფრო ხშირად გამოიყენებოდა საბაზრო მეურნეობის პრინციპების დამკვიდრებამდე. სახელმწიფოს ინტერესების დაცვა პრიორიტეტულად ხდებოდა. ამისათვის ყველაზე კარგი საშუალება ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეეტილება იყო. სასამართლო წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როცა საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობაში ფიზიკური პირი იღებდა მონაწილეობას და ისიც გარკვეული პირობის დაცვით.

ძირითადი ნაწილი

საფინანსო-სამართლებრივი ნორმები შეიძლება იყოს მატერიალური და პროცესუალური ხასიათის. მატერიალური საფინანსო-სამართლებრივი ნორმები განამტკიცებენ ქვეყნის საფინანსო სისტემის სტრუქტურას, საბიუჯეტო წყობას, სახელმწიფოს წინაშე ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი ვალდებულებების სახეებსა და მოცულობას, საბანკო საკრედიტო რესურსების ფორმირების წყაროებს, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების შექმნისა და გამოყენების გზებსა და სხვა. მატერიალური ნორმები განსაზღვრავენ საფინანსო ურთიერთობათა მონაწილეების უფლება-მოვალეობათა მატერიალურ, ფულად შინაარსს. პროცესუალური ნორმები განსაზღვრავენ მატერიალური უფლების გამოყენებისა და მოქმედების წესს. ასეთი ნორმები ორგანიზაციული ხასიათის ურთიერთობებს არეგულირებს. პროცესუალური საფინანსო-

სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ხდება სახელმწიფო და მუნიციპალური ფულადი ფონდების წარმოქმნა, განაწილება და გამოყენება. საპროცესო ნორმებით დგინდება საბიუჯეტო პროცესის ცალკეული სტადიები, საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ფორმები, მეთოდები, ვადები და სხვა.

ამკრძალავი ნორმები არეგულირებენ საფინანსო ურთიერთობათა სუბიექტების პასიურ ქცევას და შეიცავენ მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ ესა თუ ის მოქმედება, რომელიც საფინანსო დისციპლინის და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევას გამოიწვევს, არ იქნეს შესრულებული.

ამკრძალავი საფინანსო-სამართლებრივი ნორმები იმით განსხვავდება მავალებელი ნორმებისაგან, რომ იგი კრძალავს განსაზღვრულ მოქმედებას, მაგრამ არ ითხოვს სხვა რაიმე მოქმედების შესრულებას. თავისი განსაზღვრულობითა და ფორმის კატეგორიულობით ისინი ერთმანეთის მსგავსია.

აღმჭურველი ნორმისთვის დამახასიათებელია ის, რომ მასში გადმოცემულია ამა თუ იმ მოქმედების შესრულების უფლებამოსილება. საფინანსო-სამართლებრივ ნორმებში იმპერიტიულობისა და უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობის შეხამება იძლევა ფინანსების სფეროში ადგილობრივი პირობების გათვალისწინების საფუძველზე საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების ეფექტურად განხორციელების გარანტიას.

საბაზრო მეურნეობის განვითარების კვალობაზე იქმნება იმის აუცილებლობა, რომ საფინანსო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული აღმჭურველი ნორმები, რომ საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებს საფინანსო ვალდებულების შესრულების გზების არჩევანის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ეს კი ლოგიკურად იწვევს საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ხარისხისა და ხასიათის შეცვლას. აღმჭურველ ნორმებში ხშირად გაითვალისწინება ცალკეულ სუბიექტებზე ზემოქმედების ეკონომიკური ხასიათი. ეს კი ნორმის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში

უარყოფითი მატერიალური შედეგების უშუალოდ დამრღვევის მიმართ გავრცელებას გულისხმობს.

საფინანსო სამართლის ნორმებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ნორმებს, რომელთა მიზანია ფინანსური ტექნიკის რეგლამენტაცია. ასეთი ნორმები დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის საფინანსო საქმიანობის პროცესში. მათ მიეკუთვნება ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო და მუნიციპალური ფულადი სახსრების შემოსულობისა და ხარჯვის აღრიცხვას, ფულადი ოპერაციების წარმოების დროს დოკუმენტაციის გაფორმების წესს. ეს კი აუცილებელია სახელმწიფოს მიერ უზარმაზარი ფულადი სახსრების მობილიზაციისა და ხარჯვის პროცესის სწორად წარმართვისათვის. ასეთი ნორმების დიდი მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ერთნაირი დოკუმენტაციის გამოყენება საბიუჯეტო, საკრედიტო, საკასო და სხვა დაგეგმვის დროს. მაგრამ აღნიშნული ნორმებიდან საფინანსო სამართლისათვის მხოლოდ ისეთები იძენენ მნიშვნელობას, რომლებიც საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტათან იქნება დაკავშირებული. მათ მიეკუთვნება ნორმები, რომლებიც შემოსავლებისა და გასავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და საკასო ოპერაციების ერთიანობას უზრუნველყოფენ, ნორმები, რომლებიც საფინანსო ოპერაციების ტექნიკური დოკუმენტაციის ფორმებსა და რეკვიზიტებს ადგენენ; ნორმები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა გადასახადისა და ბაჟის ოდენობის გამოთვლის წესებს; ნორმები, რომლებიც ემსახურებიან საფინანსო-სამრთლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტის ტექნიკური წესების შესრულებას.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სტრუქტურა სამართლის სხვა დარგების ნორმების სტრუქტურისაგან არსებითად არ განსხვავდება.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის ჰიპოთეზა განსაზღვრავს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომელთა დადგომაც დაკავშირებულია კონკრეტული საფინანსო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობასთან. ეს ძირითადად სამეურნეო

და შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებებია. ასეთი საქმიანობის შედეგები გამოიხატება საწარმოთა და ცალკეული ფიზიკური პირების მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში მიღებულ შემოსავალში. ჰიპოთეზაში ასახვას პოულობს აგრეთვე ის პირობები, რომლის დროსაც შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ან მუნიციპალური სახსრების ხარჯვა. შემოსავალი შეიძლება გამოიხატოს მოგების, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და სხვა ფორმაში. ფულადი ხარჯებიც სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულებისაა. ჰიპოთეზაში მითითებული უნდა იქნეს ის პირობა, რომლის დროსაც შემოსავალი შეიძლება გახდეს საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის დისპოზიცია წარმოადგენს მისი შინაარსის განმსაზღვრელ ქცევის წესს. მასში მითითებულია იმ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც წარმოეშობათ საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს.

მავალებელ და ამკრძალავ ნორმებში დისპოზიცია მოითხოვს გარკვეული მოქმედების შესრულების დროს, ადგილს ან გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვას, ხოლო აღმჭურველი ნორმის დისპოზიციაში ამა თუ იმ მოქმედების კატეგორიულად შესრულების მოთხოვნა შეხამებულია შემსრულებლისათვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებასთან.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სანქციაში მოცემულია ის შედეგები და იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რაც მოჰყვება დისპოზიციაში მოცემული წესის შეუსრულებლობას. სანქცია ნორმის ის ნაწილია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ფაქტობრივად უზრუნველყოფს ნორმის განხორციელებას, აგრეთვე საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების უფლებების დაცვასა და მოვალეობის შესრულებას.

არამართლზომიერი მოქმედების შესრულების შემთხვევაში საფინანსო-სამართლებრივი ნორმის სანქცია ითვალისწინებს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელებას დამრღვევის მიმართ. გარდა ამისა, სანქციაში შეიძლება მითითებული იქნეს ფინანსური

ზემოქმედების კონკრეტულ ზომებზე. ასეთია მაგალითად, ჯარიმა ან საურავი, საბიუჯეტო სახსრების იძულებითი ამოღება, საბანკო კრედიტით სარგებლობისას გადიდებული პროცენტის გადახდევინება და სხვ.

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საფინანსო-სამართლებრივი ნორმების ხასიათი.

სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობა საფინანსო სამართლის ნორმებით რეგულირების შემდეგ ღებულობს საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის სახეს. საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობა ფულადი სახსრების შეგროვების, განაწილებისა და გამოყენების პროცესში. ამ ურთიერთობების ორგანიზაციულ-ქონებრივი ხასიათი იმაში ვლინდება, რომ იგი დაკავშირებლია ფულად ურთიერთობებთან და მის მონაწილე მხარეებს წარმოეშობათ ქონებრივი უფლებები და მოვალეობები ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის, აგრეთვე დამოუკიდებლად განკარგვის სფეროში.

საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში, რეგულირების საგნის შინაარსის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფები:

1) საბიუჯეტო-სამართლებრივი ურთიერთობანი;

2) საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობანი;

3) სადაზღვევო-სამართლებრივი ურთიერთობანი;

4) საკრედიტო და საანგარიშსწორებო-სამართლებრივი ურთიერთობანი;

5) დაფინანსების სამართლებრივი ურთიერთობანი;

6) სავალუტო-ფულადი სამართლებრივი ურთიერთობანი;

7) საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობანი და სხვა.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება აგრეთვე დაიყოს მატერიალური და პროცესუალური ხასიათის ურთიერთობებად. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს მატერიალური და პროცესუალური ნორმებით მოწესრიგებულ ურთიერთობათა შინაარსში არსებული სხვაობა.

საფინანსო სამართლის სუბიექტის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისა. კოლექტიურ სუბიექტებს მიეკუთვნებიან მრავალრიცხოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფო და მუნიციპალური წარმომადგენლობითი და მმართველობის ორგანოები, საჯარო და კერძო ხასიათის საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, კომერციულ საქმიანობას ეწევიან თუ არა. აღნიშნული სუბიექტებიდან წარმომადგენლობითი და მმართველობის, აგრეთვე საფინანსო და საკრედიტო ორგანოების მონაწილეობა საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში სავალდებულოა, სხვა სუბიექტები კი მათში თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე მონაწილეობენ.

ინდივიდუალურ სუბიექტთა შორის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქეები იგულისხმება. შესაძლებელია საფინანსო ურთიერთობებში მონაწილეობდნენ აგრეთვე უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები. ისინი ძირითადად საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებად გვევლინებიან.

სამართლებრივ ურთიერთობათა ინტერესების დაცვის ორი წესი - ადმინისტრაციული და სასამართლო გამოიყენება საფინანსო სამართალში. თუ სახელმწიფოს ინტერესს ფიზიკური პირი არღვევდა ძირითადად საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფო ორგანოებს უფლება ჰქონდათ სასამართლოში დაეყენებინათ საკითხი და მისი მეშვეობით იძულებით გადაეხდევინებინათ განსაზღვრული სახსრები. მაგრამ თუ ფიზიკური პირის უფლება დაირღვეოდა, მაშინ მას სასამართლოსთვის კი არ უნდა მიემართა, არამედ უფლების დამრღვევი ორგანოს ზემდგომისათვის. ამჟამად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა სასამართლო წესით ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ამის გარანტი საქართველოს კონსტიტუციაა.

უფლებათა დაცვის ადმინისტრაციული წესის გამოყენება

განპირობებულია ფინანსების სფეროში მოქმედებათა ოპერატიულად განხორციელების აუცილებლობით. აქედან გამომდინარე, ფიზიკურ პირებსაც გააჩნიათ ადმინისტრაციული წესით თავიანთი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჩივრის ინსტიტუტს. იგი საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. იმ შემთხვევაში, როცა დარღვეული საფინანსო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი ყველა გზა და საშუალება ამოიწურება, მაშინ საფინანსო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ მიმართონ სახელმწიფოთაშორის ფუნციონირებად ორგანოებს. ამის საფუძველს იძლევა საქართველოს გაერთიანება ევროსაბჭოში და მისი მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება.

დასკვნა

საფინანსო სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს ქცევის იმ წესს, რომელიც დადგენილია კომპეტენტური ორგანოების მიერ და განსაზღვრავს საფინანსო ურთიერთობათა სუბიექტების უფლება-მოვალეობებს.

საფინანსო-სამართლებრივი ნორმები შეიცავენ გარკვეულ მოთხოვნებსა და აკრძალვებს, აგრეთვე საფინანსო დისციპლინის დარღვევისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედების დროს განსაზღვრული ზემოქმედების გამოყენების შესაძლებლობას.

საფინანსო სამართლის სუბიექტებს შორის, საფინანსო-სამართლებრივი ნორმის ფარგლებში, ფულადი სახსრების თაობაზე უფლება-მოვალეობათა განაწილების შედეგად წარმოშობილ კავშირს საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება. საჩივარი საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. საჩივრის უფლება, როგორც იურიდიული კატეგორია, წარმოადგენს ფიზიკური პირის უფლებას და კანონით დაცულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., 1998;
2. რ. შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ., 2009;
3. ლ. ჭანტურია, საკორპორაციო სამართალი, წიგნი „სამართალმცოდნეობა“, რედაქტორი რ. შენგელია, თბ., 2003;
4. ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ., 2002;
5. გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 2003;
6. გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ. 2003
7. საფინანსო სამართალი. თბ., 2011.

References:

1. R. Kakulia - General theory of finances. Tbilisi, 1998.
2. R. Shengelia - Financial law. Tbilisi, 2009.
3. L. Tchanturia - Corporate law, book “Jurisprudence”, editor R. Shengelia. Tbilisi, 2003.
4. Z. Rogava - Taxes, tax system and tax law. Tbilisi, 2002.
5. G. Intskirveli - General theory of state and law. Tbilisi, 2003.
6. G. Lobzhanidze - General theory of state and law. Tbilisi, 2003.
7. Financial law. Tbilisi, 2011.

FINANCIAL-LEGAL NORMS AND RELATIONS

Lekso Todua
Master of Business Administration of GTU,
makabedi68@gmail.com

RESUME

Financial-legal norm constitutes the rule of conduct, which is established by competent bodies and determines the rights and obligations of subjects of financial relations.

Financial-legal norms consist of some particular requirements and prohibitions, also the possibility to perform the determined influence in case of violation of financial discipline and unlawful actions.

The originality typical to financial-legal norms is their imperative nature. Unlike the dispositional norms, financial-legal norms state the requirements in definite (categorical) form and subjects of financial-legal relations are not entitled to change them according to their discretion. The results and events with compulsory nature are given in the sanction of financial-legal norms, those which follow the non-fulfilment of the rule given in disposition. The sanction is the part of norm, by means of which the state actually ensures the implementation of the norm, also protection of rights and fulfilment of obligations of the subjects of financial-legal relations.

The financial-legal relations is called the connection emerged as a result of distribution of rights and obligations about financial resources among the financial-legal subject and under the financial-legal norms.

The most spread basis for termination of financial-legal relations constitute the fulfilment of rights and obligations stipulated by financial-legal norm. Two rules of maintenance of legal relations are being applied - administrative and the judicial rule.

Keywords: Norms, hypothesis, disposition, sanction, financial resources, institute of complaint.

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-90

სოფიო ფალიანი,
სტუ სამართალმცოდნეობის მაგისტრი
s_paliani@yahoo.com

რეზიუმე

გადასახადები სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. გადამხდელმა აუცილებლად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, რათა არ დაირღვეს სხვა პირთა უფლებები, აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესები..

ომბუდსმენის ინსტიტუტი ძალიან ძველია, მაგრამ თანამედროვე მნიშვნელობით. პირველად, შვედეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საგადასახადო ომბუდსმენი განიხილავს პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტის ძირითადი დანიშნულება გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაა, რომლებიც ვალდებულნი არიან, საგადასახადო ორგანოებს წარუდგინონ გადასახადების სწორი, დროული და სრულ გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საგადასახადო ამინისტიის ძირითადი მიზანია მთავრობის შემოსავლების გაზრდა. იგი სთავაზობს ურჩ გადამხდელებს შესაძლებლობას ბიუჯეტში დააბრუნონ დამალული გადასახადები იმ პირობით, რომ მათ არ დაეკისრებათ სანქციები და ჯარიმები. „ამინისტია“ გარკვეულწილად „პატიებას“ ნიშნავს. ამინისტია ამცირებს ან საერთოდ აუქმებს საგადასახადო ან/და სისხლის სამართლებრივ სანქციებს გადასახადების გადაუხდელობის გამო.

საქართველოში ამინისტიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან 1996 წლიდან 2004 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა 22 სახის გადასახადს. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო წნეხი ძალიან დიდი იყო. ისინი საკუთარი ბიზნესის გადასარჩენად გადასახადის დამალვას ცდილობდნენ. მაგრამ ამის ძირითადი მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან გატარებული არასწორი საგადასახადო პოლიტიკა იყო. ამას ემატებოდა კორუფცია, რომელსაც სახელმწიფო რეკეტის ფორმა ჰქონდა მიღებული. აქიდან გამომდინარე, შემდგომში გამოცემული ამინისტიები, სახელმწიფოს მხრიდან წინა წლებში დაშვებული შეცდომებისა გამოსწორების საშუალებას წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, გადასახადი, კანონი, კოდექსი, ომბუდსმენი, საგადასახადო აგენტი, სასამართლო.

შესავალი

გადასახადების მეშვეობით სახელმწიფო იკმაყოფილებს ფინანსურ მოთხოვნილებებს, რომლის მეშვეობითაც იგი ეფექტურად ასრულებს ხალხის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციასა და საგადასახადო კოდექსში განმტკიცებულია დებულება, რომ ყველა პირი, ფიზიკურიც და იურიდიულიც, ვალდებულია დროულად და სრული მოცულობით გადაიხადოს კანონით განსაზღვრული გადასახადები.

კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრევენ სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასა-

ხადო პოლიტიკის რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები კი სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას. სწორედ ამიტომ, მოცემულ კონსტიტუციურ ვალდებულებას აქვს განსაკუთრებული, საჯარო-სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების საჯარო-სამართლებრივი ხასიათითაა განპირობებული. გადასახადის გადამხდელმა უნდა შეასრულოს გადასახადების გადახდის მასზე დაკისრებული ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეული იქნება სხვა პირთა უფლებები, აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესები, რაც მის მიერ კანონით დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების შეფერხებაში გამოიხატება.

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კუთხით საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელშიც განმტკიცებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. „1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი...“

ხშირია შემთხვევები, როდესაც საგადასახადო ორგანო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის მიმართ იყენებს საკუთრების უფლების შემზღუდველ ღონისძიებებს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს(გირავნობა, იპოთეკა, ქონებაზე ყადაღის დადება, დაყადაღებული ქონების რეალიზაცია, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება). სწორედ

ამ ღონისძიებების გამოყენების დროს საგადასახადო ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპები, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება კონსიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვასთან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 57-ე მუხლის მიხედვით: „ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის მისი მემკვიდრე სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად, მემკვიდრეობის მიღების დღიდან; 2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია გარდაცვლილი პირის მემკვიდრეს გაუგზავნოს შეტყობინება, რომ გარდაცვლილი პირის მაგივრად გადაიხადოს საგადასახადო დავალიანება. 3. გარდაცვლილი პირის მემკვიდრის არარსებობის ან მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან თუ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას, საგადასახადო დავალიანების დარჩენილი თანხა ითვლება უიმედო საგადასახადო დავალიანებად და ჩამოიწერება ამ კოდექსით დადგენილი წესით. 4.თუ პირი აგრძელებს იმავე სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებდა გარდაცვლილი მეწარმე ფიზიკური პირი, და ფაქტობრივად ფლობს მის ქონებას, იგი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს და გარდაცვლილი პირის მაგივრად გადაიხადოს საგადასახადო დავალიანება, მიუხედავად იმისა მიიღებს თუ არა ქონებას მემკვიდრეობით. აგრეთვე, შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. 5. გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.“

საგადასახადო პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაირსახეობას წარმოადგენს.

ომბუდსმენის ინსტიტუტი ძალიან ძველია, მაგრამ თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად შვედეთში მე-19 საუკუნის და-

საწყისში ჩამოყალიბდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საგადასახადო ომბუდსმენი განიხილავს პირთა განცხადებებს და საჩივრებს, რომლებიც შეეხება საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

მას უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოდან მიიღოს განმარტება გადასახადის გადამხდელის განცხადებასთან ან/და საჩივართან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ორგანოს და მისცეს რეკომენდაცია ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი სახალხო დამცველის აპარატში მოიაზრებოდეს, ამით იგი სრულად ჩამოსცილდება აღმასრულებელ ხელისუფლებას და გადასახადის გადამხდელთა მხრიდან მეტი ნდობით იქნება აღჭურვილი, ხოლო, რაც შეეხება მის საქმიანობას, იგი ძირითადად ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს. *პირველი*, საგადასახაო სფეროში არსებული კანონმდებლობის კონტროლი გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კუთხით, რადგან დღეს არსებული მდგომარეობის მიხედვით საგადასახადო კოდექსში არსებული ბევრი ნორმა გადასახადის გადამხდელს არათანაბარ პირობებში აყენებს საგადასახადო ორგანოსთან შედარებით და პირდაპირ ლახავს მის უფლებებს; *მეორე*, საგადასახადო ორგანოების ქმედების კონტროლი გადასახადების ადმინისტრირების, საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების, საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების, საგადასახადო კონტროლის განხორ-

ციელებისა და საგადასახადო დავის განხილვის პროცესში.

საგადასახადო ინსტიტუტის ძირითადი დანიშნულება გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაა.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების თავისდროული და ჯეროვანი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ინფორმირებულობას ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

- გადასახადის გადამხდელის სტატუსი;
- გადასახადის სახეები;
- გადასახადის მოცულობა;
- გადასახადის გადახდის წესი;
- გადასახადის გადახდის ვადები;
- გადასახადის გადახდის პირობები და პროცედურა;

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებით განსაზღვრული თანხის ზედმეტად გადახდის დროს, მისი ქონებრივი უფლების აღდგენის ორ შემთხვევას ითვალისწინებს: ჩათვლას და გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას.

2011 წლიდან დაინერგა საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი. საგადასახადო ამინისტიის ცნებამ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში პირველად 2005 წლიდან გაიჟღერა.

საგადასახადო ამინისტია არის სამართლებრივი დოკუმენტი(აქტი), რომლითაც საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ისინი განსაზღვრულ ვადაში აღიარებენ დავალიანებას და მთელი მოცულობით შეიტანენ თანხას ბიუჯეტში. მას გააჩნია საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხასიათი. ამინისტიის მრავალი ვარიაცია არსებობს. ამინისტია შეიძლება განხორციელდეს საერთო სახელმწიფოებრივ ან ადგილობრივ დონეზე. ის შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ გადასახადებს. (მაგ; მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი და ა.შ.). გადასახადის გადამხდელთა სხვადასხვა კატეგორიას (მაგ., მცირე ბიზნესის

წარმომადგენლებს). ამინისტიას შეიძლება დაექვემდებაროს აღიარებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც საგადასახადო დავის საგანია, ან სახელმწიფოსთვის დამალული შემოსავალი. ამინისტიის პირობა შეიძლება იყოს დავალიანების და მასზე დარიცხული საურავის გადახდა, ან დავალიანების ძირითადი თანხის გადახდა. დავალიანების გადახდა შეიძლება საჭირო იყოს ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ.

საგადასახადო ამინისტიის ძირითადი მიზანია მთავრობის შემოსავლების გაზრდა. საგადასახადო ამინისტიის ინსტიტუტს წარმატებულად და ხშირად იყენებენ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

დასკვნა

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულმა საგადასახადო რეფორმამ ნაწილობრივ გამოასწორა საგადასახადო კანონმდებლობით არსებული ხარვეზები, თუმცა გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფისათვის კიდევ ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი.

-საგადასახადო კონტროლის სისტემის რაციონალური ორგანიზებისათვის აუცილებელია შესამოწმებელი გადასახადის გადამხდელთა შერჩევის ეფექტური პროცედურა, აგრეთვე საგადასახადო შემოწმების შემჭიდროვებული ვადები;

-მიზანშეწონილი იქნება, საქართველოში დაინერგოს საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას იმ აუდიტის ან აუდიტორიული ფირმის სავალდებულო მონაწილეობა, რომელთანაც გადასახადის გადამხდელს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული აუდიტორული მომსახურების შესახებ;

-საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიული პირების მიერ გადასახადის გადახდისგან თავის არიდების დროს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რაც ჩვენი აზრით არასწორია, რადგან განსახილველი დანაშაულის სუბიექტი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად არის ასევე მთავარი ბუღალტერიც, რომელიც ხელმძღვანელობს პირველად საბუღალტრო აღ-

რიცხვებს და მთლიანად საბუღალტრო ანგარიშგებას;

-საგადასახადო დავის განხილვის დროს, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რადგან, ნებისმიერი კონფლიქტის გადაწყვეტის საუკეთესო ხერხი მათი აცილებაა. ჩვენი აზრით, გადასახადის გადამხდელთა მხრიდან საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის და საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მათი მხრიდან კანონის არცოდნა ან/და მისი არასწორი გაგება-გააზრებაა. ამიტომ, კარგი იქნება კერძო ხასიათის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც თანაბრად ისარგებლებს ნდობით, როგორც გადასახადის გადამხდელთა, ისე საგადასახადო ორგანოს მხრიდან. ისინი გამოვლენ შუამავლის როლში გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

-სპეციალური საგადასახადო სასამართლოს არსებობის პრაქტიკა უცხოეთში ძალიან გავრცელებულია, რაც საგადასახადო დავების გადაჭრის ეფექტურობასა და ხარისხზე დადებითად აისახება. საქართველოში ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მყარი გარანტია იქნება გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის სფეროში, რადგან ეს გამოიწვევს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას საგადასახადო სამართლის კუთხით, აამაღლებს მათ პროფესიონალიზმს, აგრეთვე ხელს შეუწყობს საგადასახადო კონსულტანტთა (ადვოკატთა) წრის ჩამოყალიბებას, რომლებიც ამ სფეროში იმუშავებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
5. საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ.
6. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N92 დადგენილება, „საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილე-

ბის,საქმიანობის ძირითადი ამოცანებისა და ფორმების შესახებ";

7. ზ.როგავა,გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბილისი, ბაკმი, 2002

8. ი.გაბისონია, საგადასახადო ომბუდსმენი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბიზნესი და სამართალი, 7-8 მაისი, 2011.

9. ი. გაბისონია, მ.მამნიაშვილი, გადამხდელის უფლებები საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა". N 5 (17) 2011

10. ი. გაბისონია, ი.იმერლიშვილი „ საგადასახადო სამართალდარღვევათა და დანაშაულის პრევენციული ღონისძიებები" . სტუ საუნივერსიტეტთაშორისო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში', თბილისი, 2011

11. ი.გაბისონია, საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2019

REFERENCES:

1. The Constitution of Georgia.

2. Tax Code of Georgia.

3. Civil Code of Georgia.

4. Civil Procedure Code of Georgia.

5. Law of Georgia on Control of Entrepreneurial Activity.

6. Resolution N92 of the Government of Georgia of February 23, 2011, on the powers of the tax ombudsman, the main tasks and forms of activities;

7. Z. Rogava, Taxes, Tax System and Tax Law. Tbilisi, Bakmi, 2002

8. I. Gabisonia, Tax Ombudsman, Georgian Technical University, International Scientific Conference, Business and Law, May 7-8, 2011.

9. I. Gabisonia, M. Mamniashvili, Taxpayer Rights in Imposing Tax and Criminal Liability, Journal "Social Economy". N 5 (17) 2011

10. I. Gabisonia, I. Imerlishvili "Preventive Measures for Tax Of-

fenses and Crime". GTU Interuniversity International Scientific-Practical Conference, Prospects for the Development of Criminology in Georgia ', Tbilisi, 2011

11. I. Gabisonia, Tax Law, Tbilisi, 2019

PROTECTION OF TAXPAYERS' RIGHTS LEGAL GUARANTEES

Sofio Paliani,
Master of Laws of GTU
s_paliani@yahoo.com

RESUME

The Constitution is the main source of tax law; the constitutional norms define the basis of the financial-legal policy of the state, including the regulation of tax policy. Taxes are the important means of implementing financial and legal policy by the state. The fulfillment of the obligation by individuals and legal entities to pay the taxes established by the Constitution ensures the formation of the budget of all levels in the state. That is why this constitutional obligation has a special, public-legal significance, which is conditioned by the public-legal nature of the state government. The taxpayer must fulfill the obligation imposed on him to pay taxes; otherwise the rights of other persons will be violated, as well as the interests of the state, which will be reflected in the delay in the performance of the functions and tasks imposed by law.

The ombudsman institution is very old, but in a modern sense Sweden was first who formed it in the early nineteenth century. According to the Tax Code of Georgia, the tax ombudsman supervises the protection of the rights and legitimate interests of taxpayers on the territory of Georgia, reveals the facts of their violation, and promotes the restoration of violated rights.

The tax ombudsman reviews the applications and complaints of individuals related to the facts of violation of the rights of taxpayers

by the tax and other state bodies.

The main purpose of the Institute of Tax Secrets is to protect the rights and legitimate interests of taxpayers, who are obliged to submit to the tax authority's information on the correct, timely and complete payment of taxes.

The main purpose of tax amnesty is to increase government revenues. It offers disobedient taxpayers the opportunity to return hidden taxes to the budget on the condition that they do not face sanctions and fines. "Amnesty" means "forgiveness" to some extent. Amnesty reduces or abolishes tax or criminal sanctions for non-payment of taxes.

Amnesty is very important in Georgia, as the Tax Code in force from 1996 to 2004 provided for 22 types of taxes. Consequently, the tax burden on the taxpayer was enormous. They tried to hide the tax to save their own business. But the main reason for this was the wrong tax policy pursued by the state. Added to this was the corruption that had taken the form of state racketeering. Therefore, the subsequent amnesties were the means of correcting the mistakes made by the state in previous years.

KEYWORDS: Constitution, tax, law, code, ombudsman, tax agent, court.

გადამხდელთა უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-101

ლექსო თოდუა
სტუ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
makabedi68@gmail.com

რეზიუმე

კონსტიტუცია საგადასახადო სამართლის ძირითადი წყაროა. კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები კი სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას. სწორედ ამიტომ კონსტიტუციურ ვალდებულებას აქვს განსაკუთრებული, საჯარო-სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების საჯარო-სამართლებრივი ხასიათითაა განპირობებული. გადასახადის გადამხდელმა უნდა შეასრულოს გადასახადების გადახდის მასზე დაკისრებული ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეული იქნება სხვა პირთა უფლებები, აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესები, რაც მის მიერ კანონით დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების შეფერხებაში გამოიხატება.

საგადასახადო პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაირსახეობას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ქმედების ჩამდენ პირს. სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევის მემკვიდრის უფლებამონაცვლედ მიჩნევა და სამართალდარღვევის

ჩადენისათვის ჯარიმის გარდაცვლილის მემკვიდრისათვის დაკისრება ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ პრინციპს- სამართალდარღვევისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაუშვებლობას და სხვისი ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვას. აქედან გამომდინარე, გარდაცვლილის ბრალეულობის მემკვიდრეობით მიღება არ დაიშვება. ჯარიმა არ წარმოადგენს მემკვიდრეობის ნაწილს, ამიტომ მისი მემკვიდრისათვის შეფარდება დაუშვებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება მისი პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადად, მოვალის გარდაცვალება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, ვალდებულება შეწყდება მხოლოდ მაშინ, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ნორმები, ვალდებულება, კანონი, კონსტიტუცია, გადასახადი.

შესავალი

გადასახადები სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლში „1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით... 2. გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით“. ეს დებულება შეესაბამება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ყოველი ადამიანი ვალდებულია იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ცხოვრობს და რომელშიც შესაძლებელია პიროვნების თავისუფალი და სრულფასოვანი განვითარება.

ბევრი ქვეყნის საგადასახადო რეგულირებისათვის დამახასიათებელია იმ კანონთა მოქმედების კონსტიტუციური შეზღუდვა, რომლებიც აწესებენ ახალ გადასახადებს ან აუარესებენ გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოსიც, საკმაოდ ზოგადად განმარტავს ფიზიკური პირის გარდაცვალების დროს მისი მემკვიდრის (მემკვიდრეების) საგადასახადო ვალდებულებებს, კერძოდ, შესაბამის დებულებებში არ ჩანს, მემკვიდრე იხდის მხოლოდ საგადასახადო დავალიანების ძირითად თანხას თუ მასზე დარიცხულ საურავსა და ჯარიმებსაც.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა...“.

საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული დებულება 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ აისახა. 2011 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელშიც ხორციელდება ზემოხსენებული დებულების კონკრეტიზაცია, კერძოდ, ჩამოთვლილია, საქართველოში დღეს მოქმედი გადასახადის სახეები და მითითებულია, რომ „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკევთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელშიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება“. მაგრამ საქართველოს კონტიტუციასა და ორგანულ კანონში მითითებულ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის აღნიშნულ გარანტს, რეფერენდუმის გარეშე ახ-

ალი გადასახადების შემოღებისა და გადასახადის განაკვეთის გაზრდის შეუძლებლობას, მნიშვნელობას უკარგავს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტში განმტკიცებული დებულება, რომლის მიხედვით „საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა - არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ ტარდება“.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში გადასახადით დაბეგვრის სფეროში შეზღუდვა საერთოდ არ არსებობს, თუმცა არსებობს კონსტიტუციური ვალდებულებების შეზღუდვის ზოგადი საფუძვლები. მაგალითად, სლოვაკეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლით განსაზღვრულია პირობები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია კონსტიტუციით განსაზღვრული ვალდებულებების დაკისრება:

- კანონით ან კანონის საფუძველზე, მის ფარგლებში, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და ვალდებულებებს;
- მთავრობის განკარგულებით, თუ ეს კანონითაა დადგენილი.

მიგვაჩნია, რომ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის ყველაზე ძლიერი მექანიზმია სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება, რომელიც ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაშია განმტკიცებული და რომელსაც, სამართლიანი სასამართლოს უფლების სახელწოდებით აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებდან. ამ უფლების მიხედვით ყველა გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ

საგადასახადო ორგანოს ქმედებით ან სამართლებრივ აქტში განმტკიცებული ნორმით დაირღვა ან შეიძლება დაირღვეს მისი უფლებები. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს, რომლის კომპეტენციაშიც შედის ამ საკითხის განხილვა, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც, თუ მიიჩნევს, რომ კონკრეტული კანონი ან მისი რომელიმე ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ მის უფლებას (უფლებებს).

გადამხდელთა უფლებების დაცვის კუთხით საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელშიც განმტკიცებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. როდესაც საუბარია გადასახადის გადამხდელის უფლებათა დაცვის მექანიზმებზე, საკანონმდებლო გარანტიებზე, არ შეიძლება, არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითს, როგორიცაა გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულებების გადასვლა მის მემკვიდრეზე, რადგან მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანომდებლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნორმები არ ითვალისწინებს სამართლიანობის პრინციპს და არღვევს როგორც მემკვიდრის უფლებებს, ისე ზოგადად პასუხისგებლობის ძირითად პრინციპს.

ყაზახეთის საგადასახადო კოდექსი აღიარებს, რომ ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში საგადასახადო დავალიანება იფარება მისი მემკვიდრის (მემკვიდრეების) მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში და სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად. ანალოგიური დებულებაა განმტკიცებული უკრაინის საგადასახადო კოდექსში.

თურქმენეთის საგადასახადო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „1. ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი საგადასახადო ვალდებულება გადადის სამართალმემკვიდრეზე (სამართალმემკვიდრეებზე)... გადასახადის გადაუხდელი თანხა უნდა გადაიხადოს სამართალმემკვიდრემ (სამართალმემკვიდრეებმა მიღებული სამკვიდროს პროპორციულად)... ამასთან, სამართალმემკვიდრეები არ იხ-

დიან გარდაცვლილი ფიზიკური პირის ფინანსურ სანქციებსა და საურავებს, ეს დავალიანება ითვლება უიმედო ვალად და ჩამოიწერება...". გარდაცვლილი ფიზიკური პირის სამართალ-მემკვიდრის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების დროს ჯარიმასა და საურავის გადახდას გამორიცხავს ბელ-ორუსიის საგადასახადო კოდექსიც.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოსიც, საკმაოდ ზოგადად განმარტავს ფიზ-იკური პირის გარდაცვალების დროს მისი მემკვიდრის (მემკვიდ-რეების) საგადასახადო ვალდებულებებს, კერძოდ, შესაბამის დებულებებში არ ჩანს, მემკვიდრე იხდის მხოლოდ საგადასახა-დო დავალიანების ძირითად თანხას, თუ მასზე დარიცხულ სა-ურავსა და ჯარიმებსაც.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგადასახადო ვალდებულებებს ასრუ-ლებს უშუალოდ გადასახადის გადამხდელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ რის გათვალისწინებული".

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის თა-ნახმად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხის-მგებლობა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას საქმის ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვი-დაციისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გა-მომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა;

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 34-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, თუ გარდაცვლილი პირის უფლება-მონაცლეზე ვერ გადავა პირის სიკვდილის შემდეგ გადაწყვე-ტილებით დადგენილი მოთხოვნები, აღნიშნული წარმოადგენს აღსრულების შეწყვეტის საფუძველს;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 286.3 მუხლის თანახმად, იმ პირის გარდაცვალება, რომლის მიმართ იყო გამოტანილი დადგენილება, არის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ დადგენილების აღსრულების შეწყვეტის საფუძველი;

- ამავე კოდექსის 232.9 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სააქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება.

საგადასახადო პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაირსახეობას წარმოადგენს. ამას ირიბად აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსიც, რომლის 49-ე მუხლში, სადაც საგადასახადო ორგანოთა უფლებამოსილებებია განსაზღვრული, ჩამოყალიბებულია, რომ „საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სამართალდამრღვევთა მიმართ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შესახებ“.

როგორც ცნობილია, სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ქმედების ჩამდენ პირს. სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით სამართალდარღვევის მემკვიდრის უფლებამონაცვლედ მიიჩნევა და სამართალდარღვევის ჩადენისათვის ჯარიმის გარდაცვლილის მემკვიდრისათვის დაკისრება ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ პრინციპს - სამართალდარღვევისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაუშვებლობის და სხვისი ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვას. აქედან გამომდინარე, გარდაცვლილის ბრალეულობის მემკვიდრეობით მიღება არ დაიშვება, ჯარიმა არ წარმოადგენს მემკვიდრეობის ნაწილს, ამიტომ მისი მემკვიდრისათვის შეფარდება დაუშვებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
9. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოების შესახებ
10. ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, საგადასახადო კონტროლი და საგადასახადო პასუხისმგებლობა, თბილისი, ბაკმი, 2009
11. ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, ბაკმი, 2002
12. ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის მექანიზმები, თბ., 2013.

REFERENCES:

1. Constitution of Georgia
2. Tax Code of Georgia
3. Civil Code of Georgia
4. Civil Procedure Code of Georgia
5. General Administrative Code of Georgia
6. Administrative Offences Code of Georgia
7. Criminal Code of Georgia
8. Administrative Procedure Code of Georgia
9. Law of Georgia on Enforcement Proceedings
10. Z. Rogava. Taxation law, tax control and tax liability, Tbilisi, Bakmi, 2009.
11. Z. Rogava. Taxes, tax system and taxation law, Tbilisi, Bakmi, 2002.
12. I. Gabisonia. Taxation law, tax payer rights protection mechanisms. Tbilisi, 2013.

TAXPAYERS' RIGHTS AND THEIR PROTECTION MECHANISMS

Lekso Todua,
Master of Business Administration makabedi68@gmail.com

RESUME

The constitution is a main source of taxation law. Constitutional provisions determine financial-legal policy of the country, including tax policy regulation principles. In their turn, taxes are the important tools of financial-legal policy pursued by the state. Fulfillment of liabilities related to repayment of taxes by physical and legal entities established by the Constitution secures national budget formation at all levels. That is why the liability established by the Constitution is of special, public-law importance that is predetermined by a public-law nature of the governmental authority. The tax payer has to fulfill all liabilities obliged to him/her related to repayment of taxes, otherwise, the other persons' rights, as well as state interests will be violated that will be displayed in delayed execution of all functions and tasks assigned in accordance with the law.

Tax liability is a variety of administrative liability.

As is known, the liability for violation of law is imposed to a person committing an act. Recognition of the law violator's heritor as the legal successor in relation to the law infringement, and imposition of a penalty for violation of law to the deceased person's heritor contravenes the fundamental principle – unacceptability of liability without the blame for law violation and elimination of assignment of liability for the other person's act. Proceeding from this fact, inheritance of the deceased person's blame is unacceptable. The penalty is not a part of inheritance, so its attribution to the heritor is unacceptable. According to 453rd article of the Civil Code of Georgia, the debtor's death causes termination of obligations if their execution without his/her personal participation is impossible. Proceeding from the content of this article, in general, the debtor's death doesn't cause termination of obligation, and liability is extinguished only when the execution of obligations is impossible without personal engagement of the debtor.

Key words: norms, liability, law, constitution, tax.

საბანკო სისტემის სტაბილურობა, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-110

გოგა გელიტაშვილი
სტუ დოქტორანტი
g.gelitashvili@gtu.ge
ანა ბოკუჩავა
სტუ დოქტორანტი
bokuchava.ana@gtu.ge
გოჩა აბუთიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
სტუ ასისტენტ-პროფესორი
g.abutidze@gtu.ge
მედეა ჭელიძე
ეკონომიკის დოქტორი, სტუ პროფესორი
m.chelidze@gtu.ge

რეზიუმე

ნებისმიერი ქვეყნის თანამედროვე საბანკო სისტემის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ისეთი საბანკო სისტემის ფორმირება, რომელიც მდგრადი იქნება კრიზისული მოვლენების მიმართ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის საბანკო სისტემის თანამედროვე განვითარებას თან ახლავს გარე და შიდა საფრთხეების და რისკების ზრდა, რომლებსაც ექვემდებარება საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობა.

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის საკითხების შესწავლისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს

საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის გარანტს და განსაკუთრებულ სუბიექტს. მის მიერ დროულად მიღებული გადაწყვეტილებები და გატარებული ღონისძიებები დიდწილად განაპირობებენ საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას და მდგრად განვითარებას.

საკრედიტო ორგანიზაციების ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციების ფორმირება, რომელიც კომერციული ბანკების განვითარების მდგრადობის, ნეგატიური ტენდენციების გამოვლენის და განვითარების პერსპექტიული მიმართულებების დადგენის ოპერატიულად გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა, თანამედროვე ეტაპზე საკრედიტო ორგანიზაციების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადამწყვეტი პირობაა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, გლობალიზაცია, საბანკო სისტემის მდგრადობა, ფინანსური სტაბილურობა, საფრთხეები.

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში საბანკო სექტორს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ფინანსური არასტაბილურობის პირობებში კი საბანკო საქმიანობა უკიდურესად მნიშვნელოვანი როლის და დატვირთვის მატარებელია.

ეკონომიკისა და ფინანსური მომსახურების გლობალიზაციის პირობებში იზრდება კაპიტალის ქვეყნებს შორის მოძრაობა, ხოლო ტრანსეროვნულ ინსტიტუტებს (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები), მათი საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით, შეუძლიათ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ გლობალურ ეკონომიკას.

საბანკო სისტემა, როგორც თვითორგანიზებადი და ღია სისტემა, ხასიათდება მუდმივი ცვალებადობით. თვითორგანიზებადი სისტემის არსს წარმოადგენს ნორმიდან გადახრა. წონასწორობა მისი დროებითი მდგომარეობაა. სისტემა ვითარდება, წონასწორობის მდგომარეობიდან გამოდის და ისევ უბრუნდება მას. მეორეს მხრივ, სისტემა ღიაა გარე ზემოქმედებისთვის. მე-

სამეს მხრივ, ასეთ სისტემას შეუძლია შეაგროვოს ინფორმაცია გარე გარემოდან და დაამუშაოს იგი. მეოთხეს მხრივ, საბანკო სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურა ცვალებადია, მუდმივად განიცდის მოდიფიცირებას და განახლებას. მიმდინარეობს ინსტიტუციონალური ფორმების ჩამოყალიბების, განმტკიცების და სრულყოფის უწყვეტი პროცესი.

თანამედროვე საბანკო სისტემის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ისეთი საბანკო სისტემის ფორმირება, რომელიც მდგრადი იქნება კრიზისული მოვლენების მიმართ. აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარებას თან ახლავს საფრთხეების და რისკების ზრდა. თანამედროვე საფრთხეები და მრავალფეროვანი რისკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საბანკო სისტემის და მისი ცალკეული რგოლების ფუნქციონირებაზე. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბანკო რისკებს, რომელთა მართვა და ნიველირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასტაბილურ გარემო პირობებში.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საბანკო სისტემის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე, შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს (იხ. ცხრილი 1. შედგენილია ავტორების მიერ):

სახელმწიფო უფლებამოსილია საქმიანობდეს საბანკო ბაზარზე, როგორც სრულფასოვანი მონაწილე. მასზე ბევრია დამოკიდებული ეკონომიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით. სახელმწიფო აწესებს ქცევის წესებს, აწესრიგებს საკანონმდებლო სფეროს, რეფორმების დაფინანსებით დახმარებას უწევს ეკონომიკას, ქმნის შესაბამის ინფრასტრუქტურას.

საბანკო სისტემის სტაბილურობის შესწავლა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საფინანსო სისტემების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღნიშნულ ქვეყნებში, როგორც წესი, სახელმწიფო საბანკო ბაზრის სრულუფლებიან წევრს წარმოადგენს, მათ შორის, საკრედიტო ინსტიტუტების შექმნის გზით. ზოგადად, სახელმწიფოს მონაწილეობით საკრედიტო ინსტიტუტების შექმნა და ფუნქციონირება საყოველთაოდ მიღებული მსოფლიო პრაქტიკაა (განსაკუთრებით კრიზისულ და

ცხრილი 1. საბანკო სისტემის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედი ფაქტორები

საკლასიფიკაციო ნიშანი	ზემოქმედების ხასიათი	ფაქტორები
ზემოქმედების ხასიათი	პოზიტიური	ბანკების კაპიტალიზაციისა და სტაბილურობის გაზრდა; საბანკო კანონმდებლობის გაუმჯობესება; ბანკის თანამშრომლების და მისი კლიენტების განათლების დონის და უნარების გაუმჯობესება; აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა; საბანკო ტექნოლოგიების განვითარება.
	ნეგატიური	საფინანსო სექტორში კონკურენციის ზრდა; საბანკო ტექნოლოგიების გართულება; საქმიანობის კრიმინალიზაცია; ქვეყნიდან კაპიტალის გადინების არხების გაფართოება.
წარმოშობის წყარო	შიდა	ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა; შიდა საბანკო კონტროლის სისტემა; კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ბაზრებზე აღებული სესხების ზრდა.
	გარე	უცხოეთის ფინანსური ბაზრებისა და საბანკო სისტემების მდგომარეობა; საბანკო სისტემების ინტერნაციონალიზაცია; ქვეყნის საბანკო სექტორში შერწყმის და შთანთქმის პროცესები.
მართვის დონე	მართვადი	ბიომეტრიული საიდენტიფიკაციო სისტემების განვითარება; უსაფრთხოების სამსახურების არსებობა; ბანკის მენეჯმენტისა და პერსონალის დაცვის უზრუნველყოფა.
	არამართვადი	უცხოეთის ბანკების პოლიტიკა სხვა ქვეყნის ბანკების მიმართ.

პოსტკრიზისულ ვითარებაში). გლობალურმა ფინანსურმა კრიზისებმა აჩვენა ფინანსური სექტორის სახელმწიფო რეგულირების შემდგომი გავითარების, ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის და კონტროლის გაძლიერების აუცილებლობა.

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის შესწავლისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართვე-

ლოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის განსაკუთრებულ სუბიექტს. ის წარმოადგენს პირველადი ემისიის ცენტრს, ბოლო ინსტანციის კრედიტორს, საგადახდო სისტემის ორგანიზატორს და მონაწილეს, საბანკო ზედამხედველობის ორგანოს, საქართველოს საკრედიტო სისტემისა და საბანკო სექტორის განვითარების და გაძლიერების მაკროეკონომიკური პირობების უზრუნველსაყოფის მთავარ ინსტიტუტს.

დიდწილად, საბანკო სექტორის ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციების განხორციელება. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე საქმიანობისას, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის, ანგარიშსწორების სისტემის ეფექტური და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკი აგრეთვე მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს საბანკო სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებას და მდგრად განვითარებას.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით საქართველოს ეროვნულ ბანკში შექმნილია მუდმივმოქმედი სათათბირო საკონსულტაციო ორგანო – ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი. მისი ფუნქციაა ფინანსური სტაბილურობის რისკების შეფასება და ამ რისკების აღმოსაფხვრელად/შესამცირებლად შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილება მიეწოდება ბანკის პრეზიდენტს რეკომენდაციის სახით, ხოლო მისი გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფინანსურ ბაზრებზე არსებული რთული ვითარება, სხვადასხვა სახის სანქციების გამოყენების საჭიროება, ბანკებისათვის ლიცენზიების ცენტრალური ბანკის მიერ გაცემა და საჭიროების შემთხვევაში უკან გამოთხოვის შესაძლებლობა და ა. შ., ბანკების ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა ასპექტის სიღრმისეული შესწავლის მოთხოვნილებას განაპირობებს.

შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკური უსაფრთხოების ორი უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება - სტაბილურობა და მდგრადი განვითარება. მიგვაჩია, რომ ისინი განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების დონის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენენ.

ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ცნება მისი ობიექტის გარკვეულ მდგომარეობას გამოხატავს. როგორც ეკონომიკური კატეგორია, ეკონომიკური უსაფრთხოება თავისთავად, ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონირების პირობებისა და ობიექტების განვითარების უზრუნველყოფასთან მიმართებაში, სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას წარმოადგენს.

კომერციული ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: საბანკო საქმიანობის სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების ეკონომიკური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; სტაბილური ფუნქციონირების, ბანკის უფლებებისა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და კვლავწარმოების, ბანკის მიერ დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა; საბანკო სისტემის ფინანსური, ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება.

კომერციული ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს პირობას ბაზარზე მისი პოზიციების დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეების თავისდროული გამოვლენა წარმოადგენს. ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციების ფორმირება, რომელიც კომერციული ბანკების განვითარების მდგრადობის, ნეგატიური ტენდენციების გამოვლენის და განვითარების პერსპექტიული მიმართულებების დადგენის ოპერატიულად გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა, საკრედიტო ორგანიზაციების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადამწყვეტი პირობა ხდება.

საკრედიტო ორგანიზაციების ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის ქვეშ გაგებულ უნდა იქნას საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობის პროცესში ფორმირებადი ინფორმაციული ნაკადების ერთობლიობა როგორც გარე, ასევე შიდა ბაზრებზე

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, რომლებიც ეკონომიკური უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისი ეფექტური მართვის ფუნქციების შესრულებაზეა მიმართული.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სისტემის ეკონომიკური უსაფრთხოება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, როგორიცაა:

- საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის დონე;
- საბანკო ზედამხედველობის ხარისხი;
- ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა;
- ქვეყნის საბანკო სისტემის დაფინანსების შიდა და გარე წყაროებისაგან დამოკიდებულების დონე;
- ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და სხვა.

თანამედროვე კომერციული ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველს მისი ფინანსური სტაბილურობა წარმოადგენს, რომელიც ბანკის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფაზე, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე, საწესდებო კაპიტალის ზრდაზე, აქტივების ლიკვიდობის ამაღლებაზე, ფინანსური და მატერიალური ფასეულობების შენარჩუნებაზე, ასევე კრედიტების დაბრუნებადობის უზრუნველყოფაზე მიმართული ინსტიტუციურ-მმართველობითი, ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფორმაციული ხასიათის ქმედებების შედეგს წარმოადგენს.

ფინანსური სტაბილურობა - ბანკის მიერ საკუთარი ინტერესების შესაბამისობაში დამოუკიდებელი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის ძირითადი პირობაა.

კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობაში ინფორმაციის დიდი მოცულობის დამუშავებისა და გადაცემისათვის ინტენსიურად იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ამასთან ბანკების კომპიუტერული სისტემები კორპორაციულ და გლობალურ კომპიუტერულ ქსელებშია ინტეგრირებული. ამიტომ, აშკარაა, რომ კომერციული ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს საკითხს გარე ხასიათის საფრთხეების აღმოფხვრა წარმოადგენს და აღნიშნული განსა-

კუთრებით სისტემის ინფორმაციულ უსაფრთხოებას ეხება.

საბანკო საქმიანობის გარე და შიდა ხასიათის საფრთხეებისგან დაცვის უპირველესი პრობლემების რიცხვში შედის: ფინანსური რესურსებითა და ინფორმაციებით უწყვეტად უზრუნველყოფის მხარდაჭერა, კომერციული ბანკის ქონებისა და პერსონალის დაცვა, საბანკო სისტემის დაცვის საშუალებებისა და მექანიზმების შექმნა და ინფორმაციული საფრთხეების შემცირება.

ამრიგად, ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება თავისთავად კომერციული ბანკის შიდა და გარე გარემოში სხვადასხვა სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორებისა და ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან და ბანკის მდგრადობაზე თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ზემოქმედებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბუთიძე გ. კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ასპექტები. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2020 წლის 26-27 ივნისი. კონფერენციის შრომების კრებული, I ნაწილი, გვ. 218-223.

2. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბილისი, 2019.

3. https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/roadmap/Roadmap.PDF

4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. 2009 წლის 24 სექტემბერი. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/2020/organuli_kanoni.pdf

5. Refinitiv Podcast, The role of banks in Sustainable Finance & Crisis Mitigation & addressing the fossil fuel challenge, October, 2020.

6. Xavier Vives. Competition and stability in modern banking: A

post-crisis perspective // International Journal of Industrial Organization. 2019.

7. Можанова И.И., Антонюк О.А. Финансовая устойчивость коммерческих банков и нефинансовых организаций: теоретические и практические аспекты // Финансы и кредит. 2014. N 4 (580). с. 36-42.

8. Сторожук И.Н. – Финансовая стабильность в системе обеспечения экономической безопасности коммерческого банка // Диссертация // Ростов-на-Дону, 2010.

9. Сушкова И.А. Анализ и оценка финансовой безопасности в условиях глобализации – Проблемы экономической безопасности: глобальные и региональные аспекты. монография. Челябинск: Издательский центр ЮурГУ, 2018.

REFERENCES:

1. Abutidze G. Aspects of Ensuring the Financial Sustainability of Commercial Banks. IV International Scientific Conference „Globalization and Current Challenges in Business“. Georgian Technical University, Faculty of Business Technologies. Tbilisi, Georgia. June 26-27, 2020. Conference proceedings, pp. 218-223. (in Georgian)

2. The Sustainable Finance Roadmap for Georgia. National Bank of Georgia. Tbilisi, 2019. https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/roadmap/Roadmap.PDF (in Georgian)

3. Organic Law of Georgia on the National Bank of Georgia. The Parliament of Georgia. September 24, 2009.

4. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/2020/organuli_kanoni.pdf (in Georgian)

5. Refinitiv Podcast, The role of banks in Sustainable Finance & Crisis Mitigation & addressing the fossil fuel challenge, October, 2020.

6. Xavier Vives. Competition and stability in modern banking: A post-crisis perspective // International Journal of Industrial Organization. 2019.

7. Mozhanova I.I., Antonyuk O.A. Financial stability of commer-

cial banks and non-financial organizations: theoretical and practical aspects // Finance and credit. 2014. No. 4 (580). pp. 36-42. (in Russian)

8. Storozhuk I.N. Financial stability in the system of ensuring the economic security of a commercial bank // Dissertation // Rostov-on-Don, 2010. (in Russian)

9. Sushkova I.A. Analysis and assessment of financial security in the context of globalization - Problems of economic security: global and regional aspects. Monograph. 2018. (in Russian)

STABILITY OF THE BANKING SYSTEM AS AN IMPORTANT FACTOR OF ECONOMIC SECURITY

Goga Gelitashvili, Doctoral Student ,
GTU**,** g.gelitashvili@gtu.ge **;**
Ana Bokuchava, Doctoral Student,
GTU,bokuchava.ana@gtu.ge ;
Gocha Abutidze, PhD, Assistant Professor ,
GTU**,** g.abutidze@gtu.ge**;**
Medea Chelidze, PhD in Economics,
Professor ,GTU**,** m.chelidze@gtu.ge

RESUME

The purpose of the modern banking system of any country is to ensure the economic security of the country, the formation of a banking system that will be resilient to crisis. This is due to the fact that the modern development of the banking system is accompanied by an increase in external and internal threats and risks to which the activities of credit institutions are exposed.

When studying the issues of financial stability of the banking sys-

tem of Georgia, it should be noted that the National Bank of Georgia is a guarantor and a special entity for ensuring the stability of the banking sector of Georgia. The timely decisions and measures taken by them largely contribute to the stable functioning and sustainable development of the banking system of Georgia.

The formation of the concepts of economic security of credit institutions, which make it possible to ensure operational control over the sustainable development of commercial banks, to identify negative trends and determine promising areas of development, at the present stage is the most important condition for ensuring the economic security of credit institutions.

Keywords: Economic security, globalization, banking system sustainability, financial stability, threats.

ATTITUDES OF THE RESIDENTS TOWARDS THE TRADITION OF HOSPITALITY IN THE MOUNTAINOUS REGION OF ADJARA

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-121

Giorgi Gogitidze
PhD Student, GTU
giorgigogitidzegmai@com

RESUME

Tourism is the main driving force in the world in terms of economic empowerment. Sustainable tourism development is related to numerous social, cultural/traditional, environmental, and economic issues. Thus, it may contain unsustainable development without adequate study, identification, and proper tourism management (especially in mountainous regions). Therefore, It should be noted that mountainous regions are the most attractive tourist destinations globally. It is noteworthy that the opportunities and challenges associated with them differ significantly depending on the country/region's natural resources and climate. In addition to the tourism development mentioned above, the local population's and the hospitality-related aspects are significant. We investigated the Attitudes of the Residents towards the tradition of hospitality in the mountainous region of Adjara

Keywords: Tourism, tradition, hospitality, mountainous region, Adjara.

INTRODUCTION

Tourism is one of the main driving forces in the world in terms of economic empowerment. Sustainable tourism development (Ca-

ter, 1993) is related to numerous social, cultural/traditional, environmental, and economic issues (Galuppo et al., 2020). (Środa-Murawska et al., 2021) Indeed, sustainable tourism development provides an opportunity to increase the potential for rational use of existing natural resources without maximizing losses (Naseem, 2021) (Pukowiec-Kurda et al., 2021) (Manzoor et al., 2019) (Galuppo et al., 2020). (Środa-Murawska et al., 2021). Thus, without adequate study, identification, and proper management of critical factors, tourism (especially in mountainous regions) may contain signs/aspects of unsustainable development. Thus, it is essential to thoroughly study tourism-specific economic, social, and cultural/traditional characteristics to develop a sustainable development strategy. This approach enables the short-term and long-term action plan to be adequately developed (VU et al., 2020). Since the sustainable development of tourism involves economic, ecological and socio-cultural aspects, sustainable development is closely linked to the economic viability of the host community in the long run, revenue growth is significantly related to proper tourism management. It should be noted that mountainous regions are the most attractive tourist destinations globally. It is noteworthy that the opportunities and challenges associated with them differ significantly depending on the country / region's natural resources and climate. In particular, the biodiversity traditions/culture of the local population, have a significant impact on tourism development (Bramwell, 2007) (Saarinen, 2006). (Seyedabolghasemi et al., 2022) Thus, the development of the tourism sector, especially mountain tourism, largely depends on the area's specific characteristics, taking into account the features of the environment and cultural heritage (Duglio et al., 2019) (Madanaguli et al., 2021). With its diverse and attractive nature, the mountainous region of Adjara may become new opportunities to develop a sustainable national economy, which will play an essential role in the socio-cultural development of the local population. In general, the development of mountainous region resources is also a challenge. In particular, increasing the number of visitors

can be a challenge in many ways (Christie et al., 2014). Priority is given to the tourism development of the mountain region, using the surrounding resources properly. Therefore, to maintain sustainability, developing a strategic plan for the mountainous region of Adjara requires the use of resources, taking into account the region's specifics as much as possible. Because of the above, it is desirable to consider the problem complex, considering the interdisciplinary approach. The more the issues related to mountain tourism development in Adjara are explored, the more opportunities there will be for the development of the right vision and strategy and the observance of the conditions for the development of sustainable tourism as much as possible, which will be a guarantee for the development of the resources of the rich mountainous zone of Adjara (which is relatively little) without maximum losses.

Georgia is a mountainous country with ancient traditions and culture in the South Caucasus region (Salukvadze & Backhaus, 2020). It should be noted that according to the traditions in Georgia, hospitality is a specific feature of the country, which is also particularly noticeable in the case of the mountainous region of Adjara. In last years, the development of the tourism sector in the Adjara region is gradually expanding. The potential opportunities of the landscape of the mountainous region of Adjara enable the development of tourism in the mountainous region. Especially the ecology, food, traditions/culture of the mountainous region of Adjara create a unique opportunity for tourism development in various directions (ecotourism, wellness tourism, etc.). Thus, in particular, it will help reduce the problem of depopulation in the mountainous region, which will also positively impact the growth of local economic opportunities and, ultimately, the development of sustainable tourism, which will directly affect the sustainable development of the region's economy.

Because of the above, we think that studying the acceptance of the local population in the mountainous region of Adjara will enable us to properly manage tourism, considering the conditions of preservation/protection of the heritage/traditions of the mountainous

region. In particular, we will be able to identify priority issues with a complex approach and strengthen the capacity to address them properly, positively impacting the proper management of tourism in the mountainous region. It should be noted that Keda, Shuakhevi, and Khulo municipalities mainly were settlements in the mountainous region of Adjara. Thus, the role of mountain tourism development in the economy of the Adjara region is essential. Challenges and problems related to mountain tourism at the regional and national levels will help develop the necessary strategies for mountain tourism development. Natural heritage, maximally analyzing the socio-economic aspects of the cultural traditions and local population based on the characteristics of the local people and tourist resources, and especially the thorough study of cultural-ethnographic issues are particularly dangerous. We consider that most of Adjara was declared a border zone, which meant that it was impossible to enter the border zone without a special permit except for local residents. Moreover, mountainous Adjara was not considered a tourist zone for the mentioned period. Thus, the trend of noticeable tourism development in recent years requires a study of the readiness of the local population, especially since the tradition of hospitality provides the best opportunity to attract tourists. In addition, mountain tourism is a unique potential form of tourism globally, which should be planned based on natural resources, especially with maximum local population involvement and/or cooperation with them. (Peira et al., 2021). Especially in recent years, the Kovid-19 pandemic has become particularly relevant in strengthening mountain tourism globally, which may change the approaches to tourism development in mountainous regions, which is reflected in the strategy. In other words, tourism development may become a strategically leading "driver" opportunity for economic empowerment for the mountainous region (Peira et al., 2021), Including in the case of our region may play a crucial role.

As mentioned above, an interdisciplinary approach is essential for developing tourism business, especially sustainable tourism. In

our previous studies, we investigated some aspects of Vocational Education's Short-Term Program in the Tourism Sector, medical tourism resources, innovative technologies within Adjara mountain region (Gogitidze & Nadareishvili, 2021b) (Gogitidze & Nadareishvili, 2021a) (Gogitidze & Nadareishvili, 2020).

Thus, the subject of our research is the study of hospitality in the Adjara mountain region. The study of hospitality as well as the reception of the results, analysis of the obtained results, and their sharing, will enable us to analyze how ready and/or interested a large part of the population is for the development of the tourism business.

THE STUDY OBJECT AND METHODS:

The study was conducted in the Adjara mountain area, where visitors from different countries are noticed. For tourist visiting, places were selected: the mountain region of Khelvachauiri, Keda, Shuakhevi and Khulo mountain area according to the tourist's attention. Notably, the increase in tourism activity was noticed because of to the region's numerous opportunities and potential. During our study, including 2021-2022 years, The quantitative survey based on a questionnaire was used to assess the locals' tourism development aspects of 500 mountain residents (63.15% % female and 26.85% 36.85%) were included **(Picture 1).**

Picture 1. The percentage of participants according to gender Female; B. Male

Picture 2. Study the existence of a guest room in a mountainous region



Picture 3. Survey of residents readiness regarding free overnight stays of visitors



Picture 4. Study the willingness to share information related to traditions for tourist

A. Yes B. No



THE RESULTS AND DISCUSSION:

According to a Study of the existence of a guest room in Adjara, a mountainous region, 89.57 % of respondents mentioned having a room for visitors, and only 10% have no room for visitors **(Picture 2).**

Notably, ~ 9.54 % of respondents (the residents of the Adjara mountain region) are ready to allow free overnight stays for visitors **(Picture 3).**

According to our study, ~ 97.7% confirmed that they have been sharing the information related to their traditions to visitors in case of wishes **(Picture 4).**

Hence, increasing attention is required on mountain tourism's development's role in the economics of the Adjara region. In addition, there are numerous issues with mountain tourism at the regional and national level; accordingly, strategies are required more attention during developing mountain for mountain tourism. In par-

ticular, natural heritage, culturally traditional, may have significant effects on sustainable development. Therefore, we have thought mountain tourism is considered a unique potential form of tourism, enhanced by the demand for more sustainable and nature-based solutions. Moreover, tourism strategy is also essential to devise a shared vision and related tools with locals—accordingly, mixed-method approach for involving the local community in a shared development strategy.

REFERENCES:

1. Gogitidze, G., & Nadareishvili, N. (2020). The Importance of Vocational Education's Short-Term Program in the Tourism Sector.

2. Gogitidze, G., & Nadareishvili, N. (2021a). The Resource Potential of Medical Tourism in Mountainous Adjara.

3. Gogitidze, G., & Nadareishvili, N. (2021b). Access to information about the tourist products of mountainous Adjara for tourists and visitor to the Adjara region.

4. Manzoor, F., Wei, L., Asif, M., Haq, M. Z. ul, & Rehman, H. ur. (2019). The Contribution of Sustainable Tourism to Economic Growth and Employment in Pakistan. International Journal of Environmental Research and Public Health, 16(19), 3785. https://doi.org/10.3390/ijerph16193785

5. Naseem, S. (2021). The Role of Tourism in Economic Growth: Empirical Evidence from Saudi Arabia. Economies, 9(3), 117. https://doi.org/10.3390/economies9030117

6. Peira, G., Longo, D., Pucciarelli, F., & Bonadonna, A. (2021). Rural Tourism Destination: The Ligurian Farmers' Perspective. Sustainability, 13(24), 13684. https://doi.org/10.3390/su132413684

7. Pukowiec-Kurda, K., Rahmonov, O., Sobala, M., & Myga-Piątek, U. (2021). The Assessment of Hydrogeosites in the Fann Mountains, Tajikistan as a Basis for Sustainable Tourism. Resources, 10(12), 126. https://doi.org/10.3390/resources10120126

ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სტუმარმასპინძლობის ტრადიციასთან დაკავშირებით აჭარის მთიან რეგიონში

გიორგი გოგიტიძე
სტუ დოქტორანტი,
giorgigogitidze@gmail.com

რეზიუმე

ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. ტურიზმის მდგრადი განვითარება დაკავშირებულია მრავალ სოციალურ, კულტურულ/ტრადიციულ, გარემოს დაცვით და ეკონომიკურ საკითხებთან. ამრიგად, აღნიშნული ფაქტორების ადეკვატური შესწავლის, პრობლემის იდენტიფიკაციისა და სათანადო მართვის გარეშე, ტურიზმი (განსაკუთრებით მთიან რეგიონებში) შეიძლება შეიცავდეს არამდგრადი განვითარების ნიშნებს. უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი რეგიონები ყველაზე მიმზიდველი ტურისტული მიმართულებებია მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები და გამოწვევები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის/რეგიონის ბუნებრივი რესურსების და კლიმატის მიხედვით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ტურიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები და სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული ასპექტები. წარმოდგენილ კვლევაში ჩვენს მიერ შესწავლილია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სტუმარმასპინძლობისადმი აჭარის მთიან რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტრადიცია, სტუმარ-მასპინძლობა, მაღალმთიანი რეგიონი, აჭარა.

რეგიონის საინვესტიციო პროცესების სტიმულირების მნიშვნელოვანი ასპექტები

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-130

რამაზ ოთინაშვილი
სტუ პროფესორი
r.otinashvili@gtu.ge
თამარ ოთინაშვილი
სტუ სტუდენტი
ხვიჩა შარაშიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ინვესტიციები ითვლება ბიზნესის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს აყალიბებს სახელმწიფოს ნორმატიულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საქმიანობა. შესაბამისად, სტატიაში განხილულია საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები.

რეგიონის ეფექტური განვითარების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული საინვესტიციო რესურსები. მისი გადაწყვეტა დიდწილად განსაზღვრავს ბიზნესის მოდერნიზაციას, აღნიშნული კი განაპირობებს რეგიონის განვითარებას და მის საინვესტიციო მიმზიდველობას.

ინვესტიციების მოზიდვა უნდა მოხდეს ბიზნესის ისეთ სფეროებში, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს რეგიონების განვითარებას. ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დარგებია: ტურიზმი, ენერგეტიკა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს იმ დაბანდებების მოცულობა, რომლებიც წარმოების აღორძინება-განვი-

თარებისკენ იქნება მიმართული. ინტეგრირებული ტერიტორიული საინვესტიციო ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებულ და მრავალფეროვან საჭიროებებს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, რეგიონი, ინვესტიციები, კონკურენტუნარიანობა, ინფრასტრუქტურა, ინფლაცია.

შესავალი

ქვეყნის მდგრადი განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებელი ინვესტიციების მოცულობა და ხარისხია. მსოფლიო გამოცდილებით, ინვესტიციები ითვლება ბიზნესის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხოება და განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული მოგების დაუბრკოლებრივ გატანის შესაძლებლობა ქვეყნიდან და ა.შ.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკაში ფინანსური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს აყალიბებს სახელმწიფოს ნორმატიულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საქმიანობა. მთავარი ამოცანაა კერძო ფინანსური რესურსების მოზიდვა და მათი სტიმულირება საბიუჯეტო-საგადასახადო მეთოდებით.

საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებებია:

- ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ინვესტორების ინტერესების დაცვა;
- საგადასახადო და ამორტიზაციის მექანიზმები;
- ფინანსური ლიზინგის განვითარება;
- ძირითადი საშუალებების გადაფასება ინფლაციის ტემპების შესაბამისად.

რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტია საგადასახადო სისტემა. სახელმწიფო გავლენას ახდენს განაკვეთებსა და შეღავათების დიფერენცირების მქონე საგადასახადო სისტემის შემოღებით. საინვესტიციო საგადასახდო შეღავათებს განეკუთვნება: ე.წ. საგადასახდო „არდადეგები", საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი, შეღავათები მოგების გადასახადზე, სპეციალური საბაჟო ტარიფები, დაჩქარებული ამორტიზაცია, სტიმულები ინოვაციებზე, თავისუფალი ეკონომიკური ზონები და ა.შ.

ასევე ინვესტიციებზე მარეგულირებელი პრაქტიკული ზემოქმედებაა ფინანსური დახმარების გაწევა, რაც ცალკეული რეგიონების, დარგებისა და ბიზნესების განვითარებისთვის დონაციების, სუბსიდიების თუ საბიუჯეტო სესხის გაცემის გზით ხორციელდება.

ცნობილია, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს. ამ შემთხვევაში ზრდა უზრუნველყოფილია ინტენსიური ფაქტორების ზემოქმედებით, ძირითადად მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების დანერგვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზრდა და განვითარება მიიღწევა ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და რეალიზაციის ზრდით.

საჭიროა სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც მოხდება სახელმწიფო საინვესტიციო მიმართულების სიღრმისეული დამუშავება და გამოიკვეთება პრიორიტეტულ მიმართულებებზე დაყრდნობით თითოეული პროგრამის ძირითადი მიზნები და მათ მისაღწევად აუცილებელი ხარჯების მოცულობა. დაფინანსების წყაროები, ფორმები და საბოლოო ჯამში პროგრამის რეალიზაციიდან გამომდინარე მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური შედეგები.

მეტად მნიშვნელოვანია საინვესტიციო ფონდების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების და სხვადასხვა სახის ბირჟების შექმნისა და განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგ-

რამების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას რეგიონებში და აქედან გამომდინარე, უფრო მრავალფეროვანს გახდის ინვესტიციების განხორციელების ფორმებს, გააუმჯობესებს მათი განაწილებისა და საინვესტიციო ობიექტების შერჩევის პროცედურას.

განვითარებად და აზიის ქვეყნებში ჩამოყალიბებული ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიოში მკაცრი კონკურენციაა პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში საქართველომ საჭიროა აამოქმედოს ე.წ. „მიმზიდველობის ცენტრები“ უცხოური ინვესტიციებისთვის, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენენ გავლენას. ამ ფაქტორებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და სახადასახადო პოლიტიკა. კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე. საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და ა.შ.

აღნიშნული ფაქტორების პარალელურად მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, შიდა დანაზოგები, დასაქმება, საგადასახდელო ბალანსი და ა.შ.

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. მსოფლიო ბანკის მონაცემებით უმრავლესი ინდიკატორის მიხედვით, საქართველო საზღვარგარეთული კაპიტალის მიმართ ღიაა და უცხოური კომპანიების მიმართ შეზღუდვები მინიმალურია. მაგრამ, მეორე მხრვ, პოლიტიკური ფაქტორი, განსაკუთრებით კი ეთნოკონფლიქტური რეგიონები განაპირობებენ, რომ საქართველო ინვესტიციების განხორციელების მხრივ, მაღალრისკიან ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო აქტიური მოქმედება, საინვესტიციო ბაზრის ინსტიტუციური სტრუქტურის განვითარება. საქმიანი კონტაქ-

ტების დამყარება საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებთან, რათა ისინი მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი ინვესტიციების დაზღვევის საქმეში და შეამცირონ რისკის დონე.

ჩვენი ქვეყანა კვლავ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიგს განეკუთვნება, სადაც მიმდინარეობს სისტემური ტრანსფორმაცია და სტრუქტურული ცვლილებები, ამიტომაც ბიზნეს და საინვესტიციო გარემო ხასიათდება როგორც უპირატესობებით, ისე ხარვეზებით, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის უცხოურ ინვესტორებს.

ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი შედეგები. საჭიროა აღმოიფხვრას ის მავნე ტენდენციები, რომლებიც ხელს უშლის ინვესტიციების საქართველოში დაბანდებასა და ინვესტორებს შეექმნათ წარმატებული ფუნქციონირების შესაძლებლობები.

საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი ნაკლებად განვითარებელია, ამიტომ, პოსტპანდემიური მდგომარეობიდან გამოსვლა და ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება დაფინანსების გარე წყაროებზე განსაკუთრებით კი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

უკეთ უნდა გამოვიყენოთ სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა. ბუნებრივია გლობალური პანდემიის შედეგად, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შენელდა. შედეგად, უფრო დასახვეწია ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვან პერსპექტივებს გახსნის უცხოელი ინვესტორებისათვის.

საჭიროა შეიქმნას მასტიმულირებელი პირობები ინვესტიციების მოზიდვისთვის ბიზნესის ისეთ სფეროებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონების განვითარებას. ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დარგებია: ტურიზმი, ენერგეტიკა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

აღნიშნული სფეროები საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას, რაც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებ-

ლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის არსებობით და შეღავათების სისტემის დაწესებით.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს იმ დაბანდებების მოცულობა, რომლებიც წარმოების აღორძინება-განვითარებისაკენ იქნება მიმართული. ახალი საწარმოების შექმნის საკითხში აუცილებელია ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესის სრულყოფა და ფინანსური სექტორის გაჯანსაღება.

საინვესტიციო პროცესების სტიმულირების განსახორციელებელი აქტივობებია:

- პროტექციონისტული ტარიფები იმ საქონელზე, რომელსაც აწარმოებს უცხოელი ინვესტორი;
- საინვესტიციო პროექტისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების იმპორტის გადასახადისგან განთავისუფლება;
- საკანონმდებლო გარანტიები.

სტიმულირების ძირითადი მიმართულებებია: რეგიონულ ბიზნესებში დაბანდებული სახსრების უკუგების ზრდის საფუძველზე ინვესტირების საგარეო და საშინაო წყაროების ოპტიმალური შეთანაწყობა, ქვეყნის შიდა რეზერვების ამოქმედების მეშვეობით საგარეო ვალის მოცულობის შემცირება, ტერიტორიული ბიზნესების განვითარებაზე აღებული სპეციალური პროგრამების შემუშავება, ინვესტორების მოსაზიდად და გასახორციელებლად ხელსაყრელი ფაქტორების შექმნა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და რეგიონული განვითარებისთვის, რისთვისაც საჭიროა გეოგრაფიულად უფრო დაბალანსებული ინვესტიციების განხორციელება.

რეგიონის ეფექტური განვითარების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული საინვესტიციო რესურ-

სები. მისი გადაწყვეტა დიდწილად განსაზღვრავს ბიზნესის მოდერნიზაციას, აღნიშნული კი განაპირობებს რეგიონის განვითარებას და მის საინვესტიციო მიმზიდველობას.

ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას. განსაკუთრებით საყურადღებოა ინვესტიციების განხორციელება ისეთ სფეროებში, რომელიც დიდი რაოდენობით სამუშაო ძალას მოითხოვს, მათ შორისაა: საწარმოო ბიზნესები, სამშენებლო, სატრანსპორტო სექტორები, სასტუმროები და რესტორნები და ა. შ.

ინვესტიციების ზრდის მიზნით, საქართველოში ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთში, ქუთაისში (2 თავისუფალი ზონა) და თბილისში ჩამოყალიბდა, რომლებიც ქართველ, ისე უცხოელ ინვესტორებს მნიშვნელოვან ინიციატივებს სთავაზობენ, რათა მოხდეს ბიზნესების წახალისება შექმნან კომპანიები აღნიშნულ ზონებში და შესაბამისად, სამუშაო ადგილები.

მნიშვნელოვანი სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები უნდა პასუხობდეს რეგიონული განვითარების პოლიტიკას და ხელს უწყობდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის აუცილებელი საბაზისო ინფრასტრუქტურის თანმიმდევრულ შექნა-გაუმჯობესებას.

ინტეგრირებული ტერიტორიული საინვესტიციო ღონისძიებები საჭიროა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებულ და მრავალფეროვან საჭიროებებს. ეს ეხება ასევე სოფლის დასახლებებს და მაღალმთიან რეგიონებს, ადგილებს დევნილთა დიდი რაოდენობით კონცენტრაციით.

რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ჩარჩო საფუძველი უნდა იყოს პარტნიორობა და გაძლიერებული კოორდინაცია. მიზანშეწონილია თანდათანობით დაიხვეწოს სპეციფიური პროექტების შერჩევის ინსტრუმენტები, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს პროგრამის საერთო ხედვასთან.

აღნიშნული ხელს შუწყობს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბრობების შემ-

ცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას. ამისათის საჭიროა:

1. სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით.

2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური მომსახურების მდგრადი განვითარება, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით.

3. სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

დასკვნა

მასასადამე, საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სირთულეების გამოსწორებასა და ეკონომიკის სტრუქტურული ოპტიმიზაციის დაჩქარებაში საინვესტიციო გარემოს პირობების გაუმჯობესებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს. საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ ბიზნესებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე. ქუთათელაძე რ. გვაჯაია ლ. ყურაშვილი გ.,. საინვესტიციო მენეჯმენტი,” თბილისი, 2011.

2. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკა. სახელმძღვანელო.(მეორე შევსებული გადამუშავებული გამოცემა) თბილისი:სტუ. 2012.-556.გვ.

3. ქოქიაური ლ., საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2012;

4. ჯაჯაია თ."ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში და სამთავრებო პოლიტიკა", სამაგისტრო ნაშრომი.თსუ 2019

5. https://www.geostat.ge/ka

6. https://www.mof.ge/

7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

8. http://www.economy.ge/?lang=en

9. http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm

10. http://info.worldbank.org/governance/wgi/#home

REFERENCES:

1. Baratashvili E. Kutateladze R. Gvajaia L. Kurashvili G.,. Investment Management, "Tbilisi, 2011.

2. Otinashvili R., Economy of Georgia. Manual. (Second Compl. Revised Edition) Tb.: Stu. 2012.-556.p.

3. Kokiauri L., Investment Management and Policy, Manual, Second Edition, Tbilisi, 2012;

4. Jajaia T. "The Role of Investments in the Georgian Economy and Governmental Policy", TSU 2019

5. https://www.geostat.ge/ka

6. https://www.mof.ge/

7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

8. http://www.economy.ge/?lang=en

9. http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm

10. http://info.worldbank.org/governance/wgi/#home

IMPORTANT ASPECTS OF REGION'S INVESTMENT PROCESSES STIMULATION

Ramaz Otinashvili
Professor at GTU,
r.otinashvili@gtu.ge
Tamar Otinashvili
Student of GTU,
Khvicha Sharashidze
PhD Student of GTU

RESUME

Investments are considered the most effective means of business recovery. A favorable investment climate is formed by the normative-legal and economic activity of the state. Accordingly, the article discusses the main directions of state regulation of investment activity.

Limited investment resources are a major challenge for the effective development of the region, implementation of strategic goals and objectives. Its solution largely determines the modernization of business, which determines the development of the region and its investment attractiveness.

Investments should be attracted in such areas of business, the realization of which will contribute to the development of the regions. In this regard, the most promising fields in Georgia are: tourism, energy, construction, agriculture, transport and communications. Taking into account national-state interests, the volume of investments in the structure of foreign investments should be increased, which will be directed to the revival and development of production. Integrated territorial investment measures must meet the different and diverse needs of different territories.

Keywords: Business, Region, Investments, Competitiveness, Infrastructure, inflation.

საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ანალიზი

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-140

ზურა გამთენაძე
თსუ დოქტორანტი

კვლევა PHDF-21-446 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

რეზიუმე

გაანალიზებულია საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობა. ანალიზი დაფუძნებულია ევროკავშირის მიერ მისი წევრი ქვეყნების რეგიონების შედარებითი და აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობის მოდელზე, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება. სტატიაში გამოყენებული ინდიკატორები ემთხვევა ევროკავშირის მოდელს, თუმცა, განსხვავება აღნიშნულ შემთხვევაში მხოლოდ ინდიკატორებში შემავალ ცვლადებშია. სტატიის შედეგად მიიღება საქართველოს რეგიონების კონკურენტული უპირატესობის, როგორც შედარებითი, ასევე აბსოლუტური შეფასების ქულები.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს რეგიონები, კონკურენტუნარიანობა, რეგიონული განვითარება, საჯარო პოლიტიკა, შედარებითი ანალიზი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების დინამიკა სულ უფრო მეტად ზრდის კონკურენციას როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. ეს უკანასკნელი მკვეთრად გამოიხატება ქვეყნებს შორის ეკონომიკური კონკურენციის ზრდით, ქვეყნებს შიგნით კი ადგილობრივ დონეზე რეგიონული და მუნიციპალიტეტებს

შორის კონკურენციით. საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა და მიდგომა იცვლება იმ მიმართულებით, რომ სახელმწიფოებს დაეხმარონ ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებაში, ინვესტიციების მოზიდვასა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში (Bristow 2005). გლობალიზაციის პროცესის პარალელურად ეროვნული ეკონიმიკების შედარებითი მნიშვნელობა მცირდება, თუმცა, იზრდება რეგიონების ან რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების როლი. ამ უკანასკნელთა შორის კონკურენცია ძირითადად ინვესტიციებისთვის, ბუნებრივი, ადამიანური და სხვა მრავალი რესურსისთვის იზრდება. რეგიონების შემსწავლელ მეცნიერებებში დღეს ფართოდაა გავრცელებული ის მოსაზრება, რომ კონკურენცია მუნიციპალიტეტებს შორის სხვადასხვა მახასიათებლებს ეფუძნება, როგორიცაა მაგალითად, საწარმოებს შორის კონკურენცია, საერთაშორისო ასპარეზზე ცნობადობის გაზრდა და ა.შ. (Cheshire 2003).

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობას. 2014 წლიდან, როდესაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ იქნა მიღებული, მუნიციპალიტეტებს მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ შედარებითი კონკურენტუნარიანობა მოეპოვებინათ - მოსახლეობის ცხოვრების დონე გაეუმჯობესებინათ და ეკონომიკურ-ფინანსურ თვითმყოფადობასთან ახლოს ყოფილიყვნენ. მუნიციპალიტეტებში მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ აისახება რეგიონების კონკურენტუნარიანობაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი ეკონომიკური უფლებამოსილებების რეალური შესაძლებლობების გამოყენება მნიშვნელოვანია თითოეული თვითმმართველობის, შესაბამისად, რეგიონების კონკურენტული განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტებს და რეგიონებს შორის კონკურენციის შედეგები გარკვეულწილად აისახება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებაზე, რომელიც უმეტესად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიდის და ეს განპირობებულია სხვა

რეგიონებთან და მუნიციპალიტეტებთან შედარებით უკეთესი ინფრასტრუქტურით, კვალიფიციური მუშახელის რაოდენობით, ბაზრის ზომით, ინტერნეტიზაციის დონით და სხვა მრავალი ფაქტორით (გამთენაძე 2021). თუმცა, ინვესტიციების მოცულობის ზრდა ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი რეგიონების მხოლოდ ერთ-ერთი შედეგია და შედარებითი უპირატესობის მოპოვებისას სხვა, ზემოთ მოყვანილი შედეგებიც აშკარა ხდება - რაც უფრო იზრდება კონკურენტული უპირატესობა, მით უფრო მარტივი ხდება იმავე უპირატესობის განვითარება შემდგომ წლებშიც. აღნიშნული პროცესი გარკვეულ უთანასწორობას იწვევს თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის.

საქართველოს მუნიციპალიტეტების შედეგად, რეგიონების მიერ საკუთარი კონკურენტული უპირატესობის გაუმჯობესება რამდენიმე ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამი ფაქტორი - ის საკუთარი უფლებამოსილებები, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ არის განსაზღვრული, ეკონომიკური და ფინანსური თვითმყოფადობა და ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღები პირების სურვილი, რომ ადგილობრივ დონეზე არსებული რესურსები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული და მუნიციპალიტეტმა შედარებით ან აბსოლუტურ უპირატესობას მიაღწიოს. მოცემულ ეტაპზე საქართველოს დეცენტრალიზაციის პოლიტიკა მხოლოდ მუნიციპალურ უფლებამოსილებებს მოიაზრებს, რაც რეგიონულ დონეზე პოლიტიკის მიღების საშუალებას გამორიცხავს. მიუხედავად იმისა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მრავალი „ეკონომიკური უფლებამოსილება“ არაა განსაზღვრული, მუნიციპალიტეტებს აქვთ შესაძლებლობა ადგილობრივი მაცხოვრებლების დონე გააუმჯობესონ, ინვესტორებისთვის/მეწარმეებისთვის მიმზიდველი გახადონ და საწყის ეტაპზე ეკონომიკურ და ფინანსურ თვითმყოფადობას მიაღწიონ. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებით ბერკეტებს იძლევა შედარებითი უპირატესობის მოპოვებაში.

მუნიციპალური და რეგიონული კონკურენტუნარიანობის

ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რომელიც სამეწარმეო პროდუქტიულობისა და ცხოვრების დონის ზრდას პირდაპირ უწყობს ხელს (Martin and Sunley 2011). აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკა კი ორი უმთავრესი მიმართულებისგან შედგება - რეგიონული ან მუნიციპალური განათლების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობის ხელმისაწვდომობა რესურსებზე. ორივე მიმართულება ეფუძნება „ქვემოდან-ზემოთ" პრინციპს, რაც გულისხმობს მომხმარებლების (მოსახლეობის) შესაძლებლობების გაზრდას, რათა მათი მსყიდველუნარიანობა გაიზარდოს (Thornton, Ribeiro-Soriano and Urbano 2011). კონკურენციაში აბსოლუტური და არა შედარებითი უპირატესობის მოპოვების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ან რეგიონი შედეგად იღებს ცხოვრების გაუმჯობესებულ დონეს, მეტ ინვესტიციას, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობის და საწარმოების მიგრაციას (Malecki 2004). შესაბამისად, კონკურენტული უპირატერობის მოპოვება კიდევ უფრო ზრდის მუნიციპალიტეტის ან რეგიონის კონკურენტუნარიანობას და აღნიშნული ორი პროცესი ერთმანეთთან ძლიერ კორელაციაშია. არანაკლებ მნიშვნელოვანია შექმნილი დოვლათის იმგვარი განაწილება, რაც კიდევ მეტ დოვლათს და შესაძლებლობას შექმნის რეგიონში, ვინაიდან წინასწარ განსაზღვრული, რამდენიმეწლიანი პოლიტიკის გარეშე, გარკვეულ ფაქტორებზე დამყარებული ცხოვრების დონის შემთხვევითი ზრდა კვლავ შემცირდება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ან რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანია პროცესის მუდმივი კონტროლი და გრძელვადიანი განვითარების გეგმის შექმნა (Huggins, Izushi and Thompson 2013). აღნიშნული გეგმის შექმნა კი საქართველოში მხოლოდ მუნიციპალურ დონეზეა შესაძლებელი.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა დაფუძნებულია ევროპის რეგიონული კონკურენტუნარიანობის ინდექსის მოდელზე (Annoni and Dijkstra 2020). ევროკავშირი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ აქ-

ვეყნებს მისი წევრი ქვეყნების რეგიონების კონკურენტუნარიანობის შედეგებს. მოდელი დაფუძნებულია სამ ძირითად კატეგორიაზე - საბაზისოზე, ეფექტიანობასა და ინოვაციურობაზე. თითოეული კატეგორია მოიცავს რამდენიმე ინდიკატორს, ხოლო ინდიკატორები - რამდენიმე ცვლადს. სამ წელიწადში ერთხელ ცვლადების რეგიონული ცვლილება ყოველ ინდიკატორში ასახავს რეგიონის კონკურენტუნარიანობის ცვლილებას.

ევროპის რეგიონული კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინდიკატორები

საბაზისო	ეფექტიანობა	ინოვაციურობა
ინსტიტუტები	უმაღლესი და პროფესიული განათლება	ტექნოლოგიური მზაობა
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	შრომის ბაზრის ეფექტიანობა	საწარმოების ტექნოლოგიური მდგრადობა
ინფრასტრუქტურა	ბაზრის ზომა	ინოვაციები
ჯანდაცვა		
საშუალო განათლება		

თუმცა, ვინაიდან მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე სამივე კატეგორიაში შემავალი ყველა ცვლადის შესახებ საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ინფორმაცია არ მოიპოვება, კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდელში გამოყენებული იქნება მხოლოდ ის ცვლადები, რომელიც არსებობს. პარალელურად, საქართველოს მუნიციპალური კონკურენტუნარიანობის შეფასებისას გამოყენებული იქნება

დამატებით სხვა ცვლადები, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში ან ინვესტიციებს ზრდას/მეწარმეობას უწყობს ხელს.

კვლევაში გამოყენებული ინდიკატორები

საბაზისო	ეფექტიანობა	ინოვაციურობა
ინსტიტუტები	შრომის ბაზრის ეფექტიანობა	ინტერნეტის დაფარვა
ეკონომიკა	ბაზრის ზომა	
საშუალო განათლება	საწარმოების პროდუქტიულობა	

საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ 2019 და 2020 წლებს. 2019 წელი COVID19 პანდემიამდელი შედეგების ჩვენების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო 2020 წელი სწორედ პანდემიით გამოწვეული ცვლილებების ასახვის საშუალებას მისცემს ანალიზს. თითოეულ ინდიკატორში გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე ცვლადი. ინდიკატორებში შემავალი ცვლადები შემდეგნაირია: *ინსტიტუტები* - მთის კანონის დაფარვის პროცენტულ მაჩვენებელს, რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიების რაოდენობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სერვისების შესახებ; *ეკონომიკა* - უძრავი ქონების საშუალო ფასს რეგიონში, მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლების ზრდის საშუალო რეგიონულ მაჩვენებელს და რეგიონში ფულის მასის ბრუნვას; *განათლება* - რეგიონში არსებულ თითოეულ სკოლაში მოსწავლეების საშუალო რაოდენობას და რეგიონში არსებულ თითოეულ პროფესიულ კოლეჯში მოსწავლეების საშუალო რაოდენობას; *შრომის ბაზრის ეფექტიანობა* - რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის შეფარდება დასაქმე-

ბულთა რაოდენობასთან, გამოშვეული პროდუქცია დასაქმებულთა რაოდენობასთან; *ბაზრის ზომა* - დასაქმებულთა წილს 15-65 წლის ასაკობრივ ჯგუფში, საშუალო თვიურ ხელფასს რეგიონში; *საწარმოების პროდუქტიულობა* - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობასთან, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი მთლიან რეგიონულ ბრუნვაში; *ტექნოლოგიები* - ინტერნეტის დაფარვის რეგიონული მაჩვენებელი.

საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად გამოყენებული თითოეული გაანალიზებული იქნება z-სტატისტიკის (z-score) შეფასების მოდელით:

$$R_{\mathrm{Vm}} = \frac{V_{\mathrm{m}}^{\mathrm{t}} - \overline{\mathrm{V}}_{\mathrm{m}}^{\mathrm{t}}}{\sigma_{\mathrm{v}}^{\mathrm{t}}}$$

სადაც:

R_{Vm} - რეგიონების მიერ კონკრეტული V ცვლადების ანალიზის შედეგად მიღებული R ქულაა;

$\mathrm{V}_{\mathrm{m}}^{\mathrm{t}}$ - მოცემულ ინდიკატორებში კონკრეტულ ცვლადების მონაცემები, რომელიც m მუნიციპალიტეტს მოცემულ t წელს ჰქონდა;

$\overline{\mathrm{V}}_{\mathrm{m}}^{\mathrm{t}}$ - მოცემულ ინდიკატორებში კონკრეტული ცვლადების საშუალო არითმეტიკული, რომელიც მუნიციპალიტეტებს ჰქონდათ მოცემულ t წელს;

$\sigma_{\mathrm{v}}^{\mathrm{t}}$ - სტანდარტული გადახრა.

რეგიონებს შორის კონკურენტუნარიანობის აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობების საჩვენებლად, მნიშვნელოვანი ნაწილია $\overline{\mathrm{V}}_{\mathrm{m}}^{\mathrm{t}}$ მონაცემის მნიშვნელობა. აბსოლუტური უპირატესობის გასაგებად, აღნიშნული მონაცემი იქნება 0-ის ტოლი, რომელსაც ევროკავშირი იყენებს რეგიონული კონკურენტუნარიანობის საჩვენებლად. შედარებითი უპირატესობისთვის კი მნიშვნელობა იქნება არითმეტიკული საშუალო. დამატებით, მნიშვნელოვანია გამოიყოს თბილისი - ერთ შემთხვევაში შედარება იქნება ყველა რეგიონს შორის, მათ შორის

თბილისი, ხოლო მეორე შემთხვევაში თბილისის გარეშე. საბოლოო ჯამში, ანალიზის შედეგად ოთხი შედეგის ჩვენება იქნება შესაძლებელი:

1. აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა თბილისის ჩათვლით;
2. აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა თბილისის გარეშე;
3. შედარებითი კონკურენტული უპირატესობა თბილისის ჩათვლით;
4. შედარებითი კონკურენტული უპირატესობა თბილისის გარეშე.

თითოეული შედეგი მოცემული იქნება ორი წლის ჭრილში - 2019 და 2020 წელს. აღნიშნული საშუალებას იძლევა კონკურენტუნარიანობაზე COVID-19 პანდემიის გავლენაც აისახოს. მონაცემები მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავალუტო ფონდისა და სხვა ვალიდური ონლაინ წყაროების მიერ. მონაცემები, რომლებიც არ მოიპოვება რეგიონულ დონეზე, მაგრამ მუნიციპალურზე - კი, დაჯამებულია და გამოყვანილია რეგიონის საშუალო სტატისტიკური მონაცემი.

კვლევის შედეგები

აღნიშნულმა კვლევამ ემპირიულად აჩვენა, რომ თბილისი ყველაზე კონკურენტული რეგიონია მთელ საქართველოში, რომელმაც შედარებითი და აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა პანდემიის ფონზეც შეინარჩუნა, თუმცა, შემცირდა. COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ განსხვავებულად იმოქმედა საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოს საკმაოდ მკაცრი სოციალური და ეკონომიკური შეზღუდვები დაწესდა, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და გურიის კონკურენტული უპირატესობები მცირედით გაიზარდა. შედარებითი და აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობების

ცვლილებები 2019-2020 წლებში მოცემულია ცხრილში *საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ცხრილი (2019-2020 წლები).* ცხრილში დეტალურად ჩანს თითოეული რეგიონის ქულა, რომელიც მინიჭებულია ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდელის მიხედვით. ზოგადი ქულების მინიჭების პარალელურად მნიშვნელოვანია იმის ანალიზიც, კონკრეტულად რომელი ინდიკატორი ან ინდიკატორები უფრო მოქმედებენ რეგიონული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ცხრილი (2019-2020 წლები)

	შედარებითი კონკურენტუნარიანობა		აბსოლუტური კონკურენტუნარიანობა		შედარებითი კონკურენტუნარიანობა		აბსოლუტური კონკურენტუნარიანობა	
რეგიონი	**2019**	**2019 (თბილისის გარდა)**	**2019**	**2019 (თბილისის გარდა)**	**2020**	**2020 (თბილისის გარდა)**	**2020**	**2020 (თბილისის გარდა)**
თბილისი	**1.43**		**2.99**		**1.34**		**2.88**	
კახეთი	**-0.02**	**0.12**	**1.54**	**2.33**	**-0.04**	**0.10**	**1.50**	**2.25**
ქვემო ქართლი	**0.02**	**0.48**	**1.58**	**2.69**	**0.10**	**0.63**	**1.64**	**2.78**
მცხეთა-მთიანეთი	**-0.44**	**-0.53**	**1.12**	**1.68**	**-0.42**	**-0.48**	**1.12**	**1.67**
შიდა ქართლი	**-0.33**	**-0.27**	**1.23**	**1.94**	**-0.29**	**-0.22**	**1.25**	**1.93**
სამცხე-ჯავახეთი	**-0.23**	**-0.19**	**1.33**	**2.02**	**-0.17**	**-0.17**	**1.37**	**1.97**
იმერეთი	**-0.15**	**0.19**	**1.41**	**2.40**	**-0.20**	**0.15**	**1.34**	**2.30**
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი	**-0.29**	**-0.53**	**1.27**	**1.68**	**-0.32**	**-0.60**	**1.22**	**1.55**
სამეგრელო	**0.03**	**0.26**	**1.59**	**2.47**	**0.06**	**0.31**	**1.60**	**2.46**
გურია	**-0.30**	**-0.47**	**1.26**	**1.74**	**-0.27**	**-0.45**	**1.27**	**1.69**
აჭარა	**0.27**	**0.95**	**1.83**	**3.16**	**0.22**	**0.74**	**1.76**	**2.89**

თბილისის შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორები განათლება და ტექნოლოგიები აღმოჩნდა. სწორედ ამ ორს აქვს ყველაზე მეტი წილი თბილისის კონკურენტუნარიანობაში. *სამეგრელოს, გურიისა* და *კახეთის* რეგიონების კონკურენტუ-

ნარიანობას ყველაზე მეტად ზრდის ინსტიტუტები, კერძოდ, ინ-ფორმაციის ხელმისაწვდომობა და ეკონომიკა, კერძოდ, მიწის ფასი. *რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისა* და *მცხეთა-მთიანეთის* რეგიონებში გამოირჩა მთის კანონის დაფარვის ცვლადი, *ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და იმერეთის* რეგიონებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი მთლიან რეგიონულ ბრუნვაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ცვლა-დია, *სამცხე-ჯავახეთის* რეგიონში მძლავრობს ბაზრის ზომისა და ბაზრის ეფექტიანობის ინდიკატორები მთლიანად, *აჭარის* რეგიონში თითქმის ყველა ინდიკატორს მეტნაკლებად მსგავსი გავლენა აქვთ კონკურენტუნარიანობაზე, თუმცა, ოდნავ მეტი წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიმჭიდროვესა და ბრუნვას აქვს. აღნიშნული ინდიკატორების გავლენა თითოეულ რეგიონზე ერთნაირად ძლიერ გავლენას ინარჩუნებს, როგორც შედარებითი, ასევე აბსოლუტური კონკურენტუნარიანობის ანალიზისას. თუმცა, მცირედი განსხვავება შეინიშნება მაშინ, როდესაც ანალიზისას თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის გათვალისწინებული ანუ ყველა რეგიონი ერთმანეთთან შედა-რებულია, გარდა თბილისისას. აღნიშნულ შემთხვევაში ყვე-ლაზე მეტი კორელაციის მქონე ცვლადები ინფორმაციის ხელ-მისაწვდომობა, მიწის ფასი, მთის კანონის დაფარვა და ბაზრის ეფექტიანობაა.

მოცემულ შემთხვევაში რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდა პირდაპირ კავშირშია რეგიონში არსებული მუნიციპა-ლიტეტების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში დეცენტრალიზაცია ჯერჯერობით მხოლოდ მუნიციპალურ დონეზე მიმდინარეობს, თუმცა, რე-გიონული დაჯგუფება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ევროკავში-რისა და დანარჩენი მსოფლიოს ინდიკატორებში.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის შედეგად შესაძლებელია გარკვე-ული დასკვნების გაკეთება საქართველოს რეგიონების კონკუ-რენტუნარიანობის შეფასების მხრივ. მოცემული შედეგების

გათვალისწინებით, თითოეული რეგიონის მუნიციპალიტეტს შეუძლია გარკვეულწილად გაითვალისწინოს ის ცვლადები, რომლებიც რეგიონზე ყველაზე მეტად ზემოქმედებს ან ზოგადად რა ინდიკატორებით ფასდება კონკურენტუნარიანობა ევროკავშირში და შემდგომი პოლიტიკა დაგეგმოს შესაბამისად. შედეგად, თუ რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან შედარება, აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა დაგეგმონ საკუთარი განვითარება ემპირიული და ადგილობრივების საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომით. დამატებით, აღნიშნული კვლევა საფუძველი იქნება შემდგომში მუნიციპალური კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად. ვინაიდან ამ ეტაპზე ნაკლებად მოიპოვება სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ. თუმცა, არსებობს მოდელი და მოცემული სტატიის შექმნილია რეგიონული ანალიზიც, რაც არა მხოლოდ მუნიციპალური, არამედ სექტორული და კლასტერული კონკურენტუნარიანობის ანალიზსაც შეუწყობს ხელს.

REFERENCES:

1. Bristow, Gillian. 2005. „Everyone's a "winner": problematising the discourse of regional competitiveness." (Journal of Economic Geography) 5 (3): 285-304.

2. Cheshire, Paul Charles. 2003. „Territorial Competition: Lessons for (Innovation) Policy." Innovation Clusters and Interregional Competition-ში, Johannes Bröcker, Dirk Dohse და Rüdiger Soltwedel-ის მიერ, 331-346. Springer.

3. Malecki, Edward. 2004. „Joyckeing for position: What it Means and Why It Matters to Regional Development Policy When Places Compete." Regional Studies 38 (9): 1101-1120.

4. Gamtenadze, Z. 2021. "Analysis of Georgian Municipalities' Investment Attractiveness". Economics and Business 4 (2): 69-82. (გამთენაძე, ზურა. 2021. „საქართველოს რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზი." ეკონომიკა და ბიზნესი 14 (2): 69-82.);

5. Annoni, Paola, და Lewis Dijkstra. 2020. European Regional Competitiveness Index 2019. Regional and Urban Policy.

6. Martin, Ron, და Peter Sunley. 2011. „Conceptualizing Cluster Evolution: Beyond the Life Cycle Model?“ Regional Studies 45 (10): 1299-1318.

7. Thornton, Patricia H., Domingo Ribeiro-Soriano, და David Urbano. 2011. „Socio-cultural factors and entrepreneurial activity: An overview.“ International Small Business Journal 29 (2): 105-118.

8. Huggins, Robert, Hiro Izushi, და Piers Thompson. 2013. „Regional Competitiveness: Theories and Methodologies for Empirical Analysis.“ The Business and Economics Research Journal 6 (2): 155-172.

COMPETITIVENESS ANALYSIS OF THE REGIONS OF GEORGIA

Zura Gamtenadze,
Ph.D. Student TSU

This research PHDF-21-446 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

RESUME

This article analyzes the competitiveness of the regions of Georgia. The analysis is based on the model of comparative and absolute competitive advantage of the EU member states' regions, which is published every three years. The indicators used in the article correspond to the EU model, however, the difference in this case is only in the variables included in the indicators of the research. As a result of the article, the ranking of comparative as well as absolute evaluation of the competitive advantage of the regions of Georgia will be obtained.

Keywords: Regions of Georgia, Competitiveness, Regional Development, Public Policy, Comparative Analysis.

სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის განვითარება – შინამეურნეობების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-152

ჯამბულ აბულაძე
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
Jambulabuladze1@gmail.com

რეზიუმე

საქართველოში, გარდამავალ პერიოდში, სოფლის მეურნეობის დარგის ტრანსფორმაცია რთული პროცესებით მიმდინარეობს. არსებული სამეურნეო ორგანიზაციული ფორმები დაიშალა, როგორც საბჭოთა სისტემის ნაწილი, ხოლო საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ორგანიზაციულ – ეკონომიკური ფორმების ჩამოყალიბება, ჯერ კიდევ ვერ იქნა სრულად უზრუნველყოფილი. შედეგად, გარდამავალ პერიოდში, პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ძირითადად, შინამეურნეობების საქმიანობის სფეროში მოექცა. ეს უკანასკნელი, დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებზე ნაკლები ხელმისაწვდომობის, მწირი რესურსებისა და საბაზრო - ეკონომიკური ფაქტორებისადმი არასაკმარისი შესაძლებლობების შედეგად, დაბალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. აღნიშნული ფაქტორები კიდევ უფრო მძაფრად წარმოჩნდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტად გამოირჩევა წვრილი შინამეურნეობებით, მაღალი ფრაგმენტაციით, წვრილკონტურიანობით, მკაცრი ბუნებრივ - კლიმატური პირობებით და სხვ. ასეთ პირობებში, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, გამოწვევებისადმი საპასუხო აქტივობა სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობაა, რაც სახელმწიფო

და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებით მიიღწევა.

საკვანძო სიტყვები: შინამეურნეობები, საოჯახო მეურნეობა, კოოპერაცია, სასოფლო – სამურნეო წარმოება, სასოფლო – სამურნეო კოოპერატივი, სამთავრობო პროგრამები.

შესავალი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასოფლო – სამეურნეო წარმოებაში არსებული გამოწვევები და მისი გადაჭრის გზები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილების ანალიზს ეფუძნება. ამიტომ სტატიაში მიმოხილულია მეცნიერთა ნაშრომები, შეფასებები და რეკომენდაციები სასოფლო – სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, რესურსებისა და შესაძლებლობათა კონსოლიდაცის მნიშვნელობაზე.

საყურადღებო ფაქტია, რომ როგორც მეცნიერები, ასევე დარგის პრობლემატიკასთან შემხებლობაში მყოფი პირები (მათ შორის სახელისუფლებო, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები) ჩერდებიან ერთ კონსენსუსზე, რომ სასოფლო – სამეურნეო წარმოების განვითარების საუკეთესო გზა სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობაა. სწორედ, ამ მიზანს ემსახურება საქართველოში და მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების პროგრამები, რომელთა შედეგებისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიო გამოცდილებით, აგროსექტორში კოოპერაცია ხელს უწყობს სასოფლო – სამეურნეო წარმოების განვითარებას. 200 წელზე მეტია, რაც მთელ მსოფლიოში კოოპერაციულ-

მა მოძრაობამ დაადასტურა მისი ეფექტიანობა. 700 მილიონზე მეტი ადამიანი 90 ქვეყანაში, გაწევრიანებულია კოოპერატიულ გაერთიანებებში და რიგი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაში კოოპერატივები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდგენენ. ცნობილია, რომ ბიზნეს სუბიექტების მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა. მათგან განსხვავებით, კოოპერატივების მიზანია თავიანთი წევრებისთვის სარგებლის მიცემა და მოგების გამოყენება, ძირითადად, კოოპერატივის მატერიალური და ორგანიზაციული ბაზის განმტკიცებისთვის. Kკოოპერატივები იქმნება ისეთ სიტუაციაში, როცა ნაკლებად ხელმისაწვდომია ფერმერებისთვის ხელსაყრელი პირობებით მომსახურების მიღება. ამიტომაა, რომ კოოპერაციის განვითარება სოფლებში სიღარიბის, უმუშევრობისა და დაცარიელების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებადაა აღიარებული.

სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებით, უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივები ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფერმერთა ეკონომიკური ორგანიზაციაა. კოოპერატივები პრაქტიკულად სასოფლო დასახლების 100 პროცენტიანი დაფარვით ხასიათდებიან: ფინეთში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ნიდერლანდებსა და იაპონიაში, ხოლო საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - აერთიანებს სასოფლო –სამეურნეო საწარმოების არანაკლებ 80%-ს. კოოპერაცია აუცილებელ ელემენტად იქცა ევროპის ქვეყნების აგროსამრეწველო წარმოებაში. მაგ. ბელგიაში გავრცელებულია კოოპერატივები, რომელებიც ორიენტირებულია წარმოების საშუალებების მიწოდებაზე, პროდუქციის რეალიზაციასა და მომსახურებაზე. აქტიურია ასევე საკრედიტო კოოპერატივები და კოოპერატივები, რომლებსაც ახასიათებთ როგორც სამომხმარებლო, ასევე საწარმოო კოოპერაციის ნიშნები.

გარდა აღნიშნულისა, ქართველი მეცნიერების ნაშრომებში (პ. კოღუაშვილი, დ. მამუკელაშვილი) გაანალიზებულია იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, დანიაში, ფინეთში, ბელგიასა და იაპონიაში სასოფლო – სამეურნეო კოოპერაცი-

ის განვითარების პროცესში სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობა და შედეგები, კერძოდ: იტალიის კოოპერაციული სისტემის სამართლებრივი საფუძველი უზრუნველყოფილია: კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე მარეგულირებელი აქტებით, რომლებიც განმარტავს, რომ კოოპერაციას გააჩნია არასპეკულაციური სოციალური ფუნქცია და მისი მიზანია წევრებისთვის "უკეთესი მომსახურებისა და სამუშაო პირობების შექმნა"[7]. ამ ნაშრომების(სტატიის) თანახმად, იტალიაში მე-19 საუკუნის ბოლოს სახელმწიფოს მიერ, 600 ათასზე მეტი კომლისგან შეიქმნა "იტალიის აგრარული კოოპერატივების გაერთიანება", რომელიც უზრუნველყოფს მეპაიეების მაღალ შემოსავლებს, სტუდენტების სტიპენდიებსა და პენსიებს. კოოპერაციული სისტემის სამართლებრივი საფუძველი, ასევე კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი ესპანეთშიც, სადაც 3380 სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივში 1 მილიონამდე ფერმერია გაერთიანებული, რომელთა წლიური საქონელბრუნვა 26 მლრდ. Eევროს შეადგენს.

ესპანეთში სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის სამართლებრივი რეგულირება საყურადღებოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის იმ თვალსაზრისით, რომ "სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და განვითარების სტრატეგიები არსებობს ცალკეული რეგიონების მიხედვით"[7], ხოლო აქვე მოყვანილი ვალენსიის მაგალითი სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივების ფედერაციის მიერ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მხარდამჭერ ღონისძიებებზე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას წარმოადგენს.

სტატიის თანახმად, საფრანგეთში 4 ათასი სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივის წლიური ბრუნვა ჯამში 300 მლრდ ევროს აღემატება და 1 მლნ სამუშაო ადგილს უზრუნველყოფს; აშშ – ში 30 ათასი კოოპერატივი ფუნქციონირებს 3 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქტივებით; იაპონიის სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივებში გაწევრიანებულია ქვეყნის ფერმერების 91%. Aამასთან, როგორც აშშ –ში, ასევე იაპონიაში

კოოპერატივების დარგობრივი მიმართულებების მიხედვით სხვადასხვა სახის დიფერენცირებული ნორმატიული აქტები მოქმედებს. რაც შეეხება გერმანიას, კოოპერაციის სამსაფეხურიანი სისტემაა, სადაც პირველად კოოპერატივებს დაფუძნებული აქვთ რეგიონული ცენტრალური კოოპერატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველადი კოოპერატივებისთვის ისეთი დაუძლეველი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა ბაზარზე პროდუქციის მიწოდება. მესამე საფეხური უკვე რეგიონული ცენტრალური კოოპერატივების მიერ ფედერალურ დონეზე შექმნილი ინსტიტუტებია. სტატიაში მოყვანილია საყურადღებო სტატისტიკა, რომ ყოველი მეხუთე გერმანელი კოოპერატივის წევრია ან კოოპერატივებთან სხვადასხვა ეკონომიკურ ურთიერთობაშია, ასევე გერმანიაში უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში გაკოტრებული 20 ათასი სხვადასხვა ორგანიზაციიდან არც ერთია კოოპერატივი.

მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სამეწარმეო განვითარების საკითხებში კრედიტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემებს განიხილავენ ქართველი მეცნიერები (პ. კოღუაშვილი, დ. მამუკელაშვილი) პუბლიკაციაში – "კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში". სადაც ხაზს უსვამენ აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობისთვის ინკლუზიური სოციალურ – ეკონომიკური და სასოფლო – სამეურნეო დარგების განვითარებისთვის "კოოპერირების გზით, უშუალოდ პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლის ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული სისტემების ფორმირება"-ს და "კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა"-ს, რომელიც "მიიღწევა დაკრედიტების შეღავათიანი და გამარტივებული პირობებით, მცირე საპროცენტო განაკვეთით, სოლიდური პასუხისმგებლობით, ურთიერთნდობითა და კორუფციული გამოვლინებების აღმოფხვრით" და მიუთითებენ სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ამ მიზნით სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობაზე [6].

ლიტერატურაში აღიარებულია სასოფლო – სამეურნეო კო-

ოპერატივის ორი ჯგუფი: სასოფლო - სამეურნეო მომსახურების და სასოფლო – სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები. პირველ შემთხვევაში იგულისხმება საწარმოო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის მომსახურების ერთობლივი შესყიდვა, ხოლო მეორე შემთხვევაში – კოოპერატივის წევრის უშუალო მონაწილეობის ვალდებულებით, ერთობლივი წარმოება. პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა "გასაღების კოოპერაციას", რომლის მიზანია "პროდუქციის მიღება, დასაწყობება, შენახვა, შეფუთვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია". საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD – ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება, სხვა მიმართულებებთან ერთად ხორციელდება სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსურ ასპექტში, ასევე მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის დანეგვის ხელშეწყობის მხრივ. კვლევის პროცესში გაცნობილი და გაანალიზებული იქნა ENPARD პროგრამის ფარგლებში შედგენილი ანგარიში – "EU –SUPPORTED AGRICULTURAL COOPERATIVES A CASE OF GEORGIA" [3], რომლის თანახმად, 280 – ზე მეტ სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივს, რომელიც 4 666 წევრს აერთიანებს, გაეწია მხარდაჭერა, მათთვის შეძენილი იქნა საწარმოო საშუალებები, ჩაუტარდათ ტრენინგები და სხვადასხვა სახის დახმარებები.

პროექტის „მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთსა და რაჭის რეგიონებში" კვლევის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის თანახმად, საქართველოში კოოპერატივების შექმნის მიზანი გრანტის ანდა შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღებაა. შედარებით მცირე ნაწილისათვის - ერთობლივი წარმოებით უკეთესი შედეგის მიღება. დიდი ნაწილისთვის კოოპერაცია ასოცირდება კოლმეურნეობასთან. [1]

საგრანტო ხელშეკრულების კოორდინატორის - გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, „ENPARD AJARA - სოფლის მეურ-

ნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2013 – 2016 წლებში განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშის თანახმად, აჭარაში განხორციელდა საკონსულტაციო სერვისები იურიდიულ ასპექტებში და აგრობიზნესის ოპერაციებში კოოპერატივების დაარსებისთვის ფერმერთა ჯგუფების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის, შემდეგი სამი მიმართულებით: 1. „სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად ბიზნეს მოდელების და ბიზნესის განვითარების კონკრეტული სერვისების შემუშავება“; 2. „სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა და შექმნილი კოოპერატივებისთვის ბიზნესის განვითარების სერვისის მიწოდება“ 3. „სასოფლო -სამეურნეო კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარება და ტექნიკური დახმარება“ [2, გვ. 13-15].

საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ”, „არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო ხელშეწყობასთან, მათი საქმიანობის მონიტორინგთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს“. კანონის ერთ-ერთ მიზანს „საკომლო მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება“ [9] წარმოადგენს. კოოპერატივის მხრიდან, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მას ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, რაც საშუალებას აძლევს ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ დაგეგმილი მხარდამჭერი ღონისძიებებით.

სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ. გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებულია 816 ერთეული სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი, საიდანაც 45 ერთეული (5.5%) ფუქციონირებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში [10].

საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ,

2017-2019 წლებში, განხორციელდა სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამები: **ა)** მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფო პროგრამა; **ბ)** მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; **გ)** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფა; **დ)** მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამა; **ე)** რძის მწარმოებელი სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. აღნიშნული პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა სულ 132 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შეადგენს, რომელთა მიმართ გაწეული ფინანსური მხარდაჭერა 9 851.5 ათასი ლარია. აქედან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 4 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (ბენეფიციართა ჯამური რაოდენობის 3%), რომელთა ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა 69.4 ათას ლარია, საერთო ოდენობის 0.7% [10].

ზემოთ მოცემული ანალიზის შედეგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებადი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ არიან საკმარისად ინფორმირებული სახელმწიფო პროგრამების თაობაზე ან/და არ არიან საკმარისად მზად იმავე პროგრამებით გათვალისწინებული პირობებისა და კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, რაც განვითარების შესაძლებლობათა გამოუყენებელობად უნდა შეფასდეს. ეს მიუთითებს საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის კოორდინირებული მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე.

კვლევის პროცესში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს ორგანიზებით და ჩვენი მონაწილეობით, შეხვედრა შედგა რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით ფუნქციონირებად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელმძღვანელებთან[4]. შეხვედრის პროცესში გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობაში ხელშემშლელი ფაქტორები,

რაც კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

• შინამეურნეობებს არ გააჩნიათ საკმარისი თეორიული ცოდნა კოოპერატივების არსსა და მნიშვნელობაზე, არ იცნობენ ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას;

• საფინანსო ინსტიტუტების კრედიტებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და/ან მათი წევრების საკუთრებაში არსებული აქტივების ადგილმდებარეობისა (როგორც წესი ისინი უმრავლეს შემთხვევაში განთავსებულია სოფლებში) და საბაზრო ღირებულებების გამო;

• კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოების სირთულე;

• კვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;

• სახელისუფლებო ორგანოების მიერ დადგენილი რეგულაციების შედეგად კოოპერატივების საჭიროებებისთვის (არაკომერციული მიზნებისთვის) ადგილობრივი ხე-ტყით შესყიდვის უფლების შეზღუდვა;

• საზაფხულო საძოვრებზე (იალაღები) დაზიანებული მისასვლელი გზები და საძოვრების გაბუჩქნარიანება და დასარევლიანება;

• საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის (რამდენიმე ათასი ჰა) არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულებით რეგისტრაცია და უახლოეს პერსპექტივაში საძოვრების მოსალოდნელი შემცირება. შესაბამისად, მესაქონლეობის გაურკვეველი პერსპექტივა;

• სარეალიზაციო ქსელში ფუტკრის დაბალხარისხიანი ან/და უხარისიხო პრეპარატები;

• წარმოებული თაფლის რეალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეები. შიდა ბაზარზე მნიშვნელოვნად მომატებული ფალსიფიცირებული თაფლი და კეთილსინდისიერი მწარმოებლების არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოში ჩაყენება;

• სამართლებრივად მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობა და მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები;

• ხარისხიანი სასუქების ნაკლებობა და ნაკლები ხელმისაწვდომობა;

• მრავალწლიან ნარგავებზე დაზღვევის მომსახურების არ არსებობა;

• სასოფლო - სამეურნეო კულტურების მიხედვით (მაგ. მოცვი), ვიწრო მიმართულების კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა;

• სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის ადგილზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გაზი, ელ. ენერგია, გზა) არ არსებობა, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში;

• საკუთრებაში არსებული ცოცხალი პირუტყვის დაზღვევის შეზღუდვა;

• წარმოებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის სერტიფიცირებასთან და სურსათის უვნებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, სარეალიზაციო ობიექტებისთვის (მარკეტები, სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვ.) მიწოდების შეზღუდვა;

• სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების წევრების კვალიფიკაციის გაზრდის ან/და გადამზადების საჭიროება.

გარდა აღნიშნულისა, რეგიონში კოოპერაციული გაერთიანებების ფორმირება და განვითარება საგრძნობლად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რის ძირითად შემაფერხებელ გარემოებას ეკონომიკურად სუსტი შინამეურნეობები განაპირობებენ, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ კოოპერაციული გაერთიანებების სუბიექტებს. მათ არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური და სხვა აუცილებელი რესურსები (ოპტიმალური ოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტექნოლოგიური და საწარმოო საშუალებები და სხვ.) რაც შესაძლებლობათა კონსოლიდაციისა და პრობლემათა ერთობლივი გადაწყვეტის საშუალებას მისცემდა.

რეგიონისთვის დამახასიათებელი წვრილი შინამეურნეობების, სავარგულების მაღალი ფრაგმენტაციის, წვრილკონტურიანობისა და რთული ბუნებრივ - კლიმატური პირობების გთვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია ბიზნეს

სუბიექტების მხრიდან არსებითი მოცულობისა და მნიშვნელობის ინვესტირება როგორც პირველად, ასევე გადამამუშავებელ სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში.

ზემოთ მოცემული ანალიზი ადასტურებს, რომ მსოფლიო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აჭარაში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასოფლო შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ. სწორად მიგვაჩნია-„საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარებას ალტერნატივა არა აქვს“ [5. გვ 307]. ამიტომ, სასასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კომპლექსური განვითარება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით.

რეგიონის დონეზე, ეკონომიკურ საკითხებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და მიღებული იქნას რეგიონის თავისებურებებთან მისადაგებული მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სტრატეგია.

აღნიშნული მიდგომით, ხელი შეეწყობა: შესაძლებლობათა კონსოლიდაციას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას და წარმოების ეფექტიანობის გაზრდას; ბუნებრივ - კლიმატური პირობებისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ერთგვაროვანი სახეობის პროდუქციის წარმოების გეოგრაფიული ზონალობისა და დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, მიზნობრივი ჯგუფების ფორმირებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სახელისუფლებო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობის ეფექტურობას კოოპერაციულ გაერთიანებებთან, საჭიროებებზე ორინტირებული პროგრამების დაგეგმვა - განხორციელების თვალსაზრისით.

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ხელშეწყობის ღო-

ნისძიებების გაფართოება გაცხადებული იქნა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 მარტის სხდომის შემდგომ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, ბოსტნეული კულტურების მწარმოებელი ფერმერები, შემნახველი მეურნეობის მოწყობისთვის კოოპერატივის შექმნისა დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, 80%-იან თანადაფინანსებას მიიღებენ. სწორედ ამ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში მნიშვნელოვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროაქტიური ჩართულობა და რეგიონის არსებითად განსხვავებული თავისებურებების გათვალისწინებით, კრიტერიუმების დიფერენცირებულად განსაზღვრა რეგიონში პროგრამის წარმატებულად განხორციელების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2021 წლიდან ახორციელებს ქვეპროგრამას - „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“. ქვეპროგრამის პირობებით გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერით, 2021 წელს ისარგებლა მხოლოდ ორმა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივმა.

ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია აღნიშნული ქვეპროგრამის მოდიფიკაცია და მისი ორ ქვეპროგრამად გაყოფა, კერძოდ: ა) „საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ და ბ) „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობა“. ორივე ქვეპროგრამის ორიენტირი უნდა იყოს საშუალოვადიან პერსპექტივაში სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივების თანამედროვე სახით ფორმირება და განვითარება.

პირველ შემთხვევაში მიღწეული იქნება ბენეფიციარი შინამეურნეობების მატერიალურ - ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივში გაწევრიანებისთვის მომზადება და პოტენციური წევრების ბაზის ფორმირება. ამასთან, ბენეფიციარებს უნდა გაეწიოს საინფორმაციო - საკონსულტაციო უზრუნველყოფა საოჯახო მეურნეობის მართვისა და საოჯახო მეურნეობის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივ-

ის წევრობისთვის მომზადების თეორიულ საკითხებში. აღნიშნული მისაღწევი შედეგები უნდა განისაზღვროს ქვეპროგრამის ინდიკატორით. მნიშვნელოვანია, რომ ქვეპროგრამის პირობები და ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვროს აღნიშნულ მიზანზე ორიენტირებულობით.

მეორე ქვეპროგრამის ფარგლებში, გარდა სასოფლო - სამეურნეო წარმოების განვითარების მხარდაჭერისა, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს კოოპერაციის განვითარების, მეორადი დონის გაერთიანებებისა და მათ წინაშე მდგარი საერთო გამოწვევების საპასუხო ხელშემწყობი ღონისძიებები, როგორიცაა: სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ცენტრის მოწყობა; მცენარეთა დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების გაზრდა; სასოფლო - სამეურნეო სავარგულების კონსოლიდაცია; პირუტყვის საკვები ბაზის წარმოების განვითარება; სარგავი და სათესლე მასალის წარმოების განვითარება; კვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებით უზრუნველყოფის გაზრდა; გადამამუშავებელი წარმოების განვითარება; წარმოებული პროდუქციის კონსოლიდაცია და რეალიზაცია (შენახვა, შეფუთვა, სერტიფიცირება, ბრენდირება, ტრანსპორტირება, რეალიზაცია) და სხვ. აღნიშნულის განხორციელებით, სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივები, თავის მხრივ მომსახურებას გაუწევენ, როგორც კოოპერატივის წევრებს, ასევე მომსახურების დიფერენცირებული პირობებით - არა წევრ მეურნეობებს. აღნიშნული მიდგომა კოოპერატივის არა წევრ მეურნეობებს წაახალისებს კოოპერატივის წევრობისკენ.

მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციულ - ეკონომიკური ფორმირების პროცესში დაცული იქნეს პრინციპი - ქვევიდან ზევით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფუნქციონირებადი და სიცოცხლისუნარიანი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ფორმირება.

დასკვნები და წინადადებები:

1. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ფორმები არის აჭარის ავტონომიური რესპუბიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ეფექტური საშუალება, მიუხედავად ამისა, იგი სუსტად არის განვითარებული რეგიონში;

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და სამთავრობო პროგრამების ფარგლებში, მნიშვნელოვანი აქტივობებია განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისთვის საჭირო საფუძვლების ფორმირებისთვის და საჭიროა ამ შესაძლებლობათა კონსოლიდაცია და მიმართვა შემდგომი განვითარებისათვის;

3. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა სამთავრობო და არასამთავრობო (მათ შორის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები) სექტორის კოორდინაციის გაძლიერება, ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებში რეგიონის თავისებურებებთან მისადაგებული მარეგულირებელი ნორმებისა და რეგიონში კოოპერაციის განვითარების სტარატეგიული გეგმის შემუშავება - მიღება;

4. სამთავრობო პროგრამების დაგეგმვა - განხორციელება სასოფლო - სამეურნეო კოოპერირების პერსპექტივით შინამეურნეობების შესაძლებლობათა გაზრდისა და არსებული სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

5. მიზანშეწონილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრომ განახორციელოს შინამეურნეობების აქტიური საინფორმაციო - საკონსულტაციო უზრუნველყოფა შინამეურნეობების ეფექტური მართვის და კოოპერაციის თავისებურებებსა და უპირატესობების თაობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA, საქართველოში ფერმერთა და კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება ფერმერთა საჭიროებების ჭრილში, 2017 წ.

2. ENPARD – AJARA, Support to Agricultural Development in the Ajara Automous Republic, PROGRESS REPORT.

3. The European Union for Georgia, EU- SUPPORTED AGRICULTURAL COOPERATIVES CASE OF GEORGIA, Contraqt N 2013/331728, Tbilisi, 2017.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შეხვედრა სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებთან, http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=4, 2022.

5. ნ. ჭითანავა, გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები, თბილისი 2021.

6. პ. კოღუაშვილი, დ. მამუკელაშვილი, კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ №10, 2020

7. პ. კოღუაშვილი, დ. მამუკელაშვილი, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყანაში, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №2, გვ. 47 -61, 2019

8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20723, 21.03.2021

9. საქართველოს კანონი „სასოფლო-sameurneo კოოპერატივის შესახებ“, ქუთაისი, №816 – რს, 12.07.2013

10. სოფლის განვითარების სააგენტო, eleqtronuli რეესტრი, http://cooperatives.rda.gov.ge/registry, 05.04.2022 .

REFERENCES:

1. Association of Young Economists of Georgia - Assessment of the state policy of promoting farmers and cooperation in Georgia in the context of farmers' needs, 2017.

2. ENPARD – AJARA, Support to Agricultural Development in the Ajara Automous Republic, PROGRESS REPORT.

3. The European Union for Georgia, EU-SUPPORTED AGRICULTURAL COOPERATIVES CASE OF GEORGIA, Contract N 2013/331728, Tbilisi, 2017.

4. Ministry of Agriculture of Adjara A/R, meeting with representatives of agricultural cooperatives: https://bit.ly/37qLTjw , 2022;

5. N. Chitanava, Global Challenges in a Unipolar World, Visible and Invisible Problems of Georgian Economic Transformation, Tbilisi 2021.

6. P. Koguashvili, D. Mamukelashvili, Development of Cooperative Agri Credit System in Georgia, Journal "Globalization and Business" №10, 2020

7. P. Koguashvili, D. Mamukelashvili, Experience in Development of Agricultural Cooperation in Different Countries of the World, Journal of Economics and Business, №2, p. 47 -61, 2019

8. Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia: https://bit.ly/3jejekm , 21.03.2021.

9. Law of Georgia on ''Agricultural Cooperatives'', Kutaisi, №816 - RS, 12.07.2013.

10. Rural Development Agency, Electronic Register: https://bit.ly/3v4MM9B , 05.04.2022

DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATION - INCREASING FACTOR OF HOUSEHOLD EFFICIENCY IN THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

Jambul Abuladze
Kutaisi University Doctorate
Jambulabuladze1@gmail.com

RESUME

In Georgia, during the transition period, the transformation of the agricultural sector is going through difficult processes. Existing economic organizational forms were dismantled as part of the Soviet system and organizational-economic forms based on market principles could not yet be fully formatted. As a result, during the transition period, primary agricultural production was mainly dominated by households, which is characterized with low competitiveness due to less access to modern technologies in the field, scarce resources and insufficient opportunities for market-economic factors. These factors appeared more sharply in Adjara A/R, which, compared to other regions, is more distinguished by small households, high fragmentation, small contour, harsh natural-climatic conditions, etc. It is important, to consider the experience of developed countries to have clear responses to the challenges. Firstly, agricultural cooperation must be promoted and developed, which will be achieved through the implementation of programs with the financial and technical support of state and international donor organizations.

Keywords: Households, Cooperative, Agricultural Production, Agricultural Cooperative, Government Programs.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის როლი მიწის ადმინისტრირებაში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-169

პაატა კოღუაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ანა ჭიპაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის
სადოქტორო პროგრამის -
„აგრარული ეკონომიკა" დოქტორანტი

რეზიუმე

მიწას ადამიანის სასიცოცხლო მატერიალურ პირობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია და საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. ამდენად, მნიშვნელოვანია თუ რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და ეკონომიკური შესაძლებლობანი. სამწუხაროდ აგრარული რეფორმის მიმდინარეობის პირობებში სწორად არ იქნა გადაწყვეტილი მიწის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობები და შესაბამისად ვერ იქნა მიღწეული დამაკმაყოფილებელი შედეგები. ცნობილია, რომ მიწა, როგორც საწარმოო ძალების განლაგებისა და მოქმედების სივრცობრივი ბაზისი, ყველა დარგისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში, სადაც მიწა წარმოადგენს შრომის იარაღს და შრომის საგანს.

მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის და წარმოების ძირითადი ფაქტორის ადმინისტრირება ქვეყნის

პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური თანამშრომლობაა. ამ თანამშრომლობამ თავისი ინსტიტუციონალიზების პროცესში შეიძინა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის ხასიათი (Public-Private-Partnership - PPP) და მიიღო საჯარო-კერძო პარტნიორობის სახელწოდება.

საჯარო-კერძო პარტნიორობა წარმოადგენს ჩარჩოს, რომელიც, აღიარებს და სტრუქტურირებას უკეთებს მთავრობის როლს სოციალური პასუხისმგებლობების შესრულებაში, სექტორის წარმატებულ რეფორმირებაში და საზოგადოებრივი ინვესტიციების განხორციელებაში და, ამასთანავე, ამ პროცესებში რთავს კერძო სექტორს.

საკვანძო სიტყვები: მიწის ადმინისტრირება, საჯარო-კერძო პარტნიორობა, ბლოკჩეინი.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის როლი მიწის ადმინისტრირებაში

საჯარო და კერძო თანამშრომლობა არის თანამშრომლობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის საჯარო ინფრასტრუქტურის ან/და საჯარო მომსახურების შეთავაზებას. აღნიშნული თანამშრომლობა არის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდა ერთი მხრივ სახელმწიფოსა და მეორე მხრივ სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ცალკეული კორპორაციების ხანგძლივი ურთიერთობის შედეგად.

PPP არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოდგენილი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ფორმით, რომელშიც გაერთიანებულია საჯარო და კერძო სექტორის პასუხისმგებლობები, მათზე მინიჭებული უფლებები და დაკისრებული

ვალდებულებები. სახელმწიფოს მიზანია საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება და საზოგადო სიკეთის შექმნა, ხოლო ბიზნეს ორგანიზაციის ინტერესშია მოგების მიღება.

ეფექტური საჯარო-კერძო პარტნიორობისას კონკრეტული დავალებების შესრულების პროცესში როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორს გარკვეული უპირატესობები აქვთ. ამ პარტნიორობაში მთავრობის მიერ შეტანილი წვლილი შეიძლება, გამოიხატოს საინვესტიციო კაპიტალით, აქტივების გადაცემით ან პარტნიორობის მხარდამჭერი სხვა ვალდებულებით, თუ არაფულადი წვლილით. სოციალური პასუხისმგებლობა, გარემოზე ზრუნვა, ადგილობრივი ნიუანსების ცოდნა და პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზების უნარიც მთავრობის კონტრიბუციაა. პარტნიორობაში კერძო სექტორის როლია კომერციულ საკითხებში, მენენჯმენტში, ოპერაციებსა და ინოვაციებში დაგროვილი ცოდნის გამოყენება ბიზნესის წარმატებით სამართავად. კერძო პარტნიორმა, ხელშეკრულების ტიპის მიხედვით, ასევე, შესაძლებელია, წვლილი შეიტანოს საინვესტიციო კაპიტალში. პარტნიორობის სტრუქტურა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ რისკები დააკისროს იმ პარტნიორს, რომელსაც საუკეთესოდ შეუძლია აღნიშნული რისკების მართვა და ამგვარად მუშაობის გაუმჯობესება მინიმალური დანახარჯებით.

საჯარო-კერძო პარტნიორობა მთელ მსოფლიოში ხორციელდება შემდეგ სექტორებში: წყალი და სანიტარული მომსახურება ელექტროენერგიის გამომუშავება და განაწილება, მილსადენები, საავადმყოფოები, ციხეები, რკინიგზა გზები, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები და სხვა.

სახელმწიფოს მონაწილეობა საჯარო-კერძო პარტნიორობაში განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: კერძო კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვა (ხშირად საჯარო რესურსების შესავსებად ან მათი სხვა საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გამოსათავისუფლებლად), ეფექტიანობის ზრდა და არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენება, სექტორების რეფორმირება როლების, ინიციატივების და ანგარიშვალდებულების ხელახალი გადანაწილების გზით.

კერძო სექტორის საჯარო-კერძო პარტნიორობაში მონაწილეობის მიზანს კი წარმოადგენს მისი შესაძლებლობებით და გამოცდილებით სარგებლობა ბიზნესების მართვის საკითხში. კერძო სექტორი შემოსავალს, თავისი მომსახურების საკომპენსაციოდ, იღებს მომსახურებაზე დაწესებული საფასურიდან, რაც ინვესტირებულ კაპიტალზე სათანადო ამონაგებს იძლევა.

იმის მიხედვით, თუ კერძო პარტნიორს რა მოცულობით გადაეცემა საკუთრებაზე უფლებამოსილება, როგორია მხარეთა საინვესტიციო ვალდებულებანი, პარტნიორებს შორის რისკების განაწილების პრინციპები, პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებაზე, გამოიყენება პარტნიორობის სხვადასხვა სახის მექანიზმები: BOT (Build, Operate, Transfer - მშენებლობა - ექსპლუატაცია, მართვა - გადაცემა), BOOT (Build, Own, Operate, Transfer - მშენებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია, მართვა - გადაცემა), BTO (Build, Transfer, Operate - მშენებლობა - გადაცემა - ექსპლუატაცია, მართვა), BOO (Build, Own, Operate - მშენებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია, მართვა), BOMT (Build, Operate, Maintain, Transfer - მშენებლობა - ექსპლუატაცია, მართვა - მომსახურება - გადაცემა), DBOOT (Desing, Build, Own, Operate, Transfer - პროექტირება - მშენებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია, მართვა - გადაცემა), DBFO (Design, Build, Finance, Operate - პროექტირება - მშენებლობა - ფინანსირება - ექსპლუატაცია, მართვა), Outsourcing - აუთსორსინგი - საჭირო მომსახურების მიღება გარე წყაროდან.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელის შემუშავება და დანერგვა ძირითადად წარმოიშვა ინფრასტრუქტურის სექტორებში, PPP-ები ამ სექტორებს გარეთ, მათ შორის ელექტრონულ მმართველობაში, სულ უფრო გავრცელებული ხდება.

საჯარო და კერძო სექტორის შორის თანამშრომლობა საქართველოში სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით მიმდინარეობს, სახელმწიფო კერძო სექტორთან ურთიერთობს პირდაპირ, ადმინისტრაციული ორგანოების ან სათანადო საჯარო სამართლის იურდიული პირების მეშვეობით, ხოლო ზო-

გიერთი ურთიერთობა ხორციელდება არაპირდაპირი გზით, სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის სუბიექტების მეშვეობით. საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის საკითხი საკანონმდებლო დონეზეა მოწესრიგებული. მიღებულია სპეციალური კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანო ინსტიტუტები, ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკი (EBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), აგრეთვე, წამყვანი საერთაშორისო იურიდიული კომპანიები.

ტრადიციულად, მიწის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულება და ინსტრუმენტების გამოყენება კლასიფიცირდება, როგორც სახელმწიფო მმართველობის სფერო. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყურადღება ეთმობა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას, განსაკუთრებით, როგორც მიწის რეგისტრაციისა და მიწის მართვის სისტემების ჩამოყალიბების ან გაძლიერების საშუალებას. მიწის ადმინისტრირებაში საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPP) კი განიხილება როგორც მიწის სრულყოფილი რეგისტრაციისა და მართვისკენ სვლის/მიღწევის საშუალება.

მიწის ადმინისტრირების სექტორში PPP-ის ჩამოყალიბება წარმოიშვა იმ ფაქტიდან, რომ მიწის ადმინისტრირების ორგანოები ბევრ ქვეყანაში სულ უფრო მეტად აცნობიერებდნენ მომხმარებლისთვის კარგი სერვისების მნიშვნელობას. ამ განვითარებაზე ძლიერ გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოს ცვლილებები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების სწრაფი ზრდა.

მიწის ადმინისტრირებაში არსებული PPP-ების უმეტესობა (მიწის PPP-ს) რეალურად არის ელექტრონული მმართველობის PPP-ების მაგალითები.

განვითარებულ ქვეყნებში პროექტების უმეტესობა, რომლებმაც გამოიყენეს მიწის PPP მოდელი, ორიენტირებულია ტექნოლოგიებისა და სისტემების დანერგვაზე სამთავრობო ფუნქციების უფრო ეფექტურად შესასრულებლად. განვითა-

რებადმა ქვეყნებმა განახორციელეს ინვესტიციები სისტემის აშენებისა და IT-ის კომპიუტერიზაციის კომბინაციაში ან სისტემის უფრო ეფექტურ მოდერნიზაციაში. PPP მიდგომა იქნა მიღებული ან გამოყენებული განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში მიწის ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესებული სერვისების უზრუნველსაყოფად მთელი რიგი საქმიანობისთვის, მათ შორის: მონაცემთა დიგიტალიზაცია და კონვერტაცია, ქონებრივი ტრანზაქციების (მათ შორის დამოწმებული ამონაწერების) რეგისტრაცია, CORS პოზიციონირების სერვისები (ძირითადი მომხმარებლები: ამზომველები), მიწის შეფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (პირველადი მომხმარებლები: ფინანსური ინსტიტუტები, უძრავი ქონების ბროკერები, შემფასებლები და სხვა), საგადასახადო დეკლარაციის მომზადება და/ან გადასახადების აკრეფა (პირველადი მომხმარებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება), მიწათსარგებლობის სისტემა, რუკები და ა.შ. (პირველადი მომხმარებელი: ადგილობრივი ხელისუფლება). მიწის ადმინისტრირებაში PPP-ის გამოყენების სარგებელი მრავალია: კაპიტალისა და დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა, ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და განახლებისთვის; გამოცდილების გაუმჯობესების შესაძლებლობა; ეფექტურობის მაქსიმალური გაზრდისა და ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობა კერძო სექტორის ცოდნისა და მართვასთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის მეშვეობით; მიწის რეგისტრაციის პროცედურების გაუმჯობესება დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში (LIC - Low-Income Country, MIC - Middle-Income Country); ორმხრივი ეკონომიკური სარგებელი (სამუშაოების აუთსორსინგი (გარე რესურსების მოზიდვა, შესასრულებელი საქმის სხვისთვის გადაბარება), დამატებითი ღირებულების სერვისების მიწოდება შესაბამისი ბიზნეს მოდელების მეშვეობით, ბაზრის ახალი სეგმენტების განვითარება; მიწის რეგისტრაციის სერვისების გაზრდილი მოქნილობა; დამატებითი მომხმარებელთა ჯგუფებისთვის (მაგ. კერძო სექტორის) გეოსივრცული ბაზის მონაცემების გამოყენების ხელშეწყობა და მიწის ადმინისტრირების

სერვისების მომხმარებელზე ორიენტირების გაუმჯობესება.

მიწის ადმინისტრირებაში PPP-ის მიმართ ზოგადი მიდგომა აღიარებს, რომ პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება რჩება სახელმწიფოზე, ხოლო სერვისების მიწოდება შეიძლება გაუმჯობესდეს კერძო სექტორის გამოყენებით, რაც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული თითოეული ქვეყნის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

მიწის ადმინისტრირებამ უნდა უპასუხოს საზოგადოების ცვალებად საჭიროებებს. PPP-ებს შეუძლიათ უზრუნველყონ თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო უნივერსალური და ეფექტური გამოყენება, რაც გამოიწვევს მიწის ადმინისტრირების ინოვაციურ გადაწყვეტილებებს და მოდელებს, მაგალითად, ბლოკჩეინის გამოყენებას მიწის რეგისტრაციაში.

„ბლოკჩეინი არის კიბერშეტევისაგან და ფიზიკური განადგურებისგან დაცული დამოუკიდებელი და დეცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა, რომელშიც არსებული ინფორმაციაც არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილასაა შენახული, არამედ მიმოფანტულია მსოფლიოში არსებულ მრავალ კომპიუტერში.“

ბლოკჩეინი არის „ბლოკების ჯაჭვი“, სადაც თითოეული ბლოკი წარმოადგენს ჩანაწერების ერთობლიობას. ბლოკები ინახავენ გარკვეულ ინფორმაციას ტანზაქციების შესახებ და ერთმანეთს რთული მათემატიკური ალგორითმებით უკავშირდებიან. ყოველი ასეთი ჩანაწერი, თავის მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს კრიპტოვალუტას, მიწის ნაკვეთს, ალმასს ან თუნდაც პირადობას. ამ თვალსაზრისით, თუ ტრადიციული ინტერნეტი არის ინფორმაციის ინტერნეტი, ბლოკჩეინი განიხილება „ღირებულების ინტერნეტად“. ამრიგად, ტექნოლოგიას აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია ღირებულების შენახვისა და გაცვლის გზაზე.

ბლოკჩეინ ტექნოლოგია ასევე საფუძვლად უდევს „სმარტ კონტრაქტებს“- „გონიერ კონტრაქტებს“. ეს არის პროგრამირებული კონტრაქტები, რომლებიც ამცირებს ადამიანური რესურსის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ადამიანური შეცდომის რისკის შემცირება, მეტი გამჭვირვა-

ლობა და პოტენციურად, სასამართლოში მიმართული დავების რაოდენობის შემცირება; ისინი ავტომატურად სრულდება გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში და გვთავაზობს ტრანზაქციებს ბევრად უფრო სწრაფად ბლოკჩეინში. მაგალითად, ქონების საკუთრება შეიძლება გადაეცეს მყიდველს ავტომატურად გამყიდველის ანგარიშზე თანხების მიღების შემდეგ. შედეგი - სწრაფი რეგისტრაციის პროცესი, რეესტრის დაუყოვნებელი განახლებით, რაც თავის მხრივ გამოიწვევს უფრო მეტ ეფექტურობასა და ხარჯების დაზოგვას მიწის რეგისტრაციისას.

მიწის ადმინისტრირებაში PPP-ების გამოყენების მაგალითები მრავალია:

ესტონეთში რეგისტრაციისა და ინფორმაციის ცენტრი მართავს 70-ზე მეტ მონაცემთა ბაზას. იმ დიდი რისკის გამო, რომ ვინმემ განზრახ ან შემთხვევით არ მოახდინოს ინფორმაციის ცვლილება, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ინფორმაციის შენახვა უსაფრთხოდ, დროულად და ხარისხიანად. შესაბამისად, მონაცემების დაცვის მიზნით ესტონეთის რეგისტაციის და ინფორმაციის ცენტრმა დაიწყო ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება შემდგომ ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა: ანდერძების რეგისტრაცია, სასამართლოს ციფრული ფაილების რეგისტრაცია, ბიზნესის რეგისტრაცია და მიწის რეგისტრაცია. ესტონეთის მიწის რეესტრში შეტანილი არის უკვე მილიონზე მეტი მონაცემი უძრავი ქონების შესახებ, რომელიც შეიცავს საკადასტრო ინფორმაციას (მისამართის, ფართობისა და მიწის დანიშნულების შესახებ), ჯიპიეს მონაცემებს და ზუსტ საკადასტრო ნახაზს. ჩანაწერები მოიცავს ინფორმაციას მფლობელების, მიწის გამოყენების ისტორიის, მიწაზე არსებული უფლებების და შეზღუდვების შესახებ და სხვა.

შვედეთიც მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებმაც გადაწყვიტეს, ბლოკჩეინ ტექნოლოგია გამოეყენებინათ მიწის რეგისტრაციაში. შვედეთის მიწის რეგისტრაციის ბიურო „Lantmäteriet“ ბლოკჩეინ ტექნოლოგიას იყენებს მიწის რეგისტრაციაში, რაც მიზნად ისახავს ქაღალდის დოკუმენტე-

ბის ამოგდება პროცესიდან, გაყალბების რისკის მინიმუმამდე დაყვანა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების დაჩქარება და სანდოობის გაზრდა უძრავი ქონების ბაზრისადმი.

The Netherlands' Cadastre (Land Registry and Mapping Agency – in short Kadaster) - ჰოლანდიის კადასტრი აგროვებს და აღრიცხავს ადმინისტრაციულ და სივრცით მონაცემებს ქონებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს მონაცემების უტყუარობას. ის ასევე არის პასუხისმგებელი ეროვნული რუკების შედგენასა და ეროვნული საცნობარო კოორდინატთა სისტემის დაცვაზე. ამასთან ის წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს მიწათსარგებლობის საკითხებთან და ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით.

The Netherlands' Kadaster იყენებს ტრადიციულ მიდგომას საჯარო-კერძო თანამშრომლობის მიმართ, რომელიც დაფუძნებულია კერძო სექტორთან თანამშრომლობაზე და მის აუთსორსინგიზე. როგორც წესი, გამოიყენება PPP-ის ფართო ინტერპრეტაცია, რომელიც მოიცავს როგორც კერძო სექტორის გამოყენებას ჩანაწერების (დოკუმენტები და საველე ფურცლები (რუკები) გაციფრულებაში დასახმარებლად, ასევე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების უფრო ზოგადი გაზიარება კერძო სექტორთან. მიწის რეგისტრაციის სფეროში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, Kadaster მოქმედებს როგორც „პროფესიული ღირებულების ჯაჭვის" ძირითადი კომპონენტი, რომელშიც ჩართულია ფართო საზოგადოება - უძრავი ქონების აგენტები, ფინანსური ინსტიტუტები და ნოტარიუსები (ნიდერლანდებში ქონების გადაცემა ყოველთვის ეფუძნება სანოტარო აქტს). ამ ჯაჭვში Kadaster-მა დაამყარა მრავალი პარტნიორობა, რომელიც ეფუძნება მჭიდრო თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოს პროცესის ეფექტურობა და ქმედითობა (მონაცემებზე, დოკუმენტებზე წვდომა, IT სისტემების ქსელი და ა.შ.).

მსოფლიოში ერთ-ერთ განვითარებული უძრავი ქონების ბაზარი აქვს **დუბაის.** დუბაის მიწის დეპარტამენტმა შექმნა

ბლოკჩეინ ტექნოლოგია ჭკვიანი და უსაფრთხო ბაზების გამოყენებით. მასში ხორციელდება უძრავი ქონების შესახებ ისეთი გარიგებების რეგისტრაცია, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, იპოთეკით დატვირთვა) და ამ ბაზებს აკავშირებს დუბაის ელექტროენერგიისა და წყლის სამსახურთან. ეს უკანასკნელი კი გასცემს საგადასახადო ამონაწერს, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ უძრავ ქონებასთან. აღნიშნული უკავშირდება ქვეყნის სამოქალაქო ბაზას და დუბაიში გამქირავებლებისა და დამქირავლებების ბაზას, რითაც ის შესაძლებლობას აძლევს დუბაის მაცხოვრებლებს ელექტრონულად, ინტერნეტის გამოყენებით განახორციელოს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება.

საქართველოში ბლოკჩეინ ტექნოლოგიების დანერგვა, უკავშირდება კომპანია ბიტფურის, მიწის რეგისტრაციისათვის, ბლოკჩიენის გამოყენება საინტერესო პრეცენდენტი გამოდგა მსოფლიოსათვის, ხოლო საქართველო პირველი იყო, რომელმაც მისი დანერგვა გადაწყვიტა და დღეს სამაგალითოა სხვა ქვეყნებისათვის.

საქართველოში, მიწის რეგისტრაცია უმნიშვნელოვანესია, ეკონომიკური რეფორმების ჩატარების მხრივაც, ვინაიდან მიწაზე უფლების ქონის რეგისტრაცია, წარმოადგენს ეკონომიკური საქმინობის ბაზისს.

საქართველოში მიწის რეგისტრაცია, მიმდინაროებს ბითკოინის ბლოკჩეინში, რომელსაც ანხორციელებს კომპანია ბითფური, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგზავნის მონაცემებს, რომლებიც შემდეგ ბითფურის მიერ იწერება ბითკოინის ბლოკჩიენში, ჩანაწერებისათვის გენერირდება ჰეშ კოდი, რომელიც უნიკალურია და რომელიც იცავს მონაცმებს. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ასევე ინარჩუნებს ძველ სერვერულ სისტემასაც.

საქართველოში მიწის ადმინისტრირებაში PPP-ს ერთ-ერთი მაგალითია ასევე ავტორიზებული მომხმარებლები. ავტორიზაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. ავტორიზაციის ხელშეკრუ-

ლების გაფორმების გზით სააგენტო ახდენს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული უფლებამოსილების დელეგირებას ავტორიზებულ პირზე, რის შემდეგაც ავტორიზებულ მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა: სააგენტოს ელექტრონული პროგრამების საშუალებით მოქალაქის სახელით წარადგინოს განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე გასცეს სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან/და ამონაწერი.

დღეისათვის სააგენტოს ავტორიზაციის ხელშეკრულება 450-მდე ორგანიზაციასთან აქვს გაფორმებული: სახელმწიფო სექტორი, ნოტარიუსები, ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, იურიდიული და საამზომველო კომპანიები, უძრავი ქონების სააგენტოები და სხვ. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისების მომხმარებელთა 40%-ზე მეტი კი სწორედ ავტორიზებული პირების მომსახურებით სარგებლობს.

მიწის ადმინისტრირებაში PPP-ს მაგალითია ასევე სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს მიერ თელავის მუნიციპალიტეტში „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ საპილოტე პროექტი, რომელიც კონტრაქტორმა კერძო კომპანიამ განახორციელა აუთსორსინგის მეშვეობით.

დროთა განმავლობაში, აუთსორსინგი მეტად პოპულარული ალტერნატივა ხდება შიდა სპეციალისტების აყვანასთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის რომ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, აუთსორსინგის შემთხვევაში სახელმწიფო უწყება იღებს უფრო მაღალ ხარისხს, უფრო დაბალ ფასად. ამას აქვს ორი ძირითადი მიზეზი: ა) შიდა სპეციალისტის აყვანის შემთხვევაში სახელმწიფო უწყება იღებს შეზღუდულ რესურსს – სპეციალისტის დროს, ხოლო გარე კომპანიის დაქირავების შედეგად მიღებული რესურსები გაცილებით უფრო დიდია, რადგან გარე კომპანია სპეციალიზებულია ამ კონკრეტულ სერვისზე და ჰყავს მეტი კადრი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სერვისის თითოეული ელემენტის სწორად წარმართვასა და მიწოდებას. ეს კი უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებაში გა-

მოიხატება. ბ) აუთსორსინგულ კომპანიას წვდომა აქვს თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფებსა და სხვა ტექნოლოგიებზე, რომლებიც წლების განმავლობაშია შემუშავებული და დახვეწილი, რაც აუთსორსინგულ კომპანიაში მომუშავე კადრებს საკუთარი დროის უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს. ეს კი განაპირობებს ნაკლებ დანახარჯსა და შედეგად ნაკლებ ფასს.

მიწის ადმინისტრირებაში არსებული PPP-ების უმეტესობა რეალურად არის ელექტრონული მმართველობის PPP-ების მაგალითები, რადგან ისინი ორიენტირებულია ტექნოლოგიაზე.

მსოფლიო ბანკი ელექტრონულ მმართველობას განმარტავს, როგორც „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელსაც იყენებენ მთავრობები, რათა გააფართოვონ მოქალაქეებისთვის, ბიზნესებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და სხვა სამთავრობო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაციისა და სერვისების სპექტრი, ხარისხი და მოხერხებულობა, რაც სამთავრობო პროცესებს უფრო გამჭვირვალეს და ანგარიშვალდებულს ხდის...“ იუნესკოს განსაზღვრებით (www.unesco.org) – ელექტრონული მმართველობა გულისხმობს საჯარო სექტორის მხრიდან ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებისათვის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად, ასევე ხელისუფლების უფრო ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ელექტრონული მმართველობის PPP-ები არის პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ მომსახურებას. მაგალითად, ელექტრონული მმართველობის PPP-ები შეიძლება მოიცავდეს ერთი ფანჯრის ვაჭრობის, ბიზნეს რეესტრის და სხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გადაწყვეტილებების უზრუნველყოფას PPP კონტრაქტის მეშვეობით.

ელექტრონული მმართველობის მიზანია ჩართოს მოქალაქე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აღჭურვოს იგი რეალუ-

რი ძალაუფლებით, გაზარდოს მისი, როგორც საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილის შესაძლებლობები. ელექტრონული მმართველობა მსოფლიო საზოგადოების განვითარების ერთ--ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. სახელმწიფო მმართველობის ეს ახალი და ნოვატორული საშუალება აქტიურად იმკვიდრებს ადგილს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმი.

ონტარიოს შტატი **კანადაში** წარმოადგენს PPP-ების გამოყენების ამბიციური მიდგომის ადრეულ და, ზოგიერთის აზრით, მთავარ მაგალითს. 1991 წელს PPP ერთობლივი საწარმოს სახით იყო წარმოდგენილი ონტარიოს პროვინციის მიწის რეესტრსა და Terranet-ს შორის, რათა მომხდარიყო ქაღალდზე დაფუძნებული მიწის ჩანაწერების დიგიტალიზაცია და პროცესების ავტომატიზაცია მიწის საკუთრების ელექტრონულ სისტემაში. ერთობლივი საწარმო შეიქმნა მას შემდეგ, რაც პროვინციულმა მთავრობამ მცირე პროგრესს მიაღწია თავისი ჩანაწერების გაციფრულებაში და მიიღო 50/50 პარტნიორობის ფორმა თანაბარი შენატანებით გადახდილი ნაღდი ფულით კერძო პარტნიორის მიერ, ხოლო ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სახით საჯარო პარტნიორის მიერ. მონაცემების მფლობელობა მთავრობას დარჩა, მაგრამ ბიზნეს მოდელი მოიცავდა არა მხოლოდ უძრავი ქონების ტრანზაქციებიდან მიღებული შემოსავლის წილს, არამედ მონაცემთა გამოყენების ექსკლუზიურ ლიცენზიას, რაც საშუალებას აძლევდა ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას მიწის ხელახალ შეფუთვაზე დაყრდნობით. ფინანსურად, პარტნიორობამ პროვინციას შემოსავალი მოუტანა. 2010 წელს, Terranet-მა გადაიხადა 1 მილიარდი კანადური დოლარი ონტარიოში 50-წლიანი კონცესიისთვის, რათა ოპერირება გაუწიოს პროვინციის მიწის რეესტრის სისტემას.

მიწის ადმინისტრირებაში PPP-ს გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია 1998 წელს ინდოეთში, მაჰარაშტრაში, შექმნილი PPP BOT ((Build, Operate, Transfer - მშენებლობა, მართვა, გადაცემა) მოდელის გამოყენებით, რათა მოეხდინა სახელმწიფო აქტების

რეესტრის ავტომატიზაცია. ადგილობრივმა კონსორციუმმა, რომელიც მოიცავდა Advanced Computing Development Center-ს (C-DAC), კონტრაქტი დაუდო მაჰარაშტრას მთავრობის ბეჭდვისა და რეგისტრაციის დეპარტამენტს, რათა დაეფუძნებინა IT სისტემა დოკუმენტების რეესტრის ავტომატიზაციისთვის, რომელიც 1999 წელს გამოვიდა. BOT-ის შეთანხმების ფარგლებში, კერძო კომპანიებმა განახორციელეს ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, დაამონტაჟეს სტანდარტული მოწყობილობები, უზრუნველყვეს მოთხოვნილების საგნებით. კომპანიებმა ასევე უზრუნველყვეს პერსონალი მონაცემთა შეყვანისა და სარეგისტრაციო დოკუმენტების მუდმივი სკანირებისთვის. შესაბამისად, სამთავრობო ხარჯები მინიმალური იყო პროგრამაში, რომელიც სხვაგვარი შეფასდებით, 3 მილიონ დოლარი დაჯდებოდა სახელმწიფოს რომ განეხორციელებინა.

სამხრეთ კორეაში უძრავი ქონების რეგისტრაციის სერვისები უზრუნველყოფილია როგორც სრული ელექტრონული მმართველობის პაკეტის ნაწილი, რომელიც შემუშავებულია მთავრობასა და LG Corporation-ს შორის PPP შეთანხმების ფარგლებში. კორეის მიწის საინფორმაციო სისტემა (KLIS) მოიცავს 35 მილიონ ნაკვეთს, 750,000 ციფრული რუკას და ერთიან რუკას, რომელიც უზრუნველყოფს კორეის მოქალაქეებისთვის გამჭვირვალობას, ეფექტურობას, საიმედოობას და უკეთეს მომსახურებას მინიმალური დანახარჯებით.

ფილიპინებში იუსტიციის დეპარტამენტის მმართველობის სფეროში მოქმედმა მიწის ოფისმა გამოიყენა PPP BOO მოდელი მიწის რეგისტრაციის სერვისის მართვისთვის.

აშშ-ში რამდენიმე County Register of Deeds -მა (ქვეყნის ჩანაწერების რეესტრი) გამოიყენა PPP სკანირებისა და საძიებო სისტემების დანერგვის მიზნით, როგორც ჩანაწერის რეგისტრაციის პროცესის ნაწილი.

ახალმა ზელანდიამ მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმიანობის ნაწილი გადასცა (Outsource) კერძო სექტორს LINZ -ის (land Information New Zealand - მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია ახალი ზელანდია) მეშვეობით და აგრძელებს

მეტი პასუხისმგებლობისა და რისკის გადანაწილებას კერძო სექტორზე, რაც ხელს უწყობს სრულ PPP სტრუქტურაზე გადასვლის განხილვას.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტური კანონებისა და პოლიტიკის გატარებას. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობას მიწის ადმინისტრირებაში მოაქვს მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული მიწის რეგისტრაციის სერვისები და საგრძნობლად აუმჯობესებს მიწის რეგისტრაციის პროცედურებს. გარდა ამისა, PPP უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდების უფრო მაღალ დონეს, ხარჯების ეფექტურობას და საინვესტიციო რისკების შემცირებას მონაწილე მხარეებისთვის.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ/REFERENCES:

1. პაატა კოღუაშვილი, ჯუმბერ ფანჩულიძე, მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი, სტუ გამომცემლობა, თბილისი, 2022, (Paata Koguashvili, Jumber Panchulidze, Land Administration and Land Use Monitoring, GTU Publishing House, Tbilisi, 2022);

2. PUBLIC-PRIVATE PARTNERSHIPS IN LAND ADMINISTRATION Analytical and Operational Frameworks, The World Bank Group, 2020, https://ppiaf.org/documents/6006/download

3. Exploring PPPs in Support of Fit-for-Purpose Land Administration: A Case Study from Côte d'Ivoire Ana García-Morán, Simon Ulvund, Eva-Maria Unger and Rohan Mark Bennett

4. AN ASSESSMENT OF PPPS IN LAND ADMINISTRATION: DEVELOPMENT OF A SET OF GUIDING PRINCIPLES FOR EFFECTIVE PPP IMPLEMENTATION, JOHN MEADOWS, KATE FAIRLIE, TONY BURNS, "2018 WORLD BANK CONFERENCE ON LAND AND POVERTY", The World Bank - Washington DC, March 19-

23, 2018. https://www.oicrf.org/documents/40950/0/27_Paper_01-05-Meadows-264.pdf/6b2e2f18-4612-6862-6ca9-071e11995077?t=1558952022821

5. public-Private Partnership in Land Administration, UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE, Geneva, 2021, https://unece.org/sites/default/files/2021-10/PPPs_LA_E.pdf

6. PUBLIC-PRIVATE PARTNERSHIP (PPP) IN LAND ADMINISTRATION, Prepared by Mr. P. Creuzer (Germany) and B. Kjellson (Sweden), UNITED NATIONS, Economic and Social Council, COMMITTEE ON HUMAN SETTLEMENTS, Working Party on Land Administration, Fourth session, Geneva, 21-22 November 2005, pg. 2. https://digitallibrary.un.org/record/556085

7. https://www.kadaster.nl/about-us

8. https://www.malaysia.gov.my/portal/content/30791

9. https://ppp.gov.ge/app/uploads/2020/05/PPP_Guide_GEO_PRINT.pdf

10. საჯარო-კერძო პარტნიორობის სახელმძღვანელო, აზიის განვითარების ბანკი, 2008 წ, (Public-Private Partnership Handbook, Asian Development Bank, 2008); https://www.adb.org/ka/documents/public-private-partnership-ppp-handbook

11. http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=18&rubr=0&mas=616

12. PPP საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები, გიორგი უსტიაშვილი (PPP Legal Basis of Public-Private Partnership, Giorgi Ustiashvili)https://www.researchgate.net/publication/350947483_PPP_sajaro_da_kerdzo_tanamshromlobis_samartlebrivi_sapudzvlebi

13. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, გვ.: 33-34, (Explanatory Card of the Draft Law of Georgia on Public-Private Partnership, pp .: 33-34); https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159500

14. Wright, A. a. (2015 წლის 10 მარტი). SSRN. https://ssrn.com/abstract=2580664

15. საჯარო-კერძო პარტნიორობა, კევინ რ სმიტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015; (Public-Private Partnership, Kevin R. Smith, Georgian Young Lawyers Association, Tbilisi, 2015);

16. გონიერი კონტრაქტები: სამართლებრივი ჩარჩო და სახელმძღვანელო მითითებები კანონმდებლებისთვის, (Smart Contracts: Legal Framework and Guidelines for Legislators); http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf

17. Blockchain and land registries: records of the future?, 2017, https://www.osborneclarke.com/insights/blockchain-and-land-registries-records-of-the-future

18. Sandro Samadbegishvili, „Legal Framework of PPP in Georgia and Prospects of Development", სემინარი Seminar (MKD, თბილისი Tbilisi, 18 მარტი (March, 2016)

19. Dubai Will Put Entire Land Registry on a Blockchain, 2017, https://www.ccn.com/100-dubai-put-entire-land-registry-blockchain/

20. https://ants.ge/%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/

21. ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა - საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო (E-Government and E-Transparency - International Trends and Georgia) https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/Chapter%20I%20geo.pdf

THE ROLE OF PUBLIC-PRIVATE PARTNERSHIPS IN LAND ADMINISTRATION

Paata Koguashvili
GTU Professor
Ana chipashvili
GTU, PhD Student
Faculty of Agrarian Sciences and Biosystems Engineering
Doctoral Program - "Agrarian Economics"

RESUME

The earth occupies a special place among the living material conditions of man and is a necessary condition for the existence of society. Thus, it is important to see how effectively the natural, agricultural and economic potential of the land will be used. Unfortunately, under the conditions of the agrarian reform, the possibilities of rational land use were not properly taken into account and, consequently, it was not possible to achieve satisfactory results. It is known that land, as a spatial basis for the location and operation of productive forces, plays an important role in all areas, but it is especially important in agriculture, where land is an instrument of labor and an object of labor.

The administration of land, as an important natural resource and a key factor of production is a task of political and socio-economic importance for the country.

International experience shows that the necessary condition for the development of an effective market economy is active cooperation between state authorities and business. In the process of institutionalization, this cooperation took on the character of a public-private partnership (PPP) and was renamed public-private partnership.

The public-private partnership is a framework that recognizes and structures the role of government in fulfilling its social respon-

sibilities, successfully reforming the sector and implementing public investment, and at the same time integrates the private sector into these processes.

Public-private partnerships are vital to economic development as engagement, participation and collaboration contribute to more effective laws and policies. Public-private partnerships in land administration bring flexible and customer-oriented land registration services and significantly improve land registration procedures. In addition, PPP brings a higher level of service delivery, cost-effectiveness, and reduced investment risks to participating parties.

Keywords: Land Administration, Public-Private Partnership, Blockchain.

წრფივი და ცირკულარული ეკონომიკის მოდელების შედარებითი ანალიზი

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-188

ბელა კუტიბაშვილი
სტუ დოქტორანტი,
bkutibashvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ქვეყნის წრფივი და ცირკულარული ეკონომიკის მოდელების შედარებითი ანალიზი. გაანალიზებილია ეკონომიკის წრფივი განვითარების შედეგები და ის უარყოფითი გამოწვევები, რომელიც თან ახლავს ამ მოდელის ტრადიციულ გამოყენებას. ავტორის მიერ სტატიაში დახასიათებულია ქვეყნის მდგრად განვითარებაზე გადასვლის ცირკულარული ეკონომიკური მოდელი, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს წარმოებაში რესურსების უდანაკარგოდ და ეფექტურ გამოყენებას. ამასთან ერთად ეკონომიკის განვითარების ამ მოდელისათვის დამახასიათებელია უნარჩენო წარმოების განვითარება, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება ნარჩენების ხელმეორედ გადამუშავება და წარმოებული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ზრდა. ცირკულარული ეკონომიკის მოდელის ფუნქციონირების პირობებში მოქმედებს პრინციპი **„მოიპოვე-გამოიყენე-გადაამუშავე-ისევ გამოიყენე“.** აღნიშნული პრინციპის დანერგვა მეწარმეობის სფეროში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მოდელზე გადასვლას და 2030 წლისათვის გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნის მიღწევას.

შესავალი

ცირკულარული ეკონომიკა არის ეკონომიკური საქმიანობის მართვის სისტემა, რომლის მიზანსაც განეკუთვნება ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და ადამიანის სამეწარმეო საქმიან-

ობისგან წარმოქმნილი ნარჩენების უდანაკარგოდ გამოყენება და მისი ხელმეორედ გადამუშავება და კვლავწარმოების განვითარება. ცირკულარული ეკონომიკური განვითარების მოდელი მდგრადი განვითარების არსებითი ელემენტია და არსებითად განსხვავდბა ეკონომიკის წრფივი განვითარების მოდელისაგან, რომლის დროსაც სახეზე გვაქვს რესურსების არაყაირათიანი გამოყენება და წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი შემცირება. სწორედ 21-ე საუკუნეში დღის წესრიგში დადგა თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის წრფივი განვითარების მოდელიდან ცირკულარული ეკონომიკური განვითრების მოდელზე გადასვლა, რომელიც საბოლო ჯამში უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრადი განვითარების ტენდენციებზე გადაყვანას.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული ეკონომიკა, წრფივი ეკონომიკა, შედარებითი ანალიზი, უნარჩენო წარმოება, მდგრადი განვითარება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ცირკულარული ეკონომიკური მოდელი წარმოადგენს ეკონომიკური სისტემას, რომელიც მიზანად ისახავს წარმოების ნარჩენების აღმოფხვრას და უკვე მოხმარებული რესურსების მუდმივ გამოყენებას. ცირკულარული სისტემის მთავარი "იარაღია" : ხელახალი მოხმარება, გადამუშავება, შეკეთება, რეაბილიტაცია და სხვა ისეთი ხერხები, რომლის შედეგადაც კონკრეტული ნივთი და მასალა ვარგისი ხდება გამოსაყენებლად. ცირკულარული ეკონომიკის მოწოდებაა, რომ დანერგოს საზოგადოებაში: "ნარჩენი არ არის ნაგავი" და ნებისმიერი ნედლეული კონკრეტული საქმიანობისთვის გამოსადეგია. განახლებადი ენერგიის გამოყენების, შემცირებული გამონაბოლქვისა და ნარჩენების შემცირების ალტერნატივების ფონზე ცირკულარული ეკონომიკა საშუალებას გვაძლევს, ვიცხოვროთ იმ შესაძლებლობების და რესურსების საზღვრებში, რომელსაც დედამიწა იძლევა.

ცირკულარული ეკონომიკის 5 ძირითად სარგებელს წარმოადგენს:

• ახალი, "მწვანე ინდუსტრიებისა"და სამუშაო ადგილების შექმნა;

• სხვადასხვა ნედლეულის იმპორტის შემცირება;

• რესურსების გამოყენების შემცირების შედეგად გარემოს ნაკლები დაბინძურება;

• ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების პერსპექტივა;

• ენერგიის, რესურსებისა და ნარჩენების შემცირებით ნაკლები ხარჯები.

დღეისათვის ცირკულარულ ეკონომიკაში ინვესტირების კუთხით ევროპის ლიდერი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება : დიდი ბრიტანეთი– 31 მილიონი $, გერმანია– 28,7 მილიონი აშშ დოლარი,საფრანგეთი– 21,3 მილიონი აშშ. დოლარი, იტალია– 17,8 მილიონი აშშ. დოლარი და ესპანეთი– 11 მილიონი აშშ. დოლარი.

ცირკულარული ეკონომიკური მოდელისაგან განსხვავებით ტრადიციული (წრფივი) ეკონომიკური მოდელი სწორხაზოვან ეკონომიკას ეფუძვნება. სწორხაზოვან (წრფივ) ეკონომიკაში მოქმედებს შემდეგი პრინციპი: „აწარმოე-მოიხმარე-გადაყარე", რომლის შედეგადაც რესურსების 95% იკარგება. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ საგნებთან მიმართებით ამგვარი დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა, რომ მათ მოხმარებას ვწყვეტთ მაშინ, როცა გვბეზრდება ან რაიმე უფუჭდება. შემდეგ ამ ნივთს ფიქრის გარეშე ვისვრით ნაგავსაყრელზე. შედეგად, ოკეანეებში ნარჩენებისგან იქმნება სხვადასხვა შტატისა თუ ქვეყნისხელა კუნძულები. რესურსები უსასრულო რაოდენობის არ არის და ერთ დღესაც ის გამოილევა. რაც უფრო მეტ რესურსს ვხარჯავთ, უფრო ნაკლები რჩება მომდევნო თაობებს.

წრფივი ანუ სწორხაზოვანი ეკონომიკური მოდელის გამოწვევებს ქვეყანაში წარმოადგენს:

• არაგანახლებადი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების ზრდა;

• მოპოვებული რესურსების 20% -ის ნარჩენებში მოხვედრა;

• კლიმატის ცვლილება და ეკოსისტემათა ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია;

• მრავალი სახის ნედლეულის დეფიციტის გამოწვევა;
• რესურსების არაეფექტური მოხმარება;
• ერთ მომხმარებელზე გათვლილი პროდუქცია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხვდება ნაგავსაყრელზე.

ცირკულარული ეკონომიკური მოდელის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს - **„მოიპოვე-გამოიყენე-გადაამუშავე-ისევ გამოიყენე“** სწორედ ამ პრინციპებით სარგებლობენ ცირკულარული ეკონომიკით დაინტერესებული კომპანიები. ცირკულარული ეკონომიკის მოდელის ერთ-ერთი უპირატესობაა-მოხმარების პროცესში, პროდუქტების მართვა იმგვარად ხდება, რომ მათი მოხმარების ეფექტიანობა მაქსიმალურად გაიზარდოს და მათი ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. მოდელი უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს და მისი არსი, ნედლეულის გამოყენებაზე ზეწოლის შემცირებაა. მას აღიარებენ როგორც მწვანე ეკონომიკის, ბუნებასთან მეგობრული დამოკიდებულების მოდელს.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის სახეზე გვაქვს ძირითადში ხუთი ბიზნეს მოდელი, მათ განეკუთვნება: მდგრადი რესურსების მოხმარება, რესურსების აღდგენა, პროდუქციის საციცოცხლო ციკლის გახანგრძლივება, შესაძლებლობების გაზიარება და პროდუქციის, როგორც მომსახურების მიმწოდებელი ფირმები (Accetare, 2014)

ამოწურვადი რესურსების პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია სამყარო გადავიდეს სწორხაზოვანი ეკონომიკიდან ცირკულარულ ეკონომიკაზე, რომელიც რესურსების მრავალჯერადი გამოყენების საშუალებას იძლევა. 2020 წლის მარტში გამოქვეყნებული ევროკავშირის „ცირკულარული ეკონომიკა“ სამოქმედო გეგმა ახალი ფართო შესაძლებლობების გახსნის საშუალებას იძლევა. ცირკულარულ ეკონომიკას აქვს პოტენციალი 2030 წლისათვის გაზარდოს მთლიანი სამამულო პროდუქციის წარმოება 0,5% და შექმნას 700 000 ახალი სამუშაო ადგილი. ევროკავშირი ცირკულარული ეკონომიკის განვითარების კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ელექტროენერ-

გეტიკის, ტექსტილის, პლასტმასის, საკვების გადამუშავების და მათი შეფუთვის ინდუსტრიის განვითარებას.

მდგრადი რესურების მომხმარებელი ფორმის მოდელი ეფუძნება განახლებადი, გადამუშავებადი რესურსების სრულად გამოყენებას. რესურსების აღმდგენი ბიზნეს მოდელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ იგი ხდება ახალი პროდუქციის რესურსი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის გამხანგრძლივებელი მოდელი ეფუძნება საციცოცხლო ციკლის ზრდას და წარმოებაში მისი დაბრუნების შესაძლებლობებს. შესალებლობების გაზრდის მოდელი გულისხმობს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის თანამშრომლობის მაღალ დონეს და ამ პროცესში იგი გამოუყენებელი სიმძლავრეების პრობლემების მოგვარებისკენ ისწრაფვის. ხოლო საქონელი როგორც მომსახურების მოდელი გულისხმობს კომპანიის პროდუქციის განახლების შესაძლებლობების ზრდას.

ცირკულარული ეკონომიკის მოდელის გამოყენების მრავალი მაგალითი არსებობს, როგორც თანამედროვე მსოფლიოში ისე საქართველოში. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივების საუკეთესო მაგალითია შვედური კომპანია "Nudie Jeans", რომელმაც წარმატებით დანერგა ხელახალი გამოყენების, აღდგენისა და გადამუშავების პრინციპები. ამ ფირმის მაღაზიების ქსელში სტოჰოლმში მომხმარებლებს სთავაზობენ ახალ პროდუქციაზე 20% ფასდაკლებას იმ შემთხვევაში თუ ძველ ტანსაცმელს დააბრუნებენ, მაგალითად დაბრუნებული ჯინსები ირეცხება, აღდგება და ამ ფირმის მაღაზიებში მეორეული ტანსაცმლის სექციებში ფასდაკლებით იყიდება. ქართულ რეალობაში ამის საუკეთესო მაგალითია „Beko-ს" რეკლამა ძველი საოჯახო ტექნიკის ჩაბარებისას ახალ ტექნიკის მომხმარებლებისათვის ფასდაკლებით შეთავაზება.

ცირკულარული ეკონომიკის მიმართულებით დღეისათვის ქართულ რეალობაში კარგი მაგალითია „შატო ზეგაანი" კახეთში, რომელიც მევენეხეობაში რესურსების დამზოგველ და ცირკულარული ეკონომიკის მეთოდებს იყენებს. კერძოდ ვენა-

ხების საყრდენებად გამოყენებულია ბიოდეგრადირებული აკ-აციის და მუხის საყრდენი მასალა. ვაზის გასხვლა, შეყელვა და მოსავლის აღება მხოლოდ ხელით სრულდება. ვაზის ასახვევად გამოიყენება სიმინდის ფოთლის ბოჭკოები, ხოლო ნიადაგის გასანაყოფიერებლად შეაქვთ მხოლოდ ორგანული სასუქი.(„შატო ზეგაანი“, 2020). ბიოწარმოების ტენოლოოგიის დაცვით „შატო ზეგაანი“ ყურძნის ნარჩენი წიპწისგან ამზადებს წიპწის ზეთს, რომელიც გამოიყენება კოსმეტიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში. ვენახის გასხვლის შედეგად დარჩენილი ნარჩენებისგან ამზადებს სასუქს და კვლავ ვენახში შეაქვს ნიადაგის გასანაყოფიერებლად. ცირკულარული ეკონომიკის მოდელიდან გამომდინარე ფირმა „შატო ზეგაანი“ ერთდროულად არის მწარმოებელიც და მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემების მომგვარებელიც.

ასევე საინტერესოა შპს „თი ერ სი“-ის საქმიანობა, რომელიც საბურავების გადამუშავების შედეგად სტადიონების სარბენი ბილიკებისათვის კაუჩუკის გრანულებს აწარმოებს. (bia.ge. 2019). ხოლო შპს „ბიოდიზელ ჯორჯია“ უკვე გამოყენებული თერმულად დამუშავებული საკვები ზეთის ნარჩენებით ბიოსაწვავს ამზადებს. (mera.gov.ge. 2018)

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

21-ე საუკუნეში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის განვითარება ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოოგიის გამოყენებასა და მდგრადი განვითარების პრინციპებს. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისათვის ცირკულარული ეკონომიკის მოდელი ერთ-ერთ მთავარ ალტერნატივას წარმოადგენს.

საქართველოს პირობებში ცირკულარ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლით შესაძლებელია ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა და ეკონომიკის განვითარების ახალ საფეხურზე გადაყვანა.

ცირკულარული ეკონომიკა განეკუთვნება გაეროს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტი მიზნის მიღწევის საფუძველს და ამ მოდელის აღსრულების ბერკეტად საერთაშორისო დონეზე

მიჩნეულია რეგულაციები და წამახალისებელი აქტივობები.

წრფივი განვითარების ეკონომიკური მოდელი გარემოზე მავნე ზემოქმედებას ახდენს და იწვევს რესურსების ამოწურვას და არაყაირათიან გამოყენებას. ხოლო ცირკულარული ეკონომიკური მოდელის მთავარი არსია რესურსების ეფექტიანი გამოყენება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით და მას გააჩნია პოტენციალი რომ 2030 წლისათვის ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი გაზარდოს 0,5% და დამატებით შექმნას 700 000 სამუშაო ადგილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. ბაიაშვილი, წრიული ეკონომიკის ბიზნეს მოდელები მსოფლიოსა და საქართველოში. 2020წ.

2. ბ. ბაიაშვილი მდგრადი განვითარებისა და წრიული ეკონომიკი შედარებითი ანალიზი 2020წ.

3. ს. პავლიაშვილი, დ. გუბელაძე, ბუნებრივი რესურსების ოპტიმიზაცია, ნარჩენების მიმართ პასუხისმგებლობა და ცირკულარული ეკონომიკა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული თბ. 2019წ.

4. https://cutt.ly/0G1BUOd

5. https://sdg.gov.ge/goals-details-inner/11

6. https://www.renovablesverdes.com/ka/definicion-de-desarrollo-sostenible/

7. https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=12291

REFERENCES:

1. B. Baiashvili, Business models of circular economy in the world and in Georgia; 2020. (in Georgian)

2. B. Baiashvili, Comparative Analysis of Sustainable Development and Circular Economy; 2020. (in Georgian)

3. S. Pavliashvili; D. Gubeladze; Natural resource optimization, waste management and circular economics. Iv. Javakhishvili Tbilisi State University Proceedings Tb. 2019 (in Georgian)

4. https://cutt.ly/0G1BUOd

5. https://sdg.gov.ge/goals-details-inner/11
6. https://www.renovablesverdes.com/ka/definicion-de-desarrollo-sostenible/
7. https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=12291

COMPARATIVE ANALYSIS OF LINEAR AND CIRCULAR ECONOMY MODELS

Bela Kutibashvili,
Phd Student of GTU,
bkutibashvili@gmail.com

RESUME

The article discusses the comparative analysis of the country's linear and circular economy models by the author. The results of the linear development of the analyzed economy and the negative challenges that accompany the traditional use of this model. The author describes the article as a circular economic model of the country's transition to sustainable development, which in the future will ensure the loss of resources and efficient use of resources in production. In addition, this model of economic development is characterized by the development of waste production, during which it is possible to recycle waste and increase the life cycle of the products produced. Under the operating conditions of the circular economy model, the principle of "gain-use-process-use again" applies. The introduction of this principle in the field of entrepreneurship will ensure the transition to a model of sustainable development of the country's economy and the achievement of 17 UN Sustainable Development Goals by 2030.

Keywords: Circular economy, Linear economy, Comparative analysis, Waste production, sustainable development.

აგროტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-196

მარინა მეტრეველი
სტუ პროფესორი,
metrevelimarina7@gmail.com

რეზიუმე

განიხილულია აგროტურიზმის ამჟამინდელი ეკონომიკური მაჩვენებლები და მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუტებისა და ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციების პროგნოზები ეკონომიკისა და აგროტურიზმის დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებთან დაკავშირებით.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარემოსდაცვითი და ტურიზმის კვლევის პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთა დეფიციტი იწვევს აგროტურიზმის ზრდისა და განვითარების პროცესების მნიშვნელოვან შეფერხებას და მუნიციპალიტეტების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის აუცილებლობას მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

კვლევის მთავარი წვლილი არის საქართველოში აგროტურიზმის განვითარებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება (ქვემიზნებთან და ინსტრუმენტების ნაკლებობასთან დაკავშირებით) და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, პოსტპანდემიური პერიოდი, სოფლის ტურიზმი, მდგრადი განვითარება.

შესავალი

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ „კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში ტურიზმის როლი სოფლის განვითარებაში უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. ტურიზმი სოფ-

ლად გვთავაზობს აღდგენის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, რადგან ტურისტები ეძებენ ნაკლებად დასახლებულ ადგილებს და ღია ცის ქვეშ გამოცდილებებსა და აქტივობებს“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 41% სოფლად ცხოვრობს და მათი 75% ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

სოფლის განვითარების მთავარი პრობლემაა ახალგაზრდების მიგრაცია და გადინება სოფლებიდან. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დივერსიფიკაციისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები შეზღუდულია. სოფლის მოსახლეობას სუსტი წვდომა აქვს როგორც ახალი ბიზნეს ინიციატივების განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსებზე, ასევე პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე. (მეტრეველი. მ., 2012) ეს განსაკუთრებით ეხება სოფლის ქალებს. საბაზისო, სოციალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის დაბალი ხარისხი განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ბარიერი სოფლის განვითარებისთვის.

სწორედ ეს სტრატეგია განიხილავს ტურიზმს და განსაკუთრებით აგროტურიზმს, როგორც სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და სოფლის მოსახლეობის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობას.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

აგროტურიზმის განვითარების საჭიროებების ჩვენი პილოტური შესწავლის მიზანია აგროტურიზმის პროდუქტებით დაინტერესებული პოტენციური ტურისტების გამოკითხვა, რათა განვსაზღვროთ აგროტურიზმში მათი მონაწილეობის ძირითადი მოტივები და მოთხოვნები.

საპილოტე კვლევა დაიგეგმა საქართველოში აგროტურისტული სერვისების პოტენციური მოთხოვნის შესასწავლად და მოცემული კვლევისთვის შემუშავდა კითხვარი ძირითადად დახურული კითხვებით. კითხვარის ბოლოს პირებმა დამატებითი გამოხმაურების მიზნით მიიღეს ღია შეკითხვა. კითხვარი შეამ-

ოწმა ტურიზმის ექსპერტის ხუთკაციანმა ჯგუფმა. ძირითადი გამოკითხვა სოციალური ქსელებითა და ინტერნეტის სხვა საშუალებებით ჩატარდა. გამოკითხვაში სულ 104 ადამიანი მონაწილეობდა.

გამოკითხულთა 95,2%-მა უპასუხა, რომ ტურისტული მოგზაურობის დროს აგროტურიზმში მიიღებდა მონაწილეობას. ასეთი შედეგი ვარაუდობს, რომ მომავალში აგროტურისტული სერვისების მოთხოვნა მაღალი იქნება, თუ მიწოდება სათანადოდ იქნება ორგანიზებული და მომხმარებლები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი.

კითხვაზე, თუ რამ უბიძგა რესპონდენტს მონაწილეობა მიეღო აგროტურიზმში (კითხვა, რომელზეც შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა), რესპონდენტთა უმეტესობას (74%) სურდა ბუნებასთან ახლოს ყოფნა, 47.1%-ს სურდა ახალი თავგადასავლები, ხოლო 29.8%-ს სურდა გაქცევა ცხოვრების სტრესული ტემპისგან. რესპონდენტთა მხოლოდ 17.3%-მა დაასახელა ურბანული ზეწოლა აგროტურიზმში შემსუბუქების საძიებლად.

რესპონდენტებისთვის ყველაზე მიმზიდველი საკვები პროდუქტების დამზადება და დაგემოვნება აღმოჩნდა (76%), ხოლო კიდევ ერთი საინტერესო აქტივობაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა (48.1%); შემდეგ ადგილს იკავებს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო შოუებში (38.5%), ასევე სასოფლო-სამეურნეო განათლება (31.7%) აგროტურისტული მომსახურების მიღებაში.

რესპონდენტთა 82,7% მიიჩნევს, რომ აგროტურიზმში მონაწილეობა სრულიად სასარგებლოა ხალხისთვის; 66.3% და 29.8% თვლის, რომ ასეთი მონაწილეობა სასიამოვნოა და მეტ-ნაკლებად სასიამოვნო დასვენების დროს.(9). რესპონდენტებისთვის ყველაზე მიმზიდველი საკვები პროდუქტების დამზადება და დაგემოვნება აღმოჩნდა (76%), ხოლო კიდევ ერთი საინტერესო აქტივობაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა (48.1%); შემდეგ ადგილზეა აგროტურისტული მომსახურების მიღებაში მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო შოუებში

(38.5%) და სასოფლო-სამეურნეო განათლება (31.7%).

რესპონდენტთა 82,7% მიიჩნევს, რომ აგროტურიზმში მონაწილეობა სრულიად სასარგებლოა ხალხისთვის; 66.3% და 29.8% თვლის, რომ ასეთი მონაწილეობა სასიამოვნოა და მეტნაკლებად სასიამოვნო დასვენების დროს.

გამოკითხულთა დაახლოებით 57%-მა განაცხადა, რომ მათ შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინეს აგროტურისტულ ფერმაში დროის გატარებით; 13,5%-ს ჰქონდა ძალიან კარგი შთაბეჭდილება, ხოლო 12,5%-ს (გამოკითხულთა 83%) სამართლიანი.

გამოკითხულთა 71.2% ფიქრობს, რომ აგროტურისტული მომსახურების ღირებულება არასასოფლო-სამეურნეო რეგიონში დასვენების ღირებულებაზე დაბალია; 96,2% აცხადებს, რომ ქალაქიდან უფრო მეტი ადამიანი უნდა მონაწილეობდეს აგროტურიზმში.

ზემოაღწერილი კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს პოზიტიური დამოკიდებულება აგროტურისტული საქმიანობის მიმართ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აგროტურისტული სერვისები ტურისტებს მოთხოვნადი ექნებათ, თუ სათანადოდ იქნება შეთავაზებული.

კითხვაზე, საგრძნობლად გაიზრდებოდა თუ არა მოთხოვნა აგროტურიზმის პროდუქტებზე პოსტ-კოვიდ პერიოდში, გამოკითხულთა 56.7%-მა უპასუხა დადებითად, 34.6% დაეთანხმა ამ მოსაზრებას ნაწილობრივ, 3.7% ყოყმანობდა და მხოლოდ 2% არ დაეთანხმა.

რაც შეეხება საქართველოში აგროტურისტული სერვისების ხარისხს, გამოკითხულთა დაახლოებით 57% მას საშუალოდ აფასებს, 26% კარგად, ძალიან ცოტას მიაჩნია, რომ ეს არის შესანიშნავი ან ძალიან კარგი რეიტინგი, რაც მიუთითებს ქვეყანაში აგროტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. .

სხვადასხვა კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ აგროტურიზმს შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს რეგიონული/სოფ-

ლის თემისა და კერძოდ ეკონომიკის განვითარებაში და ზოგადად ეროვნული ეკონომიკის ზრდაში. (მეტრეველი. მ., 2015) კითხვაზე აგროტურიზმის როლის შესახებ რესპონდენტებმა ასე უპასუხეს: 55,8%-ს მიაჩნია, რომ აგროტურიზმს დიდი ეფექტის მოტანა შეუძლია; 16,3% ფიქრობს, რომ აგროტურიზმის ეფექტი შეიძლება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს; 21,2% ვარაუდობს, რომ აგროტურიზმს შეუძლია ზომიერი ეფექტის მიცემა; 4.7% ფიქრობს, რომ აგროტურიზმის ეფექტი მცირეა და რესპონდენტთა მხოლოდ 2% ფიქრობს, რომ აგროტურიზმს არანაირი ეფექტი არ აქვს.

ტურისტები ყოველთვის ავლენდნენ ინტერესს ბუნებრივი გარემოს მიმართ და COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა ეს ინტერესი. მაშასადამე, ცხადია, რომ ქვეყნები, რომელთა ბუნებრივი გარემო ხელსაყრელია აგროტურისტული საქმიანობისთვის, კარგ შანსს გვთავაზობენ სარგებლის მისაღებად. საქართველოში გამოკითხულთა 99% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ბუნებრივი გარემო ხელსაყრელ შესაძლებლობებს იძლევა აგროტურიზმის განვითარებისთვის. ამავდროულად, გამოკითხულთა დაახლოებით 70% სრულად ეთანხმება და დაახლოებით 23% ნაწილობრივ ეთანხმება იმას, რომ აგროტურიზმი საქართველოს დაეხმარება ბუნებრივი გარემოს დაცვაში. რესპონდენტთა 80.8% სრულად ეთანხმება, ხოლო 13.5% ნაწილობრივ ეთანხმება აგროტურიზმის, როგორც ეკოლოგიური და მდგრადი ტურიზმის სახეობას. შესაბამისი კამპანიებისა და აგროტურისტული აქტივობების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 50%-ს სურს მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ტურიზმის სახეობებში.

ღია კითხვის ფორმატში მოცემული რესპონდენტთა მოსაზრებების კლასიფიკაციის პროცესმა გამოავლინა მოსაზრება, რომელიც აღწერს კვლევის ძირითად შედეგებს, რომელიც ვარაუდობს, რომ საქართველო დაინტერესებულია აგროტურიზმის განვითარებით სოფლის მეურნეობასთან ერთად, რადგანაც ქართველი ხალხი იყო დაკავებული. მეურნეობა მრავალი სა-

უკუნის განმავლობაში და ქვეყანას აქვს მდიდარი და მრავალმხრივი ტრადიციები, სადაც ადგილობრივი მოგზაურები და უცხოელი ტურისტები იჩენენ მზარდ ინტერესს მათი გაცნობისა და მონაწილეობის მიმართ.

დასკვნა

საქართველოში ჩატარებულმა საპილოტე კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზის სიცოცხლისუნარიანობა, რასაც მოწმობს ჩვენი აზრისა და პოტენციური ტურისტების მოტივაციისა და სურვილების შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვლევის გაფართოება ტურისტულ მოტივებზე, რაც ძირითადად იგნორირებულია სტრატეგიულ სამთავრობო დოკუმენტებში და ზიანს აყენებს დარგის განვითარებას.

კვლევის მთავარი წვლილი არის საქართველოში აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და შეფასება და აგროტურისტული სერვისების მოთხოვნის შესწავლის კითხვარის შემუშავება, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს და გამოიყენებულიქნას ქვეყანაში ფართომასშტაბიანი კვლევებისთვის

REFERENCES:

1. Andéhn, M., & L'Espoir Decosta, J. N. P. (2021). Authenticity and Product Geography in the Making of the Agritourism Destination. Journal of Travel Research, 60(6), 1282–1300. https://doi.org/10.1177/0047287520940796.

2. Geostat.ge National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en

3. Metreveli, M., & Dolidze, T. (2019). COVID-19 and its impact on the hotel business. IV International Scientific Conference of Faculty of Business Technologies of Georgian Technical University "Globalization and Modern Business Challenges". proceeding, pp. 315-319

4. Metreveli, M., Gigauri, N., & Kutateladze R. (2020). Georgian tourism and strategic directions of state policy in terms of crisis.

THIJ – Tourism and Hospitality International Journal. pp; 59-77, thijournal.isce.pt

5. Metreveli, M. (2015). PROSPECTS TO IMPROVE THE TOURIST MARKET OPERATION IN GEORGIA, Strategica, International Academic conference. Third Edition. Local versus Global, pp. 353-361

6. Metreveli M. (2012), Environment and Ecotourism Management, Publishing house Favoriti Printi, Tbilisi, Georgia. (In Georgian language). (მეტრეველი მ. (2012), გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, გამომცემლობა ფავორიტი პრინტი, თბილისი, საქართველო.)

7. .Metreveli, M., Timothy D. (2010). Effects of the August 2008 War in Georgia on Tourism and Its Resources, Book - „Tourism, Progress and Peace", chapter 9. Edited by I Kelly, University of Western Australia, Australia, O Moufakkir, Stenden University, Netherlands.

8. Metreveli M. (2006), English-Georgia Explanatory dictionary of tourism terms. Favorite print, Tbilisi, Georgia (In Georgian language)(მეტრეველი მ. (2006), ინგლისურ-საქართველოს ტურისტული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. საყვარელი ბეჭდვა, თბილისი, საქართველო);

9. Ministry of Environment and Agriculture. 2019.Georgia Agriculture and Rural Development Strategy, 2021-2027 https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

10. ISET Policy Institute. (2020). "On Agritourism". The draft of law of Georgia, Regulatory Impact Assessment, RIA. Tbilisi, Georgia.

11. Roman, M., & Golnik, B. (2019). Current status and conditions for agritourism development in the Lombardy region. Bulgarian Journal of Agricultural Science, 25(1), 18–25.

12. Sadowski, A., & Wojcieszak, M. M. (2019). Geographic differentiation of agritourism activities in Poland vs. cultural and natural attractiveness of destinations at district level. PLoS ONE, 14(9), 1–22. https://doi.org/10.1371/journal.pone.0222576.

13. UNWTO. United Nations World Tourism Organization https://www.unwto.org/rural-tourism.

MAIN TRENDS OF AGRICULTURAL DEVELOPMENT IN GEORGIA

Marina Metreveli,
Professor of GTU
metrevelimarina7@gmail.com

RESUME

This paper considers the current economic indicators of agritourism and forecasts of the world leading institutions and local research organizations regarding the present condition and perspectives of the economics and agritourism.

The work pays particular attention to the tools of the environmental and tourism study policy, whose deficit causes significant delays in the growth and development processes of agritourism and the need to increase the involvement of local people in decision-making by municipalities to strengthen their capacity.

The study's main contribution is to identify the gaps in the agritourism development in Georgia (in relation to its sub-goals and lack of tools) and develop the measures to eliminate them.

Keywords: Agritourism; post-pandemic period; rural tourism; sustainable development.

გაერთიანებული სამეფოს ფუნდამენტური სახელმძღვანელო ანგარიშები კორპორაციული მართვის შესახებ

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-204

გიორგი ჯოლია
სტუ-ს დოქტორანტი
giorgi.jolia@law-school.de

რეზიუმე

ეფექტური კორპორაციული მართვის სტანდარტების ჩამოყალიბება საფინანსო სექტორის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად განიხილება. კორპორაციული მართვის არსებითი რეფორმები, პირველად, გაერთიანებულ სამეფოში 1990-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნულის შედეგად, მიიღეს მრავალი ანგარიში, რომლებიც შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებად იქცა მოქმედი კორპორაციების მართვის სფეროში. მათი მიზანი იყო ინვესტორების ნდობის ამაღლება, საფინანსო ბაზრის სტაბილურობის გაუმჯობესება და ანგარიშვალდებულების გაძლიერება კომპანიების აქციონერებსა და აღმასრულებლებს შორის.

ამ მიმართულებით პირველ მცდელობად და საფუძვლად მიჩნეულია ქედბერის ანგარიში, რომელმაც შემოიღო კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტები და დაამკვიდრა პროგრესული სტანდარტი -„შეასრულე ან განმარტე", რითაც ლონდონის საფონდო ბირჟაზე დაშვებული კომპანიები ვალდებული გახადა წლიურ ანგარიშებში მკაფიოდ დაედასტურებინათ, თუ როგორ ასრულებდნენ ანგარიშის მოთხოვნებს, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, მათ ნათლად უნდა დაესაბუთებინათ ანგარიშთან შეუსაბამობა და მისი გამომწვევი მიზეზები.

მომდევნო წლებში მრავალი დოკუმენტი დამუშავდა, რომლებმაც უფრო გაამდიდრა და სრულყოფილი გახდა ქედბერის ანგარიშის ძირითადი დებულებები, კერძოდ: გრინბერის ანგარიშმა ყურადღება გაამახვილა აღმასრულებელი პირების ან-

აზღაურებაზე, ასევე, აღმასრულებლებისა და აქციონერების ინტერესთა თანხვედრის აუცილებლობაზე; ჰამპელის ანგარიშმა - თანამშრომლების, მომხმარებლების, კრედიტორებისა და დაინტერესებული პირების ინტერესების დაცვაზე; გაერთიანებული მართვის კოდექსმა - კომპანიის მმართველი ორგანოს (დირექტორთა საბჭოს) შემადგენლობაზე, მათ ანაზღაურებაზე, ანგარიშვალდებულებასა და აუდიტორული პროცედურების დაცვაზე; თორნბულის ანგარიშმა - შიდა ფინანსურ და ოპერატიულ კონტროლსა და რისკების მართვაზე; ჰიგსის ანგარიშმა - არააღმასრულებელი დირექტორების შემადგენლობაზე, მათ როლზე, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის ეფექტიანობაზე; უოლკერის ანგარიშმა - საბანკო და საფინანსო სექტორებში წარმოშობილ პრობლემებზე; საზედამხედველო კოდექსმა - ინსტიტუციური ინვესტორების ჩართულობის გააქტიურებაზე; კორპორაციული მართვის კოდექსმა - დირექტორთა საბჭოს როლზე და ეფექტიანობაზე, მათ ანგარიშვალდებულებასა და აქციონერებთან ურთიერთობაზე; ჰემპტონ-ალექსანდერის ანგარიშმა - მმართველ ორგანოში გენდერული ბალანსის გაუმჯობესებაზე; პარკერის ანგარიშმა კი - მმართველ ორგანოში ეთნოკულტურული მრავალფეროვნების გაუმჯობესებაზე.

წინამდებარე სტატიის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს თითოეული ანგარიშის შინაარსობრივი მხარე, ხაზი გაუსვას მათ ძირითად პრინციპებს და ნათლად წარმოაჩინოს თანამედროვე კორპორაციული მართვის ჩამოყალიბების საფუძვლები.

საკვანძო სიტყვები: აქციონერი, დირექტორი, ინვესტორი, კორპორაციული მართვა, კორპორაციული მართვის კოდექსი, კორპორაცია, მენეჯმენტი, პრინციპი, რისკი, სტანდარტი.

შესავალი

ბოლო სამი ათწლეულია, რაც კორპორაციული მართვის მიმართულებით გაერთიანებულ სამეფოში არსებითი რეფორმები ტარდება. მათი მიზანია მოქმედი და პოტენციური ინვესტორების ნდობის გაღრმავება, საფინანსო ბაზრის სტაბილურობის გაუმჯობესება, ტრანსფარენტულობისა და კომპანიების აღ-

მასრულებლებსა და აქციონერებს შორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება. შესაბამისად, შეიქმნა წარმატებული პრაქტიკის რიგი ანგარიშები, რომლებიც შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპები გახდა, როგორც ბრიტანელებისათვის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

ძირითადი ტექსტი

დ. ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო ანგარიშებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი:

• **ქედბერის ანგარიში** (1992 წ.)

კორპორაციული მართვის პრინციპების ჩამოყალიბების პირველ მცდელობად მიჩნეულია ქედბერის ანგარიში, რომელიც 1992 წელს შეიქმნა ლონდონის საფონდო ბირჟაზე საჯაროდ სავაჭროდ დაშვებული კომპანიებისათვის. შემდეგში იგი გახდა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური დოკუმენტის, სახელმძღვანელო პრინციპებისა და კოდექსების შედგენის ფუნდამენტური დოკუმენტი მსოფლიოში.

მართალია ქედბერის ანგარიში რეკომენდაციული ხასიათის იყო, მაგრამ ლონდონის საფონდო ბირჟის წესდებით თანახმად, საჯაროდ სავაჭროდ დაშვებულ კომპანიებს წლიურ ანგარიშებში უნდა დაეფიქსირებინათ, თუ როგორ ასრულებდნენ ქედბერის ანგარიშში არსებულ მოთხოვნებს, მისგან გამიჯვნის შემთხვევაში კი, ვალდებული იყვნენ მკაფიოდ დაესაბუთებინათ შეუსაბამობა და აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები. მოგვიანებით, ასეთი მიდგომა ჩამოყალიბდა როგორც კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო მოდელი - „შეასრულე ან განმარტე“ პრინციპის სახით.[1]

აღნიშნულ წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით, მოქმედ და პოტენციურ ინვესტორებს შესაძლებლობა მიეცათ შეეფასებინათ თუ რამდენად ასრულებდა კომპანია ქედბერის ანგარიშის

1 Jill Solomon, Corporate Governance and Accountability (4th edn, Wiley & Sons Ltd 2013), 52

მოთხოვნებს, ხოლო მასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, თუ რამდენად დასაბუთებული და საკმარისად გამართლებული იყო ქედბერის ანგარიშის მიერ შემოთავაზებული პრინციპებისაგან ალტერნატიული მიდგომის ჩამოყალიბება.[1]

ქედბერის ანგარიში, რომელიც მიმართული იყო იმ პერიოდისათვის არსებულ საუკეთესო პრაქტიკის ერთ დოკუმენტში ჩამოყალიბებისაკენ, მიზნად ისახავდა კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტების განვითარებას[2] და მისი დაცვით უზრუნველყოფდა წარსულში გაუთვალისწინებელი ფინანსური სკანდალებისა და კორპორაციული თაღლითური სქემების მომავალში თავიდან აცილებას.[3]

ზოგადი ხასიათის პრინციპების გარდა, ქედბერის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები ვრცელდებოდა კომპანიის მმართველობითი ორგანოს (დირექტორთა საბჭოს) შემადგენლობაზე, აუდიტის კომიტეტის შექმნასა და მისი ფუნქციების ჩამოყალიბებაზე.[4] ამასთან, დიდი ყურადღება დაეთმო ინსტიტუციური ინვესტორების როლს, დირექტორების ანგარიშვალდებულებასა და აქციონერთა ჩართულობას კომპანიის საქმიანობაში.[5]

ანგარიშის რეკომენდაციებიდან ასევე საყურადღებოა: 1) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა; 2) დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, პროფესიონალი არააღმასრულებელი დირექტორების დანიშვნა; 3) მთლიანად ან

1 Christine A. Mallin, Corporate Governance (6th edn, Oxford University Press 2019), 33

2 Jean Jacques du Plessis, Anil Hargovan and Mirko Bagaric, Principles of Contemporary Corporate Governance (2nd edn, Cambridge University Press 2011), 313

3 Committee on the Financial Aspects of Corporate Governance, Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance (1992) (the Cadbury Report), para 1.9

4 Jean Jacques du Plessis, Anil Hargovan and Mirko Bagaric, Principles of Contemporary Corporate Governance (2nd edn, Cambridge University Press 2011), 313

5 Jill Solomon, Corporate Governance and Accountability (4th edn, Wiley & Sons Ltd 2013), 52

უმეტესად არააღმასრულებელი დირექტორებით დაკომპლექ-ტებული ანაზღაურების კომიტეტის შექმნა; 4) არანაკლებ სა-მი არააღმასრულებელი დირექტორისაგან დაკომპლექტებული აუდიტის კომიტეტის ფორმირება; 5) აღმასრულებელი და არა-აღმასრულებელი პირების კანდიდატურების შესარჩევად არა-აღმასრულებელი დირექტორების უმრავლესობით დაკომპლექ-ტებული ნომინაციის კომიტეტის შექმნა.

• **გრინბერის ანგარიში** (1995 წ.)

გრინბერის კომიტეტმა შექმნა დირექტორთა ანაზღაურებ-ის უფრო მოქნილი და სრულყოფილი პაკეტების სისტემა[1] და წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავდა კომპანიის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების გაძლიერებულ ანგარიშვალდებულებას, უფრო მკაცრ და მკაფიო პასუხისმგებ-ლობას და აღმასრულებელი პირებისა და აქციონერების ინტე-რესთა თანხვედრას.[2] ანგარიში ასევე მოიცავდა მომსახურების ხელშეკრულებათა საკითხებს და მათ ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებულ შესაძლო შედეგებს.[3]

საყურადღებოა ისიც, რომ ანგარიშის მიზანი იყო დირექ-ტორების ანაზღაურებასა და მუშაობას შორის ოპტიმალური ბალანსის დაცვა. ამ მიზნით ხაზგასმულია, რომ ისეთი მაღალი პროფესიული დონის კადრების მისაზიდად, მათ შესანარჩუნებ-ლად და სამოტივაციოდ, რომლებსაც შეუძლიათ მართონ დიდი, მრავალეროვნული ორგანიზაციები, კომპანიებმა საკმარისად მაღალი ანაზღაურება უნდა შესთავაზონ, თუმცა, იმავდრო-ულად, ასეთი პირების პასუხისმგებლობის საკითხები და ანგა-რიშვალდებულების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს გან-საზღვრული.[4]

---

1 Marc Goergen, International Corporate Governance (Pearson Education Limited 2012), 130

2 Report of a Study Group Chaired by Sir Richard Greenbury, Directors' Remuneration (1995) (the Greenbury Report), paras 1.13 and 1.14

3 Report of a Study Group Chaired by Sir Richard Greenbury, Directors' Remuneration (1995) (the Greenbury Report), Principle D1

4 Jill Solomon, Corporate Governance and Accountability (4thedn, Wiley & Sons Ltd 2013), 53

• **ჰამპელის ანგარიში** (1998 წ.)

ქედბერისა და გრინბერის კომიტეტების რეკომენდაციების გადასინჯვისა და მათი ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ჰამპელის კომიტეტმა თავის შეფასებაში მხარი დაუჭირა წინა ანგარიშებში ჩამოყალიბებული პრინციპების აბსოლუტურ უმრავლესობას. ამასთან, კომპანიის აქციონერების ინტერესების დაცვასთან ერთად, ყურადღება გაამახვილა კომპანიის თანამშრომლების, მომხმარებლების, კრედიტორებისა და დაინტერესებული პირების ინტერესების დაცვაზე.[1] შესაბამისად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე საჯაროდ სავაჭროდ დაშვებულ კომპანიებს ყოველდღიურ საქმიანობაში მოეთხოვათ გაეთვალისწინებინათ აღნიშნული პირების ინტერესები.[2]

• **გაერთიანებული მმართველობის კოდექსი** (1998 წ.)

გაერთიანებული მმართველობის კოდექსმა ქედბერის, გრინბერისა და ჰამპელის ანგარიშები გააერთიანა და მათი სახელმძღვანელო პრინციპები ლონდონის საფონდო ბირჟის წესებში შეიტანა. ასევე განსაზღვრა ჯანსაღი პრაქტიკის სტანდარტები კომპანიის საბჭოს შემადგენლობის, მათი ანაზღაურების, ანგარიშვალდებულებისა და აუდიტორული პროცედურების შესახებ და განამტკიცა ქედბერის ანგარიშში აღიარებული პრინციპი - „შეასრულე ან განმარტე“.[3]

• **თორნბულის ანგარიში** (1999 წ., შესწ. რედაქცია 2005 წ.)

თორნბულის ანგარიში მიზნას ისახავდა კომპანიებს დახმარებოდა შიდა ფინანსური და ოპერაციული კონტროლისა და რისკების მართვაში. ანგარიშში ხაზგასმული იყო დირექტორების პასუხისმგებლობის როლი შიდა კონტროლის ჯანსაღი და ეფექტიანი სისტემის დანერგვაში[4] და მიმართული იყო ამგვარი

1 Christine A. Mallin, Corporate Governance (6thedn, Oxford University Press 2019), 33-34

2 Committee on Corporate Governance, Committee on Corporate Governance: Final Report (1998) (the Hampel Report), para 1.17

3 Bob Tricker, Corporate Governance: Principles, Policies, and Practices (3rd edn, Oxford University Press, 2015), 117

4 Marc Goergen, International Corporate Governance (Pearson Education Limited 2012), 133

ინფორმაციის სრულყოფილად და ოპერატიულად გამჟღავნებაზე. კომპანიებს რეკომენდაცია მიეცათ სრულყოფილად შეეფასებინათ მათ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები (მათ შორის, საბაზრო პოზიციის, ფინანსური, საქმიანობის შესაბამისობის, იურიდიული, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების, ლიკვიდურობისა და ა.შ.) და ჩამოეყალიბებინათ მათთვის მორგებული შიდა კონტროლის მექანიზმები, როგორც კორპორაციული მართვის განუყოფელი ნაწილი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ფინანსური გაურკვევლობის გავლენას და სარგებელს მოუტანდა კომპანიას სტრატეგიული მიზნების შესრულებაში.[1]

• **ჰიგსის ანგარიში** (2003 წ.)

ჰიგსის კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა არააღმასრულებელი დირექტორების შემადგენლობაზე, მათ უფლებამოსილებებსა და საქმიანობის ეფექტიანობაზე.[2]

ანგარიშმა გამოსცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ: 1) დირექტორთა საბჭოს (თავმჯდომარის გარდა) შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი; 2) აუდიტისა და ანაზღაურების კომიტეტების ყველა წევრი, ასევე, ნომინაციის კომიტეტის წევრთა უმრავლესობა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი; 3) თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორების როლები ერთმანეთისაგან სრულიად უნდა ყოფილიყო გამიჯნული; 4) დირექტორების დაქირავება უნდა მომხდარიყო ფორმალური და გამჭვირვალე პროცედურების დაცვით.[3]

ანგარიში განსაზღვრავს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორების ფასეულობებსა და იმ გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მენეჯმენტურ გა-

1 Niamh M. Brennan, 'Turnbull puts Risk Management to the Top of Corporate Agendas' (2000), Irish Business Law, III (3) (June), 57-61

2 Review of the Role and Effectiveness of Non-executive Directors (2003) (the Higgs Report), 1.1-1.6

3 Bob Tricker, Corporate Governance: Principles, Policies, and Practices (3rd edn, Oxford University Press, 2015), 118

დაწყვეტილებებზე.[1]

ამასთან, დირექტორი არ ჩაითვლებოდა დამოუკიდებლად, თუ: 1) დასაქმებული იყო კომპანიაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; 2) ბოლო სამი წლის განმავლობაში ჰქონდა მატერიალური საქმიანი ურთიერთობა კომპანიასთან პირდაპირ ან ირიბად (აქციონერი, დირექტორი და სხვ.); 3) კომპანიისგან მიიღო დამატებითი კომპენსაცია, გარდა არააღმასრულებელი დირექტორის ანაზღაურებისა; 4) ჰქონდა ნათესაური კავშირები კომპანიის მრჩევლებთან, დირექტორებთან ან უფროს თანამშრომლებთან ან ფლობს დირექტორის თანამდებობას; 5) იყო მნიშვნელოვანი აქციონერი ან მუშაობდა დირექტორთა საბჭოში ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.[2]

• **უოლკერის ანგარიში** (2009 წ.)

უოლკერის კომიტეტმა აქცენტი გადაიტანა საბანკო და საფინანსო სექტორებში წარმოშობილ პრობლემებზე. ამ მიმართებით ანგარიშში ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე დასკვნა: 1) პრინციპი „შეასრულე ან განმარტე" აღიარებულ იქნა კორპორაციული მართვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად; 2) ყურადღება გამახვილდა რისკების იდენტიფიცირებაზე, მათ მართვაზე და მიტივაციის მექანიზმებზე; 3) საჭირო გახდა ინსტიტუციური ინვესტორების კომპანიის საქმიანობაში აქტიური ჩართულობა, რათა მათი ყურადღება გადართულიყო კომპანიის გრძელვადიანი ღირებულებების დაცვაზე და სტრატეგიული მიზნების შესრულებაზე.[3]

• **საზედამხედველო კოდექსი** (2010 წ., შესწ. რედაქცია 2012 წ-ს)

კომპანიის საქმიანობაში ინსტიტუციური ინვესტორების ჩართულობის გააქტიურობის მიზნით მიიღეს საზედამხედველო კოდექსი, რომელიც მოიცავდა ვალდებულებას ორგანიზა-

1 Review of the Role and Effectiveness of Non-executive Directors (2003) (the Higgs Report), 36

2 Review of the Role and Effectiveness of Non-executive Directors (2003) (the Higgs Report), 37

3 Jill Solomon, Corporate Governance and Accountability (4thedn, Wiley & Sons Ltd 2013), 60

ციის სტრატეგიისა და რისკის მენეჯმენტის შესახებ.[1] კოდექსმა მხარი დაუჭირა უკვე დამკვიდრებულ მიდგომას „შეასრულე ან განმარტე“ და ეფექტური ზედამხედველობისთვის ინვესტორებს შესთავაზა რიგი პრინციპების დაცვა: 1) რეგულარული შეხვედრები კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან და საბჭოს წევრებთან; 2) კომპანიის საერთო კრებაზე სისტემატური დასწრება და სხვ. მთლიანობაში იგი მოწოდებული იყო საინვესტიციო პროცესსა და კორპორაციულ მართვას შორის უფრო ძლიერი კავშირის დასამყარებლად.[2]

• **კორპორაციული მართვის კოდექსი** (2010 წ., შესწ. რედ. 2012, 2014, 2016 წწ.)

ლონდონის საფონდო ბირჟამ 2010 წელს გაერთიანებული მმართველობის კოდექსი არსებითად შეცვალა და წარმოადგინა ახალი სახელწოდებით „კორპორაციული მართვის კოდექსი“. ახალ კოდექსში ყურადღება გამახვილდა დირექტორთა საბჭოს როლზე, ფუნქციასა და ეფექტიანობაზე, მისი წევრების ანაზღაურებაზე, ანგარიშვალდებულებებსა და აქციონერებთან ურთიერთობაზე. ცვლილებები შეეხო რისკების მართვის საკითხებს, აღმასრულებელი პირების ხელახალ არჩევნებს, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მუშაობის ახალ პრინციპებს, საბჭოს შემადგენლობის ახლებურად დაკომპლექტებასა და სხვ.[3]

შენარჩუნებული იქნა მიდგომა „შეასრულე ან განმარტე“ და კომპანიებს დაეკისრათ ყოველწლიური ანგარიშების საჯაროდ გამოქვეყნება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებდნენ კოდექსის მოთხოვნებს და შეუსრულებლობის შემთხვევაში სათანადო ახსნა-განმარტების წარმოდგენა.[4]

• **ჰემპტონ-ალექსანდერის ანგარიში** (2016 წ.)

ანგარიშმა ყურადღება გაამახვილა გენდერული ბალანსის

1 The UK Stewardship Code, Financial Reporting Authority (2010), 1

2 Christine A. Mallin, Corporate Governance (6th edn, Oxford University Press 2019), 38

3 Christine A. Mallin, Corporate Governance (6th edn, Oxford University Press 2019), 37

4 Bob Tricker, Corporate Governance: Principles, Policies, and Practices (3rd edn, Oxford University Press, 2015), 119-120

გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, კომპანიებს მიეცათ რეკომენდაცია ქალები დაენიშნათ მაღალი დონის მენეჯერულ პოზიციებზე და 2020 წლისათვის მიზნად დაესახათ დირექტორთა საბჭოში მინიმუმ 33% ქალთა წარმომადგენლობის არჩევა.[1]

• **პარკერის ანგარიში** (2017 წ.)

პარკერის კომიტეტმა მთავარი აქცენტი გადაიტანა კომპანიის მართვაში დასაქმებულთა ეთნოკულტურულ მრავალფეროვნებაზე და რეკომენდაციები სამი მიმართულებით წარადგინა: 1) მინიმუმ ერთი დირექტორის დანიშვნა ეთნიკური უმცირესობიდან; 2) ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა ფერადკანიანი თანამშრომლების წახალისება, განვითარება და კომპანიის საქმიანობაში ჩართვა; 3) გამჭვირვალობის გაღრმავება და დასახული მიზნების შესაბამისად მიღწეული პროგრესის წარმოჩენა.[2]

დასკვნა

კორპორაციული მართვის განვითარების მიმართულებით გაერთიანებულ სამეფოში განხორციელებულმა რეფორმებმა მოქმედი და პოტენციური ინვესტორების ნდობა საფინანსო ბირჟებზე საჯაროდ სავაჭროდ დაშვებული კომპანიების მიმართ მნიშვნელოვნად გაზარდა. აქციონერებს მიეცათ შესაძლებლობა აქტიურად ჩართულიყვნენ კომპანიის მმართველობასა და საქმიანობის ზედამხედველობაში, გაეძლიერებინათ კომპანიების დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა, გამოეკვეთათ აღმასრულებელი და დამოუკიდებელი არააღმასრულებელთა ანგარიშვალდებულება, რამაც საბოლოოდ წაახალისა საფინანსო ბაზრის სტაბილური და გამჭვირვალე განვითარება. აღნიშნულმა ანგარიშებმა უაღრესად დადებითი როლი შეასრულა კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების სრულყოფაში არა მარტო გაერთიანებულ სამეფოში, არამედ დასავლეთის ცივილურ სამყაროში.

1 FTSE Women Leaders, Improving Gender Balance in FTSE Leadership (2016) (the Hampton-Alexander Review), appendix E, paras 1.1 and 2.2

2 Ethnic diversity of UK boards (2017) (the Parker Review), paras 1, 2 and 3

REFERENCES:

1. Brennan N. M, Turnbull puts Risk Management to the Top of Corporate Agendas (2000), Irish Business Law, III (3) (June)

2. Committee on Corporate Governance, Committee on Corporate Governance: Final Report (1998) (the Hampel Report)

3. Committee on the Financial Aspects of Corporate Governance, Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance (1992) (the Cadbury Report)

4. Du Plessis J. J., Anil Hargovan and Mirko Bagaric, Principles of Contemporary Corporate Governance (2nd edn, Cambridge University Press 2011)

5. Ethnic diversity of UK boards (2017) (the Parker Review)

6. FTSE Women Leaders, Improving Gender Balance in FTSE Leadership (2016) (the Hampton-Alexander Review)

7. Goergen M., International Corporate Governance (Pearson Education Limited 2012)

8. Mallin C. A., Corporate Governance (6th edn, Oxford University Press 2019)

9. Report of a Study Group Chaired by Sir Richard Greenbury, Directors' Remuneration (1995) (the Greenbury Report)

10. Review of the Role and Effectiveness of Non-executive Directors (2003) (the Higgs Report)

11. Solomon J., Corporate Governance and Accountability (4th edn, Wiley & Sons Ltd 2013)

12. The UK Stewardship Code, Financial Reporting Authority (2010)

13. Tricker B., Corporate Governance: Principles, Policies, and Practices (3rd edn, Oxford University Press, 2015)

FUNDAMENTAL REPORTS ON CORPORATE GOVERNANCE OF THE UNITED KINGDOM

Giorgi Jolia
Ph.D Candidate at GTU
giorgi.jolia@law-school.de

RESUME

Establishing sound corporate governance standards are considered to be one of the prominent concept of the financial sector. Substantial corporate governance reforms first have begun in the United Kingdom in the early 1990s. As a result, number of analytical reports were submitted, which later became foundation of the modern corporate governance. The idea was to increase investor's trust and confidence, improve financial market stability, and increase transparency and accountability amongst shareholders and executives of companies.

The first attempt in this direction is believed to be the Cadbury Report, which pioneered the high standards of corporate governance into the financial market and established the progressive method of "comply or explain", obliging the companies listed on the London Stock Exchange to clearly provide in their annual reports how they complied with the requirements or explain the cause of deviation from them.

After the Cadbury Report many tried to further enrich and perfect the principles of the corporate governance, namely: the Greenbury Report mainly concentrated on the remuneration of executives as well as on aligning the interests of executives and shareholders; the Hampel Report highligthed the importance of the protection of the interests of employees, consumers, creditors and stakeholders; the UK Combined Governance Code revisited standards of the composition of the board of directors, their remuneration, accountability and compliance with auditing requirements; the Turnbull

Report focused on the internal financial and operational control and risk management; the Higgs Report challanged the composition of non-executive directors, their roles, duties and efficiency of their activities; the Walker Review addressed the problems existing in the banking and financial sectors; the Stewardship Code promoted enhanced involvement of institutional investors; the Corporate Governance Code set forth principles of sound governance and efficiency of the board of directors, accountability with and reporting to the shareholders; the Hampton-Alexander Review concentrated on improving gender balance and representation in the board of directors; and the last but not least, the Parker Review encouraged ethnocultural diversity in the board of directors.

The purpose of this article is to provide a brief overview of each report, highlight their main principles and outline what was the foundation of modern corporate governance.

Keywords: Shareholder, Director, Investor, Corporate Governance, Corporate Governance Code, Corporation, Management, Principle, Risk, Standard.

განათლების გავლენა ახალგაზრდებში ბიზნეს მენტალიტეტის ფორმირებაზე

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-217

მარიამ კურტანიძე
სტუ დოქტორანტი
kurtanidzemariam1@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე ეკონომიკის უმთავრესი გამოწვევის-უმუშევრობის პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო გზა მეწარმეობაა. მოკლევადიან პერიოდში, უმუშევრობის შემცირების რეალური გზა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანესი მიმართულების - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა. სწორედ ამ სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადეკვატური საგანმანათლებლო ბაზის შექმნას, მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში თანამედროვე ბიზნეს მენტალიტეტისა და პოტენციალის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირებას.

გლობალურ გამოწვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ახალგაზრდების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მათი მოტივაციის ამაღლება და გააქტიურება. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა მოსახლეობაში სამეწარმეო განწყობების შესწავლას, თანამედროვეობის შესაბამისი ბიზნეს-მენტალიტეტის ფორმირებას და კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობისათვის ხელისშემწყობი პოლიტიკის დაგეგმვისა და გატარებისათვის.

საძიებელი სიტყვები: ახალგაზრდების ბიზნეს-მენტალიტეტი, სამეწარმეო განათლება

შესავალი

მენტალიტეტი არის ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის აღქმის, აზროვნების წესი, გამოხატულება. ბიზნეს მენტალიტეტი კი-სამეწარმეო აზროვნება, მეწარმეობრივი წინარწმენა, მეწარმეობასთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაა. ეს არის ხედვა, აღქმის, სწორი შეფასებების და სწრაფი რეაგირებისა, აგრეთვე ადაპტაციის, რისკის გაწევის და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარების ერთობლიობა. ბიზნეს მენტალიტეტი სამეწარმეო აზროვნების ჩამოყალიბების წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, განმაპირობებელია სამეწარმეო აქტიურობისა.

თანამედროვეობაში, საკუთარი ბიზნესის წამოწყება, ზოგადად მიმზიდველი ინიციატივაა, ვინაიდან ასოცირდება, წარმატებასთან, დამოუკიდებლობასთან და მეტ შემოსავალთან. მაგრამ, თუ აღნიშნულ საკითხს უფრო გლობალურად შევხედავთ, პირადი სარგებლის გარდა, ბიზნესი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ალტრუიზმის შესაძლებლობაც. მას აქვს პოტენციალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ამ კუთხით შესაძლებელია იქცეს სახელმწიფოს მძლავრი დასაყრდენი უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხში. საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობა არ არის ინდივიდების მხრიდან ბიზნესის წარმოებისაკენ მისწრაფების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი. ასეთ ქვეყნებში მთავარი მამოძრავებელი- გრძელვადიანი, მყარი მოტივებია, შრომითი ფასეულობების უფრო ახლებურად გააზრებით, შრომის მოტივაცია ძირითადად „მიმზიდველი" ფაქტორებით განისაზღვრება, მაშინ როცა, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში და ე.წ. პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში, გადამწყვეტი როლს „იძულებითი" ფაქტორები ასრულებენ, რომელთა მიხედვითაც თვითდასაქმება ან მცირე ბიზნესის წამოწყება შემოსავლის აუცილებლობითა და სამუშაო ადგილების დეფიციტით არის განპირობებული.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ფუნდამენტური საფუძველი- სამეწარმეო განწყობის მქონე ინდივიდის ადეკვატუ-

რი, სტრატეგიული სამეწარმეო მიზნების ფორმირება და მისი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მართვის სრულყოფაა.

მომავალმა მეწარმემ, თავისი სამეწარმეო აქტივობა და განვითარების მიმართულება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა შეარჩიოს და წარმართოს. ამ დროს გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები და გარემოებები როგორიცაა:

1. ახალგაზრდების მიერ ეკონომიკის რომელ დარგში და სფეროში უნდა მოხდეს საქმიანობის კონცენტრაცია;

2. როგორი იქნება ბიზნესის განთავსების არეალი და ფუნქციონირების მასშტაბები;

3. არსებობს თუ არა შეღავათიანი საგადასახადო პირობები ან სპეციალური საინვესტიციო მექანიზმები შერჩეული ბიზნესის ცალკეული ორგანიზაციული ფორმის მიმართ;

4. როგორია ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა და სხვა.

თუ საქართველოს შევადარებთ ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს, შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სამეწარმეო აქტივობები არსებობის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად საჭიროებითაა განპირობებული (necessity driven) და არა შესაძლებლობებით (opportunity driven), რაც შესაბამის რეიტინგებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი სამოტივაციო ინდექსით ხასიათდება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებშიც[1].[2]

ევროკავშირის წევრ და არაწევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით საქართველოში მაღალია მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ

1 . მეწარმეობის სამოტივაციო ინდექსი - ეს არის გაუმჯობესებაზე დაფუძნებული შესაძლებლობისა და საჭიროებით განპირობებულ მეწარმეობას შორის თანაფარდობა, რომელიც ასახავს სამეწარმეო სიმძლავრეებს ქვეყანაში. მაღალი სამოტივაციო ინდექსი აჩვენებს გაუმჯობესებაზე დაფუძნებული მეწარმეების მაღალ წილს, რომელიც განაპირობებს უფრო გრძელვადიან და ამბიციურ მოლოდინებს ქვეყნის ეკონომიკისათვის.

2 Global Entrepreneurship Monitor (GEM) 2020-2021 Global Report., Global Entrepreneurship Monitor (GEM) https://www.gemconsortium.org/file/open?fileId=50691 საქართველო ამ რეიტინგში მოხვედრილი არაა (ავტ)

1) ბიზნესის დაწყება კარგი კარიერული არჩევანია;

2) წარმატებულ მეწარმეებს აქვთ მაღალი სტატუსი საზოგადოებაში;

განსჯა

იმისათვის რომ პოტენციურ მეწარმეს ჩამოუყალიბდეს სწორი ბიზნეს მენტალიტეტი, საჭიროა შეიქმნას საგანმანათლებლო ბაზა. უნდა შეფასდეს ზოგადი ბიზნეს გარემო, მიმდინარე ფაქტორები და მათი უკუკავშირი როგორც ეკონომიკაზე ასევე ინდივიდებზე.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სტიმული უნდა მოდიოდეს უპირველეს ყოვლისა ხელისუფლების მხრიდან, სათანადო ბიზნეს გარემოს, საგანმანათლებლო ბაზის და ზოგადად იმ შესაძლებლობის შექმნით, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის სათანადო მენტალიტეტის, მოწინავე სამეწარმეო ცოდნისა და წინასწარგანწყობის ფორმირებას. (Тсерендулам Ш, Болор Б; 2015).

სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანები შეიმუშავებენ ახალ იდეებს და იწყებენ ბიზნესს, ქმნიან მილიონობით დოლარის ღირებულების აქტივებს. ინოვატორები იწყებენ ბიზნესს ადრეულ ასაკში, უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სწავლის პერიოდში. თუმცა ეს მაგალითი არ არის უნივერსალური, და ყველა ქვეყნისათვის ის პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან მომდინარეობს.

სამეწარმეო განათლების მიზანია, ახალგაზრდებში სამეწარმეო ქცევის წახალისება, ისეთი სოციალური და მენტალური უნარებისა და გამოცდილების შეძენა-სრულყოფა, როგორიცაა გუნდური მუშაობა, პასუხისმგებლობის აღებისა და მისი განხორციელების შესაძლებლობა, რისკზე წასვლა, ინოვაციურობისადმი მიდრეკილება, სოციალური უკუკავშირი, ფიქსირებული ან განვითარებაზე ორიენტირებული აზროვნება. ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც აუცილებელი პირობაა ბიზნესში წარმატების მიღწევისათვის(Pitermann and Cenedy., 2003).

როგორც საერთაშორისო კვლევები და ეკონომიკური მაჩვენებლები ცხადყოფს, ახალგაზრდებში სამეწარმეო მენტალიტე-

ტისა და შესაბამისად პოტენციალის ფორმირების ყველაზე ეფექტური პირობები, მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშია შექმნილი, რაც ეფუძნება მოსახლეობაში მეწარმეობასა და ბიზნესზე საყოველთაო განათლებასა და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას.

ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ, ერთის მხრივ, სათანადო საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო მეორე მხრივ, სტუდენტებს შეუძლიათ განავითარონ სამეწარმეო უნარები და ქცევა, რომლებიც საჭიროა წარმატებული ბიზნეს საქმიანობისათვის.

მაგალითად, მონღოლეთში, სტუდენტები სწავლის პერიოდში პრაქტიკულად არ განიხილავენ ბიზნესის დაწყებას. სამაგიეროდ, ამჯობინებდნენ მუდმივ დასაქმებას, ვინაიდან ისინი ამ გარემოს აღიქვამენ უფრო სტაბილურად. ეს სიტუაცია მეტყველებს მონღოლ სტუდენტებში ინფორმაციის ნაკლებობაზე და ინდივიდუალურ გამოცდილებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეობის პროგრამები მონღოლეთის ეროვნული უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების სიის სათავეშია, მკვლევარები ფიქრობენ რომ პროგრამების გასაუმჯობესებლად და დასახვეწად, საჭიროა მათი სტუდენტების სურვილებსა და საჭიროებებზე მორგება. მკვლევარების აზრით, დამწყებ სტუდენტებს არ აქვთ მკაფიო ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაონ გუნდთან, დაგეგმონ თავიანთი მომავალი ბიზნესი და იყვნენ პროდუქტიულები. აქედან გამოიკვეთა, რომ მათ საგანმანათლებლო პროგრამებს აკლდათ სამეწარმეო განათლებისთვის საჭირო რამდენიმე აუცილებელი ელემენტი., როგორიცაა ბიზნეს გარემოს შესწავლა, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო ტრენინგები, რომლებიც, თავის მხრივ, იმოქმედებენ ახალგაზრდების ბიზნესისადმი დამოკიდებულებაზე და წარმოების მოტივაციის გაჩენაზე.

აღნიშნული კვლევა შესაძლებელია სხვა ქვეყნებისთვის იყოს მაგალითი იმისა, რომ პოპულარული სამეწარმეო პროგრამების არსებობა ყოველთვის ვერ იქნება გარანტი ახალგაზრდებში სწორი სამეწარმეო მენტალიტეტის ფორმირებისა, სანამ არ იქნება შესწავლილი კონკრეტული ეროვნული საჭიროებები და

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უშუალოდ ამ საჭიროებებზე მორგებული.

იორდანიაში ჩატარებულ კვლევები ფოკუსირებული იყო ახალგაზრდებში სამეწარმეო აზროვნების ისეთი ოთხი ძირითადი განზომილების-პირდაპირი და პოზიტიური კავშირიის გამოვლენაზე, როგორიცაა **შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რისკის საკუთარ თავზე აღება, ტოლერანტობა, შემოქმედებითობა და ინოვაციურობა.** (Haitham.A, et al., 2018).

განათლების როლზე მიუთითებს მექსიკაში ჩატარებული კვლევაც, სადაც უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს შორის ჩატარდა გამოკითხვა, სადაც სტუდენტებს მიეცათ საშუალება მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე გადმოეცათ საკუთარი ხედვები, ინტერესები და შეეთავაზებინათ პრობლემების გადაჭრის ხერხები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოევლინა უნივერსიტეტის სტუდენტების სამეწარმეო პროფილი მათი გამოცდილების, ინტერესების, დამოკიდებულებებისა და სამეწარმეო უნარების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეობის კურსები უფრო ხშირად ტარდებოდა უნივერსიტეტებში, კვლევამ გამოავლინა აუცილებლობა იმისა, რომ პერიოდულად შეფასდეს სტუდენტების ინტერესის მახასიათებლები და შესაძლებლობები, რათა გაგრძელდეს პროგრამების მოდიფიცირება საჭიროების შესაბამისად.

შეადარეს იმ სტუდენტთა შედეგები, ვინც დაასრულა კურსი, მათ ვისაც კურსი ჯერ არ გაუვლია. შედეგებმა აჩვენა, რომ კურსდამთავრებულმა მონაწილეებმა წარმოადგინეს მდგრადი ბიზნეს იდეები, რომლებიც ეხმიანებოდა ადგილობრივ და გლობალურ პრობლემებს. გარდა ამისა, კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს სოციალური მეწარმეობისა და უნივერსიტეტში სწავლის დროს მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპანიების განვითარების მიმართ. კვლევისას გამოყენებულმა კითხვარმა შესაძლებელი გახადა სტუდენტების მახასიათებლების, ინტერესების და სამეწარმეო უნარების იდენტიფიცირება. ასევე იმ უნარების გამოვლენა, რომლებიც მათ არ გააჩნდათ ელექტრონული სწავლების კურსის დაწყებამ-

დე, და რაც მიუთითებს აღნიშნული უნარის შემდგომი გაძლიერების საჭიროებაზე.

კვლევებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს შესაძლებლობა, სწორედ გააზრებული და შედგენილი პროგრამების ხელშეწყობით, გაუმჯობესდეს სტუდენტების აღქმა საკუთარი სამეწარმეო უნარების შესახებ. ასევე არსებობს შესაძლებლობა ჩატარდეს კვლევა უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით განსახორციელებელი პროგრამების ეფექტურობის დასადგენად.

ყველა ზემოთმოყვანილი კვლევის მთავარი ნაკლოვანება მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობა იყო. კვლევა შემოიფარგლებოდა კონკრეტული უნივერსიტეტების კონტექსტით, არსებული საგანმანათლებლო მოდელიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, მიუხედავად სამეწარმეო ეკოსისტემის არსებობისა, არ არის გამოვლენილი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ სტუდენტების ინტერესები და უნარები. მათი იდენტიფიცირებით, უნივერსიტეტები შეძლებენ შესთავაზონ სტუდენტებს დამატებითი პროგრამები, რომლებიც აძლიერებს მათ სამეწარმეო აღქმას, ხედვასა და კომპეტენციებს. გარდა ამისა, საჭიროებებზე დაფუძნებული მეწარმეობის ტრენინგმა შეიძლება გაზარდოს სტუდენტების ინტერესი იმ გადაწყვეტილებების შემუშავებისადმი, რის გამოც პროგრამებმა უნდა წაახალისონ საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაჭრა.

კვლევებში გამოყენებული ინსტრუმენტის დანერგვა შეიძლება იყოს ღირებული სტუდენტებში სამეწარმეო უნარების იდენტიფიცირებისთვის და მათი შემდგომი განმტკიცებისთვის მულტიდისციპლინურ კურსებში, სწავლების განმავლობაში, რაც აფართოებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების ხედვას მდგრადობისკენ.

დასკვნები და წინადადებები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდობაში, თანამედროვე ბიზნეს მენტალიტეტის ფორმირება და რეალიზაცია კომპლექსური პრობლემაა და გა-

დაჭრის კომპლექსურ ღონისძიებებს გულისხმობს, რომელშიც კვლევის საკითხიდან გამომდინარე უნდა გამოიყოს:

• ახალგაზრდებში ბიზნეს მენტალიტეტის გამოვლენისა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეწარმეო პიროვნულ-ფსიქოლოგიური უნარჩვევების განმავითარებელი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა-ინტეგრირება(Хащенко Т.Г., 2006).

• თანამედროვე ბიზნეს მენტალიტეტის ფორმირება უნდა ხდებოდეს სისტემური პიროვნული განათლების, განვითარების საფუძველზე, რომელიც აერთიანებს ინტელექტუალურ, ემოციურ, ქცევით და სამოტივაციო თვისებებისა და უნარების გამოვლენა-განვითარებას. ამ თვისებების ერთობლიობა განაპირობებს უნარს ინდივიდმა მოახდინოს შიდა და გარე მოცემულობების გაერთიანება, შეთავსება. შესაბამისად შეაფასოს ბიზნესის რისკები, პოტენციალი, საკუთარი შესაძლებლობები და შეძლოს წარმატებული მეწარმეობა.

• მრავალდონიან საგანმანათლებლო ბაზისა და პროგრამების შემუშავება და ფორმირება, შემდგომი მხარდაჭერის მექანიზმით;

საზოგადოებაში მეწარმეობრივი საქმიანობისადმი პიროვნულ -ფსიქოლოგიური მზადყოფნის ფორმირება, რაც გულისხმობს: სისტემური განათლების განვითარების საფუძველზე, ინტელექტუალური, ემოციური, ქცევითი და სამოტივაციო თვისებებისა და უნარების გამოვლენა-განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უორდი ალ., ბრიზეიდა რ. ერნანდეს-სანჩესი* და ხოსე ს. სანჩეს-გარსია - სამეწარმეო პოტენციალი და გენდერული ეფექტები: პიროვნული თვისებების როლი უნივერსიტეტის სტუდენტების სამეწარმეო მიზნებში - 2019- https://www.ncbi. nih. gov/pmc/articles/PMC6905410/ (05.02.2022)

2. სამეწარმეო-მენტალიტეტი, გენდერი და კვლევა ქალ მეწარმეებს შორის, 2004, ორგანიზაციული მენეჯმენტის ჟურნალი 17(3) -https://www.researchgate.net/publication/228314717_En-

trepreneur-Mentality_Gender_and_the_Study_of_Women_Entrepreneurs (05.02.2022)

3. მეი კასტრო და მარსელა ჯორჯინა გომეს ზერმენო, 2018 - სამეწარმეო ინტერესების და უნარების იდენტიფიცირება უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის

4. პ.ვ.ნჯერუ- გენდერზე დაფუძნებული სამეწარმეო აზროვნება და მათი გავლენა მცირე და საშუალო მწარმოებელი ფირმების შესრულებაზე- ბიზნესისა და კომერციის საერთაშორისო ჟურნალი ტ. 1, No. 9: 2012 წლის მაისი[182-198] https://www.ijbcnet.com/1-9/IJBC-12-1916.pdf (05.07.2021)

5. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2020- https://www.weforum.org/agenda/2020/03/more-women-in-leadership-shouldnt-matter-but-it-really-does/ (05.02.2022)

6. ქალები ბიზნესში: გზა ლიდერობისა - გრანტ ტორტონ ინტერნეიშენალი, ბიზნეს ანგარიში 2015 - https://www.grantthornton.global/globalassets/1.-member-firms/global/insights/ibr-charts/ibr2015_wib_report_final.pdf (05.02. 2022)

7. ზ.ა ლოპე პიე; ა.ს.ა სანი, 2009, „სტუდენტთა სამეწარმეო აზროვნების გამოკვლევა: უნივერსიტეტში სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესების გავლენა“. https://www.researchgate.net/publication/26628224_Exploring_the_entrepreneurial_mindset_of_students_Implication_for_improvement_of_entrepreneurial_learning_at_university(05.07.2021)

8. სერენდულამ შ. ბოლორ ბ. 2015- სამეწარმეო აზროვნების განვითარება - https://research-journal.org/en/economics-en/razvitie-predprinimatelskogo-myshleniya/?fbclid=IwAR27WIIkvMzh95tXIgNubrAXfNfju3jgempqdIYu1tUhhT2LKpdinxo8ISQ

9. ხაშჩენკო თ.გ., ხაშჩენკო ა.ვ. ფსიქოლოგიური და აკმეოლოგიური მხარდაჭერის სისტემა აგრარულ განათლებაში სამეწარმეო საქმიანობისთვის პიროვნების მზადყოფნის ფორმირებისთვის / რედ. თ.გ. ხაშჩენკო. მონოგრაფია. - ულიანოვსკი, 2006. -160გვ.

10. ტურეცკაია გ.ვ., ხაშჩენკო ვ.ა. მეწარმე ქალთა სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები / ერთობლივი საქმიან-

ობა ორგანიზაციული და ეკონომიკური ცვლილებების კონტექ-სტში. M.: IP RAN, 1997. S. 35 – 45.

REFERENCES:

1. Alexander Ward, Brizeida R. Hernández-Sánchez,* and Jose C. Sánchez-García 2019-Entrepreneurial Potential and Gender Effects: The Role of Personality Traits in University Students' Entrepreneurial Intentions- - https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6905410/ (05.02.2022)

2.Entrepreneur-Mentality, Gender and the Study of Women Entrepreneurs, 2004, Journal of Organizational Change Management 17(3) https://www.researchgate.net/publication/228314717_Entrepreneur.Mentality_Gender_and_the_Study_of_Women_Entrepreneurs (05.02.2022)

3.May Portuguez Castro, and Marcela Georgina Gómez Zermeño 2018- Identifying Entrepreneurial Interest and Skills among University Students

4.P.V. Ngeru- Gender Based Entrepreneurial Mindset and Their Influence on Performance of Small and Medium Manufacturing Firms International Journal of Business and Commerce Vol. 1, No. 9: May 2012[182-198] https://www.ijbcnet.com/1-9/IJBC-12-1916.pdf (05.07.2021)

5.World economic forum 2020- https://www.weforum.org/agenda/2020/03/more-women-in-leadership-shouldnt-matter-but-it-really-does/ (05.02.2022)

6. Women in business: the path to leadership Grant Thornton International Business Report 2015 - https://www.grantthornton.global/globalassets/1.-member-firms/global/insights/ibr-charts/ibr2015_wib_report_final.pdf (05.02.2022)

7.Z. A. Lope PIHIE – A. S. A. SANI, 2009, „Exploring the Entrepreneurial Mindset of Students: Implication for Improvement of Entrepreneurial Learning at University". https://www.researchgate.net/publication/26628224_Exploring_the_entrepreneurial_mindset_of_students_Implication_for_improvement_of_entrepreneurial_learn-

ing_at_university (05.07.2021)

8.Tserendulam Sh, Bolor B. 2015- „DEVELOPMENT OF ENTREPRENEURIAL THINKING“- https://research-journal.org/en/economics-en/razvitie-predprinimatelskogo-myshleniya/?fbclid=IwAR27WIIkvMzh95tXIgNubrAXfNfju3jgempqdIYu1tUhhdinoT2LK

9. Khashchenko T.G., Khashchenko A.V. The system of psychological and acmeological support for the formation of a person's readiness for entrepreneurial activity in agrarian education / ed. T.G. Khashchenko. Monograph. - Ulyanovsk, 2006. -160 p.

10.Turetskaya G.V., Khashchenko V.A. Socio-psychological characteristics of women entrepreneurs / Joint activities in the context of organizational and economic changes. M.: IP RAN, 1997. S. 35 – 45.

THE IMPACT OF EDUCATION ON THE FORMATION OF BUSINESS MENTALITY AMONG YOUNG PEOPLE

Mariam Kurtanidze,
GTU, PhD student
kurtanidzemariam1@gmail.com

RESUME

Entrepreneurship is one of the best ways to overcome the main challenge of the modern economy - unemployment. The effective way to reduce unemployment in a short period is to promote the development of small and medium-sized businesses, one of the most important areas of economic reform in the country. The creation of new jobs depends on the effective functioning of this sector, in which it is crucial to create an adequate educational base, to develop a modern business mentality and potential among the population, especially young people, and consequently, to form a competitive human capital.

We can consider that the involvement of young people in economic activities, that will increase their motivation and activation is a global challenge.

Therefore, the study of entrepreneurial attitudes among the young population, the formation and research of the business mentality relevant to modernity is of great importance for the planning and implementation of policies that are crucial for contribution of entrepreneurship.

Keywords: Youth Business Mentality, Entrepreneurial Education.

მცირე ბიზნესი - განვითარების ტენდენციები და პრობლემები

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-229

ლალი ხარბედია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
lali.kharbedia@atsu.edu.ge,
მალხაზ გვიჩია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
mgvichia1975@gmail.com

რეზიუმე

განხილულია მცირე ბიზნესის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. თანამედროვე ბიზნეს სექტორში არსებული მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილია ის პრობლემები, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის მცირე სამეწარმეო სტრუქტურების ფუნქციონირებას და პერსპექტიულ განვითარებას.

საგადასახადო შეღავათების და სამთავრობო პროგრამების მხარდაჭერის პირობებშიც კი მცირე ბიზნესს უჭირს დამკვიდრება მეწარმეობის სხვადასხვა დარგში და სულ უფრო მეტად შეინიშნება საშუალო და მსხვილი ბიზნესის მხრიდან მცირე საწარმოთა "შევიწროება", განსაკუთრებით საცალო ვაჭრობის სფეროში. აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდი გამოწვევა მცირე ბიზნესის არაჯეროვანი განვითარებაა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სფეროს კვლევა და ეფექტური კომპლექსური ღონისძიებების დასახვა პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ჩართულობით.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი, საინვესტიციო გარემო, საკრედიტო მიმზიდველობა, არასრულყოფილი კონკურენცია.

ძირითადი ნაწილი

განვითარებული სახელმწიფოების მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი წილი მცირე და საშუალო ბიზნესს უჭირავს. ქვეყნის დოვლათის დიდი ნაწილი სწორედ ამ სფეროში იქმნება და მოსახლეობის უმრავლესობა აქ არის დასაქმებული. მცირე ბიზნესი ქმედით როლს თამაშობს ქვეყნის სიღარიბის დაძლევაში. საწარმოთა გრადაცია ზომის მიხედვით განსხვავებულია ცალკეულ ქვეყანაში. საქართველოში საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე.

მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

• მცირე საწარმოებისათვის - 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს;

• საშუალო საწარმოებისათვის - 249 დასაქმებულს ან 60 მლნ. ლარს. [1]

რაც შეეხება, მსხვილ საწარმოებს, მათ განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

ნებისმიერ ქვეყანაში მეწარმისათვის მცირე და საშუალო ბიზნესი ერთობ მიმზიდველია. შეიძლება გამოვყოთ მხოლოდ რამდენიმე უპირატესობა, როგორიცაა უსაფთხოება, ადაპტირებადობა, მომგებიანობა. და მართლაც, იმ მცირე და საშუალო საწარმოში, რომლებიც წარმატებულად ფუნქციონირებენ და სადაც მენეჯმენტი სრულყოფილად მუშაობს ყველა ეს თვისება შეიძლება დავინახოთ. მიუხედავად ამისა, იმ ქვეყნებშიც კი სადაც მცირე მეწარმეობა დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, არსებობს პრობლემები რომელიც მცირე ბიზნესის თანამდევია; კერძოდ:

− დასაქმებული მენეჯერთა რაოდენობა და გამოცდილება შეზღუდულია;

− ფული − მუდმივი პრობლემაა, მენეჯერების შეზღუდული

გამოცდილება კი არ იძლევა მათ ხელთ არსებული სახსრების რაციონალურად განოყენების შესაძლებლობას;

– მენეჯერთა გუნდი საკმაოდ მცირერიცხოვანია და შეიძლება ის იყოს ახალბედა ბიზნესში, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური განათლება, ამიტომ პრობლემებს შეცნობენ მაშინ, როცა უკვე გაჩნდება, მათ გადასაწყვეტად კი დრო არ ყოფნით.

– საკამოდ შეზღუდული გეოგრაფიული და სამრეწველო სექტორი;

– შენობა-ნაგებობა ყოველთვის არ არის ხელსაყრელი ბიზნესის ორგანიზაციისათვის;

– მენეჯერებს ყოველთვის არა აქვთ სწორი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად, ისინი ეყრდნობიან მოძველებულ, ყოველ შემთხვევაში წინა წლის ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა განვითარებულ ქვეყნებში უკვე რამდენიმე ათეული წელია, მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ, საქართველოში ეს ნიშნული 20%-ს ვერ გასცდა. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელის შემშლელი პრობლემები მრავლადაა. საქართველოში მცირე საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს და მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია მრავალი გარე მიზეზით, რომელთაგან ძირითადია: საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ბაზრის არასრულყოფილება, ბიუროკრატიზმი და სხვა.

მცირე მეწარმეებმა არ იციან, როგორ უნდა წარმართონ თავიანთი ბიზნესი სწორად, არ აქვთ შემუშავებული ბიზნეს-გეგმა, რომლითაც სამომავლოდ იხელმძღვანელებენ. ბიზნესის წამოწყება და შემდეგ მისი მართვა კარგად დაგეგმილი და გააზრებული უნდა იყოს. სწორედ ამ ნიშნებს ვერ ვნახავთ იმ მცირე და საშუალო ფირმებში, რომლებსაც სჭირდებათ გეგმები და მათი ეფექტიანი რეალიზაცია. იმისთვის, რომ დეფიციტური რესურსები გამოიყენონ სწორედ იმ უბნებზე, სადაც ყველაზე მეტადაა საჭირო.

მკვლევარები აღიარებენ რომ საქართველოში მეწარმეები ისე იწყებენ საქმიანობას, ბაზარიც კი არ აქვთ შესწავლილი, არ იცნობენ მომხმარებელთა მოთხოვნებს, და რაც ყველაზე ცუდია, არც ცდილობენ, სპეციალისტებთან კონსულტაციით მაინც მიიღონ ინფორმაცია ამ ძირეული საკითხების გასათვალისწინებლად.

ვთვლით, რომ საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდი გამოწვევა მცირე ბიზნესის არაჯეროვანი განვითარებაა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ამ სფეროს კვლევა და ეფექტური კომპლექსური (სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ჩართულობით) ღონისძიებების დასახვა პრობლემების მოსაგვარებლად,

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევებით საბუთდება მსს შეიძლება განვიხილოთ წარმატებულ ფირმად, შემდგარ საქმიანობად, თუ ის არსებობს 5 წლის განმავლობაში. Gგამოკვლევებით დასტურდება, რომ ფირმათა 85% წყვეტს საქმაინობას თავისი არსებობის პირველი 5 წლის განმავლობაში, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია არასაწარმოო სექტორისათვის. [6]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებულ კრებულში "ბიზნეს სექტორი საქართველოში: 2021" შეიცავს ბიზნეს სექტორში 2016-2020 წლებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელ მაჩვენებლებს. მასში ასახულია მონაცემები როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე საწარმოების შესახებ ეკონომიკური საქმიანობის სახეების, საკუთრების ფორმებისა და რეგიონების მიხედვით. [1]

2020 წელს ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით ასე განაწილდა: მსხვილი საწარმოები – 58,3%, საშუალო საწარმოები – 17,9%, მცირე საწარმოები – 23,8%.

ამასთან საკამოდ განსხვავებულია მაჩვენებლები დედაქალაქისა და რეგიონების მიხედვით. თბილისში საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვის ხვედრითი წილი ასე ნაწილდება:მსხვილი საწარმოები-67.1 %; საშუალო საწარმოები-15.6 %; მცირე საწარმოები-17.3 %;



რეგიონებში კი საწარმოთა ზომის მიხედვით ბრუნვის ხვედრითი წილი ასეთია:

მსხვილი საწარმოები - 22.0 %; საშუალო საწარმოები - 34.1 %; მცირე საწარმოები - 43.9 %;



ამ მაჩვენებლების შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონები ნაკლებად მიმზიდველია მსხვილი ბიზნესისთვის და მსხვილ საწარმოთა დიდი ნაწილი სწორედ დედაქალაქში იყრის თავს.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესი სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობს, მიკრო და მცირე ბიზნესი ექვემდებარება სპეციალური დაბეგვრის საკმაოდ შეღავათიან რეჟიმს. შემუშავებულია მცირე და საშაულაო ბიზნესის განვითარების სტრატეგია, სადაც განსაზღვრულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. Pპროგ-

რამის „აწარმოე საქართველოში" უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და კერძო სექტორის განვითარება. მისი ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა. [2]

სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ სრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე - მეწარმე სუბიექტს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. პროგრამის არსებულ მეწარმე სუბიექტებს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნებათ, როგორც მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოების, ასევე, ახალი ბიზნეს პროექტის შემთხვევაში. პროგრამის ფარგლებში 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებაა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესი, თავის მხრივ, ბევრ სფეროს მოიცავს, პრობლემები თითქმის ყველა სფეროში შეინიშნება. ერთი-ერთი, ასეთი სფეროა საცალო ვაჭრობა და ე.წ. "უბნის" მაღაზიების ფუნქციონირება. თუ ორი ათეული წლის წინ ის მცირე ბიზნესის მოქმედების ძირითად არეალს წარმოადგენდა, ეს მიმართულება ბოლო პერიოდში ნელ-ნელა გაქრობის გზას დაადგა. როგორც მკვლევარები, ისე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ძირითადი მიზეზად კი მსხვილი სავაჭრო ქსელების განვითარებას ასახელებენ.

მსხვილი ბიზნესი სწრაფი ტემპით მიიწევს წინ, რაც, თავის მხრივ, მცირე მეწარმეობაზე ახდენს უარყოფით გავლენას. პატარა ფირმები დიდ საწარმოებს ვერ უწევენ კონკურენციას და ხშირ შემთხვევაში წყვეტენ საქმიანობას. თავდაპირველად პროცესი დედაქალაქში დაიწყო და ძალიან ბევრი წვრილი მაღაზია უბნებში დაიხურა, რადგან საბითუმო მოვაჭრეებისა და მსხვილი მწარმოებლების მიერ პროდუქციის შეღავათიან ფასებში მიწოდებამ (დიდი რაოდენობის შესყიდვის გამო) სავჭრო

ქსელებისთვის და მათ მიერ გატარებულმა საფასო პოლიტიკამ მცირე სავაჭრო ობიექტები არათანაბარ კონკურენტულ პირობებში ჩააყენა.

ანალოგიური მდგომარეობაა უკვე რეგიონებშიც, სადაც მსხვილი სავაჭრო ქსელები "მაგნიტი", "სპარი", "ნიკორა", "ორი ნაბიჯი" და სხვა ერთმანეთის მიყოლებით ხსნიან ფილიალებს და პატარა მაღაზიები კი მაღალი ბრენდის კომპანიების გვერდით ფუნქციონირებას ვერ აგრძელებენ და საქმიანობას წყვეტენ.

კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში მცირე საწარმოთა 42%-ის არსებობა 5 წელს არ აღემატება, ხოლო დაახლოებით 73% საკუთარი ბიზნესის გაფართოებას ვერ ახერხებს ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო. ბანკებიც თავს იკავებენ მცირე მეწარმეებისთვის კრედიტების გაცემისაგან და უპირატესობას ყოველთვის მსხვილ ბიზნესს ანიჭებენ.

ამ ბიზნესის გამსხვილების ტენდენცია მცირე მეწარმეობის განვითარებაზე საკმაოდ მძიმედ აისახება. სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემის არსებობის პირობებშიც კი აუცილებელია უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება იმ კომპლექსური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ბიზნეს გარემოში არსებობს. მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის საკამარის არ აღმოჩნდა ზოგადი სტრატეგიის შემუშავება, არამედ აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების გატარება განსაზღვრულ სფეროების და მიმართულებების მიხედვით.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა მომავალშიც სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ის წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის ძირითად წყაროს.

დასკვნა

ამრიგად, მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცირე მეწარმეებს

მხარდაჭერა აქვს ხელისუფლების მხრიდან საგადასახადო შეღავათების დაწესებით და გარკვეული მიმართულებების სუბსიდირებით, მათი არსებობის ხანგრძლივობა ხშირ შემთხვევაში 5 წელს არ სცდება და საქმიანობის შეწყვეტის მიზეზებად გვევლინება:

– კონკურენციის გაძლიერება მსხვილი კომპანიების მხრიდან ისეთ სფეროებში, რომელიც ტრადიციულად მცირე ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირების არეალად ითვლება (საცალო ვაჭრობა და "უბნის" მაღაზიები);

– მცირე მეწარმეთა არაკომპეტენტურობა საფასო პოლიტიკის განსაზღვრისას;

– ბიზნესის მართვის მწირი გამოცდილება (დაგეგმვის არარსებობა, ფინანსების არასწორი მართვა);

– ფინანსური შეზრუდულობის გამო რეკლამაზე მცირე დანახარჯები და გაყიდვების სფეროში გამოცდილების უკმარისობა.

ასეთ პირობებში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე სისტემა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს არსებულ პრობლემებს, ხასიათდებოდეს პრაგმატულობით და ინოვაციებზე ორიენტირებით, ყალიბდებოდეს კონკრეტული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიზნეს სექტორი საქართველოში 2021, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2021. – 136 გვ.

2. https://www.geostat.ge/media/41840/Business-sector-in-Georgia-2021.pdf

3. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, 2016 წ - 44 გვ. https://www.gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

4. მაკაროვი შ., ნაცვლიშვილი ი., მცირე ბიზნესის მართვა, თბილისი 2010წ.-143გვ.

5. ჭაღინაშვილი ლ., ჭაღინაშვილი ნ., მცირე და საშუალო ბიზ-

ნესის როლი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთასორისო სამეცნიერო კონფერენციის "ეკონომიკა –XXI საუკუნე" მასალები.

6. Lynn M. Pearce, Business Plans Handbook, 13th Volume 2008 The Gale Group. p, 367

7. Алан Вест , Бизнес-план, учебно-практическое пособие , Москва, 2005.

8. Варналий З. С. Малое предпринимательство: основы теории и практики. – Киев: «Знание», 2005. – 302 с.

REFERENCES:

1. Business Sector in Georgia, 2021, State Statistic Service, Tbilisi, 2021-, pg. 136

2. https://www.geostat.ge/media/41840/Business-sector-in-Georgia-2021.pdf

3. Small and Average Business Development Strategies in Georgia for 2016-2020, 2016, pg 44.https://www.gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

4. Makarov Sh., Matsvlishvili I "Small Business Monitoring", Tbilisi, 2010, pg. 143

5. Chaginashvili L., Chaginashvili N.,- "Small and Average Business Role and Development Perspectives in Georgia", P. Gugushvili Economics Institute atIv. Javakhishvili State Univercity , international conference materials -"Economics-XXI Century"

6. Lynn M. Pearce, Business Plans Handbook, 13th Volume 2008 The Gale Group. p, 367

7. Alan West, Business Plan, Learning-Practice Facility, Moscow, 2005.

8. Varlani Z.,. Small Entrepreneurship: Basic Theories and Practices. - Kiev: "Knowledge", 2005. - 302 p.

SMALL BUSINESS – DEVELOPMENT TENDENCIES AND PROBLEMS

Lali Kharbedia
Academic Doctor of Economics
lali.kharbedia@atsu.edu.ge
Malkhaz Gvichia
Academic Doctor of Economics
mgvichia1975@gmail.com

RESUME

The paper discusses the role and importance of small business in the economic development of the country. Based on the analyses of the conditions of the current business sector, the problems that hinder small business perspective development, are detected. Even with the tax exemption and governmental supportive programmes small business exercises difficulties to be involved in different entrepreneurial branches, there are more and more cases of "hampering" small business, especially in the field of retail sale.

In the work it is mentioned that the biggest challenge for the Georgian Economy is development of the small business. That's why it is important to involve state and private sectors, to conduct a study of this sphere and find effective ways for solving the related problems.

Keywords: Small business, special tax regime, investment environment, credit attractiveness, imperfect competition.

სოციალური კომუნიკაციების მნიშვნელობა ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისული მართვის სისტემებში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-239

მირანდა ჯანხოთელი
სტუ დოქტორანტი
mjankhoteli@mail.ru
მარიამ წიკლაური
სტუ დოქტორანტი,
mariam23tsiklauri@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების რთულმა, სწრაფად ცვალებადმა გარემო ფაქტორებმა და გლობალურმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისებმა, მოითხოვა საკომუნიკაციო მედიატექნოლოგიების ფართომასშტაბიანი განვითარება და ჯანდაცვის მმართველობით საქმიანობაში სათანადოდ ინტეგრაცია. როგორც არასდროს, აქტუალური გახდა ჯანდაცვის სექტორში სოციალური მედიისა და ინტერნეტ მიღწევების-ინფორმაციის გავრცელების და კომუნიკაციის აქტიურ პროცესში ჩართვის თანამედროვე, პოპულარული და ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენება. გამოიკვეთა დისტანციურად ინფორმაციის გაცვლა-გაცნობის და ჯანმრთელობის დაცვაზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების აუცილებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ თავის სამოქმედო პროგრამაში, თანამედროვე საერთაშორისო ჯანმრთელობის გარდამქმნელ ძირითად რევოლუციურ მოვლენებს შორის, სწორედ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დაასახელა.

ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ სოციალური კომუნიკაციის აუდიტორიის სტრუქტურირება-სეგმენტი-

რებასა და სათანადო მობილიზებას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებას. ჯანდაცვის სექტორის რაციონალური, ხალხთან დაახლოებული, ეკონომიურობასა და ეფექტიანობაზე დაფუძვნებული მენეჯმენტი, სოციალურ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მმართველობით სტრატეგიას და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეროვნულ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისული მართვა, კომუნიკაციური ბარიერები, ინფორმაციის ასიმეტრიულობა.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების რთულ და სწრაფად ცვალებად პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძირეული ცვლილებების გატარება და ამ ცვლილებების სწორად მართვა ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, რთულ და კომპლექსურ სფეროში, როგორიც ჯანდაცვის სექტორია. ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებს არსებული, ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისი. მასთან ადაპტირებამ მოითხოვა საკომუნიკაციო მედიატექნოლოგიების ფართომასშტაბიანი განვითარება და ჯანდაცვის მმართველობით საქმიანობაში სათანადოდ ინტეგრაცია. როგორც არასდროს, აქტუალური გახდა სოციალური მედიისა და ინტერნეტ მიღწევების-ინფორმაციის გავრცელების და კომუნიკაციის აქტიურ პროცესში ჩართვის თანამედროვე, პოპულარული და ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენება ჯანდაცვის სექტორში. გამოიკვეთა დისტანციურად ინფორმაციის გაცვლა-გაცნობის და ჯანმრთელობის დაცვაზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების აუცილებლობა .

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „ჯანმრთელობა 2020“ პროგრამის თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო ჯანმრთელობის გარდამქმნელ 4 რევოლუციურ მოვლენას შორის, ერთერთს სწორედ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნო-

ლოგიები (IST) წარმოადგენს. ამავე ორგანიზაციის მიერ დასახულ 7-პუნქტიან „გლობალური ჯანმრთელობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში“, წამყვან ადგილს სწორედ „ცოდნის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ხოლო ტექნოლოგიების ჩამონათვალში ელექტრონული და მობილური ჯანმრთელობა m-Health (ანუ მობილური ტელემედიცინა)“ იკავებს. [1, გვ63]

ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ სოციალური კომუნიკაციის აუდიტორიის სტრუქტურირება-სეგმენტირებას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებას. თითოეულ ჯგუფზე ზემოქმედება მოითხოვს შესაბამისი სტრატეგიის, ინფორმირების მეთოდებისა და ურთიერთობის ფორმების შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს ქმედებათა ისეთ თანმიმდევრულ ელემენტებს, როგორიცაა მიზანმიმართულობა, სტრუქტურიზაცია, ოპერირება, მოქმედებათა კოორდინაცია და ეტაპობრივობა. ჯანდაცვის სექტორის რაციონალური, ხალხთან დაახლოებული, ეკონომიურობასა და ეფექტიანობაზე დაფუძნებული მენეჯმენტი, სოციალურ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მმართველობით სტრატეგიას, სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეროვნულ დონეზე.

კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული კრიზისი თავისი მასშტაბით, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა მსოფლიოსთვის და შეაფერხა ყველა არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება, თუმცა ამავე დროს, აღნიშნული კრიზისი ერთგვარ გამოწვევად იქცა, რამაც დღის წესრიგში დააყენა არსებული სისტემის „გამოფხიზლება“, შესაძლებლობების გაფართოება და ახალი მმართველობითი სტრატეგიების დასახვა.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში გაანალიზებულია სოციალური კომუნიკაციებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისული მართვის სისტემებში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია

პრაქტიკული დაკვირვების, გამოკითხვა-ინტერვიუირების, ახსნა–განმარტების, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის მეთოდები. ასევე, დიალექტიკური მეთოდი, რომლის თანახმადაც მოვლენები და პროცესები განიხილება ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებამ, საშუალება მოგვცა ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისული მენეჯმენტში წამოგვეწია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანები და პრობლემები, როგორიცაა ინფორმაციის დანაკარგის და ცვლილების შემცირების პრობლემატიკა კომუნიკაციური ბარიერების აღმოფხვრასთან კონტექსტში, ინფორმაციული დეფიციტის საფუძველზე წარმოქმნილი განუსაზღვრელობის მართვა, ინფორმაციის ასიმეტრიულობა და მისი გავლენა სისტემის სტრატეგიის შემუშავების, სტრუქტურიზების, ოპერირებისა და მოქმედებათა კოორდინაციის საქმეში.

ძირითადი ტექსტი

ჯანდაცვის სექტორის რაციონალური, ხალხთან დაახლოებული, ეკონომიურობასა და ეფექტიანობაზე დაფუძნებული მენეჯმენტი, სოციალურ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მმართველობით სტრატეგიას, სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეროვნულ დონეზე.

ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელებისას, ეფექტური კომუნიკაცია აუმჯობესებს ინფორმაციის მოპოვების სიჩქარეს და ხარისხს, რაც თავის მხრივ ეხმარება მენეჯმენტურ რგოლს გააუმჯობესოს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება მმართველობითი პროცესის თითოეულ ეტაპზე, დაამკვიდროს ხარისხიანი მომსახურება, გაზარდოს აქტივების ეფექტიანობა, გააკონტროლოს ინსტიტუციონალური რესურსების გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ჯანდაცვის ეფექტიანი მომსახურების პერმანენტულ სრულყოფას და ხელშეწყობას.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები წარმოადგენს ძირითად ბერკეტს ელექტრონულ და ვერბალურ კომუნიკაცი-

ებში, რის ფონზეც ჯანდაცვის სექტორის მენეჯერები უზრუნველყოფენ დროულ ელექტრონულ კომუნიკაციას ჯანდაცვის სექტორში ჩაბმულ ყველა ინსტიტუციასთან, ინფორმაციის დიდი მოცულობით ფლობას და მართვას. სოციალური კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს სოციალური დიალოგის საშუალებით, რაც მოიცავს მოლაპარაკებების, კონსულტაციების და ინფორმაციის გაცვლის ყველა ბერკეტის ამოქმედებას მთავრობას, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის, მათთვის საერთო ინტერესის მქონე ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის საკითხებზე.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორები მაიკლ პოლი და მარკ დრედზე განმარტავენ, თუ როგორ მუშაობს სოაციალური მონიტორინგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ: „სოციალური მედია უპირატესობას ანიჭებს მონაცემთა ტრადიციულ წყაროებს, მათ შორის რეალურ დროში მონაცემების ხელმისაწვდომობას, დაშვების მარტივობას და შემცირებულ ღირებულებას. სოციალური მედია საშუალებას გვაძლევს დავსვათ კითხვები და ვუპასუხოთ კითხვებს“ .[2, გვ10]

სოციალური ქსელების საშუალებით კომუნიკაციის მთავარი სარგებელი სწორედ ორმხრივი კომუნიკაციაა. სოციალური ქსელებით კომუნიკაციის აქტუალობა განსაკუთრებულად გაიზარდა და ყოვლისმომცველი ბოლო ორი წლის განმავლობაში გახდა, როცა კოვიდ 19 პანდემიამ გლობალური სახე მიიღო. სწორედ სოციალური ქსელების საშუალებით, გაიზარდა ჯანდაცვის პროვაიდერების როლი, ჩამოყალიბდა **ონლაინ-კლინიკის ექიმთა ინსტიტუტი** არსებულ მძიმე ეპიდემიოლოგიურ ვითარებასთან ადაპტირებისა და გასამკლავებლად.

მიზნობრივ სოციალურ სეგმენტზე მორგებული ეფექტიანი კომუნიკაციის საბოლოო შედეგი- ინფორმაციის ადრესატის ქცევაში „გათვლილი“ ცვლილებებია, რომლებიც მოხდება შეტყობინების მიღების შედეგად. მწირმა ან არასწორმა კომუნიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები და სავალალო შედეგებამდეც კი მიიყვანოს მენეჯერი ან მის მიერ მართული სისტემა.

მენეჯერებისათვის მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ინ-ფორმაციის დანაკარგის ან ცვლილების შემცირება კომუნიკა-ციური ბარიერების აღმოფხვრის გზით. ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტისათვის აგრეთვე რთულ გამოწვევად რჩება განუ-საზღვრელობის მართვა, რადგან არსებული პანდემიური ფონი კიდევ უფრო ამძაფრებს მოთხოვნასა და ხარისხიანი სამედიცი-ნო მომსახურების რაციონალურ, საჭიროების კვალდაკვალ მი-წოდებას შორის არსებულ შეუსაბამობას.

თუმცა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის-ათვის და სამედიცინო პერსონალისთვის არ იძლევა მომხმა-რებლის სათანადო, საპასუხო ქცევის გარანტიას. სამედიცინო ბაზრის ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემური ინდიკატო-რი - **ინფორმაციის ასიმეტრიის პრინციპია.** პაციენტი ზოგჯერ ფლობს მწირ, გადაუმოწმებელ ან არასწორ ინფორმაციას, ან, ამავე დროს, შესაძლოა ექიმს არ გაუმჟღავნოს სრული ინფორ-მაცია მიმდინარე ან გადატანილი დაავადებების, ჩატარებული თვითმკურნალობის შესახებ.

ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისულ მართვაში არასწო-რად მართული ინფორმაცია აფერხებს მენეჯმენტის საჭირო მოქმედებათა კოორდინაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არ-ამხოლოდ ჯანდაცვის ეკონომიკური კრიზისი, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი-სიცოცხლის დანაკარგები. არსებულ პრობლე-მას აღრმავებს ის ფაქტორი, რომ არსებული, კერძო სადაზღვეო კომპანიებისა და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის მოქმედე-ბის პირობებში, სამედიცინო ბაზარი გაჯერებულია ექიმების, პაციენტების და კლინიკების მენეჯერების ოპორტუნისტული, „სისტემასთან მორგებული" ქცევებითა და სურვილებით: ბიუჯ-ეტის ხარჯზე მიიღონ დამატებითი მოგება.

მკაფიო, გამჭვირვალე, ეფექტური კომუნიკაციის არსებობა, სათანადო დროს ადექვატური დახმარების გაწევა, ჯანდაცვის პერსონალისა და პაციენტთა უფლებების დაცვა, კანონის უზ-ენაესობის უზრუნველყოფა, საწინდარია ცვლილებების მენეჯ-მენტის წარმატებით განახორციელებისა.

სოციალური მედია და ინტერნეტ რესურსები ინფორმაცი-

ის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის თანამედროვე, მოხერხებული, ხელმისაწვდომი და პოპულარული საშუალებაა. სოციალური ქსელები ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოძიების ყველაზე ხელმისაწვდომი, ხელჩასაჭიდი, ხშირად კი ერთადერთი წყარო ხდება. არსებული გლობალური კრიზისებისა და გამოწვევების ფონზე, თითქმის უწყვეტი ფსიქოლოგიური სტრესის პირობებში, საზოგადოებას *უმძაფრდება მოთხოვნილება ჭეშმარიტ, არადრამატიზებულ და დაწვრილებით ინფორმაციაზე მათთვის საინტერესო ან მიმდინარე მოვლენების შესახებ.* ჯანდაცვის მენეჯერებისაგან და პროფესიონალი კლინიცისტებისაგან მოელიან სიმართლეს, ეძებენ ნდობას და იმედს.

ანტიკრიზისულ მართვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „ნდობის კრედიტი“ სწორედ უწყვეტი და გამჭვირვალე კომუნიკაციის წარმართვით მოიპოვება. სამედიცინო სფეროს პროფესიონალ მენეჯერებს სოციალური მედიის საშუალებით შეუძლიათ როგორც საზოგადოების ინფორმირება, ასევე მანიპულაციის მცდელობისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელების აღკვეთაც, რაც გულისხმობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, დამაჯერებლად, საზოგადოებისათვის მისაღები ენით გადმოცემული, ერთმანეთთან შეჯერებული ინფორმაციის დროულად მიწოდებას, ეთიკისა და რეგულაციების ნორმების სრული დაცვით.

ჯანდაცვის სისტემის მენეჯერებისათვის ანტიკრიზისული მენეჯმენტის განხორციელებისას, ურთულეს გამოწვევად ინფორმაციის ასიმეტრიულობასთან ერთად „ინფორმაციის უსაფრთხოების“ დაცვაც რჩება, რომელიც მოიცავს საექიმო საიდუმლოს, საქმიან, ფინანსურ და სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციას, როგორც სამედიცინო პერსონალის, ისე პაციენტებისას.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის იმიჯზე მოქმედი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სანდოობის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ სოციალურ ქსელის Facebook-ის გამოყენებით ჩატარებულ იქნა საპილოტე კვლევა, რომლის

მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის აზრის გაგება, შექმნილი პანდემიური რეალობის პირობებში, მომხმარებლები სად და როგორ მოიპოვებენ ჯანდაცვის სისტემის იმიჯსა და სანდოობაზე ინფორმაციას.

კვლევის ფორმატში, ძირითადი კითხვა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

ჯანდაცვის სისტემის (კლინიკის, ექიმის, სამედიცინო მომსახურების) იმიჯსა და სანდოობაზე ინფორმაციას ყველაზე ხშირად ხვდებით:

1. სოციალურ ქსელებში;
2. ტელევიზიით და სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით;
3. კლინიკებში, რიგში დგომისას;
4. მეგობრებთან პირად საუბრებში;
5. სამედიცინო პერსონალთან საუბრისას.

საკვლევ დროში (7 დღის განმავლობაში) კვლევით დაინტერესება გამოხატა 138 მომხმარებელმა, ხოლო კითხვას 96-მა უპასუხა. კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა ჯანდაცვის სისტემაში მომხმარებელთან განხორციელებულ კომუნიკაციაში, იმ ხარვეზების გამოვლენა, რომელიც მეტად საჭიროებს ყურადღებას, დახვეწასა და განვითარებას.

აღნიშნულმა მცირე კვლევამაც კი შესაძლებლობა მოგვცა გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად აუცილებელია სამედიცინო სექტორისათვის ფართო კომუნიკაციის წარმოება საზოგადოებასთან, აგრეთვე დაგვენახა, როგორ ურთიერთქმედებს სისტემა გარემო ფაქტორებთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა

(25%) ჯანდაცვის სისტემის იმიჯზე მოქმედ ინფორმაციას მოიპოვებს სოციალური მედიიდან, რაც განპირობებულია ინტერნეტის ხელმისაწვდომობით, სოციალური ქსელების პოპულარობითა და მოპოვებულ ინფორმაციაზე უკუკავშირით-შთაბეჭდილებების, კომენტარების გაცნობა-რეაგირების და სერვისებზე მოლოდინების წახალისებით.

რესპოდენტთა 22 პროცენტმა, მისთვის საძიებელ ინფორმაციის წყაროდ დააფიქსირა ერთდროულად ორი პასუხი: სოციალური ქსელი და სამედიცინო პერსონალი, რაც ჩვენი აზრით, იმ გონივრული არგუმენტითაა განპირობებული, რომ მათ სოციალურ ქსელში მოპოვებული ინფორმაცია გადაამოწმეს სამედიცინო პერსონალთან.

მომხმარებელთა 16,4%-მა დააფიქსირა, რომ მათთვის სანდო ინფორმაციას მოიპოვებს იმ მეგობრებთან პირადი საუბრების შედეგად, რომელთაც შეხება ჰქონდათ სისტემასთან. აღნიშნული მაჩვენებელი გვაფიქრებინებს იმას, რომ სისტემა მუდმივად უნდა ზრუნავდეს მომხმარებელზე -პაციენტზე, ცდილობდეს გაზარდოს როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე, შეუქმნას პოზიტიური შთაბეჭდილება და კმაყოფილება მიღებულ სერვისებზე. კარგი იქნება პაციენტის ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა მკურნალობის პროცესშივე, გამოჯანმრთელების შემდეგ კავშირის შენარჩუნება პირველადი ჯანდაცვის რგოლის მეშვეობით, გამოჯანმრთელებულ პაციენტთა თუნდაც ინტერნეტ-ჯგუფების შექმნა, სადაც სათანადო მომზადების შემდეგ კვალიფიციურ პერსონალთან ერთად რეკომენდაციებს გაუწევენ ქრონიკულად მოავადე პაციენტებს.

გამოკითხულთა 12,5 პროცენტმა აღნიშნა,რომ ინფორმაციას ღებულობს სამედიცინო პერსონალთან საუბრისას, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ჯანდაცვის სისტემის მენეჯერებისათვის მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალთან უწყვეტი კომუნიკაცია: მათ განათლებასა და მოტივაციაზე უწყვეტი ზრუნვა.

მომხმარებელთა 12.5 პროცენტი ჯანდაცვის სისტემის იმიჯს აფასებს ექიმთან / რეგისტრატურასთან რიგში დგომისას მიღებული ინფორმაციისა და შექმნილი განწყობის საფუძველზე, რაც სავარაუდოდ, სისტემის მომხმარელთან წარუმატებული კომუნიკაციის დამადასტურებელია. დღევანდელ, პანდემიით გართულებულ რეალობაში, როცა პაციენტს აქვს გათვლილი თავისი დრო, იაზრებს რა სოციალური დისტანციის აუცილებლობას და სხვა მრავალ ფაქტორს, რიგში ხანგრძლივად დგომა

და იქ ინფორმაციის მოპოვება, ჩვენი აზრით, ყველაზე კრიტიკული და მისახედი პრობლემაა ჯანდაცვის მენეჯერებისათვის.

გამოკითხული მომხმარებლების დარჩენილმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ინფორმაციას ღებულობს ტელევიზიითა და მედიასაშულებებით. ეს მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც აშუქებენ ტელევიზიით და სხვა მედიასაშუალებებით, კარგად გააზრებული და სათანადოდ დასაბუთებული უნდა იყოს. გადაწყვეტილების აღსრულება კი დამოკიდებულია საზოგადოების ინფორმირებაზე და მხარდაჭერაზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯანდაცვის სექტორში ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელებისას, სწორედ ეფექტური კომუნიკაცია (სისტემის ყველა მონაწილეს შორის) აუმჯობესებს ინფორმაციის მოპოვების სიჩქარეს და ხარისხს, რაც, თავის მხრივ, ეხმარება მენეჯმენტურ რგოლს გააუმჯობესოს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება მმართველობითი ციკლის თითოეულ ეტაპზე, დაამკვიდროს ხარისხიანი მომსახურება, გაზარდოს აქტივების ეფექტიანობა, გააკონტროლოს ინსტიტუციონალური რესურსების გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ჯანდაცვის ეფექტიანი მომსახურების ხელშეწყობას.

ინფორმაციის ყველაზე მძლავრი და მნიშვნელოვანი კაპიტალის მიზანმიმართული მოპოვება, სათანადო ფილტრაციამართვა, სოციუმთან გამჭვირვალე, პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული კავშირის შენარჩუნება, ინფორმაციის, კომუნიკაციის და კოორდინაციის სფეროში მაქსიმალური ბალანსის დაცვა-ეს არის ძირითადი ვექტორი ჯანდაცვის სექტორის ანტიკრიზისული მართვის რთულ და მრავაწახნაგოვან სისტემებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ჩლაიძე დ. ინფორმაციული სისტემები და საქართველოს ჯანდაცვა. აკადემიკოს ა. გუნიას სახელობის საზოგადოებრივი აკადემია, საქართველოს პარლამენტის ციფრული წიგნადი ფონდისთვის, თბილისი, 2019წ https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/291493/1/InformaciuliSistemebiDaSaqartvelosJandacva.pdf 1-109 გვ, 06.02.2022 წ

2.ეროვნული სამმხრივი სოციალური დიალოგი საქართველოში https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---dialogue/documents/publication/wcms_548546.pdf ,1-326 გვ, 06.02.2022

3.ბელთაძე პ. სოციალური დიალოგი საქართველოში/შრომა და სოციალური სამართლიანობა, ფრიდრიხ ებერტის ფონდი – სოციალური დიალოგი საქართველოში, 2020,მაისი http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16267.pdf 1-34 გვ. 06.02.2022 წ

4.დავითაია ბ. მენეჯმენტის კომუნიკაციური პროცესების მეთოდოლოგიური ასპექტები. ჟურნალი ეკონომიკა №4. 2016. გვ.156-159.

5.საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა" (USAID HSSP), იანვარი 2013http://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/HMIS_Module_Descriptions_GEO-1.pdf 1-16 გვ, 06.02.2022

6.როგორ იყენებენ სოციალურ მედიას ჯანდაცვის სფეროში https://digitalnews.ge/ge/article/socialuri-media/293-socialuri-media-jandacvis-prophesionalebistvis 06.02.2022

7.რაქვიაშვილი ალ., შამუგია ე.,.საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის სისტემისა და მიმდინარე რეფორმების ანალიზი, კვლევითი ინსტიტუტი „გნომონ ვაიზი" (Gnomon Wise) 2020 თებერვალი http://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/July2020/xfsVdYCOdmHclAVBcCTn.pdf 1-36გვ, 06.02.2022

8..მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წელი,ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემ-

ლო სახლი, 2018, 1 -448გვ

9.ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო: თანამშრომლობის მეოთხედი საუკუნე https://ncdc.ge/api/api/File/GetFile/f4c81ef2-9522-4823-829a-02dace7e10a0http 06.02.2022

10.ბარხომენკო თ. რა ბარიერი შეიძლება შეგვექმნას კომუნიკაციისას? თბ.2018.

11.Michael J Paul, Mark Dredze. Social Monitoring for Public Health. Synthesis Lectures on Information Concepts, Retrieval, and Services, 2017;9(5):1-183. [PDF]

REFERENCES:

1.Chlaidze D. Information Systems and Healthcare in Georgia. Academician A. Gunia Public Academy, for the Digital Book Fund of the Parliament of Georgia, Tbilisi, 2019.https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/291493/1/InformaciuliSistemebiDaSaqartvelos-Jandacva.pdf 1-109 p, 06.02.20

2.National Tripartite Social Dialogue in Georgia https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---dialogue/documents/publication/wcms_548546.pdf, 1-326 pp. 06.02.2022

3.Beltadze P.Social Dialogue in Georgia / Labor and Social Justice, Friedrich Ebert Foundation - Social Dialogue in Georgia, 2020, May http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16267.pdf 1-34p . 06.02.2022

4.Davitaia B. Methodological aspects of management communication processes. Journal of Economics №4. 2016. pp.156-159.

5.Unified Health Information System of Georgia. USAID Health System Strengthening Program (USAID HSSP), January 2013http: //www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/HMIS_Module_Descriptions_GEO-1.pdf 1-16p, 06.02.2022

6.How to use social media in the field of healthcare https://digitalnews.ge/ge/article/socialuri-media/293-socialuri-media-jandacvis-prophesionalebistvis 06.02.2022

7.Rakviashvili Al., Shamugia E., Analysis of Georgia's Universal

Health Care System and Ongoing Reforms, Gnomon Wise Research Institute 2020 February http://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/ July2020 / xfsVdYCOdmHclAVBcCTn.pdf 1-36p, 06.02.2022

8.Handbook of European Data Protection Law, 2018, Luxembourg: EU Publishing House, 2018, 1 -448 p.

9.World Health Organization and Georgia: A Quarter-Century of Cooperation https://ncdc.ge/api/api/File/GetFile/f4c81ef2-9522-4823-829a-02dace7e10a0http 06.02.2022

10.Barkhomenko T. What barrier can we create in communication? Tb.2018.

11.Michael J Paul, Mark Dredze. Social Monitoring for Public Health. Synthesis Lectures on Information Concepts, Retrieval, and Services, 2017; 9 (5): 1-183. [PDF]

The Importance of Social Communication in Anti-crisis Health Management Systems

Miranda Jankhoteli,
GTU, PhD student**,**
mjankhoteli@mail.ru;
Mariam Tsiklauri,
GTU, PhD student,
mariam23tsiklauri@gmail.com

Resume

The rapidly changing environmental factors of the modern world and the global socio - economic and political crises, have required the large-scale development of communication media technologies and their proper integration into healthcare governance. As never before, the use of modern, popular and affordable means of social media and internet advances in the healthcare sector - active involvement in the process of dissemination of information and com-

munication has become topical. The need to exchange information remotely and strengthen preventive measures for health protection has been outlined.

The World Health Organization has named information and communication technologies as one of the key revolutionary developments in modern international health in its action plan.

Information technologies provide structuring-segmentation and proper mobilization of the social communication audience, which significantly determines the successful implementation of communication. Rational, people- friendly, economics and efficiency - based management of the health sector, based on social - communication technologies is directly linked to the country governance strategy and state interests at the national level.

Keywords: Social-communication technologies, anti-crisis management of the healthcare sector, communication barriers, information asymmetry.

ფირმის ადაპტაციური ბიზნეს-გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-253

თამარ ბეგდარაშვილი
სტუ დოქტორანტი
tako.begdarashvili@gmail.com

რეზიუმე

ნებისმიერ ფირმას წარმატებული ფუნქციონირებისთვის უწევს მოერგოს ცვალებად ბიზნეს გარემოს. 21-ე საუკუნეში ისინი ფაქტობრივად უკვე იძულებულნი არიან გრძელვადიანი გეგმების პარალელურად აქტიურად იმუშავონ ადაპტაციური ბინზნეს-გეგმების შემუშავებაზე, რადგან ბიზნეს გარემოს გაურკვევლობის ხარისხი განუწყვეტლივ იზრდება, რის პარალელურადაც ადაპტაციური კომპეტენციები ეხმარება ფირმას გამოიმუშავოს გარემოსადმი ცვლილების უნარი, როგორც კონკურენტული უპირატესობა.

შეიძლება ბევრი ვისაუბროთ ბოლო ათწლეულის ბიზნეს ლანდშაფტის აღსაწერად, თუმცა ერთადერთი რაც შეიძლება დაზუსტებით ითქვას არის, რომ ამ პერიოდში არასდროს ყოფილა ძირეული ცვლილებები წინასწარ გარკვეული, ცხადი და მოსალოდნელი. რამდენადაც მსოფლიოში გამოხატულად დაჩქარებულია ბიზნეს ციკლები და პროცესები, უფრო მკაცრად შეგვიძლია გავაკრიტიკოთ ტრადიციული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, სადაც შემოთავაზებულია ბიზნეს სცენართა მცირე ალტერნატივა და ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ბაზრის მოთხოვნის რადიკალურ ცვლილებებზე. ამის ფონზე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ადაპტაციური ბიზნეს-გეგმის შემუშავების მნიშვნელოვნებაზე და განვიხილოთ მისი შემუშავების მეთოდოლოგია

საკვანძო სიტყვები: ადაპტაცია, ბიზნეს-გეგმა, ადაპტაციური მენეჯმენტი, ადაპტაციური ღონისძიებების კომპლექსი, კონკურენტული უპირატესობა.

საწარმოს სტაბილური საქმიანობის აუცილებელ პირობას ცვალებად პირობებში წარმოადგენს ადაპტაციის ბიზნეს-გეგმა. იგი იძლევა შესაძლებლობას წარმოდგენილ იქნას ადაპტაციის ამოცანების მთელი კომპლექსი და თავად ბიზნესი კონკრეტული ღონისძიებების სახით, რომლებიც ორიენტირებული იქნება პირველადი მიზნის–შეგუების, გადარჩენის, ხოლო შემდგომ მდგრად განვითარებასთან დაკავირებული ადაპტაციური კომპეტენციების გამოვლენაზე და უშუალოდ ადაპტირებაზე.

ბიზნეს-გეგმა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც საწარმოდ ადაპტაციური სტრატეგიის რეალიზაციის ღონისძიებათა კომპლექსი. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, წარმატებები ბიზნესის სამყაროში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამ მდგენელზე: საერთო საქმის ვითარების გაგებაზე, მომავალი ფუნქციონირების პერსპექტივების ობიექტურ შეფასებასა და ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის პროცესის სწორ დაგეგმვაზე.

ადაპტაციის ბიზნეს-გეგმის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის ხარისხის განსაზღვრის შესაძლებლობას ეკონომიკის ტურბულენტობის პირობებში. აქედან გამომდინარე ადაპტაციის ბიზნეს-გეგმა შეიძლება შედგენილ იქნას როგორც გარე მიზნების – საკრედიტო რესურსების, შეღავათებისა და პრეფერენციების მიღების, ინვესტორების მოზიდვის, ასევე შიდა მიზნებისთვის – საერთო საქმის ვითარების გაგების, მომავალში ფუნქციონირების პერსპექტივების ობიექტური შეფასების, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადსვლის პროცესის დაგეგმვისათვის.

ადაპტაციური მენეჯმენტის შემუშავების განზოგადებული მოდელი შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ (იხ. ნახაზი 1):

ფირმის ადაპტაციური ბიზნეს-გეგმის შემუშავება საკმაოდ საყურადღებო და ხანრძლივ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს. მისი ეფექტიანი დაგეგმვისათვის უპირველესია სისტემური მიდგომა. აუცილებელია ფირმის სისტემური შესწავლა და ად-



ნახაზი 1

აპტაციისათვის ყველა ბიზნეს ელემენტის ურთიერთკავშირის გათვალისწინება. ასევე საყურადღებოა ადაპტაციის გეგმაში

შემავალი პუნქტების თანმიმდევრულობა, ერთმანეთთან შეთანხმებულობა და კონცენტრაცია ბიზნეს გარემოს ძირითად ფაქტორებსა და საქმიანობის ძირითად ასპექტებზე.

ადაპტაციის ბიზნეს-გეგმა თავის მხრივ წარმოადგენს მკაფიოდ კონსტრუირებულ სამუშაო დოკუმენტს, რომელიც შექმნილია ფირმის ადაპტაციის პროცესის მართვის უზრუნველსაყოფად. ადაპტაციის ბიზნეს-გეგმის შეინაარსი და მოცულობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე: ადაპტაციის და მისი სახეების მიმართულება, საწარმოს სიდიდე, დანიშნულება – შიდასაფირმო გამოყენების ან ინვესტორების მოსაზიდად ან ბანკებისთვის – დამატებითი დაფინანსების მოსაპოვებლად; დაგეგმვის პერიოდი (მოკლევადიანი, საშუალო ან გრძელვადიანი); წარმოდგენის სირთულე (გამსხვილებული ან დეტალიზებული, დაწვრილებითი); საჭირო მარკეტინგული ინფორმაციის არსებობა, კონკურენტების არსებობა ბაზარზე, წარმოებული პროდუქციის სირთულე, დარგის სპეციფიკა და ტექნოლოგიური სიახლეების სიხშირე.

იმისათვის, რომ ფირმის ადაპტაციურმა გეგმამ სასურველი შედეგები და წარმატება მოუტანოს მას, აუცილებელია კარგად იყოს შესწავლილი როგორც ფირმის შიდა სტრუქტურა და მექანიზმი, ასევე დარგის განვითარების ტენდენციები, გასაღების ბაზრები, კონკურენტები, კონურენციის გზები. მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ფირმის მიმდინარე პოზიცია ბაზარზე და სამომავლო ამბიციები ობიექტურად დასახული და რაც ყველაზე მთავარია რეალურად მიღწევადი იყოს. სწორედ ამ ყველაფრის ფონზე ისახება საწარმოს ადაპტაციის სტრატეგია, რომლის მატერიალურ სახეს წარმოადგენს ადაპტაციის ბიზნეს-გეგმა და სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტის სახით.

შემუშავებული ადაპტაციის გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: შეიცავდეს ადაპტაციის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის უზრუნველმყოფ სტრატეგიას; ითვალისწინებდეს საწარმოს ყველა სახის ეკონომიკური რესურსის რაციონალურ განაწილებასა და გამოყენებას; შეიცავდეს არჩე-



ნახაზი 2

ული ოგრანიაზციული სტრუქტურის აღწერას, რომელიც უზრუნველყოდს გეგმის თანმიმდევრულობას, მის მოქნილობასა და მობილობას; ასახავდეს ადაპტაციის რაოდენობრივ ორიენტირებს კონტროლის უზრუნველსაყოფად.

ადაპტაციური ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაციის ალგორითმი შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ (იხ. ნახაზი 2):

განსაკუთრებული ყურადღებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადაპტაციის ბიზნეს-გეგმის დასკვნით ნაწილში აუცილებელია შეფასდეს ფირმის ადაპტაციურ ღონისძიებათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირობებში, როცა საწარმოს სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს არათანაბარზომიერი წვლილი შეაქვთ ადაპტაციის საბოლოო შედეგებში. ამ გზით გამოვლინდება ის ქვედანაყოფები, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ ადაპტაციური მენეჯმენტის დანერგვაში და შემდგომ კი სწორედ მის საფუძველზე გაზრდილ ფირმის შემოსავლიანობაში. სამომავლოდ ფირმამ ამ მიმართულებების გასაძლიერებლად სასურველია გამოყოს დამატებითი სახსრები, რათა ამაღლდეს მისი მუშაობის ეფექიტიანობა – რაც ერთ-ერთ გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს.

დასკვნა

ადაპტაციური მენეჯმენტის სისტემის შემქნის წინა პირობაა ფირმის ადაპტაციის სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს და მიმართულია კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფისა და საწარმოს პოზიციების განმტკიცებისაკენ შიდა და გარე გასაღების ბაზრებზე, საბაზრო გარემოს არასტაბილურობის პირობებში.

ადაპტაციური მენეჯმენტის სისტემის მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ის გვაძლევს შესაძლებლობას დავაკორექტიროთ ბიზნეს-პროცესები გარე გარემოს პარამეტრების ცვლილების პირობებში და შედეგად უზრუნველვყოთ მეურნე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა და კონკურენტუნარიანობა.

METHODOLOGY FOR DEVELOPING AN ADAPTIVE BUSINESS PLAN

Tamar Begdarashvili
PhD student of GTU
tako.begdarashvili@gmail.com

RESUME

Any firm has to adapt to a changing business environment to operate successfully. In the 21st century, they have to work actively on adaptive business plans and have some long-term plans, as the degree of uncertainty in the business environment increases steadily while the adaptive competencies help the firm to develop a competitive advantage over the environment.

We can talk a lot to describe the business landscape of the last decade, however the only thing that can be said with certainty is that during this period there have never been certain, obvious radical changes. As business cycles and processes in the world become more rapidly accelerated, we can more strongly criticize the traditional strategic planning process, which offers small alternatives of business scenarios and focuses less on radical changes in market demand. Against this background, we want to focus on the importance of developing an adaptive business plan and discuss its development methodology for firms.

Keywords: Adaptation, Business Plan, Adaptive Management, Adaptive Measures Complex, Competitive Advantage.

EU COMPETITION POLICY: BENEFITS AND PROBLEMS IN TERMS OF HARMONIZATION, CONVERGENCE, MUTUAL RECOGNITION

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-260

Davit Gamtenadze
TSU, Bachelor student at
International School of Economics, 1st year
Gamtenadze.david@gmail.com

RESUME

The following paper attempts to answer the question in several chapters, each based on researchers' articles of independent areas in competition studies from an economic point of view, EU public policy and competition law. Firstly, there will be provided theories of scholars, who offer general pros and cons of harmonization, convergence and mutual recognition of institutions, later in the theoretical chapter, I show some concepts about EU competition policy. Then, following the idea of the paper, in order to understand benefits and problems of European competition policy area, it is important to define and analyze the competences of each level of authority inside EU relating to the ensuring fair competition on market. After uncovering competences, I provide exact results, which EU competition policy promotion caused or theoretically may cause through the timeline from the when this policy was under the power of only member states independently, to making this area commonly and similarly regulated in EU.

Keywords: EU, Competition Policy; Article 101; Convergence; Harmonization.

INTRODUCTION

The European Union has been passing the long process of integration, development, and development of integration, which includes absorbing of the new neighboring and different countries. The main requirement of the euro integration process from the applicant countries is to adjust to the several political, economic, social or other standards. Adjustment of different spheres of public policies in EU member states to one, more or less similar standards, started the process of convergence of policy-making, even more, constructing a same legislative framework in the Union, inclining various national, regional and municipal frameworks to common and harmonized one. Competition Policy wasn't the exception in these terms, moreover, relating to one of the basic principles EC was built on, unfair competition could lead to economic division among member states.[1]

Having different economic history backgrounds, it seemed that more powerful corporations could expel less powerful ones from the market via abusing their power and manipulating customers' preferences. Thus, EU started regulation of the market in the way of supporting fair conditions, ensuring competitiveness and protecting customers' rights. In this context, one of the cores of fair competition is Standardization Policy, which, as EU claims, supports market-based competition, quality and promotes better regulation on fairness in the market. However, the main goal of the paper is to examine the benefits/problems which caused Competition Policy enaction in EU under the specific articles and I slightly discuss how the idea of regulating competition, not the market come up, what was the prerequisites for this regulation. However, analyzing Competition Policy only through one law, seems absurd, as far as, there are some other laws and directives of EU, which indirectly affects the results of competition policy.

Talking about EU's Competition Policy it is meant the general principles which should and must be fulfilled by member states in

1 Costen and Grunding v. Commission of the EEC, C-56/64 (Court of Justice of the European Union July 13, 1966).

order to support fairness in national and in the whole European markets together, to adjust to the principle of free movement of goods, services and people across EU. The latter means creating more harmonized and coordinated national public policy-making member states' in the competition area, with a little sovereign power to manage race of enterprises in the market. The fact that member states can independently solve competition problem inside their borders, shows that one of the most important principle, free movement of goods, services, and people, somehow can be differently managed in terms of EU regulations for Competition Policy.

THEORETICAL FRAMEWORK

Debates around the effectiveness of pushing competition regulations of each member states towards harmonization can be divided into two major parts. Each side emphasizes benefits of either more harmonization or more mutual recognition, but some theoreticians highlight more moderate, convergence theories, as far as, each side is considered as "radical". In this paper, I review highly harmonization-aligned theoretician and a scholar, who stays between convergence and mutual recognition. The history of competition policy reforms in EU has shown, that EU policy-makers tried lots of combinations of above-mentioned and not-mentioned approaches while looking for the best one.

Sebastian Mock improved the theory about the effectiveness of investment in similar legal systems.[1] He claimed, that enterprises are more like to expand in states, which have more or less similar regulations in Corporate Laws, but in terms of competition policy, as their origin states, as don't lose any kind of assets in order to adjust to the new markets. Thus, in context of EU competition policy, there is a correlation between similarities of policies and economic growth, in other words, the more EU competition regulations are, the more companies start to invest and trade in other member states. Follow-

1 Mock, S. (2002). Harmonization, Regulation and Legislative Competition in European Corporate Law. German Law Journal, 1-2.

ing his theory, Mock deepened idea and made predictions, that after the above-mentioned correlation, generally, EU strengthens its' positions in international competition, as far as, each member states' industries have experience of external trading.

On the other hand, Adrienne Heritier suggested two concepts. Firstly, she analyzed one of the main principles of EU – free movement of goods, people, and services. The latter, in harmonized competition policies, may be "dangerous", as long as, the movement of services itself means movement of people and increases fears of unemployment. Hence, she claimed, that the more harmonized is competition regulations, surely, the easier is for enterprises to expand in other member states and therefore, the more increases unrest towards harmonization.[1] From this theory, she set up the new term of "managed" mutual recognition, which means, that analyzing on the basis of the rationality of benefits from harmonization or mutual recognition, policy-makers can balance these fears and similarity among competition policies via separation of powers regulating competition.[2]

COMPETENCES OF COMPETITION MANAGERS

Regulation power of Competition policy has changed several times in EU/EC and the most important changes started after 2004 when ten new states acceded to EU and it seemed obvious to make different regulative systems more similar.[3] Since the Treaty of Rome, the competition policy area has been divided into sub-policies, such as Cartel Policy, Merger Policy, Concentration Policy, etc. and each area has been regulating by EC, individual member states or both.[4]

1 Héritier, A. (2007). Mutual recognition: comparing policy areas. Journal of European Public Policy, 807.

2 Héritier, A. (2007). Mutual recognition: comparing policy areas. Journal of European Public Policy, 805

3 Schuman, R. (2004). Modernization of European Competition Law as a Form of Convergence. Jean Monnet/Robert Schuman Paper Series, 5.

4 Budzinski, O., & Christiansen, A. (2005). Competence Allocation in the EU Competition Policy System as an Interest-Driven Process. Journal of Public Policy, 25(3), 315

After decades of "top-bottom" or "bottom-top" competence allocation reforms, three large member states, UK, Germany, France, influenced on the final result of competition policy regulation power.[1] The final result is, that each level, EU, and individual member state, has strong independent and interdependent competences, as far as, the member states authorized entities regulating competition are obliged to enforce EU level regulations, which, on the other hand, are partly approved by these entities together considering individual and EU space competition experiences and conditions. One of the most important issues in all these procedures is that one lawsuit case in any member state regarding the competition policy can become a general principle of further regulation for the whole EU.

On the other hand, as Sebastian Mock analyzed, competition regulation in EU also includes Company Law harmonization in terms of fairness. This means that a company, establishing branch in another member state will face to different legal system regulating trading and other economic activities, hence, meaning imbalanced competition among local and newly-entered companies on market, because branch enterprises need time to adapt to the new legal system if it isn't similar to new companies' original one. In this context, separation of power between "upper" and "lower" levels resulted as the following – specifically relating with the competition regulations, EU level has more power, which means, that member states can only slightly modify their competition policies on their own and must oblige to principles and directives of specific articles. However, in terms of private companies' regulations, Corporate Laws, the chapters, which have an impact on competition, can be changed individually.[2] All above-mentioned means, that competition policy is much more harmonized, than corporate regulations policy in EU.

1 Budzinski, O., & Christiansen, A. (2005). Competence Allocation in the EU Competition Policy System as an Interest-Driven Process. Journal of Public Policy, 25(3), 318

2 Schuman, R. (2004). Modernization of European Competition Law as a Form of Convergence. Jean Monnet/Robert Schuman Paper Series, 9

RESULTS OF LAWS

The main aims of competition can be defined from two sides – consumer and enterprise ones. Analyzing the consumer benefits of the competition of companies in terms of harmonization, convergence or mutual convergence, more effective for consumers is harmonization of competition policy. The article 101 of Treaty on Functioning EU mostly regulates competition for Protecting Consumers' Rights and increase their welfare.[1] The principles harmonized competition policy is to prohibit Cartel Agreements, which might abuse their power and influence on prices or quality, which isn't lucrative for purchasers of the goods or services. In this term, mutual convergence has its role.

Member States have power to independently modify competition policies, as far as, they have individual economies and backgrounds, which cannot be universalized and put in the same way of development as others economies. However, these modifications of regulations shouldn't contradict Article 101 principles or should be proven by national authorized entities regulating competition.[2] Thus, from the consumer's point of view, the more harmonization brought and brings more benefits, as consumers have more access to new goods and services from other member states, which increases fair competition, therefore quality and reduces prices. Additionally, consumers can trust these products, because of the almost completely harmonized policy of standardization in EU.[3] There are sorts of different goods of services, which has been standardized by EU and each member state company must fulfill these standards, which, once more, gives benefits to consumers. However, another side of the coin is that what Adrienne Heritier mentioned in her theory –

1 European Union. (2012, October 26). Treaty on the Functioning of the European Union. Retrieved January 4, 2022, from https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:12012E/TXT

2 Ibid.

3 European Commission. (n.d.). Harmonised Standards. Retrieved January 7, 2022 from ec.europa.eu: https://ec.europa.eu/growth/single-market/european-standards/harmonised-standards_e

the potential loss of the jobs and is looking logic. Free movement of people will concentrate them in specific areas, which might cause unemployment there. On the other hand, establishing new branches brings new jobs and challenges Heritier theory, but this process is arguable.

Due to the fact that competition policy regulations directly affect enterprises, it's much more complicated to exercise whether it is beneficial for companies to be regulated by the harmonized/mutually recognized legislature or not. Generally, as it is claimed in the article 101, cartel agreements are prohibited, however, national legal entities responsible for competition policy regulations should analyze each agreement and it isn't necessary to ban agreements, as they don't impact on competitiveness on market. In this case, the power of regulation is transferred to member states, which is much more beneficial for companies, as far as, local authorities better know and easily can evaluate agreements, rather than EU level responsible entities. For small and medium-sized enterprises (called SME) mutual recognition is less effective, but mostly problematic according to the article 102.[1] Following the previous ideas, if these companies want to merge, they should wait for the verdict of national legal entities to allow merging and for them, harmonized legislation opened them more opportunities outside borders as they don't need to adapt to the new legislation and wait for the long process of authorization of entry. The same article emphasizes the rationality principle, which claims, that any policy decision should be to take on cost-benefit analysis, not imperative principle to ban all agreements and allow all foreign companies to enter your market. In other words, once more, more autonomy has been given to member states.

1 European Union. (2012, October 26). Treaty on the Functioning of the European Union. Retrieved ,December 27, 2021, from https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:12012E/TXT

CONCLUSION

Finalizing the results of competition policy in EU, generally, regulations are mostly inclined to harmonization, but splitting into two parts – consumers and enterprises, regulations now seems different:

Most regulations, which orientate on consumer welfare, are harmonized and give more benefits from this part of regulations, rather than from convergence or even mutual recognition

Enterprises are in the middle. They can benefit from every principle – due to harmonization they can participate in other markets, due to mutual recognition enterprises benefit from the individual legislation.

Relating to the problems, the only problem the might be caused by all process from mutual recognition to harmonization in EU competition policy is an eruption of unemployment in different areas if we believe quite logic argumentation of scholars. The configuration of competition regulation changed several times, due to the looking for the best approach how to separate power between EU and member states and the last approach can be called "managed" mutual recognition, discussed in above chapters.

REFERENCES:

1.Costen and Grunding v. Commission of the EEC, C-56/64 (Court of Justice of the European Union July 13, 1966).

2.Mock, S. (2002). Harmonization, Regulation and Legislative Competition in European Corporate Law. German Law Journal, 1-12.

3.Héritier, A. (2007). Mutual recognition: comparing policy areas. Journal of European Public Policy, 800-813.

4.Schuman, R. (2004). Modernization of European Competition Law as a Form of Convergence. Jean Monnet/Robert Schuman Paper Series.

5.Budzinski, O., & Christiansen, A. (2005). Competence Allocation in the EU Competition Policy System as an Interest-Driven Process. Journal of Public Policy, 25(3), 313-337.

6.European Union. (2012, October 26). Treaty on the Functioning of the European Union. Retrieved January 8, 2022 , from https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:12012E/TXT

7.European Commission. (n.d.). Harmonised Standards. Retrieved January 6, 2022, from ec.europa.eu: https://ec.europa.eu/growth/single-market/european-standards/harmonised-standards_en

8.Bright, C. (1996). EU Competition Policy: Rules, Objectives and Deregulation. Oxford Journal of Legal Studies, 16(4), 535-559.

9.Ortino, M. (2007). The Role and Functioning of Mutual Recognition in the European Market of Financial Services. The International and Comparative Law Quarterly, 56(2), 309-338.

10.Threlfall, M. (2003). European Social Integration: Harmonization, Convergence and Single Social Areas. Journal of European Social Policy.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოსტენ და გრანდინგ ვ. ევროპის ეკონომიკური საზოგადოების კომიტეტი, C-56/64 (ევროკავშირის სასამართლო, 13 ივლისი, 1966).

2. სებასტიან მოქ (2002). ჰარმონიზაცია, რეგულაცია და საკანონმდებლო კონკურენცია ევროპის კორპორაციულ წესრიგში. გერმანულ კანონთა ჟურნალი, 1-12.

3. ადრიან ჰერიტიერი. (2007). ურთიერთაღიარება: პოლიტიკის არეების შედარება. ევროპის საჯარო პოლიტიკის ჟურნალი, 800-813.

4. რობერტ შუმანი. (2004). ევროპის კონკურენციის კანონის მოდერნიზაცია შერწყმის პოლიტიკად. ჟან მონე/რობერტ შუმანის გამომცემლობა.

5. ოლივერ ბუძინსკი და ანდთ კრისტიანსენი (2005). კომპეტენციების განაწილება ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის სისტემაში, როგორც ინტერესებზე ორიენტირებული პროცესი. სახელმწიფო პოლიტიკის ჟურნალი, 25(3), 313-337.

6. ევროკავშირი. (2012, ოქტომბერი 26). ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება. მოპოვებულია 8 ია-

ნვარს, 2022 , https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:12012E/TXT

7. ევროკომისია. (n.d.). ჰარმონიზირებული სტანდარტები. მოპოვებულია 6 იანვარს, 2022, ec.europa.eu: https://ec.europa.eu/growth/single-market/european-standards/harmonised-standards_en

8. ქრისტოფერ ბრაითი (1996). ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა: კანონები, მიზნები და დერეგულაცია. ოქსფორდის იურიდიული კვლევის ჟურნალი, 16(4), 535-559.

9. მატეო ორტინი. (2007). ურთიერთაღიარების როლი და ფუნქცია ევროპის ბაზრის ფინანსურ სერვისებში. საერთაშორისო და შედარებითი სამართალი,კვარტლური, 56(2), 309-338.

10. მონიკა თრილფოლი. (2003). ევროპის სოციალური ინტეგრაცია: ჰარმონიზაცია, შერწყმა და კერძო სოციალური წრეები. ევროპის სოციალური პოლიტიკის ჟურნალი.

ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა: ჰარმონიზაციის, შერწყმისა და ურთიერთაღიარების შესაძლებლობები და პრობლემები

დავით გამთენაძე
თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის
I კურსის სტუდენტი
Gamtenadze.david@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერთა თეორიები, რომლებიც გვთავაზობენ ინსტიტუტების ჰარმონიზაციის, შერწყმისა და ურთიერთაღიარების დადებით და უარყოფით მხარეებს, რამდენიმე კონცეფცია ევროკავშირის კონკურენციის პოლი-

ტიკის შესახებ. ნაშრომის იდეიდან გამომდინარე, ევროპული კონკურენციის პოლიტიკის სფეროს უპირატესობებისა და პრობლემების გასაგებად მნიშვნელოვანია განისაზღვროს და განხილულიქნას ევროკავშირის შიგნით ხელისუფლების თითოეული დონის კომპეტენციები ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კომპეტენციის გამოვლენის შემდეგ, ნაჩვენებია შედეგები, რომელიც ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკამ გამოიწვია ან თეორიულად შეიძლება გამოიწვიოს ვადებში, როდესაც ეს პოლიტიკა იქნება მხოლოდ წევრი ქვეყნების დამოუკიდებელ ძალაუფლების დაქვემდებარებაში, ევროკავშირში ამ სფეროს საერთო და მსგავსი რეგულაციების შესაქმენლად.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი; კონკურენციის პოლიტიკა; არტიკლი 101; კონვერგენცია; ჰარმონიზაცია.

საქართველოში თხილის წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის დინამიკის ანალიზი და შეფასება 2010-2020 წლებში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-271

ჯამბულ აბულაძე
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
Jambulabuladze1@gmail.com

რეზიუმე

საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ მიმართულებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში პარტნიორობის გაძლიერება ევროკავშირის ქვეყნებთან. ამ მხრივ, ასოცირების შეთანხმების გაფორმება მწარმოებლებისა და ექსპორტიორი ბიზნეს სუბიექტებისთვის თანამშრომლობის სამართლებრივ უზრუნველყოფასა და ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის მაღალ საიმედოობას ქმნის. საქართველოს საექსპორტო პროდუქტებში თხილს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. უფრო მეტიც, საქართველო თხილის წარმოებით 2017-2018 წლებში მე-7 პოზიციაზეა მსოფლიოში და ამავე პროდუქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ექსპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველო თხილის ექსპორტის უდიდეს ნაწილს ევროკავშირის ქვეყნებში ახორციელებს (2010-2020 წლებში ექპორტირებულია 140 ათასი ტონა, რაც ექსპორტირებული თხილის 67%-ია). აღნიშნული ფაქტორი, განაპირობებს თხილის წარმოების სტიმულირებას, რაც მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ თხილის მწარმოებლები ძირითათად შინამეურნეობებია და შესაბამისად, თხილის ინდუსტრიაში მოსახლეობის ჩართულობა მაღალია, ხოლო აღნიშნული ხელს უწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოში, რეგიონებს შორის თხილის

წარმოების მაღალი მაჩვენებლებით ლიდერობს სამეგრელო-ზემო სვანეთი, ასევე მაღალი მაჩვენებლებია გურიისა და იმერეთის რეგიონში. პროდუქციის რეალიზაციის შედარებითი შედეგიანობის გათვალისწინებით, კულტურის წარმოების განვითარების ზრდადი ტენდენციაა სხვა რეგიონებშიც და მათ შორის აჭარაში. აჭარაში წარმოების დინამიკის ანალიზით, შეფასებით და ბუნებრივ - კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, თხილის წარმოების განვითარება რეალურ პერსპექტივას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: თხილი, ექსპორტი, ევროკავშირი.

შესავალი

საქართველოსთვის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა და წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაცია, რისთვისაც აუცილებელია საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტეგრაცია, ღიაობა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შეთავაზება.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში 2010-2020 წლებში თხილის წარმოებისა და ექსპორტ - იმპორტის დინამიკის ანალიზი და შეფასება. თხილი საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელიც საქართველოს საექსპორტო პროდუქციის პირველ ათეულში შედის. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია წარმოებაში, რაზედაც დამოკიდებულია მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა. ამდენად, საქართველოში ბოლო ათწლეულის დინამიკაში თხილის წარმოებისა და რეალიზაციის ანალიზი და ტენდენციები მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით. თხილის კულტურის წარმოებისადმი ინტერესი ბოლო წლებში გაზრდილია, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინამეურნეობებისათვის, რაც გაანალიზებულია სტატიაში.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაცია მსოფლიოში თხილის წარმოებისა და უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყნების შესახებ 2017-2018 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით (ცხრილი №1) არის წარმოდგენილი

ცხრილი №1
თხილის წარმოება მსოფლიოში 2017-2018 წწ (ათასი ტონა)

დასახელება	წარმოებული თხილის რაოდენობა (ათასი ტონა)			წილი %
	2017	2018	სულ	
1	2	3	4	5
სულ მსოფლიოში წარმოებული	864	743	1 607	100
მ. შ. 10 უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა	836	723	1 559	97
თურქეთი	515	420	935	58
იტალია	133	121	253	16
აზერბაიჯანი	52	34	86	5
აშშ	46	34	81	5
ჩინეთი	25	26	51	3
საქართველო	17	30	47	3
ირანი	16	16	32	2
საფრანგეთი	15	11	26	2
ჩილე	9	16	25	2
ესპანეთი	8	15	23	1

წყარო: World Hazelnut Production by Contry, https://www.atlasbig.com/en-ie/countries-by-hazelnut-production#google_vignette; https://www.atlasbig.com/en-us/countries-hazelnut-production

მაჩვენებლების თანახმად, 2017-2018 წლებში თხილის წარმოებული მოცულობა მსოფლიოში, სულ - 1 607 ათას ტონას შეადგენს, აქედან 97 % წარმოებულია 10 ქვეყანაში (მათ შორისაა საქართვე-

ლო მეექვსე პოზიციით), რომელთა შორის თურქეთი ლიდერობს 58%-ით.

საქართველოსთვის თხილის წარმოებას არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევს თხილის წარმოებას და მათთვის ფინანსური შემოსავლის წყაროა.

დიაგრამა №1

საქართველოში თხილის წარმოება 2010-2020 წლებში (თასი ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაციები: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014, გვ. 47, თბილისი 215, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017 გვ. 62, თბილის 2018, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020 გვ. 64, თბილის 2021.

საქართველოში 2010-2020 წლებში თხილის წარმოება მნიშვნელოვანი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. საკვლევი პერიოდის ბოლოს - 2020 წელს, წარმოების მაჩვენებელი აღემატება 2010-2012 წლების და 2016-2019 წლების მაჩვენებლებს, მაგრამ ჩამოუვარდება 2013-2015 წლების მაჩვენებლებს.

თხილის საექსპორტო პოტენციალი განაპირობებს მისი წარმოებისადმი მზარდ ინტერესს, თუმცა წარმოება გარკვეულ ხელშემშლელ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. მათ შორის დაავადებებისა და საშიში მავნებლის (2015 წლიდან — აზიური ფაროსანა - ლათ: Halyomorpha halys) გავრცელება, რომელმაც არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც წარმოების მოცულობაზე, ასევე - ხარისხობრივ მახასიათებლებსა და რეალიზაციაზე.

ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (EU CIB) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, აზიური ფაროსანას პოპულაცია კრიტიკულ ზღვარს ჩამოსცდა, რისი შედეგიც სახეზეა 2019 -2020 წლებში, რაც წარმოების მაჩვენებლის მკვეთრად ზრდაში გამოიხატება.

ცხრილი №2
საქართველოში თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით 2010-2020 წლებში

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	სულ	%
საქართველო													
	28,8	31,1	24,7	39,7	33,8	35,3	29,5	21,4	17	24	32,7	318	100
აჭარის არ													
	-	-	-	-	-	-	1,5	2,4	1,3	3,5	3,2	12	4
გურია													
	3,7	6,8	5,9	9,0	6,2	6,2	7,2	6,4	1,9	4,0	5,8	63	20
იმერეთი													
	2,4	4,8	3,4	5,6	3,2	4,2	3,4	2,8	1,4	1,3	3,4	36	11
კახეთი													
	-	-	-	-	-	-	1,2	2,0	2,3	3,9	2,1	12	4
მცხეთა - მთიანეთი													
	-	-	-	-	-	-	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	1	0
სამეგრელო - ზემო სვანეთი													
	20,8	15,8	11,8	20,5	20,7	18,8	15,3	7,3	9,5	10,8	17,6	169	53
ქვემო ქართლი													
	-	-	-	-	-	-	0,5	0,3	0,3	0,2	0,3	2	1
შიდა ქართლი													
	-	-	-	-	-	-	0,1	0,1	0,1	0,1	0,2	1	0
დანარჩენი რეგიონები													
	1,9	3,7	3,5	4,6	3,6	6,1	0,0	0,1	0,1	0,1	0,1	24	7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba

საქართველოს რეგიონებს შორის თხილის წარმოების მაჩვენებლებით ყოველწლიურად ლიდერობს სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი (53%). შემდეგ პოზიციებზეა, შესაბამისად: გურია, იმერეთი აჭარა, კახეთი და სხვ.

საქართველოდან თხილის ექსპორტის დინამიკა 2010-2020 წლებში შემდეგ სურათს იძლევა:

დიაგრამა № 2
საქართველოდან თხილის ექსპორტი
2010-2020 წლებში (ათასი ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://ex-trade.geostat.ge/ka.

თხილის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება ნაჭუჭგაცლილი სახით. ექსპორტის მოცულობა 2010-2020 წლების დინამიკაში კლებადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა მავნებლის პოპულაციის შემცირების შედეგად, 2019-2020 წლებში, მაჩვენებლები ზრდადია.

საქართველოს თხილის ექსპორტის თანხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია გრაფიკული გამოსახულებით (იხ. დიაგრამა 3).

სულ საქართველოდან 2010-2020 წლებში ექსპორტირებული თხილის საექსპორტო ღირებულება შეადგენს 1 288.5 მლნ აშშ დოლარს, რაც იმავე პერიოდის საქართველოს ექსპორტის სრული მოცულობის (29 600.37 მლნ აშშ დოლარი [2]) 4.3 %-ია. თუმცა, იმავე წლებში ექსპორტის რაოდენობრივი და თანხობრივი მოცულობის ტენდენცია კლებადია, რაც 2017 - 2018 წლებში ექსპორტის მოცულობის მკვეთრი ვარდნით არის განპირობებული. ამასთან, მიუხედავად 2019 - 2020 წლებში ექსპორტის მოცულობის

დიაგრამა №3
თხილის ექსპორტი თანხობრივ გამოსახულებაში
2010-2020 წლებში (მნლ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://ex-trade.geostat.ge/ka.

ზრდისა, მაჩვენებლები 2011 წლის და 2013 - 2016 წლების მაჩვენებლებამდე ვერ აღწევს და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

საქართველომ გააფორმა ასოცირების შეთანხმება ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2014 წლის 18 ივლისს. აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოს თავისი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის ახალი შესაძლებლობები მიეცა, რაც ასევე დასტურდება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, თხილის ექსპორტის მოცულობათა მაჩვენებლებით (იხ. დიაგრამა 4).

მაჩვენებლების თანახმად, საქართველოს ძირითად პარტნიორ ქვეყნებს თხილის ექსპორტში წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნები, რომლის წილი 2010-2020 წლებში 67% - ია.

ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების უპირატესობა ურთიერთობის მეტი სტაბილურობით არის განპირობებული, ვიდრე დსთ-ს ქვეყნებთან და განსაკუთრებით რუსეთთან (სავაჭრო ემბარგო, 2008 წლის სამხედრო მოქმედებები, ოკუპაცია და სხვ. ფაქტობრივი გარემოებები). თუმცა, ასევე გასათვალ-

დიაგრამა №4
თხილის ექსპორტის ჯამურ მოცულობაში ქვეყნების ჯგუფების წილი 2010-2020 წლებში (ათასი ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://ex-trade.geostat.ge/ka.

ისწინებელია საექსპორტო პროდუქციის მიმართ ევროკავშირის მიერ დადგენილი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც მიზნად ისახავს ექსპორტისთვის განკუთვნილი თხილის რეგულირების პრინციპების განსაზღვრას და ადგენს მოთხოვნებს: გაუტეხავი თხილის (თხილი ნაჭუჭით), თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის გულის მიმართ; რეგულირების ობიექტის უვნებლობის, შეფუთვისა და ეტიკეტირებისადმი; ჰიგიენის მოთხოვნებს ბიზნეს-ოპერატორის და გაუტეხავი თხილის (თხილი ნაჭუჭით) მიმართ, თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის გულის შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს [2. მუხლი 1. გვ.1.].

სრული ინფორმაციისა და ნათელი სურათის შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია თხილის საექსპორტო ფასის დინამიკის ანალიზი და შეფასება, რაც შემდეგი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამაზე წარმოდგენილია ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი თხილის წლიური საშუალო საექსპორტო ფასი საან-

დიაგრამა №5
თხილის საექსპორტო ფასის დინამიკა
2010-2020 წლებში (აშშ დოლარი/კგ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://ex-trade.geostat.ge/ka.

გარიშო პერიოდში, წლების მიხედვით. მაჩვენებლების თანახმად, 2010-2020 წლებში ტენდენცია თითქმის თანაბარია, თუმცა პერიოდის შიგნით ადგილი აქვს მკვეთრ ცვლილებებს. კერძოდ: 2010-2013 წლების საექსპორტო ფასი, როგორც ნაჭუჭგაცლილი, ისე ნაჭუჭგაუცლელი შეესაბამება 2017-2020 წლების საექსპორტო ფასს, ხოლო 2014-2016 წლებში ფასი ორივე შემთხვევაში გაზრდილია. განსაკუთრებით მკვეთრი ზრდა ფიქსირდება 2015-2016 წლებში ნაჭუჭგაცლილ თხილზე და საანგარიშო პერიოდის მაქსიმუმს, შესაბამისად, 9.5-9.4 აშშ დოლარს შეადგენს 1 კგ-ზე.

საინტერესოა თხილის წარმოების ტენდენციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომლის მიმართ, ბოლო წლებში, მზარდი ინტერესი ვლინდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ რეგიონში თხილის წარმოების მონაცემები, გამოკვლევის შერჩევის ზომის სიმცირის გამო არ არსებობდა და მისი აღრიცხვა 2016 წლიდან გამოკვლევევების შერჩევის ზომის გაზრდის შედეგად დაიწყო (იხ. დიაგრამა 6).

როგორც ვხედავთ, 2017 წელს აჭარაში წარმოების მაჩვენებელი 60%-ით არის გაზრდილი, 2018 წელს 46% -ით მცირდება,

დიაგრამა №6
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თხილის წარმოების ზრდა/კლება 2016 -2020 წწ (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba

ხოლო მაქსიმუმს აღწევს 2019 წელს და ზრდა, წინა წელთან შედარებით 169%-ია, რაც შეეხება 2020 წელს, წინა წელთან შედარებით 9%-ით არის შემცირებული, თუმცა გარდა 2019 წლისა, სხვა წლების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

დასკვნები და წინადადებები

თხილის ექსპორტს, 2010-2020 წლების ჯამური მოცულობით, საქართველოს საექსპორტო პროდუქტებს შორის მე-5 პოზიცია უკავია (1 288.5 აშშ დოლარი), იმავე პერიოდის ექსპორტის ჯამური მოცულობის - 4.3 %. მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნებოდა, თუ საქართველო აიცილებდა საშიში მავნებლის (ფაროსანა) ქვეყანაში გავრცელებას, რომელმაც მნივნელოვანი ზიანი მიაყენა თხილის მოსავლიანობას, ხარისხობრივ მახასიათებლებს და შესაბამისად, თხილის ინდუსტრიაში ჩართულ სუბიექტებს, როგორიცაა: შინამეურნეობები, გადამამუშავებელი საწარმოები, ექსპორტიორები, გადამზიდავი ორგანიზაციები და სხვ. ასევე ქვეყნისთვის შემცირდა უცხოური ვალუტის მიღება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სათანადო პრევენციული ღონისძიებებით შესა-

ძლებელი გახდებოდა მავნებლის გავრცელების თავიდან აცილება და 2013-2016 წლების ქსპორტის საშუალო წლიური მაჩვენებელის შენარჩუნება, ასეთ პირობებში ქვეყანაში, წლების მიხედვით, საშუალოდ, დამატებით შემოვიდოდა: 2017 წელს- 114.1 მლნ აშშ დოლარი, 2018 წელს - 119.3 მლნ აშშ დოლარი, 2019 წელს - 112.8 მლნ აშშ დოლარი და 2020 წელს - 85.3 მლნ აშშ დოლარი. სულ, 2017-2020 წლებში - 431.5 მლნ აშშ დოლარი. თუმცა მავნებლის გავრცელება და მისი გავრცელებით გამოწვეული პირდაპირი და ირიბი შედეგები ვერ იქნა თავიდან აცილებული.

საქართველოში თხილის წარმოება ძირითად ორიენტირებულია ნედლეულის ექსპორტზე. თუმცა, იმავე ნედლეულის გამოყენებით სასურველია გადამამუშავებელი საწარმოო პროცესების დანერგვა-განვითარების გზით საბოლოო პროდუქტის წარმოების განვითარება, რაც განაპირობებს, როგორც დამატებით სამუშაო ადგილების, ასევე გაზრდილი ღირებულების ახალ საექსპორტო პროდუქტების შექმნას.

აჭარაში თხილის წარმოების ზრდადი ტენდენციაა და ეს იმ ფონზე, როცა მავნებლის პოპულაცია შესუსტებულია, თუმცა ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია. აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აჭარის რეგიონისთვის თხილის სამრეწველო დანიშნულებით წარმოების პერსპექტივა, შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში, პერსპექტიულ მიმართულებად ფორმირდება. რაც შეეხება მხარდამჭერ ღონისძიებებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს მიერ მიწათსარგებლობის სამართლებრივი დარეგულირება. აღნიშნული უზრუნველყოფს ისეთი სავარგულების ათვისებას, რომელიც რელიეფური პირობების (მაღალი დახრილობა) გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაღალ ზონაში, ხელსაყრელია თხილის კულტურის წარმოებისთვის, ამასთან, მიზანშეწონილია ეკოლოგიური თვალსაზრისით ნიადაგის ეროზიული პროცესების მართვაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Hazelnut Production by Contry,, https://www.atlasbig.com/en-ie/countries-by-hazelnut-production#google_vignette; https://www.atlasbig.com/en-us/countries-hazelnut-production

2. საქართველოს მთავრობის №185 დადგენილება თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე 10.04.2016

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://ex-trade.geostat.ge/ka

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014, თბილისი 215

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017, თბილის 2018

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, თბილის 2021

7. ფუტკარაძე ზ., აბულაძე ჯ., საქართველოს ექსპორტის დინამიკის ანალიზი და შეფასება (2009-2019 წწ), გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2021.

REFERENCES:

1. World Hazelnut Production by Contry: https://bit.ly/3LQH0iC

2. Resolution №185 of the Government of Georgia on the approval of the technical regulation on hazelnuts 10.04.2016

3. National Statistics Office of Georgia: http://ech-trade.geostat.ge/ka

4. National Statistics Office of Georgia; Statistical Publication Georgian Agriculture 2014, Tbilisi 2015

5. National Statistics Office of Georgia. Statistical Publication, Agriculture of Georgia 2017, Tbilisi 2018

6. National Statistics Office of Georgia. Statistical Publication, Agriculture of Georgia 2020, Tbilisi 2021

7. Putkaradze Z., Abuladze J., Analysis and Evaluation of Georgian Export Dynamics (2009-2019); Universal Publishing House, Tbilisi, 2021;

ANALYSIS AND EVALUATION OF THE DYNAMICS OF HAZELNUT PRODUCTION AND FOREIGN TRADE IN GEORGIA IN 2010-2020

Jambul Abuladze
Kutaisi University, PhD Student
Jambulabuladze1@gmail.com

RESUME

One of the important tools of Georgia's economic development is to deepen international trade relations and increase its export potential. For this direction, it is even more important to strengthen the trade partnership relations with the EU countries. For this regard the conclusion of the Association Agreement with EU creates legal certainty of cooperation and high reliability for local manufacturers and exporting businesses to enter in The EU market. Hazelnut production holds an important place in Georgia's export production. Moreover, Georgia ranked 7th in the world in hazelnut production during 2017-2018 and is one of the major exporters of the product. More importantly, Georgia's largest share of hazelnut exports is to EU countries (140 thousand tons were exported in 2010-2020, which is 67% of exported hazelnuts). This factor stimulates the production of hazelnuts. Hazelnut producers mainly are small local households, which is giving this matter more importance. Consequently, the involvement of the population in the hazelnut industry is high, which contributes improvement of their social-economical situation. In Georgia, Samegrelo-zemo Svaneti leads with high rates of hazelnut production, followed by Guria and Imereti regions. Given the relative efficiency of product sales, there is a growing trend of hazelnut production development in other regions, including Ajara. By analyzing the production dynamics in Adjara, assessing and considering the natural-climatic conditions, with the support of governmental, non-governmental and international donor organizations, the development of hazelnut production and its formation for one of its strategic purposes is a real perspective.

Keywords: Hazelnuts, export, import, EU.

მეღვინეობის მსოფლიო ეკონომიკა

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-284

მაია ბენია
სტუ ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
maia.benia9@gmail.com

რეზიუმე

ძველი ტრადიციული მეღვინეობის ქვეყნებს დღეს უსწრებს ახალი მეღვინეობის ქვეყნები. ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მევენახეობის ტრადიციების მქონე ქვეყნების გარდა ღვინის წარმოება ფართო მასშტაბით დაიწყეს კანადამ, ავსტრალიამ, არგენტინამ, ჩილემ, მექსიკამ, ახალმა ზელანდიამ, სამხრეთ აფრიკამ, ავსტრალიამ და ამერიკამ. ღვინის ტოპ ექსპორტიორებში 2019 წელს ღვინის საერთაშორისო ვაჭრობაში დომინირებს იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი - ჯამში 57,1 მილიონი ჰექტოლიტრი, რაც გლობალური ბაზრის 54%-ს შეადგენს. ყველაზე დიდი ოდენობით იმპორტიორი იყო გერმანია, დიდი ბრიტანეთი და აშშ - ჯამურად 40,4 მილიონი ჰექტოლიტრი, რაც შეადგენს გლობალური ბაზრის მოცულობის 38%-ს. ამ სამ ქვეყანაზე მოდის მსოფლიო ღვინის იმპორტის მთლიანი ღირებულების 39%, რაც 11,9 მილიარდ ევროს შეადგენს. აშშ მსოფლიოში ყველაზე მეტი ღვინის მომხმარებელია, 2019 წ. რეკორდულ დონე- 33.0 მილიონი ჰექტოლიტრი. საქართველოს აქვს სერიოზული პოტენციალი თავი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზრებზე უნიკალურობით, ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით.

საკვანძო სიტყვები: ძველი მეღვინეობის ქვეყნები, ახალი მეღვინეობის ქვეყნები, ღვინის ექსპორტ-იმპორტი, ღვინის გლობალური ბაზარი, მეღვინეობის ეკონომიკა, მევენახეობა, ჰარმონიზებული საბაჟო სისტემა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ვაზის კულტურა 8000 წელს ითვლის, ღვინის აკვანს უწოდებენ ჩვენს მიწას და ქართული ღვინის წარმოების სტიმულირების კვალდაკვალ მივყვებით წარმატებული ქვეყნების ტენდენციებს. მსოფლიოში გაშენებული ვენახების ფართობი მთლიანად ახალიც და ძველიც 2019 წ მონაცემებით 7,4 მილიონ ჰექტარს შეადგენს. ძირითადი ღვინისმწარმოებელი ქვეყნების ტენდენცია ასეთია: ჩრდილოეთ ნახევარსფეროდან დაწყებული, საერთო სტაბილურობა შეინიშნება ევროკავშირის (EU) ვენახებში, რომლებმაც ზედიზედ მეხუთე წელია 3,2 მილიონი ჰექტარი დაფარეს. ევროკავშირის ვენახები 2015 წლიდან განიცდის გლობალურ ბალანსს ვაზის ამოძირკვასა და ხელახალ დარგვას შორის. ეს სტაბილურობა შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, ევროკავშირის ამოძირკვის პროგრამის დასრულებით (2010/2011 წლების მოსავლის აღებამდე) მევენახეობის საწარმოო პოტენციალის რეგულირებისთვის. EU1-ში და მეორე მხრივ მევენახეობის წარმოების პოტენციალის მართვა EU2, რაც 2016 წლიდან წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს დაუშვან უკვე გაშენებული ვენახის წლიური ზრდის 1%-მდე გაშენება. ევროკავშირის ფარგლებში, 2019 წლის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემები მიუთითებს ვენახების ფართობის ზრდაზე საფრანგეთში (794 ჰა), იტალიაში (708 ჰა), პორტუგალიაში (195 ჰა) და ბულგარეთში (67 ჰა). მეორე მხრივ, ვენახების ფართობი ესპანეთში (966 ჰა), უნგრეთში (69 ჰა) და ავსტრიაში (48 ჰა) 2018 წელთან შედარებით ოდნავ შემცირდა. სტაბილიზაცია შეინიშნება რუმინეთში (191 ჰა) და გერმანიაში (103 ჰა).

აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთმა 2019 წელს 1,2 ჰა-ით მატება აჩვენა და 95 ჰა-ს მიაღწია. მოლდოვაში საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება: ვენახების ფართობი 143 ჰა (-2,8% / 2018 წ.), რაც აიხსნება ვენახების რესტრუქტურიზაციისა და ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესით. თურქეთში, რომელიც მსოფლიოში მეხუთეა ამ დარგში, ვენახის ფართობი 2019 წელს კვლავ შემცირდა 12,3 ჰექტარით, თუმცა მთლიანი ფართობი 436 ჰექტარია. 10 წელზე მეტი ხნის მნიშვნელოვანი გაფართო-

ების შემდეგ აღმოსავლეთ აზიაში შემცირების ტენდენციაა - ჩინური ვენახების ზრდა შეიმჩნევა (855 ჰა), მსოფლიოში სიდიდით მეორეა ესპანეთის შემდეგ. შეერთებულ შტატებში ვენახის ფართობი 2014 წლიდან სტაბილურად მცირდება, 2019 წელს 408 ჰექტარია. გაშენებული ფართობის მონაცემთა სერიის ბოლოდროინდელმა გადახედვამ USDA-მ გამოავლინა 2018 წელს სათესლე ფართობის მკვეთრი შემცირება, რაც მიზნად ისახავდა ყურძნის ჭარბი მინოდების აღმოფხვრას. ამ პრობლემის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ზოგიერთი ვენახის ადგილი დაიკავა ნუშმა და ფისტამ. სამხრეთ ამერიკაში ვენახის ფართობმა 2018-2019 წლებში ზედიზედ მეოთხე წელია კლების ტენდენცია აჩვენა.ზომით ყველაზე მაღალი ვენახი არის არგენტინა, რომელმაც გააგრძელა კლება, რომელიც დაიწყო 2014 წლიდან 215 ჰა-მდე (-3.0 ჰა/2018). ანალოგიურად, ჩილეში დაფიქსირდა ვენახის ფართობის მცირე კლება, რომელიც 2019 წელს 200 ჰექტარს შეადგენდა. გარდა ამისა, ვენახის ფართობის კლება გაგრძელდა ბრაზილიაში, რომელიც ამჟამად შეადგენს 81 ჰა-ს (-0,2 ჰა/2018). ერთადერთი გამონაკლისი კონტინენტზე არის პერუ, რომელმაც გაზარდა ვენახის ფართობი 7,1 ჰა-ით (+17% / 2018) 48 ჰა-მდე. ზედიზედ სამი წლის გვალვის შემდეგ, რომელმაც ძლიერ იმოქმედა მევენახეობის სექტორზე, სამხრეთ აფრიკის ვენახის ფართობი სტაბილური დარჩა 2018 წელთან შედარებით 128 ჰექტარზე. როგორც ჩანს, ამან ბოლო მოუღო ნეგატიურ ტენდენციას, რომელიც 2014 წელს დაიწყო. ოკეანიაში, მაშინ როცა ავსტრალიაში ვენახების ფართობი 2019 წელს სტაბილურად დარჩა 146 ჰექტარზე, ახალ ზელანდიაში ფართობი გაიზარდა 1.6%-ით და მიაღწია რეკორდულ დონეს.

ღვინის პროდუქტებს რაც შეეხება - გლობალური ღვინის წარმოება, წვენებისა და ტკბილეულის გამოკლებით, შეფასებულია 260 მილიონი ჰექტოლიტრით, რაც მკვეთრი კლებაა 35 მილიონი ჰექტოლიტრით (-11,5%) 2018 წელს დაფიქსირებული განსაკუთრებით მაღალი მოცულობისგან. საერთო ჯამში, ზედიზედ ორი წლის შემდეგ, ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც უკიდურესად არასტაბილური, 2019 წელი ღვინის გლო-

ბალურ წარმოებას საშუალო დონეზე დააბრუნებს. ტენდენციები ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მთავარ ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში, ევროკავშირის ღვინის წარმოების 2019 წელს შეფასებულია 156 მილიონი ჰექტოლიტრით, რაც მკვეთრი კლებაა 14,4%-ით 2018 წელს დაფიქსირებულ მოცულობასთან შედარებით (-26,7 მილიონი ჰექტოლიტრი). ეს ვითარება გამოწვეულია ცუდი ამინდის პირობებით, როგორიცაა გაზაფხულის ყინვები, სეტყვა, გვალვა და გადაჭარბებული სიცხე ევროკავშირის მთავარ მწარმოებელ ქვეყნებში, განსხვავებით 2018 წლიდან, როდესაც პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო საწარმოო სეზონზე. იტალიაში (47,5 მლნ ჰექტოლიტრი), საფრანგეთში (42,1 მლნ ჰექტოლიტრი) და ესპანეთში (33,5 მლნ ჰექტოლიტრი), რომლებიც 2019 წელს ღვინის მსოფლიო წარმოების 48%-ს შეადგენდნენ, ღვინის წარმოება მკვეთრად დაეცა 2018 წელთან შედარებით. ამ სამ ქვეყანაში წარმოების მოცულობამ აჩვენა შესაბამისი კლება -7,3 მლლ (-13%), -7,1 მჰლ (-15%) და -11,4 მჰლ (-25%), 2018 წლის წარმოების ძალიან მაღალ დონესთან შედარებით. იტალიისთვის 2019 წელს წარმოება მხოლოდ 2%-ით ნაკლებია ბოლო ხუთი წლის საშუალო მაჩვენებელზე, საფრანგეთსა და ესპანეთში განსხვავება გაცილებით დიდია, შესაბამისად -6% და -11%. ქვეყნები, რომლებმაც 2018 წელთან შედარებით წარმოების კლება დააფიქსირეს, არის გერმანია (9.0 Mhl, -12%), რუმინეთი (5.0 Mhl, -4%), ავსტრია (2.5 Mhl, -10%), უნგრეთი (2.4 Mhl, -34%) და საბერძნეთი (1.9 Mhl, -8%). ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც 2019 წელს ღვინის წარმოების ზრდა განიცადა, არის პორტუგალია, 6,7 მილიონი ჰექტოლიტრით (+10% 2018 წელს). მოცულობის ეს ზრდა არის, ერთი მხრივ, ხელსაყრელი ამინდის პირობების კომბინირებული შედეგი და მეორე მხრივ, იმისა, რომ პორტუგალიაში ღვინის წარმოება შედარებით დაბალი იყო 2018 წელს (ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით).

აღმოსავლეთ ევროპაში ამინდის პირობები ხელსაყრელი იყო რუსეთში (4,6 მლლ, +7% / 2018) და უკრაინაში (2,1 მლლ, + 6% / 2018), ხოლო მოლდოვის კულტურები 2019 წელს ნაკლებად უხ-

ვად იყო და ღვინის წარმოება 1,5 მილიონი ჰექტოლიტრი შეადგინა. -23% / 2018). აზიაში, ჩინეთისთვის ხელმისაწვდომი ახალი მონაცემები მიუთითებს 2019 წელს 8,3 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინის მოსალოდნელი წარმოების შესახებ, რაც -10%-ით შემცირდა 2018 წელს წარმოების უკვე შედარებით დაბალი დონისგან. ღვინის წარმოების ეს მკვეთრი კლება ზედიზედ მესამე წელია არის სიგნალი იმისა, რომ ჩინეთის ღვინის სექტორის მომავალი განვითარება მოსალოდნელზე მეტად გაურკვეველი იქნება. ამ ნეგატიური ტენდენციის პოტენციური ახსნა არის ის, რომ სტრუქტურულმა საკითხებმა (როგორიცაა რთული კლიმატური პირობები, ტექნოლოგიური შეზღუდვები და დაბალი პროდუქტიულობა) ჩინეთის ღვინის ინდუსტრია ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახადა იმპორტირებული ღვინოების დივერსიფიცირებული მიწოდების წინააღმდეგ, რასაც მხარს უჭერს ჩინეთის ხელისუფლების მიერ წახალისებული ხელსაყრელი სავაჭრო პოლიტიკა.

სამხრეთ ნახევარსფეროს მთავარი ღვინის მწარმოებელი ქვეყნების დინამიკა ასეთია- სამხრეთ ამერიკაში 2019 წელს ღვინის წარმოების საერთო ტენდენცია უარყოფითია 2018 წელთან შედარებით. 2019 წელს ღვინოების მოცულობა 2018 წელთან შედარებით დაბალია, მაგრამ ზოგადად ხუთწლიანი საშუალო მაჩვენებელს აღემატება; ბრაზილიაში (2.0 მლლ) 2019 წელს ღვინის წარმოების მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა 1 მლლზე მეტით (-34% / 2018 წ.). 2016 წლის გარდა, როდესაც სეტყვამ მოსავალი გაანადგურა, ღვინის წარმოების ყველაზე დაბალი დონე იყო ბრაზილიაში. საუკუნის დასაწყისის შემდეგ და ძირითადად შეიძლება მიეკუთვნებოდეს კლიმატით გამოწვეულ ზარალს, განსაკუთრებით გაზაფხულის სეტყვას. სამხრეთ აფრიკაში 2019 წელს წარმოებამ 9,7 მილიონ ჰექტოლიტრს მიაღწია. ეს წარმოადგენს +3%-იან ზრდას 2018 წელს დაფიქსირებული დაბალი მოცულობისგან, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის გვალვის დაწყებამდე დაფიქსირებული საშუალო პროდუქციისგან, რომელიც მძიმედ დაატყდა ქვეყანას ზედიზედ სამი წლის განმავლობაში (2016, 2017 და 2018). ოკეანიაში, ავსტრალიური

ღვინის წარმოება უკვე მეორე წელია მცირდება და 2019 წელს 12.0 მილიონ ჰექტოლიტრს მიაღწია (-6%/2018). ახალ ზელანდიაში ღვინის წარმოებამ 2019 წელს შეადგინა 3.0 მილიონი ჰექტოლიტრი, რაც ოდნავ შემცირდა -1%-ით 2018 წელთან შედარებით, მაგრამ ძირითადად შეესაბამება 5 წლის საშუალო მაჩვენებელს.

ღვინის მოხმარების მსოფლიო ტენდენცია ასეთია - 2019 წელს 244 მილიონი ჰექტოლიტრით არის შეფასებული, +0,1%-ით მეტი, ვიდრე 2018 წელს. 2018 წელს დაფიქსირებული ღვინის გლობალური მოხმარების უმნიშვნელო კლების შემდეგ, ძირითადად ჩინეთში, რუსეთში და ევროკავშირის ზოგიერთ მნიშვნელოვან ქვეყანაში, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და დიდი ბრიტანეთი, უარყოფითი ზრდის ტემპების გამო, ტენდენცია, როგორც ჩანს, შეიცვალა 2019 წელს. აშშ 2019 წ მსოფლიოში ყველაზე მეტი ღვინის მომხმარებელი ქვეყანა იყო, რეკორდული დონე- 33.0 მილიონი ჰექტოლიტრი. შიდა მოთხოვნა გაიზარდა (+1.8% / 2018 წ.), თუმცა წინა წელთან შედარებით (როდესაც წლიური ზრდის ტემპი თითქმის +3%) შემცირდა. რაც შეეხება ჩინეთს, 2019 წელს ღვინის მოხმარება 17,8 მლნ ჰექტოლიტრს შეადგენდა, რაც 2018 წელთან შედარებით 3,3%-ით ნაკლებია. ამ შემცირების ფონზე, ზედიზედ მეორე წელია, ბოლო 20 წლის განმავლობაში დამახასიათებელი მოხმარების სწრაფი ზრდა სრულდება.

იაპონია ღვინის მოხმარებით მეორე ადგილზეა აზიაში (და მე-15 მსოფლიოში), მეექვსე წელია სტაბილური მოხმარება 3,5 მილიონი ჰექტოლიტრია. სამხრეთ ამერიკაში ღვინის მთლიანი მოხმარება გაიზარდა 2019 MHL (+1.3%), ბრაზილიაში - 3.3 MHL (+0.5%), ჩილეში - 2.4 MHL (+4.6%). მოხმარების კლება დაფიქსირდა სამხრეთ აფრიკაში (4,0 მლლ, -6,2%/2018), რაც უბრუნდება 2014 წ დონეს, ზედიზედ ოთხი წლის შემდეგ 4,3 მჰლ-ზე მეტი. ავსტრალიაში ღვინის მოხმარება 5,9 მილიონ ჰექტოლიტრს შეადგენს, რაც შეესაბამება 2017 და 2018 წწ დაფიქსირებულ მაღალ დონეს.

ღვინით საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიოში ასე გამოიყ-

ურება - ღვინის გლობალური საექსპორტო ბაზარი გაიზარდა 2018 წ. შედარებით როგორც მოცულობით (რომელიც შეფასებულია 105,8 მლნ ჰექტოლიტრით (+1,7%), ასევე ღირებულებითი თვალსაზრისით, 31. 8 მილიარდი ევრო 9 (+0,9.გლობალური ექსპორტი, როგორც ჩანს, დაბრუნდა 2019 წლის დონეზე, უჩვენებს. 2013 წელს იტალია იყო უმსხვილესი ექსპორტიორი 21,6 მილიონი ჰექტოლიტრის წარმოებით, რაც წარმოადგენს გლობალური ბაზრის 20,5%-ს.

მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ექსპორტში იტალიიდან (+2,0 მლნ ჰლ), ესპანეთიდან (+1,3 მლნ ჰლ), კანადიდან (+0,4 მლნ ჰლ) და ჩილედან (+0,3 მლნ ჰლ). თუმცა, ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა ავსტრალიაში (-1,1 მლნ ჰლ), სამხრეთ აფრიკაში (-1,0 მლნ ჰლ), უკრაინაში (-0,4 მლნ ჰლ) და უნგრეთში (-0,3 მლნ ჰლ). 2019 წელს ღვინის ექსპორტის გლობალური ღირებულება 2010 წელს დაწყებული ძლიერი ზრდის გზაზეა და ახალ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. საფრანგეთი კვლავ რჩება მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ღირებულებით, 2019 წელს 9,8 მილიარდი ევროს ექსპორტით. ექსპორტის ღირებულება გაიზარდა ბევრ მსხვილ ექსპორტიორ ქვეყანაში, როგორიცაა საფრანგეთი (+425 მილიონი ევრო), იტალია (+211 მილიონი ევრო) და ახალი ზელანდია (+ €84 მილიონი). ყველაზე დიდი კლება ესპანეთმა (-234 მილიონი ევრო) და სამხრეთ აფრიკამ (-73 მილიონი ევრო) განიცადა.

პროდუქციის ტიპირების მიხედვით კი საერთაშორისო ბაზრებზე ასეთი მდგომარეობაა-ბოთლებში ჩამოსხმული ეტიკეტირებული ღვინოები (< 2 ლიტრი) გლობალური ვაჭრობის 53%-ს შეადგენს, 2018 წ. შესაბამისად. ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებს შორის ბოთლის ექსპორტის წილი მოცულობითი თვალსაზრისით ძალიან მაღალი იყო 2019 წელს საფრანგეთში (71%), გერმანიაში (74%), პორტუგალიაში (80%) და არგენტინაში (67%). 2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით ექსპორტირებული ღვინოების მთლიანი ღირებულების 70% ჩამოსხმულ ღვინოებს შეადგენდა. 2019 წელს ცქრიალა ღვინომ კვლავ აჩვენა ძლიერი ზრდა როგორც მოცულობით (+2.5% / 2018), ასევე ღირებულე-

ბით (+4.9% / 2018 წ.). ეს ნაწილობრივ აიხსნება იტალიური Prosecco ღვინის მიმართ მიმდინარე ტენდენციით მთელ მსოფლიოში. იტალიიდან, საფრანგეთიდან და ესპანეთიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი ფიზიკური თვალსაზრისით იყო ცქრიალა ღვინოები (19%, 14% და 9% შესაბამისად). ფიზიკური თვალსაზრისით შედარებით მცირე წილის მიუხედავად (9%), ცქრიალა ღვინოები ღირებულებით მსოფლიო საექსპორტო ბაზრის 21%-ს წარმოადგენდა. 2018 წელს ღვინის უხვი წარმოების შემდეგ, ნაყარი ღვინის ექსპორტი (>10 ლიტრი) 2019 წელს, როგორც მოსალოდნელი იყო, მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას ავლენს (+4,9%) ღირებულების მკვეთრი კლებით (-6,6%). 2018 წელთან შედარებით, საბითუმო ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა იტალიაში (+29%), არგენტინაში (+26%), ჩილეში (+13%), ესპანეთში (+12%) და საფრანგეთში (+12%), მაგრამ მკვეთრად დაეცა გერმანიაში (-19%), ავსტრალიაში (-18%) და სამხრეთ აფრიკაში (-17%). ნაყარი ღვინოები ღვინის ექსპორტის მთლიანი ღირებულების 8%-ს შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს მსოფლიო საექსპორტო ბაზრის 34% იყო. 2017 წლიდან ჰარმონიზებული საბაჟო სისტემაში (HS) შევიდა ახალი ქვესათაური 2204.22. ეს ქვესათაური განსაზღვრავს ღვინოებს კონტეინერებში, რომლებიც შეიცავს 2 ლიტრზე მეტს, მაგრამ 10 ლიტრზე ნაკლებს, უფრო ხშირად მოიხსენიება როგორც Bag-in-Box (BiB). ამ კატეგორიაში, რომელიც 2019 წელს წარმოადგენს მსოფლიო ექსპორტის 4%-ს და მთლიანი ღირებულების 2%-ს, გერმანია, სამხრეთ აფრიკა და პორტუგალია იყო უმსხვილესი ექსპორტიორები მოცულობით.

ღვინის ტოპ ექსპორტიორებში 2019 წელს ღვინის საერთაშორისო ვაჭრობაში მოცულობით ძირითადად დომინირებს სამი ევროპული ქვეყანა - იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი, რომლებმაც ერთად გაატარეს 57,1 მილიონი ჰექტოლიტრი, რაც გლობალური ბაზრის 54%-ს შეადგენს. ამ სამი ქვეყნის მოცულობაში წილი გაიზარდა 2018 წელთან შედარებით, როდესაც ის 52% იყო. ეს შედარებითი ზრდა ძირითადად განპირობებულია იტალიით (+10%/2018) და ესპანეთით (+6,5%/2018). სხვა

ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებს შორის დადებითი წლიური ზრდის ტემპები დაფიქსირდა ახალ ზელანდიაში (+5.1%), ჩილეში (+3.0%), გერმანიაში (+2.0%), აშშ-მ (+1.9%) და პორტუგალიაში (+0.3%). 2019 წელს ექსპორტის მოცულობის შემცირება დაფიქსირდა ავსტრალიაში და სამხრეთ აფრიკაში, შესაბამისად -12,5% და -23,5%-ით.2018 წელთან შედარებით ღირებულების ზრდა დაფიქსირდა ახალ ზელანდიაში (+8.3%), საფრანგეთში (+4.6%), იტალიაში (+3 .4%)., პორტუგალიაში (+2,5%), ჩილეში (+2,1%), არგენტინაში (+1,2%), აშშ (+0,9%) და ავსტრალიაში (+0,2%). 2018 წელთან შედარებით ექსპორტის ღირებულების კლება დაფიქსირდა სამხრეთ აფრიკაში (-11,0%), ესპანეთში (-8,0%) და გერმანიაში (-0,5%).

2019 წელს ყველაზე დიდი იმპორტიორი იყო გერმანია, დიდი ბრიტანეთი და აშშ, რომლებმაც ერთად ჯამში შემოიტანეს 40,4 მილიონი ჰექტოლიტრი, რაც შეადგენს გლობალური მოცულობის 38%-ს. ამ სამ ქვეყანაზე მოდის მსოფლიო ღვინის იმპორტის მთლიანი ღირებულების 39%, რაც 11,9 მილიარდ ევროს შეადგენს. გერმანია რჩება პირველ იმპორტიორად 2019 წელს 14,6 მილიონი ჰექტოლიტრით, თუნდაც მისი ღვინის იმპორტის 0,6%-ით შემცირებისას 2018 წელთან შედარებით. ეს კლება კიდევ უფრო გამოხატულია ღირებულებითი თვალსაზრისით: ვარდნამ 4,2% შეადგინა და 2,6 მილიარდ ევროს მიაღწია. გერმანული იმპორტის ყველაზე დიდი წილი (59%) ნაყარი ღვინოა, რომელიც იზრდება მოცულობით (+4% 2018 წელს), მაგრამ მცირდება ღირებულებით (-13% 2018 წელს). ბოთლების იმპორტი, რომელიც შეადგენს 35% მოცულობით და 63% ღირებულებით, 2018 წელთან შედარებით შემცირდა როგორც მოცულობით (-7%), ასევე ღირებულებით (-1%). დიდი ბრიტანეთი 2019 წელს სიდიდით მეორე იმპორტიორია მოცულობით-13,5 მლნ ჰექტოლიტრით, ხოლო ღირებულებით 3,8 მლრდ ევროთი. 2019 წელს BiB გახდა იმპორტის მოცულობის (+10%/2018) და ღირებულების (+19%/2018) ყველაზე დიდი ზრდით შეფუთვის სახეობა. ცქრიალა ღვინომ შეადგინა მთლიანი იმპორტის ღირებულების 63% 2019 წელს, რაც 7%-ით მეტია 2018 წელთან შე-

დარებით. აშშ 2019 წელს შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა 2018 წელთან შედარებით იმპორტში (+7,1%) და მიაღწია 12,3 მილიონ ჰექტოლიტრს, ხოლო ღირებულებით (+5,7%), 5,5 მილიარდ ევროს აღწევს.

მსოფლიო ღვინის სექტორის მაჩვენებლები ადასტურებს, რომ 2019 წ აშშ არის პირველი იმპორტიორი მოცულობის მიხედვით. ცქრიალა ღვინო, რომელიც მოცულობით 12%-ს შეადგენს, ხოლო ღირებულებით 73%-ს, არის ის კატეგორია, რომელიც ყველაზე მეტად გაიზარდა მოცულობით (+13%), ხოლო საშუალო კატეგორიის ღვინომ 2018 წელთან შედარებით +33%-ით მოიმატა. საშუალო ფასის ღვინო 2019 წელს იმპორტის 79%-ს შეადგენდა, რაც 7%-ით მეტია 2018 წელთან შედარებით. ჩინეთმა იმპორტის მნიშვნელოვანი კლება ზედიზედ მეორე წელია (-11%/2018) განიცადა, 2019 წელს მიაღწია 6.1 მილიონ ჰექტოლიტრს. ღირებულების თვალსაზრისით, ტენდენცია მსგავსია: საერთო ვარდნა -9.7%-ით 2018 წელთან შედარებით, 2,1 მილიარდ ევრო. ერთადერთი კატეგორია, რომელიც გაიზარდა როგორც მოცულობით (+8%), ასევე ღირებულებით (+8%) არის ცქრიალა ღვინო, თუმცა მთლიანი იმპორტის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა. სხვა მსხვილ იმპორტიორებს შორის, ყველაზე დიდი მოცულობის ზრდა დაფიქსირდა პორტუგალიაში (2,9 მილიონი ჰექტოლიტრი, +46% / 2018), რუსეთში (4,5 მილიონი ჰექტოლიტრი, +10% / 2018) და იაპონიაში (2,8 მილიონი ჰექტოლიტრი, +10% / 2018 წ.) ჰექტოლიტრი, +7.2% / 2018 წ.). ამ სამმა ქვეყანამ 2019 წელს ღვინის იმპორტის ღირებულება, შესაბამისად, 9%, 16% და +13% გაზარდა.

ყოველივე ზემოთქმული თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგი ძალიან მაღალშემოსავლიანია და დიდი წილი შეაქვს ქვეყნის მშპ-ში. ძველი ტრადიციული ქვეყნების დინამიკას უსწრებს მეღვინეობის ახალი ქვეყნები, რადგან მათ მეტი ძალისხმევა ჩადეს, ძირფესვიანად შეისწავლეს სფერო და ინოვაციური მეთოდიკა დანერგეს, როგორც ვენახის გაშენებაში, ისე ღვინის დაყენებაში. დაამკვიდრეს ახალი ტენდენციები და მსოფლიო ბაზარს შესთავაზეს ინოვაციური

პროდუქტი ინოვაციური მარკეტინგული გზებით, მომხმარებელთან მეტი უშუალო კომუნიკაციით, ინტერნეტის საშუალებით, ღვინის ბირჟებზე აქტიურობით, სოციალური ქსელების გამოყენებით, სხვა დარგებთან მჭიდრო კოლაბორაციით. საქართველოს ამ მხრივ დიდი პოტენციალი გააჩნია, ახალი ნარატივის შეთავაზებით, რომელიც ეყრდნობა უძველეს ცივილიზაციის მონაპოვარს, ისტორიულ, მითოლოგიურ და კულტურულ კონტექსტს. ინოვაციური ციფრული მარკეტინგული სტრატეგიების დანერგვით ქართული მეღვინეობა უფრო ფართოდ მოიკიდებს ფეხს, როგორც ევროკავშირის, ისე ჩინეთის ბაზრებზე. საქართველოს ეკონომიკისათვის ამ მხრივ მნიშვნელოვანია მსოფლიოს ახალი გამოცდილების გაზიარება.

REFERENCES:

1. Great Wine Capitals, International Wine Review, 2017

2.http://www.greatwinecapitals.com/sites/default/files/resources/downloads/gwc_wine_review_nov_17.pdf

3.International Organisation of Wine and Wine, OIV Statistical Report on World Vitiviniculture, 2017

4.World Vitiviniculture, 2017OIV, Global Economic Vitiviniculture Data, 2017 http://www.oiv.int/public/medias/5681/en-communiqudepresse-octobre-2017.pdf

WORLD ECONOMY OF WINEMAKING

Benia Maia,
Associate professor GTU,
maia.benia9@gmail.com

RESUME

Old traditional winemaking countries are now ahead of new winemaking countries. In addition to countries with European and Middle Eastern viticultural traditions, wine production has begun on a large scale in Canada, Australia, Argentina, Chile, Mexico, New Zealand, South Africa, Australia and the Americas. The top wine exporters in 2019 are dominated by international wine trade in Italy, Spain and France - the total of 57.1 million hectoliters, which is 54% of the global market. Germany, the United Kingdom and the United States were the largest importers - a total of 40.4 million hectoliters, accounting for 38% of the global market. These three countries account for 39% of the total value of world wine imports, amounting to 11.9 billion euros. The US is the largest consumer of wine in the world, with a record level of 33.0 million hectoliters in 2019. Georgia has a serious potential to establish itself in the world markets with its uniqueness, with the introduction of innovative digital technologies.

Keywords: Old World wines, New World wines, Wine Export-Import, Global Wine Market, Wine Economy, Viticulture, Harmonized customs system.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკათაშორისი სისტემის როლი თანამედროვე მსოფლიოში

DOI - 10.36962/ecs105/4-5/2022-296

რუსუდან პაპასკირი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ნიკა ტყებუჩავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტი

რეზიუმე

განხილულია თანამედროვე საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკათაშორისი სისტემა, მათ შორის SWIFT; მისი ზეგავლენა მსოფლიოს საფინანსო სიტემაზე, SWIFT-ის როლი ფინანსურ სანქციებთან მიმართებაში.

ნაშრომის მიზანია, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე დაყრდნობით, წარმოვადგინოთ, როგორ მოქმედებს საქართველოში SWIFT, დავსახოთ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთაშორისი სისტემების განვითარების პრიორიტეტული გზები.

საერთაშორისო ანგარიშსწორების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა უზრუნველყოფს საქართველოში საბანკო საფინანსო სისტემის ეფექტურ მუშაობას, საერთაშორისო სტანდარტებისა და ტექნოლოგიების განვითარებას გლობალური მასშტაბით. რეალურ დროში გადარიცხვები ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს განვითარებას. საქართველოში ანგარიშსწორების სისტემის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ბანკების მაღალტექნოლოგიური განვითარება, რათა მათ შეძლონ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. აუცილებელია ბანკებს შორის

კონკურენციის გაზრდის ხელშეწყობა. დაუშვებელია, საერთშორისო სანქციებს გვერდი ავუაროთ, ვინაიდან სწორედ მასზე გადის ქვეყნის ეკონომიკის განვითარება.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთაშორისი სისტემა; SWIFT; ფინანსური სანქციები; ფინანსური შეტყობინებების გადაცემის სისტემა **– SPFS;** რუსეთის შიდა გადარიცხვის სიტემა MIR.

ძირითადი ტექსტი

1996 წლიდან საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო გადარიცხვების სისტემა SWIFT-ში. SWIFT არის მსოფილო ბანაკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების წამყვანი საზოგადოება ფინანსური ტელეკომუნიკაციების სფეროში. საქართველოს ეროვნული ბანკსა და SWIFT-ს შორის კოპენჰაგენში (დანია) SWIFT-ის ყოველწლიურ კონგრესზე ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმის მიხედვით, პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ავტომატიზებული საკლირინგო სისტემისთვის SWIFT-ის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, მეორე ეტაპზე - რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემის განახლება. SWIFT კონცენტრირებულია 3 სტრატეგიულ პრიორიტეტზე–კლიენტებისთვის ხარისხის შეთავაზება, საბაზრო ინფრასტრუქტურათა მხარდაჭერა და სვიფტის მომავალი თაობის გაზრდა. ამის დასტურია ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებლები. მაგალითად, 2021 წელს SWIFT დღეში საშუალოდ 42,0 მილიონი FIN შეტყობინებას აფიქსირებდა. საშუალო დღიური ტრაფიკი +11.4%-ით გაიზარდა 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (იხ. სურათი 1).

SWIFT არის უსაფრთხო ფინანსური შეტყობინებების სერვისების გლობალური მიმწოდებელი საქართველოში. დაარსებული 1973 წელს, ის აკავშირებს 11000-ზე მეტ ბანკს, ფინანსურ ინსტიტუტსა და კორპორაციას 200-ზე მეტ ქვეყანაში. SWIFT-ს ზედამხედველობას უწევს G-10 ცენტრალური ბანკები (ბელგია, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ნიდერლან-

სურათი 1. ყოველდღიური ფინასური ნაკადების მოძრაობა SWIFT სისტემაში.

დები, დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები, შვეიცარია და შვედეთი), ისევე როგორც ევროპის ცენტრალური ბანკი თავისი წამყვანი ზედამხედველით.

SWIFT ფუნქციები:

• გზავნილთა გადაცემის საიმედეობაა და სრული უსაფრთხოება;

• ოპერაციული დანახაჯების შემცირება ტელექსელურ კავშირთან შედარებით;

• გზავნილთა სწრაფ გადაცემას დედამიწის ნებისმიერ წერტილში;

• მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების შესაძლებლობა;

• SWIFT-ის წევრ-ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

• SWIFT ეფექტურად აკონტროლებს შეტყობინებებს, რომლებსაც მომხმარებლები აგზავნიან მისი სისტემის მეშვეობით. ყველა გადაწყვეტილება ფინანსური ტრანზაქციების ლეგიტიმურობის შესახებ მიიღება მოქმედი რეგულაციებით.

2012 წლის მარტში, ირანის წინააღმდეგ ფინანსური სანქციების გასაძლიერებლად, საერთაშორისო და მრავალმხრივი ქმედებების შესაბამისად, მიღებულ იქნა ევროკავშირის რეგულაცია 267/2012. ის უკრძალავს ფინანსური მესიჯების სპეციალიზებულ პროვაიდერს, როგორიცაა SWIFT, უზრუნველყოს მომსახუ-

რება ევროკავშირის მიერ სანქცირებული ირანული ბანკებისთვის. SWIFT მოქმედებს ბელგიის კანონმდებლობით. SWIFT-მა შეასრულა მარეგულირებელი ვალდებულება ევროკავშირის მიერ სანქცირებული შესაბამისი ბანკების გარიცხვით.

უკრაინელი ხალხის გენოციდის საპასუხოდ დასავლეთის ქვეყნებმა დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება. 2022 წლის 22 თებერვალს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ჯონსონმა გამოაცხადა სანქციები რუსულ ბანკზე: კერძოდ, Rossiya Bank, Industrialny Sberegatelny Bank, General Bank, Promsvyazbank, Black Sea Bank, VTB. რუსეთის სიდიდით მეორე ბანკი VTB, რომელიც აფინანსებს რუსეთის სამხედრო მანქანას, იმ კრედიტორებს შორისაა, რომლებიც ამოიღეს SWIFT-დან.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა აუკრძალეს ევროკავშირის ინვესტორებს რუსეთის სახელმწიფო ობლიგაციებით ვაჭრობა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა გამოაცხადა სანქციები VEB. RF-სა და Promsvyazbank-ზე ბანკებზე. სანქციები ასევე მოიცავს ექსპორტის კონტროლს.

ფინანსური შეტყობინებების გადაცემის სისტემა – **SPFS** არის ფინანსური გადარიცხვების SWIFT სისტემის რუსული ექვივალენტი, შემუშავებული რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ. პირველი ტრანზაქცია SPFS ქსელში, რომელშიც მონაწილეობდა არასაბანკო საწარმო, შესრულდა 2017 წლის დეკემბერში. რუსეთის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებებს SPFS-ის გაფართოებაზე განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი და ირანი. მისი შეზღუდვების გამო, SPFS სისტემა არ შეიძლება გავნიხილოთ, როგორც SWIFT ქსელის შემცვლელი. 2019 წლიდან მიღწეულია მრავალი შეთანხმება SPFS-ის დასაკავშირებლად სხვა ქვეყნების გადახდის სისტემებთან ჩინეთში, ინდოეთში, ირანში, ისევე როგორც EAEU-ის ქვეყნებში, რომლებიც გეგმავენ უშუალოდ SPFS-ის გამოყენებას. 2020 წლის ბოლოს SPFS-თან დაკავშირებული იყო 23 უცხოური ბანკი სომხეთიდან, ბელორუსიიდან, გერმანიიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან და შვეიცარიიდან.

Sberbank, რუსეთის უმსხვილესი ბანკი და Gazprombank ჯერ-ჯერობით ინახება SWIFT-ზე, რადგან ისინი ხელს უწყობენ დასავლეთის გადახდების დიდ ნაწილს რუსულ ნავთობსა და გაზზე. SWIFT შეიძლება იყოს უფრო მიმზიდველი სამიზნე, ვიდრე ცალკეული ბანკები, რადგან ის არის გლობალური ფინანსური ქსელის მნიშვნელოვანი წერტილი. SWIFT-ის დარტყმა ძალიან საზიანო იქნება რუსეთის საბანკო სისტემისთვის. 11000-ზე მეტი ფინანსური ინსტიტუტი იყენებს სისტემას, რომელიც ხელს უწყობს ტრილიონობით დოლარის ღირებულების ტრანზაქციას ყოველდღიურად.

რუსეთში მოქმედებს შიდა გადარიცხვის სისტემა MIR. ის დაარსდა 2017 წელს. სისტემას მართავს რუსეთის ეროვნული ბარათით გადახდის სისტემა [ru]. ეს არის რუსული გადახდის სისტემა ელექტრონული ფულადი სახსრების გადარიცხვებისთვის. MIR განვითარება და განხორციელება 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესებამ გამოიწვია.

MIR-ის ბარათებს თავდაპირველად იღებდნენ, ძირითადად, რუსეთში დაფუძნებული კომპანიები, როგორიცაა აეროფლოტი და რუსეთის რკინიგზა, მაგრამ ის თანდათან პოპულარული გახდა უცხოურ კომპანიებს შორის, რომლებიც მუშაობენ რუსეთში.

2016 წლის აპრილში, AliExpress გახდა პირველი უცხოური კომპანია, რომელმაც მიიღო MIR, როგორც გადახდის ფორმა რუსეთის ფედერაციაში. Macdonadsi მაკდონალდსი იყო პირველი ამერიკული კომპანია, რომელმაც მიიღო იგი სამი თვის შემდეგ. MIR სისტემა დაინერგა სომხეთში 2018 წელს, ხოლო 2019 წელს - რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, თურქეთსა და უზბეკეთში. 2021 წლის ოქტომბერში MIR ამოქმედდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში.

უკრაინასთან საომარი მოქმედებების გამო, არაერთმა უცხოურმა კომპანიამ შეაჩერა ინვესტიციები.

რუსეთი სავალუტო რეზერვებს ზრდიდა ჩინური იუანისა და ოქროს ხარჯზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

შვედეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი, Handelsbanken-ი 21

მარტიდან საქართველოსთან და სომხეთთან ფინანსურ ტრანზაქციებს აჩერებს. გადაწყვეტილების მიზეზად ტრანზიტული ტრანზაქციების რისკი დასახელდა. კერძოდ, შვედური ბანკი შიშობს, რომ საქართველოში და სომხეთში გადარიცხული თანხები შესაძლოა ტრანზიტულად გადამისამართდეს სანქცირებულ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც, რომელსაც დასავლეთმა ფინანსური სანქციები დაუწესა. ადგილობრივ ბანკებს დაევალათ მკაცრი კონტროლი გაუწიონ ქვეყნებს შორის საბანკო ოპერაციებს, ვინაიდან ამის გაკონტროლება საკმაოდ რთულია, ზოგიერთი ბანკი ამ მიზეზით საქართველოს სისტემიდან გამორთვას ითხოვს. ეროვნულმა ბანკმა უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია. სახელმწიფომ მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ ხელს არ შეუშლის საერთაშორისო საერთაშორისო სანქციების მიზანს და არ გახდება შავი ხვრელი. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემა, არის ქვეყნის ეკონომიკის და ვაჭრობის განვითარების საუკეთესო საშუალება, სადაც ტრანზაქციების განხორციელება 24 საათიან რეჟიმშია შესაძლებელი, რაც მის უნიკალურობას უსვამს ხაზს.

ანგარიშსწორების სისტემების გამართული ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებს. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების პროცესში მნიშვნელოვანია განვითარებული ანგარიშსწორების სისტემის ფლობა, ბანკებს შორის ჟანსაღი კონკურენცია. თითოეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენებული ანგარიშსწორების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა და ათვისება. ეს, თავის მხრივ, იძლევა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირების საშუალებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მესხია, „საერთასორისო ფინანსები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012;

2. კოვზანაძე ი, კონტრიძე გ., -„თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“,

თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014;

3. MIR (payment system) https://en.wikipedia.org/wiki/Mir_(payment_system);

4. ბიზნესი & Bloomberg https://businessformula.ge/News/7645;

5. ყოველდღიური ფინანსური ნაკადების მოძრაობა https://www.swift.com/about us/discover-swift/fin-traffic-figures ;

6. რუსეთის ეკონომიკა https://cutt.ly/7G2fvPT

REFERENCES:

1. I. Meskhia, International Finance, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi 2012;

2. Kovzanadze I., Kontridze G., - “Modern Banking: Theory and Practice”,

Tbilisi, Cesani Publishing House, 2014;

3. MIR (payment system) https://en.wikipedia.org/wiki/Mir_(payment_system)

4. BUSINESS & Bloomberg https://businessformula.ge/News/7645;

5. Movement of daily financial flows https://www.swift.com;

6. Russian Economy https://cutt.ly/7G2fvPT.

THE ROLE OF INTERNATIONAL SETTLEMENT INTERBANK SYSTEM IN THE MODERN WORLD

Rusudan Papaskiri,
Sokhumi State Associate Professor;
Nika Tkebuchava,
Sokhumi State University Bachelor Student

RESUME

The article discusses the modern interbank settlement system, including SWIFT, its impact on the global financial system, and SWIFT's role in relation to financial sanctions.

The aim of the paper is to present, based on the current economic processes in the world, how SWIFT operates in Georgia, to set priority ways for the development of interbank payment systems.

The introduction of modern forms and methods of payment ensures the effective operation of the banking and financial system in Georgia. Development of international standards and technologies globally. Real-time transfers contribute to the development of international trade and services.

In order to improve the payment system in Georgia, it is important to develop high-tech banks so that they can meet the needs of customers. It is necessary to promote increased competition between banks. International sanctions may not be tolerated, as it is on it that the development of the country's economy is underway.

Keywords: Interbank system of international payments; SWIFT; Financial sanctions; Financial message transfer system - SPFS; Russian Internal Transfer System MIR.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში: ***CROSSREF*** *(ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენთიფიკატორი-* ***DOI****),* ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org ; Zenodo-https://zenodo.org.***

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს სტატიის ფარულ რეცენზირებას. იბეჭდება დადებითი რეცენზიის მიმღები სტატია.

პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭვდა ჟურნალში.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: ***CROSSREF*** *(assigned an unique International Digital Identifier -* ***DOI****),* ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org***

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision

of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

The Editorial Board provides blind review of the articles. The article with positive review is published.

PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

Resumes must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

Key words in Georgian and English languages;

Title of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

E-ISSN 2733-3361

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 25.02.2022 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.02.2022 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,25

უაკ (UDC): 338(922)(05)

E-ISSN 2733-3361